

მანანა მიჩიტაშვილი



ნაქალაქარი მძოვრეთის
ისტორიიდან

მანანა მიჩიტაშვილი

ნაქალაქარი მძოვრეთის
ისტორიიდან



გამომცემლობა „სწივერსალი“
თბილისი 2020

წერილობითი წყაროებისა და ისტორიულ-არქეოლოგიური მასალის კრიტიკულ-ანალიტიკური კვლევით, წიგნში წარმოდგენილია გვიანანტიკური ქალაქის, მძოვრეთის დაარსებისა და მისი რეკონსტრუქციის ისტორია, ახ. წ. II საუკუნიდან XVIII საუკუნის 90-იან წლებამდე, გვიანანტიკური ნაქალაქარის არსებობის შეწყვეტის პერიოდამდე. ნაშრომში განხილულია მძოვრეთის დაწინაურებისა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ფაქტორები, ახსნილია მისი დაკნინებისა და დაცემის რეალური მიზეზები.

ნაქალაქარ მძოვრეთის ისტორიის შესწავლის მიზნით შექმნილი ნაშრომი პირველი გამოკვლევაა და ვფიქრობთ, მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ნაქალაქარი მზოვრეთის, ზოგადად კი, საქართველოს ქალაქების ისტორიის შემდგომ კვლევაში. ვფიქრობ, წიგნი სასარგებლო იქნება ისტორიკოს მკვლევარებსა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

On the basis of the critical and analytical research of the written sources and the historical-archaeological material, the book presents the history of establishment of late antiquity town Mdzovreti in the second centuries A.D. throughout the 90s of the 18th century when the late antiquity town of Mdzovreti ceased to exist. The research highlights Mdzovreti progress and provides the factors of development of the town. The real reasons both for diminishing and demolishing of the old town are explained too.

This is the first research with the purpose to study the history of Mdzovreti old town. This book will contribute to the further study of Mdzovreti as well as the history of the Georgian towns. We consider the book will be useful for history researchers and people interested in the history of Georgia.

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი: იულონ გაგომიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© მ.მიჩიტაშვილი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, აკოლიძე ქ. №4 ☎ 5(99) 33 32 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversal@gmail.com; universal505@gmail.com

ISBN 978-9941-26-750-5

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
თავი I	
მასალები გვიანანტიკურ მძოვრეთზე გამავალი სატრანზიტო - სავაჭრო გზის შესახებ	14
თავი II	
გვიანანტიკური ქალაქი მძოვრეთი	
1. ქალაქის დაარსების ისტორია.....	34
2. ნაქალაქარ „ზოვრეთის“ სახელწოდების ეტიმოლოგიის საკითხისათვის.....	39
3. ქალაქის უბნები	60
თავი III	
არქეოლოგია მძოვრეთის შესახებ	
1. ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიცია (1964-1966 წწ.).....	78
2. ტორევიკული ძეგლები ზღუდერის სამარხებიდან	87
3. ბერძნულენოვანი და არამეულ-არმაზული წარწერები	95
4. გლიპტიკური ძეგლები.....	104
5. ნუმისმატიკური მასალა	122
6. ნაქალაქარის ზღუდე-გალავნი.....	136
თავი IV	
ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლა მძოვრეთისა და ძამის ხეობის დასაუფლებლად	
1. „აზნაურნი საზუერელნის“ მოღვაწეობის საკითხისათვის	163
2. ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლის ისტორიიდან (XIII-XIV სს.)	179

3. თემურ-ლენგის ლაშქრობა ძამის ხეობაში და ფანასკერტელ-ციციშვილთა დამკვიდრება	193
თავი V	
ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო რეზიდენციის ისტორიიდან	
1. მძოვრეთის რეზიდენციის დაარსება.....	203
2. მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან	263
3. მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების დაცემა XVIII საუკუნის 90-იან წლებში	308
4. მწიგნობრული კერა მძოვრეთში.....	324
5. ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო გერბი.....	346
დანართი	350
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა	362
From the History of Mdzovreti, the Site of Former Town	
Summary	392
სამიებლები	
ა) პირთა	402
ბ) გეოგრაფიული	411

შესავალი

ნაქალაქარი მძოვრეთი მდებარეობს მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მაღალი მთის დავაკებაზე. ისტორიულ წყაროებში მძოვრეთი, ზოვრეთის სახელითაც მოიხსენიება.¹ მასზე გადიოდა სტრატეგიული მნიშვნელობის შიდა, ქვემო და ზემო ქართლის შემაერთებელ გზები. მძოვრეთის (ზოვრეთის) ტერიტორიას თავს დაჰყურებდა და იცავდა მიუვალ კლდეზე აღმართული, რთული კონსტრუქციის მონუმენტური ნაგებობა - ძამის ციხე. იგი მოხერხებულად და ჰარმონიულადაა შერწყმული გეოგრაფიულ გარემოსთან და უძლეველობის იერს აძლევს. ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი ძამის ციხის შესახებ აღნიშნავდა: „ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამის ციხე. ამ ციხის ქუემ სასახლე ციციანთა.“ მისივე აღწერით, „ძამის ჴეობა გამოსდის თორის მთასა, მოდის საგლონის ჴალამდე აღმოსავლით, მას ქვეით დის ჩრდილოთ, მიერთვის მტკვარს სამჴრიდამ.“² მდინარის სიგრძე 42 კმ-ია, აუზის ფართობი 342 კმ. ამდენად, საციციანოს ნახევარი ძამის აუზზე მოდის. თრიალეთის ქედის ციცაბო კალთებიდან ჩამომავალ მთისა და ბარის ზოლზე ხეობის ძირი აქ გაშლილია. სახნავ-სათესი ფართობი მდინარეთა წყლისპირამდე აღწევდა, ხოლო სოფლების ნაწილი მთისწინეთზეა შეფენილი. ძირითად გზასთან ერთად ხეობა დაქსელილია სხვადასხვა დანიშნულების საცალფეხო გზებითა და საიდუმლო ბილიკებით, რომელთა დიდი ნაწილი მიუყვებოდა თრიალეთისა და გუჯარეთისაკენ. ხეობა ჩრდ.

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეგსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 349. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წიგნი II, თბ., 1925, გვ. 249.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსია, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 58.

აღმოსავლეთის მხრიდან ხშირი და გაუვალი ტყის მასივით იყო გარშემორტყმული, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ნადირობისათვის. ზემოთ, თრიალეთის მაღალმთიან ქედზე, ბარს ალპური საძოვრები ენაცვლებოდა. ეს ხეობისთვის დიდი სიმდიდრე იყო მეცხოველების დარგების მაღალპროდუქტიულობისა და რენტაბელობისთვის.

გვიანანტიკური ხანის ზღუდერის სამარხში აღმოჩენილი ხარის კულტის ქანდაკება სიმბოლოა ხეობაში უძველესი დროიდან მესაქონლეობისა და ტრადიციული სამიწათმოქმედო საქმიანობისა. შუა საუკუნეებიდან თრიალეთის საძოვრებით სარგებლობა ძამის მოსახლეობისათვის თავისუფალი, მაგრამ ფასიანი იყო. მის გამოსაღებს ნახირისთავი, პირისთავი და საბალახე ერქვა.¹ ამასთან, მთიდან მოსახლეობის მოძრაობის პროცესი მთისძირსა და ბარში ინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში, მოსახლეობის რაოდენობის სტაბილურობას ქმნიდა, რადგან მთის ზოლის მოსახლეობის ზრდას ხშირად მოსდევდა მთისძირში გადმოსახლება.

ტყის დიდი მასივებით, ალპური საძოვრების და სათიბების სიმრავლით ცნობილი გუჯარეთ-შავწყალას მთები აძლევდა დამატებით შესაძლებლობას ძამისა და ტანას მოსახლეობას, ხეობიდან შემავალი მოხერხებული გზით თორის სიმდიდრეებითაც ესარგებლა. ძამის ხეობა თავისი შენაკადებით თევზის სიმრავლით იყო ცნობილი. მდინარის ორივე ნაპირის სახნავ-სათესი მიწები კი უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მთისა და ბარის სიახლოვე, ხელს უწყობდა მეურნეობის სხვადასხვა დარგების ინტენსივობას, რაც შეუძენველი არ დარჩენია ვახუშტი ბატონიშვილს: „გვეძინეთამდე არს ჴეობა ესე ვენახოვანი, ხილოვანი და მას ჴეით, არს მთური.“

¹დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 102-103.

თბილი კლიმატური პირობები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მევენახეობა-მელვინეობის განვითარებისათვის, რაზეც მიანიშნებს აღმოჩენილი ქვევრ-მარნების სიმრავლე.

არქეოლოგ ი. გაგომიძის მიერ სამწევრისის ეკლესიის ქვევრიდან მოპოვებული ყურძნის წიპწები პალინოლოგიური კვლევისათვის გადაეცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიას. კვლევის შედეგებს კარგად ასახავს, სამწევრისის (XVს.) ქვევრის შიგთავსის: ყურძნის წიპწების, ხე-მცენარეთა, ბუჩქნარების და ბალახოვანთა მტვრის შემადგენლობის დიაგრამა.¹ ვაზის მტვერთან ერთად მრავლად აღმოჩნდა მცენარეთა მტვერი, რამაც მიანიშნა მახლობლად მდებარე სხვადასხვა ჯიშის ხორბლის მინდვრების არსებობა. მდ. ძამის დასავლეთით მდებარე სოფლების სავარგულები ხორბლის უხვი მოსავლიანობით გამოირჩეოდა, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი მარცვლეულის შესანახი მარნები, ხაროები და მდ. ძამის ნაპირზე წისქვილების ნანგრევები. პალინოლოგიური კვლევისას აღმოჩნდა, რომ სამწევრისის ირგვლივ გაშენებული ყოფილა მრავალფეროვანი ხის ჯიშები: მუხის, წიფლის, მურყნის, რცხილისა და ცაცხვის. ხეობაში წიწვოვანი, ნამვისა და ფიჭვის ხშირი ტყის არსებობაზე მიანიშნებს მძოვრეთის აღმოჩენილ სამაროვანზე ამ მასალისგან დამზადებული ხის სამარხები და გირჩის ფორმის საცეცხლურები.

ტყის სიმდიდრე განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ხეობის ეკონომიკური მდგომარეობის, ვაჭრობის და სანაოსნო ტრანსპორტის განვითარებაში, საქალაქო ცხოვრების აღმშენებლობასა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაში. „გაღმა მხარის“ ტყის სიმდიდრეზე ცნობები შემოუნახავს XIX ს. პრესის

¹ ზ. თვალჭრელიძე, ე. ყვავაძე, „ქვაბების“ სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის არტეფაქტების ინტერდისციპლინური კვლევის შედეგები, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევა, თბ., 2016, № 7, გვ. 68, 81.


ფურცლებს: „ციციშვილებს ქართლის ყველა თავადებზე დიდი მთა აქვთ, ტყიანი, საძოვრიანი. მთაც მთასა ჰქვია - სულ ფიჭვიაო.“¹

მდ. მტკვარი თავისი მარჯვენა შენაკადებით სარწყავი არხის გაყვანის შესაძლებლობას იძლეოდა. ხვედურეთის ხეობა, ძამის ხევი და იმერხევი მათი შენაკადებით გაღმა-გამოღმა მდებარე ისტორიული სოფლების „მრწყველი“ ჩანს, რაც ეფექტურ პირობებს იძლეოდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებისთვის. ნ. ბერძენიშვილი სწორედ მორწყვას უკავშირებდა უძველესი ქართული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის „კვეის“ წარმოქმნას. სულხან-საბას განმარტებით, „კეობა“ ნიშნავს ერთ წყალზედ მრავალ მოსახლეს. მორწყვით მიწათმოქმედებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ვახუშტი ბაგრატიონი. ის საციციანოს აღწერისას აღნიშნავდა: „ამას წრომს ქვეითს მინდორს რწყამს რუ ძამისა და ნაყოფიერებს ... და არიან კვენი ესენი ვენახოვანნი, ხილიანნი.“²

ხეობაში საირიგაციო სისტემაზე განსაკუთრებული ზრუნვის მნიშვნელობაზე მიაჩნებებს VII საუკუნის სამწევრისის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე 912-913 წლების ასომთავრული წარწერა, ძამას არხის ფუნქციონირების შესახებ. მისი მშენებლობა უკავშირდება აფხაზთა მეფე კონსტანტინეს სახელს: „ქ. ზ(ედ)ა წელსა კ-ს კონსტანტინე მეფისა<ესე რუ[ვი]> მე, დომნინოს, სამწევრის ჯუარსა მამასახლისმან და გიორგი თუილოის ძემან მოვიდეთ რუვი ესე ჯუარად. არავინ არს სხუაი მომხუმარე და უფალი მონაი რუვისა ამის, გარნა პატიოსანი ჯუარი და გიორგი. ვინ ესე აღმოიკითხოთ მე დომ(ნი)ნოს, ჯუარისაი [ლოცვასა მომიხსენეთ და თუალოის] ძეცა გიორგი ქრისტემან შეიწყალენ

¹ „ივერია“ 1888, №15.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 58.



ამენ იყავნ.¹ სამწევრისის მიწები დღემდე ირწყვის ძამის წყლით კვიბჯვრიდან გაყვანილი ახალი არხით. დღემდე შემორჩენილა ტოპონიმი „სარწყავები“ - ძველი სარწყავი არხის ნაკვალევი სამწევრისის ძირზე. გვეძინეთიდან წრომამდე გაყვანილ სარწყავ რუს, ადგილობრივი მცხოვრებნი თამარ დედოფლის რუს ეძახდნენ. მის მშენებლობაზე ცნობები მხოლოდ თქმულების სახით შემორჩენილა. ირიგაცია ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენდა გვიანფეოდალურ ხანაშიც და მასზე მზრუნველობას არ აკლებდა სამეფო კარი, რაზეც მიანიშნებს 1789 წლის განჩინება, რომლის ძალით აღუდგენიათ ძველი განაჩენი: „საქართველოს დედოფალს დარეჯანს ... შვილიშვილის ბატონიშვილის დავითისათვის ებრძანა წინაპართა ბატონებისა და ნეტარად ხსენებულისა მეფის თეიმურაზისა განაჩენი აცხადებს ... ასე სამათ უნდა გაიყოს წყალი: ერთი წილი სახასოს ზვარსა და ხოდაბუნსა და ეკლესიის ყმათ უნდა მიეცესთ, მესამედი წილი საციციანოს ყმათა და გარეშე კაცთ უნდა მიეცეს ... თუ ერთმანეთში მძლავრობა იხმარა ვინმე, და ან წყალი მოჰპარონ ერთმანეთს, ზემორეხსენებულისაებრ ორი თუმანი სახელმწიფოთ ჯარიმა

¹ ქართული წარწერების კორპუსი, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X საუკუნეებში, შემდგენელი ნ. შოშიაშვილი, თბ., 1980, გვ. 222-223.

გარდახდეს და სარქარში მიეზაროს.“¹ ძამის ხეობაში სარწყავი სისტემის მშენებლობაზე ციციშვილების მზრუნველობა XIX საუკუნის პრესის ფურცლებმაც შემოგვინახა 1891 წლის გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა სოფელ წრომში ლევან ციციშვილის მეთაურობით სარწყავი რუს გაყვანის თაობაზე.²

ხშირ და გაუვალ ტყეებს ენაცვლებოდა ყვავილოვანი მდელოების სიმრავლე, რაც მეფუტკრეობის განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა.

საციციანოს ტყით სარგებლობისათვის თრიალეთის და საამილახვროს სოფლები ფულთან ერთად იხდიდნენ - მარილს, კარაქს, ცხვარს და თაფლს. საციციანოს ტყის სიმდიდრის მრავალმხრივი სარგებლობის ნებართვა ხშირად გაუთავებელი დავისა და დაპირისპირების მიზეზი ხდებოდა მეზობელ რუისის, ურბნისის, გორის³ და საამილახვროს მოსახლეობასთან.

1784 წლის საბუთში ვკითხულობთ: „ჩვენ ფანასკერტელმან-ციციშვილმან სარდარ ქალაქის მოურავმან დავით და სასურველმან თანამეცხედრემან ჩვენმან მეორე ირაკლის ასულმან ... საქართველოს მეფის ასულმან ბატონისშვილმან მარიამ და სასურველმან ძეთა ჩვენთა ალექსანდრე, ევსტათი და ნიკოლაოს მცირე ესე შესაწირავი რადგანაც თქუწნს საკუთარით ყმათ მთა, ტყე და ჭალა არა ჰქონდათ, რომ შეშისა და ყოვლის მოსაჯმარის ხისა, საკმარება წარემართათ ამით ურბნისს თქუწნი მოსახლენი ყმანი. საციციანოს ჩვენს მთაში შემოდიოდენ, თუმცადა, ჩვენის ნებით რომ ხე და ტყე გაჰქონდათ, მაგრამ ჩვენს ყმათაგან დიდს ჭირში იყუნენ, ხან ტყეში არ შემეგებით და როდესაც შემეგებიან მრავალჯერ

¹ ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974, დოკ. 271, გვ. 468-471; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემდგომში ხეც.) Ad -1502, საბ. № 34.

² „ივერია“, 1891, №157.

³ ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, I მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2018, გვ. 289.

ხისა და ურმის წარწომევეითცა. და რადგან ამ საქმის გაჭირებაში იყუნენ ესრეთ შემოგვჭირავს. რომ ჩვენს მთასა და ტყესა და ჭალაში თქუენნი საკუთართ ყმანი სახლისა ხისა, შეშის, ვენახისა სარისა, მარგლისა, წნელის ... გუთნისა, ურმის იარაღისა და ყოველს სახმარის იარაღის გამოსატანად შემოვიდოდნენ თავისუფლად, რომ ჩვენგან და არცა ჩვენთა შვილიშვილთაგან არ დაეშლებოდეს ... ესრეთ შეგვიწირავს.“¹ ასეთივე უფლება მიუციათ 1784 წელს რუისის, ბებნისის და სასირეთის მოსახლეთათვის, რადგან „არა ჰქონდათ ტყეთა და ჭალა რათამცა შეშის საცმარება წარემართათ ... ჩვენს მთაში შემოდოდნენ ... მაგრამ ჩვენს ყმათაგან დიდს ჭირსა და შიშს იყუნენ.“²

ამასთან, ანტიკური პერიოდის საქართველოში მეტალურგიული ნედლეულის (სპილენძი, რკინა, კალა) ერთ-ერთ ადგილად დასახელებულია მდ. ძამას ხეობა.³ XIX საუკუნის პრესის ფურცლები ხშირად ამცნობდა საზოგადოებას ხეობის სიმდიდრის შესახებ. 1896 წლის ცნობის ფურცელი ქარელიდან იუწყებოდა ციციშვილების მამულში შავი მადნის, მარგანეცის აღმოჩენის თაობაზე.⁴ ხეობის სიმდიდრით დაინტერესებულან ფრანგი კომერსანტები. 1900 წელს ფრანგულ კომპანიას დაუწყია მოლაპარაკება თავად ციციშვილებთან საციციანოს მთის იჯარით აღების თაობაზე.⁵

ხეობის მოსახლეობის თავდაცვით და ბრძოლისუნარიანობას მნიშვნელოვნად ზრდიდა აღმოსავლეთიდან თრიალეთის მთის

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (შემდგომში სცსსა), ფ. 1449, აღწ. 1, ს. 2519.

² სცსსა, ფ. 1449, ს. 2544.

³ გ. გამყრელიძე, მ. ფირცხალავა, გ. ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, (ანტიკური პერიოდი), თბ., 2005, გვ. 6.

⁴ „ცნობის ფურცელი“ 1896, № 9.

⁵ „ცნობის ფურცელი“ 1900, № 1179.

კალთები, დასავლეთიდან ერთგვარ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა მდინარე ძამა, რასაც ემატებოდა ხეობაში, მიუვალ კლდოვან ადგილებში ბუნებრივ გამოქვაბულთა სიმრავლე¹. აბუხალოს ხევში ციცაბოდ აზიდული კირქვისა და ქვიშაქვის მძლავრი ქანები, სადაც ლეონტი მროველის ცნობით: „განხურიტეს კლდე იგი, რომელ ლბილი იყო და ადვილად სახურეტელი“, მთის-ხეობა ფრიალო კალთები ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით დაფარული, და ბუნებრივი წყაროებით მდიდარი სწორედ შერჩეული ადგილები იყო აბუხალოს და თრეხვის სახიზრებისათვის.

სამშენებლო მასალების სიუხვეზე, ხით და ქვით ხურობაზე მიანიშნებს ზღუდერის სამაროვანზე და ძამის ზემო წელზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები. ხეობაში ფართო აღმშენებლობით და სარესტავრაციო სამუშაოებს ხელს უწყობდა ძვირფასი სამშენებლო ქვის საბადოების სიმდიდრე, საკირეთა სიმრავლე და ქვის კარიერის სამტეხლოთა სიუხვე. ვახუშტი ბაგრატიონი მოხიბლული დარჩენილა აბუხალოს ხეობაში ძვირფასი სამშენებლო ქვის კლდოვანი ქანების სიმრავლით, რომლის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს: „კულად გვეძინეთის დასავლით (მდ. ძამას) მოერთვის ხევი აბუხალოსი. აქა არიან ქუაზნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი და კაცთა შეუვალი სიმაგრით ... აბუხალოს დასავლით გარდავალს გზა გუჯარეთს ამ გზის დასავლით და ქოზიფას ზეით არს კლდე ფრიად შუენიერი, ყვითელი და ბრწყინვალე ვითარცა ოქრო“.²

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 354, 375. ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 279.

² ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 345.

ბატონიშვილი გუჯარეთის ხეობის სიახლოვეს შავი ფერის კლდის ქანებით სამშენებლო ნაგებობების მოპირკეთებაზე მიანიშნებს, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობები: „გუჯარეთს ქვეით ... თორის წყალზედ აქათ და იქით, არს კლდე, რომელი აიყრების დიდ-დიდი ფიცარი ფიქალ-ფიქალი შავი, და ბურვენ მით სახლებსა.“¹ თრიალეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე კი მდებარეობდა თეთრი ფერის სამშენებლო კლდოვანი მთა, რომლის თხემური ნაწილი აგებული იყო ცარცული კირქვებით.² მის დამრეც ტუფის კალთაზე, მდ. ტყემლოვანას წყალის (ძამის მარჯვენა შენაკადი) ნაპირზე მდებარეობდა ამავე სახელწოდების ტოპონიმით ცნობილი სოფ. ქვათეთრისი, თავდაცვითი კოშკით, რომელიც ახლა „ქვათეთრად“ იწოდება.

ორთუბანსა და სუქანანთუბანს შორის მდებარეობს ე. წ. წითელმთა. ტოპონიმი აშკარად მიანიშნებს თიხის მნიშვნელოვან სიმდიდრეზე, რამაც კერამიკული წარმოება ხეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საარსებო წყაროდ გადააქცია. კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები უხვად მოიპოვება ნაქალაქარის ტერიტორიაზე. კერამიკული წარმოების კერების განვითარების უწყვეტობა დაკავშირებულია მევენახეობა-მელვინეობასთან, მემინდვრეობა-მესაქონლეობასა და მშენებლობასთან. მტრის ხშირი თავდასხმებისას მებრძოლები მოხერხებულად იყენებდნენ სამცხიდან ძამის ხეობის გზასაყართან მდებარე სათვალთვალო კოშკებს, ხეობის ჩასაკეტად ვიწრო ადგილებს, გაუვალ ტყეებს და მდინარეთა ფონს.

ამრიგად, ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, მოსახლეობა დასახლებულიყო ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში, რაც დადასტურებულია არქეოლოგიური მასალებით.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 59.

² ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986, გვ. 506.

თავი I

მასალები გვიანანტიკურ მძოვრეთზე გამავალი სატრანზიტო- სავაჭრო გზის შესახებ

ქვეყნის ცალკეული მხარის თუ ხეობის ინტენსიური განვითარების უმთავრეს საკითხს სავაჭრო და სამხედრო სტრატეგიული გზების სიახლოვე წარმოადგენს. თრიალეთის მთებიდან გამოსული მდინარეები: ძამა, ტანა, თეძამი, კავთურა და ნიჩბისის წყალი მათი შენაკადებით ქმნიდნენ ხეობებს, რომლითაც შიდა ქართლი ქვემო ქართლს, მისი მოსაზღვრე ქვეყნებით (სომხითი) სამცხე-ჯავახეთს და დასავლეთ საქართველოს უკავშირდებოდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, თორ-გუჯარეთი, თრიალეთი და მანგლისი გზასაყარი ქვეყნები იყვნენ, საიდანაც არაერთი მარშრუტი სწორედ ამ ხეობებით შემოდიოდა შიდა ქართლში.¹ ამ გზების მნიშვნელობა ერთნაირი არ იყო, ზოგჯერ გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის და სავაჭრო-საქარავნო გზის ხასიათს იღებდა. მისი მნიშვნელობაც ამის შესაფერისად იზრდებოდა, ზოგჯერ ადგილობრივი მნიშვნელობის გზად გადაიქცეოდა. ამ გზების ეკონომიკური თუ პოლიტიკური მნიშვნელობა, თავს დატეხილი დიდი საფრთხეების გამო, როგორც აღვნიშნეთ, მართალია სუსტდებოდა ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, თუმცა არასოდეს გამქრალა.

მოკვლეული არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები მიანიშნებენ ამ გზის, როგორც საერთაშორისო სავაჭრო სტრატეგიული მაგისტრალის და გზაგამტარის ფუნქციაზე ჯერ კიდევ ახ. წ. I-III საუკუნეებში. საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის კონტურები ჯერ კიდევ წინაელისტურ ხანაში ისახებოდა. ელინისტური ხანიდან (ძვ. წ. IV-I სს.) ამიერკავკასიაზე

¹ ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 42-43.

გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ინდოეთს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა. ინდოეთიდან შავ ზღვაზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა მდ. მტკვრით გვიანანტიკურ ქალაქ მძოვრეთთან გადიოდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამავალი ადგილობრივი სავაჭრო გზები კი ძლიერი საერთაშორისო არტერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. ნაქალაქარ მძოვრეთის მტკვრისპირა ქალაქებთან აქტიურ სავაჭრო ურთიერთობასა და მდ. მტკვრის სანაოსნოდ გამოყენებაზე მწირი ცნობები ქართულ და აღმოსავლურ პირველწყაროებს შემოუნახავთ. ავთენტური წყაროები მყარი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს გვიანანტიკურ ქალაქებთან მძოვრეთის იდენტურ ურთიერთობაზე. არაბი გეოგრაფი ისთახრი¹ აღწერს X საუკუნის პირველი ნახევრის თბილისს და მდინარე მტკვრით დედაქალაქში ჩამოტანილ დიდძალ სავაჭრო საქონელს. ქართლის ცხოვრების მემატეიანეს აღწერილი აქვს უფლისციხის რეზიდენციასთან ძამელი „აზნაურნი საზუერელნის“ ახლო კავშირი, კერძოდ, უფლისციხის ნავმისადგომიდან კონსტანტინე უფლისწულის აფხაზეთში „უვნებლად“ გადაყვანის ისტორია, რასაც ვრცლად შესაბამის ადგილზე განვიხილავთ. IX-X საუკუნეებით დათარიღებული ატენის სიონის პილიგრიმულ წარწერებში მოხსენიებული იოანე ძამელი და კვირიკე² უნდა მიანიშნებდეს ბავშვობა ქვეყნის მფლობელებთან ახლო ურთიერთობაზე. ამკარაა, ეს გზა ითვლებოდა მარჯვე, უსაფრთხო და უმოკლეს გზად როგორც სატრანსპორტო საშუალებებისთვის, ისე მოლაშქრეთა და მოქარავენეთათვის, რომლებიც კარგად ეგუებოდნენ აღნიშნული გზების მთიანსა და ვიწრო ხეობებს.

¹ ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებით ვ. ფუთურძისა, თბ., 1937, გვ. 4.

² ლაპიდარული წარწერების კორპუსი, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X სს. I, თბ., 1980, გვ. 212.

ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ სარწმუნო ცნობები შემონახული აქვთ სტრაბონს (ძვ. წ. 64-ახ. წ. 24) და პლინიუს სეკუნდუსს (23/24-79 წწ.). სტრაბონის „გეოგრაფია“ ჩვენამდე მოღწეული პირველი თხზულებაა, რომელშიც იბერიის საზღვრებია აღწერილი. ჩრდილოეთით იბერია შემოფარგლული ყოფილა „კავკასიონის მთებით“.

ს. ჯანაშიას და დ. მუსხელიშვილის კვლევით იბერია აკონტროლებდა კავკასიონის ქედის გადაღმა საუღელტეხილო გზებსაც.¹ დასავლეთით ესაზღვრებოდა კოლხეთს, იბერიისა და კოლხეთის საზღვარზე მდებარეობდა „სარაპანისი“ (შორაპანი), აღმოსავლეთით იბერიას ესაზღვრებოდა „ალბანია“ (XI.VII). იდენტიფიცირებულია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ალბანიის მოსაზღვრედ მისდევდა მდ. მტკვარს ყარაიდან თბილისამდე. იბერიის სამხრეთი საზღვრის დიდი ნაწილი ესაზღვრებოდა არმენიას, საიდანაც შემოსასვლელი იყო იბერიაში.

სამხრეთი საზღვრების დასადგენად მნიშვნელოვანია სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობა, რომ არტაქსიამ და ზარიადრემ, ანტიოქე III დიდის ყოფილმა სარდლებმა, ძვ. წ. 189 წელს მაგნესიასთან მისი დამარცხების შემდეგ „ჩამოაჭრეს იბერებს პარიადრეს კალთები, ხორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის გადაღმა მდებარეობდა“ (XI.14.5) და მეზობელი მიწები არმენიას შეუერთეს. სტრაბონის გოგარენე (ქართული გოგარანი) მოიცავდა ქვემო ქართლს დებედას ხეობითურთ.² სტრაბონი ახ.წ. პირველ საუკუნეებზე მიანიშნებს ძვ. წ. II საუკუნეში სომხების მიერ წართმეული ტერიტორიების იბერიის მიერ უკან დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული საზღვარი არმენიასთან გადიოდა მტკვარ-

¹ ს. ჯანაშიას შრომები, II, თბ., 1952, გვ. 251-253; შდრ. დ. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 181.

² დ. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 55.

არაქისა და ჭოროხ-ვეფრატის წყალგამყოფ ქედებზე.¹ ამდენად, მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარე ქართული პროვინციები - თრიალეთი, ჯავახეთი, ერუშეთი, ისევე როგორც არტაანი, რომელიც მტკვრის ორივე ნაპირზე მდებარეობს, ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია.

სტრაბონი აღწერს სავაჭრო გზას, რომელიც მოემართებოდა ინდოეთიდან მდინარე ოქსოსით (თანამედროვე ამურ-დარია) ჰირკანიის (ე. ი. კასპიის) ზღვამდე, ხოლო შემდეგ მდინარე კვიროსით (მტკვარი) და მისი მომდევნო ადგილების გავლით აღწევდა პონტოს, ე.ი. შავი ზღვის სანაპიროებამდე. მდინარე კვიროსის „მომდევნო ადგილებად“ უნდა მივიჩნიოთ მდინარე ფასისი (რიონ-ყვირილა), რომლის შესახებ „გეოგრაფიაში“ აღნიშნულია: „ ფასისზე აღმა ცურვა (ნაოსნობა) შეიძლება სარაპანამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; აქედან ქვეითად (ან ხმელეთით სიარული) 4 დღეში მისვლება მტკვარამდე. ფასისზე მდებარეობს მისი მოსახლე ქალაქი, კოლხთა ემპორიონი, გარსშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით. აქედან ამისოსამდე და სინოპემდე არის 3 ან 2 დღის ზღვით სამგზავრო“ (XI. 2. 17).

„გეოგრაფიის“ ეს ცნობა დამაჯერებლად ავსებს ზემოაღნიშნულ ცნობებს: 1. „ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მდინარე კვიროსის (მტკვარი) შუა დინებიდან სარაპანამდე გადაჰქონდათ სახმელეთო გზით სურამის უღელტეხილით, 2. ქალაქ ფასისიდან შემდეგ ხორციელდებოდა კავშირი ზღვით სხვა ბერძნულ

¹ დ. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 60-61, 146-151; შდრ. ო. ლორთქიფანიძე ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში (ახალი კომენტარები), თბ., 2010, გვ. 72-84. ი. გაგომიძე, ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ. წ. I საუკუნეში, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ- ისტორიული კვლევა, თბ., 2007, № 3, გვ. 20-22.

ცენტრებთან (XI. VII. 3). ამ ცნობის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილი ასკვნის, რომ ინდური საქონელი მდინარე კვიროსის შუა დინებიდან სარაპანამდე (შორაპანამდე) გადაჰქონდათ და ქალაქ ფასისიდან შემდეგ ხორციელდებოდა კავშირი ზღვით ბერძნულ ცენტრებთან: სინოპე, როდოსი, ამისოსი, პერგამონი და სხვ. საგანგებო ყურადღება ეთმობოდა ფაზისიდან შორაპნის გავლით იბერიაში გადასავლელ გზებსა და ხეობებიან მდინარეებს, იბერიის ქალაქებსა და დაბებს.¹

საინტერესო ცნობები აქვს შემონახული I საუკუნის ავტორს პლინიუსს თავის მეექვსე წიგნში (პლინიუს სეკუნდუსი VI, 52). ინდოეთიდან სავაჭრო გზის ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით შავი ზღვისაკენ გამავალი გზის მონაკვეთის შესახებ დაწვრილე - ბითი აღწერილობა პლინიუსთან აიხსნება იმით, რომ ის სარგებლობდა პომპეუსის დავალებით ამიერკავკასიაში შემდგარი ექსპედიციის მასალებით. პლინიუსი იმოწმებს ვარონის ცნობებს. მარკუს ტერენციუს ვარონს (116-27წწ.), როგორც პომპეუსთან საკმაოდ დაახლოებულ პირს, პომპეუსის აღმოსავლეთში ლაშქრობის მონაწილეს, მეტად სარწმუნო ცნობები უნდა ჰქონოდა, რომელზე დაყრდნობითაც გადმოგვცემს პლინიუსი: „ვარონი დასძენს აგრეთვე, რომ პომპეუსის ლაშქრობის დროს ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში. მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. ხოლო ამ მდინარიდან კასპის ზღვით შესაძლებელია მდინარე მტკვრამდე ჩასვლა, და რომ ინდური საქონელი არა უმეტეს ხუთი დღისა სახმელეთო გზით ჩაიტანება პონტოში ფასისთან.“²

ვაქტიურად, სტრაბონი და პლინიუსი აღწერენ იმავე სავაჭრო-სატრანზიტო გზას, თუმცა თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან

¹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, წიგნი XI, III, გვ. 127-129.

² ოთ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში (ახალი კომენტარები), თბ., 2010, გვ. 98.

განსხვავებულ წყაროებს ეყრდნობა. სტრაბონი იმოწმებს პატროკლედან (ძვ. წ. III ს-ის 80-იანი წლები) მომდინარე ინფორმაციას (ერატოსტენეს) გზით, ხოლო პლინიუსი მარკუს ტერენციუს ვარონის ცნობას. ამ საერთაშორისო გზის გააქტიურებაზე მიუთითებს ნუმისმატიკური მასალების გავრცელების არეალი როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.¹ წყაროების გათვალისწინებით ძნელია გავიზიაროთ ზოგიერთი მკვლევარის განსხვავებული მოსაზრება ინდოეთიდან ფასისამდე საქონლის გადატანის მხოლოდ შესაძლებლობაზე.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი გეოგრაფოსის და ასტრონომის კლავდიოს პტოლემეაიოსის (ახ. წ. 90 - 168 წწ.) „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ახ. წ. II საუკუნის 20-60-იანი წლების იბერიის საზღვრების, ქალაქების და სოფლების შესახებ. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ სხვადასხვა დროის ავთენტურ წყაროებზე დაყრდნობით იქმნებოდა ცნობილ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, რომლის ხელმძღვანელი პტოლემეაიოსი იყო. სწორედ ამით აიხსნება მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი. პტოლემეაიოსის მიხედვით, იბერიის დასავლეთის საზღვარი, ე.ი. საზღვარი კოლხეთსა და იბერიას შორის გასდევს ლიხის, ანუ სურამის ქედს. მისი ცნობით, ეს საზღვარი იბერიასა და კოლხეთს შორის მდინარე კიროსს, ანუ მტკვარს მიყვებოდა. საინტერესოა, რომ პტოლემეაიოსიც ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ახ. წ. II საუკუნის იბერიის მიწა-წყალი მდ. ჭოროხის აუზამდე აღწევდა. ამ მთების ძველი ქართული სახელწოდებანი შუა საუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით იდენტიფიცირებული აქვს ივ. ჯავახიშვილს.²

¹ დ. მუსხელიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში (IV-XIII სს.), ცისკარი, 1970, №11, გვ.128-129.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 14-16.

პტოლემეაიოსი „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ მეათე თავში იბერიის მდებარეობის აღწერისას ჩამოთვლის იბერიაში 9 დასახლებულ პუნქტს, ქალაქებსა და სოფლებს: 2. სოფ. ლუბიონი აგინა, უსაიდა, უარიკა, სურა¹ (დღევანდელი სოფ. არადეთი). 3. არტანისა, მესტლეტა (მცხეთა), ძალისა, ჰარმაკტიკა (არმაზციხე). განსხვავებით სტრაბონის ცნობისგან II საუკუნის მეორე ნახევრის იბერიის აღწერისას პირველად არის მოხსენიებული მცხეთა „მესტლეტას“ ფორმით.

საერთაშორისო გზების შესაბამისად იქმნებოდა „მსოფლიო“ თუ „სავაჭრო რუკები“. ერთ-ერთ ასეთ რუკას წარმოადგენს IV საუკუნის მეორე ნახევრის რომაელი გეოგრაფოსის - კასტორიუსის მიერ შედგენილი რუკა,* რომელიც ცნობილია „პევტინგერის ტაბულას“ სახელით. კასტორიუსის რუკაზე აღნიშნულია საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ზოგიერთი სავაჭრო გზა, მათზე მდებარე ქალაქებით თუ დასახლებული პუნქტებით. თავისი რუკის შესადგენად I საუკუნის წყაროებსაც იყენებდა, რომელზე დაყრდნობითაც იბერიის სამეფოს დედაქალაქად რუკაზე მცხეთის ნაცვლად მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე არმაზციხეს წარმოგვიდგენს. იბერიის აღწერისას I საუკუნის გეოგრაფოსი

¹ სოფ. ლუბიონის და სურას შესახებ ახალი კვლევის შედეგები იხ. დისერტაციაში, მ. შშილდამე, იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემეაიოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით, თბ., 2015, გვ. 79-87.

* რუკა აღმოჩენილი იქნა 1501 წელს, რომელიც სიძველეთა მკვლევარ კონრად პევტინგერის ბიბლიოთეკაში მოხვდა. აქედან გახდა ცნობილი მსოფლიოსათვის და კასტორიუსის რუკას ხშირად „პევტინგერის ტაბულას“-*Tabula pevtingeriana* უწოდებენ. მისი მიზანი იყო შეექმნა „საგზაო რუკა“ ვაჭარ-მოგზაურთათვის, სადაც აღნიშნული იქნებოდა იმდროინდელ მსოფლიოში ცნობილი სავაჭრო მნიშვნელობის ქალაქები, თუ დაბები, მათ შორის მანძილის ჩვენებით. ჩვენამდე მოაღწია XII საუკუნის პირმა. გადაწერილ პირში სახელები თანდათან მახინჯდებოდა და დაზუსტებას საჭიროებდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ კასტორიუსს რუკის შესადგენად პირველი საუკუნის დამდეგის წყაროებიც გამოუყენებია, რომლის გათვალისწინებით რუკაზე ქართლის სამეფოს დედაქალაქად წარმოდგენილია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მცხეთის პირდაპირ მდებარე არმაზციხე. ამას მოწმობს სტრაბონი, რომელიც იბერიის აღწერილობისას ახელებს არმაზციხეს და არა მცხეთას.

სტრაბონიც მხოლოდ არმაზციხეს ასახელებს. ამკარად ჩანს, კასტორიუსის რუკა ძირითადად ამიერკავკასიის I-IV საუკუნეების ვითარებას ასახავს. ზემოთ განხილულ პირველწყაროთა მეცნიერული ღირებულება დღემდე მნიშვნელოვანია, რადგან ანტიკურ ავტორთა ნაშრომების სანდოობა და პირველხარისხოვან წყაროთა მნიშვნელობა დასტურდება არქეოლოგიური მასალებით და თანამედროვე კვლევის მეთოდებით.

საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალების მიმართულებების, რომაული და აღმოსავლური სამყაროს კავკასიასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელობის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ნ. ლომოურს დ. მუსხელიშვილს, ი. გაგოშიძეს,¹ ო. ლორთქიფანიძეს, ს. ერემიანს². არტაშატ-არმაზციხის სავაჭრო გზის მონაკვეთის კვლევისას დ. მუსხელიშვილი კასტორიუსის რუკაზე არტაშატ-არმაზციხის „შემოვლითი გზის“ დასაზუსტებლად მონეტათა განძების აღმოჩენის ტოპოგრაფიასაც იმოწმებს და ასე მსჯელობს სავაჭრო მაგისტრალის მიმართულებაზე: „სხვადასხვა დროის მონეტების განძების აღმოჩენათა ტოპოგრაფიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი დიდი ნაწილი მომდინარეობს ისტორიულად ცნობილი მსხვილი სავაჭრო ქალაქებიდან ... ყველაფერი ეს ადასტურებს სხვა წყაროებით ცნობილ იმ ფაქტს, რომ ეს პუნქტები ძველადვე მსხვილ სავაჭრო ცენტრებს, ქალაქებს წარმოადგენდნენ. ეს კი გვაძლევს სრულ საფუძველს იმისათვის, რომ დანარჩენი პუნქტები, საცა კი ვერცხლის ან ოქროს განძებია აღმოჩენილი, რომელთა შესახებ სხვაგნით ცნობები არ გაგვაჩნია სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, გარკვეულ დროს,

¹ I. GAGOSHIDZE, IBERIA AND ROME THE EXCAVATIONS OF THE PALACE AT DEDOPLIS GORA AND THE ROMAN INFLUENCE IN THE CAUCASIAN KINGDOM OF IBERIA, 2008, p. 24-26.

² Еремян С. Т. Торговые пути Закавказья в ереху сасанидов, ВДИ, 1939, N 1. стр. 31.

აგრეთვე მნიშვნელოვან ცენტრებად ვივარაუდოთ“.¹ მართლაც, ამ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის გააქტიურებაზე მიუთითებს ზღუდერზე აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალები, რომლებიც ადასტურებს მძოვრეთის აქტიურ ჩაბმას საგარეო ვაჭრობაში. ნაქალაქარის სამარხეულ ინვენტარში ადგილობრივი ნაწარმის გვერდით შეინიშნება როგორც „აღმოსავლური“, ისე „დასავლური“ ტორევეტიკის, გლიპტიკის, ოქრომჭედლობის ძეგლების მრავალფეროვნება. საერთაშორისო ვაჭრობაში ამ გზის გააქტიურება თავისთავად მიანიშნებს მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეს, სავაჭრო გზების კეთილმოწყობას და უსაფრთხოების დაცვას, დამატებით სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფას ადგილობრივი მოსახლეობისგან და კომფორტულ საქარავნო მომსახურებას.

ჩვენი საკვლევითი თემისთვის მნიშვნელოვანია კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული ერთ-ერთი გზა, რომელიც არმაზციხე-მცხეთიდან დასავლეთით, მტკვრის აყობებით ურბნისისა და მძოვრეთისკენ მოემართებოდა და გადადიოდა დასავლეთ საქართველოში, სადაც ვარციხესთან უერთდებოდა რუკაზე აღნიშნულ მეორე მაგისტრალურ გზას, რომელიც სომხეთის დედაქალაქ არტაშატს სებასტოპოლისთან, ანუ დღევანდელ სოხუმთან აერთებდა. არტაშატიდან გზა მიდიოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, გადიოდა ჯავახეთში (წუნდა), ჩადიოდა სამცხეში (ოძრხე) და შემდეგ ზეკარის უღელტეხილით გადადიოდა დასავლეთ საქართველოში, ვარციხეში. აქედან რიონის მარჯვენა ნაპირით და ნოქალაქევის გავლით აღწევდა სებასტოპოლისამდე (სოხუმი).

მძოვრეთზე, მტკვრის მარჯვენა მხარეზე გამავალი სამხედრო სტრატეგიული და სავაჭრო გზის შესახებ, განსაკუთრებით

¹ დ. მუსხელიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ვაჭრობაში (IV-XIII სს.) ცისკარი, 1970, № 11, გვ.129-132.

საინტერესოა IV ს. „სომხური გეოგრაფიის“ ანუ „ამხარაცუციის“ ცნობები. დავით მუსხელიშვილმა „სომხური გეოგრაფიის“ სხვადასხვა რედაქციების ურთიერთმიმართებით და ქართულ წყაროებთან შედარებითი ანალიზით მოგვცა იმ პროვინციების (კვევების) იდენტიფიკაცია და ლოკალიზება, რომელზეც გადიოდა აღნიშნული გზები და დადებითად შეაფასა სომხური ანონიმი წყაროს მნიშვნელობა: „სომხური გეოგრაფიის“ ცნობები ქართლის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ სავსებით შეესაბამება ქართული წყაროების სათანადო მონაცემებს სწორედ IV ს-თვის.“¹

ვრცელი რედაქციის ნუსხა ქართლში შემავალი პროვინციების ანუ „კვევების“ ჩამოთვლას იწყებს ჭოროხის მდინარიდან ტაოს ჩრდილოეთით და მოჰყვება აღმოსავლეთისაკენ. პატკანოვისეული რედაქციის 30 პროვინციიდან² გამოვყოფთ ჩვენი საკვლევი თემისთვის მეტად საინტერესო 14 ადმინისტრაციულ ერთეულს („კვეს“), რომლებიც ამ გზას უშუალოდ უკავშირდებოდა. მათი თავდაპირველი იდენტიფიკაცია ს. კაკაბაძემ მოგვცა ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხებში.³

დ. მუსხელიშვილის მეცნიერული კვლევით შესაძლებელი გახდა მათი სრულად იდენტიფიკაცია და ლოკალიზაცია, ესენია: 1. კლარჯეთი, 2. შავშეთი, 3. არტაანი, 4. ჯავახეთი, 5. სამცხე, 6. გორგოვათის ხევი - გუჯარეთი, (გოროთისხევი სენ-მარტინისეული რედაქციით), 7. ტორნისხევი - ტანისხევი, (ტუნისხევი, სენ-მარტინისეული რედაქციით), 8. მანგლიაცგორი, (მანგლისისხევი) 9. ბოლნოფორი, (ბოლნისისხევი) 10. პარუარი (თბილისის კანტონი), 11. თარი (თორი), 12. დვანი, დვანისწყალი (ფრონეს) ხევი, 13. ქორდითირიკოსხევი - გვერდისძირი, 14. თრელი

¹ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ.185.

² Армянская география VII века по р. Х. Текст и перевод, издал К. П. Патканов, 1877. ст. р. 17-43.

³ ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, თბ., 1924, № 1, გვ. 43.

(ორიალეთი).¹ ფუძისეული „კოსხ“ სომხური გეოგრაფიის შემოკლებული რედაქციების ნუსხებში ცალკეა წარმოდგენილი. ქართულ წყაროებში უძველეს ქალაქი „კოსხ“ (კასპი) ცალკე ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლება.

მემატიანე ტანისხევი მხოლოდ ატენის ხეობას კი არ გულისხმობს, არამედ თემის და ძამის ხეობასაც, რადგან „ძამისა და ტანას ხეობა თრიალეთის ქედზე ერთი მთიდან, ჯამჯამადან გამოდიან და აქვე გადადის მოკლე გზა ერთი ხეობიდან მეორეში.“ მანგლისხევი და ტანასხევი მომიჯნავე ერთეულია და მკვლევრის დასკვნით, ტანისხევი მთელი შიდა ქართლის გაღმა მხარს მოიცავდა. საინტერესოა, რომ ქართულ წყაროებშიც ხაზგასმულია შიდა და ქვემო ქართლისთვის ხევებად დაყოფა და შემთხვევით არ აღნიშნავდა მკვლევარი, რომ ანონიმ ავტორს გაცილებით უფრო მეტი და სანდო ცნობები ჰქონდა მასზე, ვიდრე ქართლის სამეფოს სხვა მხარეებისათვის.² „სომხური გეოგრაფიის“ ნუსხა ადგილმდებარეობისა და თანამიმდევრობის დაცვით წარმოგვიდგენს ერთ-ერთ იმ დროისათვის ცნობილ, მტკვრის „გაღმა მხარეში“ გამავალ სტრატეგიულ სავაჭრო გზას - სამცხე - თორი - გუჯარეთი - ძამისხევი - გვერდისძირი - ტანისხევი - თემისხევი, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა მანგლისსხევს, თრიალეთს, ბოლნისსხევს; ქართლის ქალაქებს: ტფილისს, სამშვილდეს, მცხეთას. მართალია, სომხურ გეოგრაფიაში ტფილისი დედაქალაქად მოიხსენიება, მაგრამ ეს მხოლოდ გვიანდელი რედაქტორის ინტერპოლაციით აიხსნება.

უსახელო სომხურ გეოგრაფიაში დაცული ცნობების მთავარ წყაროს ანონიმი მემატიანე პაპ ალექსანდრიელს თავად ასახელებს. ალექსანდრიელს კი თავის მხრივ ცნობები აუღია პტოლემეაიოსისგან. სომეხი ანონიმი ავტორი მხოლოდ წყაროს

¹ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ.172-173.

² იქვე, გვ. 192.

გადაწერით არ კმაყოფილდება. აზიის აღწერილობის შემდეგ გადადის დიდი სომხეთის პროვინციების ჩამოთვლაზე. მიზანი გაცხადებული აქვს: „ მინდა უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკო ამ პროვინციებზე, თუმცა მე ამისთვის დამჭირდება რუკებსა და წიგნებში ჩადრმავება“.¹

ს. კაკაბაძის ვარაუდით, ანონიმის მიერ იბერიის აღწერილობა შედგენილი უნდა ყოფილიყო 347-350 წლებში, თან სამომავლო კვლევისთვის მნიშვნელოვან, მრავლისმთქმელ ფრაზას გვთავაზობს, „გეოგრაფიული აღწერილობა სტოვებს ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობილის შთაბეჭდილებასო“.²

ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა, რომ სანდო წყარო, სომეხი ანონიმი ავტორი სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო გზაზე პროვინციებს შორის ძამის ხეობას და „გვერდისძირს“, ქალაქ მძოვრეთის ერთ-ერთ გარეუბანს მოიხსენიებს. ამით მემატთანე ფაქტიურად მიანიშნებს შიდა ქართლში შემავალ ამ გზაზე მდებარე ქალაქების: ტფილისის, სამშვილდეს და მცხეთის გვერდით, მძოვრეთს (გარეუბან „გვერდისძირს“). რით აიხსნება მემატთანის ყურადღება გვერდისძირისადმი, რატომ შეიძლებოდა მოქცეულიყო განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში? ამ საკითხზე წიგნის შესაბამის თავში ვიმსჯელებთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გვერდისძირი მდ. ძამას ზემო წელზე 5-6 მიმართულებით გამტარი გზების სიმრავლით გამორჩეული ადგილი იყო და წყაროებით უდავოდ დასტურდება, რომ ახ. წ. IV საუკუნისთვის მძოვრეთზე გამავალ სავაჭრო მაგისტრალს თავისი ფუნქცია კვლავაც არ ჰქონდა დაკარგული. ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ამ მაგისტრალის მნიშვნელობის საკითხს.

¹ Армянская география VII века по р. X. Текст и перевод, издал К. П. Патканов, 1877. стр. 43.

² ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, 1924, № 1, გვ. 49-50.

შდრ. Армянская география VII века, 1877. ст р. 43.

ამ სავაჭრო-სატრანზიტო გზით ქართლის ქალაქებთან, მათ შორის მცხეთასთან სავაჭრო ურთიერთობების შესახებ მიაწინებებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის მიხედვით ჩანს, რომ მცხეთაში რელიგიური დღესასწაულების დროს იმართებოდა დიდი ბაზრობა. მას შემდეგ, რაც წმინდა ნინო ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან შეხვდა მწყემსებს, იგი მიდის მცხეთისაკენ მტკვრის ხეობით: „და იყო დინებაჲ (მტკვარი მ.მ.) დასავლით კერძო და მიუდევ გზასა ძნელსა და ფიცხელსა, და ვიხილენ დიდნი ჭირნი გზათაგან და შიშნი მკვეცთაგან ვიდრემდე მოვიწიე აჟა ვინაჲ იგი წყალმან აღმოსავლით იწყო დინებად.“ ე.ი. აქედან მტკვარმა აღმოსავლეთით (სამცხეში, ახალციხის მახლობლად) შემოუხვია. აქედან წმინდა ნინო მტკვრის გაყოლებით ურბნისში მიდის. „მიერთგან იყო ლხინება ჩემი და ვპოვენ მოგზაურნი და მოვიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა... და ვიყავ მუნ ერთ თთუე და განვიციდიდ ძალსა ამის ქუეყანისასა ... დღესა ერთსა აღიძრნეს, ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმრთისა მათისა. ხოლო მე წარვჰყევ მათ თანა და მივიწიენით ქალაქად მცხეთად“¹.

ქართლის ძველი დედაქალაქი გაშლილი იყო ვრცელ ტერიტორიაზე „შესაკრებელსა შორის მტკვრისა და არაგვსასა.“² „არმაზით კერძი ქალაქი“ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო და „მუხნარით კერძი ქალაქი“ - მარცხენაზე.

ქელიშურ ხელნაწერში კი ვკითხულობთ: „მივიწიენით მცხეთად ქალაქად წიად კერძო მოგვთასა. ჯიდსა ზედა დავ-დეგით.“ მცხეთას დასავლეთიდან გაღმა მხრიდან („წიაღკერძო“)

¹ http://www.amsi.ge/istoria/qm/qatlis_moqceva.pdf

² ქართლის ცხოვრება, IV, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1955, გვ. 9.

ე. ი. მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მისდგომიან ურბნისიდან წამოსულები. მოგუთა უბნის მცხეთის დასავლეთ ნაწილში მდებარეობაზე მიუთითებს შატბერდისეულ ხელნაწერში დაცული ცნობა: „სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავლისა იყო კარსა მოგუეთისასა მტკუარსა ზედა.“ ცხადია, პირველწყაროები ნათლად მიანიშნებენ, რომ ეს გზა მცხეთას მტკვრის მარჯვენა ნაპირით უკავშირდებოდა.

ამრიგად, „ნინოს ცხოვრების“ ზემოაღნიშნული ცნობის თანახმად, მტკვრის მარჯვენა სავაჭრო-საქარავნო გზა ახ. წ. IV საუკუნეში კვლავ კეთილმოწყობილი, უსაფრთხოა და ამ გზით მცხეთასთან გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაში ურბნე - ლებთან ერთად, ბუნებრივია, აქტიურად ჩართული იქნებოდა ქალაქ მძოვრეთის მოსახლეობაც. ურბნისში შემორჩენილი ძველი ხიდის ბურჯის ნანგრევებიც ადასტურებს, რომ ამ გზას არასდროს დაუკარგავს მნიშვნელობა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქალაქები მჭიდროდ უკავშირდებოდა მარჯვენა მხარის მაგისტრალს. ისევე როგორც მტკვრის „გაღმა მჯარი“ - დედაქალაქს და მასთან დაკავშირებულ პროვინციებს (ვეობებს), ისე მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქალაქებს, რასაც „ძუელითგან ხელმწიფეთაგან“ გარიგების წიგნიც მიანიშნებდა.

ი. კლაპროტის 1814 წლის და 1823 წლებში გამოცემულ რუკებზეც გზები მიემართებოდა მტკვრის როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა სანაპიროზე. მტკვრის ორივე სანაპიროზე არსებული გზის გავლა მოუხდა XVII საუკუნის ცნობილ ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს.¹

ვფიქრობთ, ეს მოხერხებული გზა ჰქონდა მხედველობაში VI საუკუნის ამბების თხრობისას ჯუანშერს, როცა წერდა: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 275-278.

ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა.“¹

ამ უმოკლესი გზით შემოდის ქართლში IX ს. არგვეთელი მთავარი ლიპარიტ ბაღვაში. თორ-გუჯარეთი-ძამის გზით შემოყვანილი არგვეთელი მოლაშქრეებით „შეიპყრნა ქვეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატიის ძე“. მაშინ როცა ქვეყანა თრიალეთი დაპყრობილი ჰქონდა გუარამ აშოტისძეს ბაგრატიონს. აღნიშნულ სტრატეგიულ გზას ხშირად იყენებდნენ ბაღვაშები თავიანთი პოლიტიკური ინტერესებისათვის.

ძამის ხეობის „ზემო ქვეყანასთან“ გზაგამტარობაზე მიანიშნებს XI საუკუნის ამბების გადმოცემისას „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი. ლიპარიტ ბაღვაშს ჯერ ქართლში ჩამოჰყავს ტახტის პრეტენდენტი და შემდეგ ძამის ხეობით ატენს გადაჰყავს: „გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატიისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს“.²

ამ მოხერხებული გზით შემოიჭრა შიდა ქართლში ლალა ფაშას ბრძანებით სამცხის ათაბაგი მანუჩარი. „მესხური მატიანის“ და პარიზის ქრონიკის ცნობით, 1578 წელს მუსტაფა ლალა ფაშამ ტყვეობაში მყოფ მანუჩარ ათაბაგს გათავისუფლების სანაცლოდ ქართლის დარბევა დაავალა. თავდაპირველად „ქართლს ვერ ჩაუვიდეს, სადგერს დადგეს და ამოსწყყიდეს სადგერი, წმიდის გიორგის განძი წაჭდა.

მეორედ კიდევ სანჯახები გამოეგზავნა. შეიყარა პატრონი მანუ-

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გვ. 217;

² ქართლის ცხოვრება, IV, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 302;

ჩარ, ჩაუქდა და ზემო ქართლი დაერბია.“¹ სამცხის გზით შიდა ქართლში შემოჭრის ცნობები დაცულია სხვადასხვა პერიოდის ოსმალურ წყაროებში, საიდანაც კარგად ჩანს, რომ გზა კიდევ უფრო გააქტიურებულია „ოსმალობის“ ხანაში.

აღნიშნული გზით გადმოჰყავდათ ფანასკერტელ-ციციშვილებს ყმები სამცხე-საათაბაგოდან XVIII საუკუნის ძამის ხეობის დაცარიელებულ სოფლებში. ქალაქის მოურავი, სარდალი ციციშვილი დავით 1776 წლის საბუთში ავალიშვილ პეტრეს უჩიოდა ჯავახეთის სოფლიდან გადმოყვანილი ყმების უკანონოდ მითვისების თაობაზე: „ჩემი აზნაურიშვილი მეღვინეთხუციშვილი ფირან ოთხმოცამდის ჩემის კაცით პეტრე ავალიშვილთან იყო, ჯავახეთიდან ერთი სოფელი აჰყარესო, სულ პეტრე ავალიშვილმა დაისახლაო და რომელიც ჩემი ყმანი იყვნენ ჩილინგდრის შვილებიო ოთხი კომლი კაცი, არც ესენი დამანებაო ... ფირან სამართალში მოვიდა და ასე ამბობდა: ხეობაში მე რომ ჯარით აველ ... იმ სოფლიდან კაცები ამოვიდნენო ... ჯარით რომ გვნახეს ... უფრო ამ მიზეზით აიყარნენო. ჩვენ სხვა სოფლის დასაკრავათ გაგვგზავნა და თითონ იმათ წამოუძღვაო. უკან მდევარი გამოზდგომოდათ ... ის მდევარიც ჩვენის მიზეზით მოიშალაო.“²

ძამის ხეობაში შემოსასვლელად ასევე აქტიურად იყენებდნენ მოქმედ გზას: ყარაბულახიდან თრიალეთს, საპონაურის გავლით, თორის მთის გადაკვეთით გუჯარეთში, აქედან თოთხამზე, აბუხალოს გავლით, გვემინეთიდან - მძოვრეთში. ორმეფობისას, 1695 წელს ერეკლე I-ის (1688-1703 წწ.) და ქალბაღისან ზიად ოღლი ყაჯარის ბრძანებით ქაიხოსრო ლოპინამ (ციციშვილმა-

¹ ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 51; ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ. 54.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.) ნ.ბერმენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ., 99, დოკ.№ 154.

მ.მ.) სპითა: „ გარდმოვლო მთა თორისა, გუჯარეთსა ზედა და დადგა გვეძინეთს. ამისმან მცნობელმან მეფემან გიორგი წარავლინა ფარსადან ციციშვილი და ზურაბ ერისთვისშვილი. არამედ ამათ ვერარად ავნეს ქაიხოსროს და დაიპყრო საციციანო მან.“¹

ქალაქ მძოვრეთზე გამავალ გზებზე და იქ აღებულ ბაჟზე დაუცავს ცნობა 1662 წლის საბუთს. მეფე ვახტანგ V-ის „გარიგება“, რომელიც „ძუელითგან ხელმწიფეთაგან“ გარიგების განახლებას წარმოადგენს, პირდაპირ ასახელებს „რაც ქალაქიდამე, გინა სომხით საბარათიანოდამე და ან კახეთიდამე, ქართლით გაღმა-გამოღმა მგზავრმან შეიაროს და ანუ მზოვრეთსა და მას ქუეშეთ თრიალეთიდამე ჩამოიაროს, რაც გორის მეზაჟემ ბაჟი აიღოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის მეზაჟეს ნუ დააკლებს ... ვინც ან სამცხიდამე და იმერეთიდამე მგზავრი ჩამოვიდეს და გორს მოვიდეს და გორს ივაჭროს, იქიდამე გაბრუნდეს, იმასთან კათალიკოზის მეზაჟეს კელი არა აქუს ... რომელმანც მგზავრმა თრიალეთიდამე მზოვრეთსა ზედა და ან ქუეშეთ ჩამოიაროს, იმისიც ბაჟის მესამედი კათალიკოზისა არის“.² აღნიშნული მეფის გარიგების წიგნი ითვალისწინებს მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო გზებს გამავალს არა მარტო ზოვრეთზე, არამედ მის „ქუეშეთ“ და „ზედათაც.“ თრიალეთიდან შიდა ქართლისაკენ მიმავალი გზებიდან ჯამგჯამის მთიდან ერთი ასეთი გზა ძამის ხეობაში ჩადიოდა, რომელსაც მძოვრეთზე უნდა გაევიღო. ნ. ბერძენიშვილი ზოვრეთის „ზედათ“ გულისხმობს „გვეძინეთ-ციხისგვერდიდან და სხლებიდან (ძამა) გარდამავალ გზებს ხცისა და კრისისხევს, ხოლო გამონათქვამში „მზოვრეთს ქუეშეთ“

¹ ქართლის ცხოვრება, IV, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 473.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 224-225.

დოკუმენტშივეა განმარტებული გამავალი სავაჭრო გზა „რაც მგზავრმან ... მხოვრეთსა და მას ქუეშეთ თრიალეთიდამე ჩამოიაროს, რაც გორის მეზაჟემ ბაჟი აილოს, მესამედს ბატონის კათალიკოზის მეზაჟეს ნუ დააკლებს“, იგულისხმება თრიალეთიდან ვერის ციხეზე გამოვლით იმერხევის ხეობის სათავიდან შემოსული გზები ზღუდერის, ხვედურეთის ან სკრის მიმართულებით.¹ ბაჟის აღების აღნიშნული წესი „საციციანოში - გაღმა მკარეს, თუ გამოღმა“ უცვლელად შემონახულია ვახტანგ მეექვსის მცხეთის ეკლესიისადმი ბოძებულ სიგელშიც.²

რაც შეეხება მასალებს ქალაქ მძოვრეთის შესახებ, ცნობილ მეცნიერთა შრომებში მეტად მწირია და ზოგადი. შ. მესხია ფეოდალურ ქალაქებს შორის ასახელებს ზოვრეთს და მიაჩნია ბევრად ადრეული პერიოდის ქალაქად. გვიანფეოდალური ხანის ქალაქების და საქალაქო ცხოვრების კვლევისას ზოვრეთს მხოლოდ საციციანოს „მცირე“ სათავადო ქალაქად მოიხსენიებს.³

აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი I-III საუკუნეების დიდ საქალაქო და ადმინისტრაციულ ცენტრებში (მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, ბორი, კლდეეთი) ზღუდერსაც ასახელებს,⁴ თუმცა ზღუდერის შესახებ დამატებით ცნობებს არ გვაწვდის.


ცნობილ მეცნიერთა გამოთქმულ ზემოაღნიშნულ საინტერესო მოსაზრებათა მიუხედავად, თითქმის შეუსწავლელია უძველესი ქალაქის - მძოვრეთის დაარსების ისტორია, დღემდე არ არსებობს არც ერთი მონოგრაფიული გამოკვლევა, არ ჩატარებულა ნაქალაქარის შესწავლის მიზნით დაზვერვითი საველე ექსპედიცი-

¹ ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 45-46.

² Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею т. II, Тф., 1868, с. 1130-1131.

³ Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 39.

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, ტ. I, თბ., 1970, გვ. 537.



მამის ხეობა

ები, რომ აღარაფერი ვთქვათ არქეოლოგიურ გათხრებზე.

ნაშრომში შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების¹ შესწავლით და კრიტიკულ-ანალიტიკური კვლევით წარმოგვედგინა გვიანანტიკური ქალაქის - მძოვრეთის დაარსების და მისი რეკონსტრუქციის ისტორია. ამასთან, მრავალ ფაქტორთა შორის, რომელიც ხეობაში ურბანული სისტემის და ქალაქის წარმოქმნას განაპირობებდა, გამოვყავით უმთავრესი: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები, საერთაშორისო სტრატეგიულ სავაჭრო-სატრანზიტო გზასთან სიახლოვე და ამ მთავარ არტერიასთან ორგანულად დაკავშირებულ ძამის ხეობით ქართლში შემომავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ადგილობრივი გზები, ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნება, სავაჭრო ურთიერთობა ანტიკურ ქალაქებთან, დედოფლის მინდორთან - სამეფოს დროებით საზაფხულო რეზიდენციასთან სიახლოვე და დამპყრობელთა ხშირი თავდასხმების საშიშროება.

¹ ზღუდერის არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყაროა მძოვრეთის ქალაქის დაარსების, პალეოეკონომიკური საკითხების შესწავლისათვის, ნუმიზმატიკური და გლიპტიკური - პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური ისტორიისათვის, რომელიც ავსებს მწირ წერილობით წყაროთა მონაცემებს. ეთნოლოგიური, ტორეტიკული და ლინგვისტური მასალა - საქალაქო ყოფა-ცხოვრების, წარმართული პანთეონის და კულტურულ-რელიგიური მსოფლმხედველობის რეკონსტრუქციისთვის.

თავი II

გვიანანტიკური ქალაქი მძოვრეთი

1. ქალაქის დაარსების ისტორია

ქალაქის დაარსების შესახებ საინტერესოა პლატონ იოსელიანის ცნობა.¹ მისი ცნობით, ძამაზე ქალაქი მძოვრეთი 113 წელს ააშენა მეფე მირდატმა და VIII ს. მურვან აბდულ-ყასიმის ძემ ააოხრაო.² მართალია, ავტორი წყაროს არ ასახელებს, მაგრამ მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ხელთ ჰქონდა ავთენტური პირველწყარო, რომელმაც სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა კი მეცნიერულად დაადასტურა გვიანანტიკური ქალაქის - მძოვრეთის არსებობა ახ.წ. II-III საუკუნეებში და გამოავლინა საქალაქო ცხოვრების მაღალი დონე.

ამ პერიოდის ისტორიული რეალობა ნამდვილად ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა, რომთან მეგობრობისა და მოკავშირეობის გარეგნულ საფარქვეშ ფაქტიურად დამოუკიდებელი აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა. იბერიის სამეფომ მოქნილი პოლიტიკით, რომსა და პართიას შორის ლავირებით შეძლო საზღვრების გაფართოება. იბერთა მეფის რომში სტუმრობა და რომაელთა მხრიდან ღირსეული დახვედრის³ უჩვეულო პატივი, მართლაც იშვიათია რომის ისტორიაში. იბერიული იდენტობა წყაროებში საინტერესოაა წარმოჩენილი, რათა ბერძნულ-რომაული სამყაროსთვის მოკავშირე ქვეყანა დიდად პატივსაცემი ყოფილიყო და იმავდროულად მათი პოლიტიკური მეგობრობა ფართო

¹ Платон Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии, Тб., 1850, стр. 52-53.

² ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ. 9.

³ В. Latyshev, SC. I. ВДИ, N. 1948, № 2, გვ. 268-277; ნ. ლომოური, დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966, გვ. 67.

მასშტაბით წარმოჩენილიყო.¹ წარმატებული დიპლომატიური კონტაქტები ორივე მხარისთვის მომგებიანი იყო საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად.

რომის იმპერიასთან სტრატეგიულ მოკავშირეობას, მეგობრობას და ერთგულებას „დასავლური“ ორიენტაციისადმი, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და წარმოების სწრაფი ტემპით განვითარება მოჰყვა. ამ რეალობას ადასტურებს არქეოლოგიური მასალა და ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროები.²

ყოველ ქალაქს თავისი დაარსების საინტერესო ისტორია აქვს. მძოვრეთის დაარსების ისტორიაც სწორედ ზემოაღწერილ ხელსაყრელ ისტორიულ რეალობას უკავშირდება. იბერიის პოლიტიკური სიძლიერის პერიოდში გვიანანტიკური მძოვრეთის ქალაქად დაწინაურების (ახ. წ. II-III სს.) ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია:

1. გვიანანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ გამავალ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზასთან მძოვრეთის სიახლოვესა და საერთაშორისო გზის გააქტიურებაზე მიუთითებს ზემოაღნიშნული წერილობითი წყაროები და ნუმისმატიკური მასალების გავრცელების არეალი. საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, პოლიტიკურ-ეკონომიკური და ეთნოკულტურული კავშირები აღმოსავლეთსა და ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან, თავის მხრივ, ითხოვდა საგზაო მაგისტრალეებზე საქალაქო მშენებლობას და შესაბამისი დონის ინფრასტრუქტურის დაარსებას და დაცვას. რომის იმპერიისთვის მნიშვნელოვან მაგისტრალზე ახალი შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ქალაქების დაარსება, იბერიასთან ამ

¹ თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 236-237. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით გამოსცა, ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ. 55.

² თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 234-235.

კავშირების და პოლიტიკური არეალის გაფართოება-გამლიერების ხელშეწყობა იქნებოდა. საერთაორისო სავაჭრო გზის ფუნქციონირებას ემთხვევა მის სიახლოვეს იმდროინდელი ახალი ქალაქების წარმოშობა. სწორედ ამ უკანასკნელმა განსაზღვრა კიდევ ქალაქების ტერიტორიული მდებარეობა.

2. იბერიის ქალაქები შესამჩნევ მსგავსებას იჩენდა სინქრონული ხანის აღმოსავლეთის, განსაკუთრებით, ელინისტური ხანის ქალაქებთან. საქალაქო ცხოვრების აღმავლობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მძოვრეთის ადმინისტრაციული პუნქტის ქალაქად გადაქცევის და მისი ეკონომიკური დაწინაურების თვალსაზრისით. ამ ქალაქების შესახებ ცნობები დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში: „ალექსანდრე მეფემან ... იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრკე, და ციხენი მათნი: ციხჭ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრაკისაჲ“¹ აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების თანხვედრას ქართულ ცივილიზაციასთან მიანიშნებს ამ ქალაქებში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მრავალფეროვანი უცხოური ნაწარმის მოზღვაება. კეთილისმყოფელი გავლენით იმდენად იხვეწებოდა ეროვნულ ფესვებს ნაზიარები ქართული ტრადიციები, რომ ხშირად უჭირთ მეცნიერებს მისი ადგილობრივი თუ უცხოური წარმომავლობის გარკვევა, რადგან ხშირად იბერიის ელიტური ფენა და მათ შორის მძოვრეთი რომაული სამყაროსგან იღებდა უცხოურ ნაწარმს, საწარმოო სიახლეებს და ტრადიციებს, რითაც ხაზს უსვამდნენ მათ პრივილეგიურობასა და სიმდიდრეს.

¹ http://www.amsi.ge/istoria/qm/qartlis_moqceva.pdf

3. მდ. მტკვრის მიმართულებით ცენტრალური ამიერკავკასიის მთავარ სავაჭრო საქარავნო გზას უერთდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მტკვრის „გალმა მხარი“ ითვლებოდა მარჯვე, უსაფრთხო და უმოკლეს გზად როგორც სატრანსპორტო საშუალებებისთვის, ისე მოლაშქრეთათვის. ისინი კარგად ეგუებოდნენ აღნიშნული გზების მთიანსა და ვიწრო ხეობებს. პარალელურად, მტკვრის-პირა საქარავნო გზასაც არასოდეს დაუკარგავს სტრატეგიული მნიშვნელობა.

4. ზემოაღნიშნული ფაქტორები საკმაოდ ხელსაყრელი იყო იმისათვის, რომ აქ გვიანბრინჯაო-ადრერკინის დროიდან მოსახლეობა დამკვიდრებულიყო და შემდგომ ქალაქად გადაქცეულიყო, რომლის შესახებ სათანადო ადგილზე დაწვრილებით ვიმსჯელებთ.

ქალაქისთვის ზღუდის აუცილებლობაზე მიანიშნებს მეფე ფარნავაზის გადაწყვეტილება „მოქმნა ზღუდე წყლით ... ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ. მის აუცილებლობაზე მიანიშნებს მოქცევაძ ქართლისად: „და მეფობდა არსოკ, ქალაქსა ზღუდენი მოაქმნა.“¹ მძოვრეთის რეალური საქალაქო ცხოვრების შესაბამისი თავდაცვითი ნაგებობების ატრიბუტზე მიუთითებს გვიანანტიკური ხანის ზღუდე-გალავნის ნაშთი. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ იმ პერიოდში შეუძლებელია მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრის, ქალაქის გარდა, აშენებულიყო მტკიცე ზღუდე-გალავანი ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში. მძოვრეთისათვის ზღუდის გარსშემოვლება, ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრი იყო, მეორე მხრივ, ზღუდის საჭიროება

¹ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 25.

მოსალოდნელი საფრთხის, ან მტრის თავდასხმის საშიშროება უნდა ყოფილიყო, რაც ბუნებრივია მუდამ ემუქრებოდა მნიშვნელოვან, სტრატეგიული მდებარეობის უძველეს ქალაქსა, თუ ციხეს. ტოპონიმი „ზღუდერი“ („ზღუდე“), ქალაქის აღსანიშნავად იხმარებოდა. წერილობით წყაროებში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ჰაგიოგრაფიული თხზულებანი) მას ძირითადად „ციხე-ქალაქად“ მოიხსენიებს.

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ოდნავ კარგად მოწყობილი ქალაქი უეჭველად მოზღუდული უნდა ყოფილიყო ე. ი. გალავანი უნდა ჰქონოდა შემოვლებული, რაკი გალავანი ჰქონდა, მას კარებიც უნდა ჰქონოდა, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დიდი იყო ქალაქი და იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამიმოსვლო გზები იყო ამ ქალაქის არსებობისათვის საჭირო.¹ ძამის ხეობაში მძოვრეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ქალაქს ორი კარი უნდა ჰქონოდა: პირველი ზოვრეთის „ქუეშეთ“ იმერხევის ხეობის სათავიდან შემოსულ გზასთან, ზღუდერთან და მეორე ზოვრეთის „ზედათ“ „გვეძინეთ-ციხისგვერდიდან“ შემომავალ გზასთან, რაზეც მიანიშნებს 1662 წლის განახლებული მეფის გარიგების წიგნი.

ამრიგად, საგარეო პოლიტიკურმა წარმატებებმა, ინდოეთიდან შავ ზღვაზე გამავალ სავაჭრო - სატრანზიტო გზასთან მდებარეობამ, იმპერიის საზღვრისპირა პროვინციებთან და კოლხურ ცივილიზაციასთან სიახლოვემ, ეთნო-კულტურულმა და სავაჭრო-ეკონომიკურმა კავშირებმა ასახვა ჰპოვა არა მარტო ქართლის სამეფოს გაძლიერებაზე, არამედ მძოვრეთის ქალაქად გადაქცევაზე, მის დაწინაურებასა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობაზე, რაც დაადასტურა ზღუდერის 1964-1966 წლების არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშებმა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 37-38.

2. ნაქალაქარ „ზოვრეთის“ სახელწოდების ეტიმოლოგიის საკითხისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში „ზოვრეთის“ ეტიმოლოგიის და ადგილმდებარეობის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებანია გამოთქმული. საკვლევი თემისთვის მეტად საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება: „ზოვრეთი ძველი ქალაქი ჩანს და არა გვაქვს საფუძველი მდინარე ძამის ხეობით მომავალ გზაზედ გამართული ეს მძოვრეთის საბაჟო აქ ნაგვიანებად გადმოტანილად ვივარაუდოთ.“ „საზურე“ ამ ხეობაში X საუკუნეზე გაცილებით წინა დროის წარმონაქმნად მიაჩნდა, რადგან X საუკუნეში ტერმინი „ზურე“ დიდი ხანია უკვე „ბაჟით“ იყო შეცვლილი. რაც შეეხება ტოპონიმ ზოვრეთს, ნ. ბერძენიშვილი მის წარმომავლობას ვარაუდობდა ზურეიდან, რაც ბაჟს ნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „საბაჟო“, ბაჟთ ადგილია, ტვირთის ხარკია.

ქართული ოთხთავის სიმფონია - ლექსიკონში „ზურე“ ბაჟის, ხარკის, გადასახადის მნიშვნელობით მოიხსენიება, „ მეუფეთა ქუეყანისათა, რომელთა გამოილიან ხარკი, ანუ ზურეი ... მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა, ანუ ზურესა მათსა.“ [მ.17.25.C]¹ „საზურე“ საბაჟე ადგილი ჩანს ამონარდში: „იხილა კაცი რომელი ჯდა საზურესა ზედა, მათეოს სახელი მისი.“ [მ. 9.9] „იხილა მეზურეზ, სახელით ლევი, მჯდომარზ საზურესა ზედა ...“ [ლ. 5.27]² მათეს სახარებიდან „მრავალნი მეზურეელნი და ცოდვილნი თანა-სხდეს ინაჯით სახლსა შინა იესუს თანა“. [მ. 9.10]³ ამ ამონარიდიდან შესაძლოა მხოლოდ მეზურენი არ იგულისხმე-

¹ ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, რედაქტორი ა. შანიძე, თბ., 1948, გვ. 212.

² იქვე, გვ. 505.

³ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 284.

ბოდეს. რადგან ლუკას სახარების [15.1.] ძველ რედაქციაში ვკითხულობთ: „და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობლად მისა და ისმენდეს მისსა“. ახალ აღთქმაში ჩანს „მეზუერეს“ შენაცვლება მეზაჟით: „მის გვერდით იყო ყველა მეზაჟე და ცოდვილი და უსმენდა მას.“¹

X საუკუნეში სრულიად მივიწყებული ტერმინის „მეზუერეს“ და ზაჟის მოხელეთა შორის განსხვავებული მნიშვნელობა მოჩანს არა მარტო ფსალმუნის ამონარიდიდან: „უზორვიდეს იგინი ეშმაკთა და არა შეწირვიდეს ღმრთისა“ (ფს.217), არამედ ქართლის ცხოვრებიდან წმინდა ანდრია მოციქულის აწყვერში მოსვლისას „... აქვე დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ - გორა ... იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა.“²

აღნიშნული ცნობა მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენი საკვლევი საკითხისათვის. მან გაგვიჩინა ლოგიკური კითხვა - ხომ არ იყო საძიებელი მისი ფესვები წარმართობაში.

ამ მხრივ მართლაც საინტერესო აღმოჩნდა ნ. ბერძენიშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრების არგუმენტი: „იოანე ბოლნელის ქადაგებიდან კარგად ჩანს, რომ მრევლს აღარ ესმის უძველესი ტერმინები და იძულებული გამხდარა ოთხთავიდან მოყვანილი ადგილები მეზუერე და საზუერე განუმარტოს: „მეზოკერწ იგი არს მეზაჟე, ხოლო საზოკერწ იგი არს ადგილი, სადა იგი ზაჟსა ოვყოფედ“ [იყოფენ - მ. მ].³

¹ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979 გვ. 501.

<http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/akhali/luka/luka-15.htm>

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 39.

³ იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, X საუკუნის ხელნაწერებიდან, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა № 14, ტფ., 1911, გვ. 9.

შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ., 1964, გვ. 192-193;

X საუკუნეში სრულიად მივიწყებული ტერმინების შენაცვლება როდის და რა ნიადაგზე მოხდა, იყო თუ არა რაიმე განსხვავება X საუკუნემდე „ზურესა“ და „ბაჟს“ შორის, მკვლევარი მეტად საინტერესო და სამომავლო დაკვირვების საკითხად თვლიდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიკოსთა შემდგომი კვლევა ამაზე შორს აღარ წასულა და საკითხით აღარავინ დაინტერესებულა.

ქადაგებიდან ამონარიდი მიგვანიშნებს მძოვრეთის საზურე ადგილის წარმომავლობას და გავრცელებას წარმართობიდან. სწორედ ამ განმარტებას მოჰყვა ლოგიკური კითხვები:

1. თუ ამ ტერმინების თავდაპირველი, უძველესი მნიშვნელობა არ შეცვლილა და უცვლელად მოაღწია X საუკუნემდე, მაშინ რატომ დაივიწყებდა მრევლი საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ მათთვის „ძირძველ“ ტერმინებს?

2. რა საჭიროებამ მოიტანა მრევლისთვის ამგვარი განმარტების აუცილებლობა და ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას რატომ ანიჭებდა მრევლისთვის მის ცოდნას? ამ კითხვების პასუხებზე ერთგვარ მინიშნებას იძლევა თავად იოანე ბოლნელის ქადაგებიდან ცალკე თავად გამოყოფილი საკითხავი, რაც, თავის მხრივ, არ უნდა იყოს შემთხვევითი: „სხ~რბაჲ ლ~კას (ლუკას) თავისაჲ ფარისევლისა მისთჳს და მეზოჯერისა: ხ` მწ~ხრსა ჟამსა თქჳმ~ლი იოვ~ნწ ბოლნელ ეჰსკ`ჰსისაჲ ფარისევლისა* მისთჳს და მეზოჯერისა და საკითხავი ესე.“¹ ქადაგების ამ საკითხავში ვკითხულობთ საინტერესო ფრაზას, „და გეტყჳ თქ~ნ საყოჯარელნო იხილეთლა რავდენსა მადლსა მიემთხჳ მეზოჯერწ იგი (და)

*ფარისველი, ძველ ებრაელთა რელიგიური სექტა, რომლის მიმდევრებიც გარეგნულად, ფორმალურად ასრულებდნენ საეკლესიო წესებს, სინამდვილეში კი სრულიად საწინააღმდეგოს სჩადიოდნენ. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, იმნაიშვილი, რედაქტორი ა. შანიძე, თბ., 1948, გვ. 596.

¹ იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის, ქადაგებანი (მე-X საუკუნის ხელნაწერებიდან), საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, № 14, ტფ., 1911, გვ. 47.

რავდენსა მოტყეებასა ცოდვათასა გარდამოვიდოდა იგი მიერ ტაძრით განმართლებოვლი დიდითა მით სიმდაბლითა თვსითა დადადებდა და იტყოდა კეთილ არს ჩემდა ო~ო რ~ დამამდაბლე მე რ~ ა ვისწავლნე მე სიმართლები შენნი ... შევიყოვარნეთ საქმენი იგი და სიტყოვანი მეზოვერისანი და მისთანა ვილოცვიდეთ.“¹ საკითხავი განკუთვნილი „ფარისევლისა მისთვს და მეზუერისა“ რა თქმა უნდა სცილდება ქრისტიანობაზე მოქცეულ მხოლოდ ე. წ. ბაჟის მოხელეებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას. აშკარად ჩანს ადგილობრივი წარმართობის დროინდელი წმინდა საკულტო ადგილთა თაყვანისცემა, კრძალვა და ხსოვნა გაქრისტიანებულ „მეზოვერწთ“ კვლავაც შემორჩენიათ, „მსგავსად ფარისევლთა“.

ქადაგებიდან სათანადო პასაჟი სხვაგვარი გაგების შესაძლებლობასაც იძლევა. აშკარად ისმის ყრუ გამოძახილი, რომ ქრისტიანობას ადვილად არ გაუკვლავს გზა, რომ ეს იყო რთული, ხანგრძლივი და მრავალსაუკუნოვანი პროცესი. ამის დასტურად ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ჯერ კიდევ ჰერაკლე კეისარს ქართლში (628 წ.) დიდი სისასტიკე გამოუჩენია წარმართებისა და ცეცხლთაყვანისმცემელთა მიმართ. „მოქცევაი ქართლისაჲს“ მიხედვით, კეისარმა „ ტვილისს და მცხეთას და უჟარმოს განავლინა ქადაგნი, რადთა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღებაჲ არა ინებეს, ზაკუვით თანა-ადერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვლი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს, ხოლო ჰერაკლე განწმინდა შჯული ქრისტესი და წავიდა.“² მან იგივე გაიმეორა ქართლში,

¹ იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის, ქადაგებანი (მე-X საუკუნის ხელნაწერებიდან), საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, № 14, ტფ., 1911, გვ. 55-56.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1963, გვ. 96; http://www.amsi.ge/istoria/gm/qarTlis_mogceva.pdf

რაც იერუსალიმში 614 წელს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სპარსეთის და პროირანული მონოფიზიტების განადგურების შემდეგ იერუსალიმში წმინდა მიწაზე არსებული ქართული სიწმინდეებისადმი ყურადღება გამოუჩენია და ჯვრის მონასტერი აღუდგენია. ამის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ე. მამისთვალიშვილს¹ იერუსალიმის ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგების, ბიზანტიური და სხვა ევროპული ნარატიული წყაროების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულ კითხვას რომ დავუბრუნდეთ, იოანე ბოლნელის ქადაგებიდან აშკარა ჩანს (X ს.) მცდელობა, ჯერ კიდევ წარმართობისდროინდელ წმინდა საკულტო ადგილთა თაყვანისცემა, კრძალვა და ხსოვნა გაქრისტიანებულ „მეზოჯერს“ კვლავაც შემორჩინიათ, „მსგავსად ფარისევლთა“. ქადაგებიდან აშკარად ჩანს მცდელობა, ჯერ კიდევ წარმართული საკულტო რელიგიური ადგილის - „საზურის“ თაყვანისმცემელთათვის, ქრისტიანობაზე მოქცეულ „მეზოჯერს“ როგორმე წარმართული წმინდა საკულტო ადგილი სამუდამოდ დაევიწყებინათ, „ჩაენაცვლებინათ“ ქადაგებისას ხშირი განმარტებით, რომ „მეზოჯერს არს მებაჟე ... საზოჯერს მხოლოდ საბაჟო.“

საკითხის არსში უკეთ გარკვევის მიზნით დავუბრუნდეთ ცალკეული ტერმინის ანალიზს. ტერმინ „საზორველი“ შესახებ საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის განმარტება: „იმ ადგილს ანდა ნაგებობას, თუ ნაგებობის ნაწილს, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ ღვთაებას, ეს სახელი საზორველი ერქვა.“² თითქმის ასეთივე მნიშვნელობით მოიხსენიება „საზორველი“ ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონის

¹ ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 80-88.

² ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 73.

მიხედვით, „შესაწირავი მიუზლიოს ეშმაკთა სახე ძუელისა მის საზორველისა დამჯობისა.“¹

„საზურეს“ ანალიზისთვის საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის წარმართულ საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინის, „ბაგინის“ და „საზორველის“ გარკვევა². შატბერდისეულ „მოქცევაი ქართლისაჲს“ მიხედვით, ბაგინი ებრაელთა სამლოცველოს, შესაკრებელს ნიშნავდა: „კარსა მოგუეთისასა მტკუარსა ზედა, სადაც ელიოზის სახლი იდგა, იმის მახლობლად „იყო მცირეჲ ბაგინი სამარხოჲ“. იქვე მეცნიერი მიაჩნებებს: „უძველეს და ამ ხანის ძეგლებშიც ბაგინი, საერთოდ წარმართების, არა-ქრისტიანების სამლოცველოს ნიშნავდა. მაგრამ უძველეს ძეგლებში, რომლებიც, როგორც ჩანს V-VI ს-ისა უნდა იყოს, ხანმეტ ძეგლებში, ბაგინი ეკლესიას ნიშნავდა ე.ი. სამლოცველოს აღმნიშვნელიც იყო.“ აქვე მეცნიერი განმარტავს, რომ „ძველადვე ბაგინი მეორე ტერმინის, საკერპოს შესატყვისადაც გვხვდებოდა ნახმარი, ე. ი. იმ სამლოცველოსი, რომელშიც წარმართული კერპები იყვნენ დადგმულნი და სადაც თავყანს სცემდნენ კერპებს.“³

საკერპო ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „კერპთა ტამარი „საზორველი“ ქანდაკებულნი.“⁴ საკერპო და ბაგინი ივ. ჯავახიშვილს სინონიმებად მიაჩნდა და გვთავაზობს ამონარიდს ფილექტიმონის წამებიდან: „მიიწია მეფე იგი ტამარსა მას კერპთასა, რქუა წდასა მას: ჰხედავა, ვითარ - ესე ... განჩინებულ არს, რამეთუ დიდებულსა ამას ღმერთსა აპოლონს წეს - არს თავყუანის-ცემად. ესე ვითარცა თქუა, უბრძანა მეფემან ან მეკერპეთა მათ განღებად კართა მათ ბაგინისათა და განახუნეს ...“

¹ ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნაკვ. III, რედაქტორები: ნ. გოგუაძე, ზ. სარჯველაძე და მ. შანიძე, თბ., 2014, გვ.10.

² ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 72-73.

³ იქვე, გვ. 73.

⁴ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 359.

ამონარიდიდან აშკარაა აპოლონისადმი განკუთვნილი სამლოცველო, რომელსაც ტაძარი ეწოდება, ამავე დროს საკერპოდ არის წოდებული და ბაგინადაც.¹

ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ მეცნიერ კაცთა მიერ ჩანართში წმინდა მოციქულის (ანდრია პირველწოდებული მ.მ.) აწყვერში მოსვლისას მოიხსენიება საკერპო ტაძარი: „იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემი და აპოლონ“ ... ხოლო რომელნიმე იტყოდეს ვითარმედ, აპოლონ და არტემიდე არიან დიდნი ღმერთნი და იყო ცილობა და შფოთი“.² ამდენად, იბერიის სამეფოს ამ ნაწილში დამკვიდრებული ჩანს ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებები, მათ სახელზე ნაგებია ტაძარი და სრულდება წარმართული კულტმსახურება.

რაც შეეხება „საზუერეს“ და „ზორვეთის“ წარმომავლობის და ადგილმდებარეობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ს. ჯანაშიას. მეცნიერი საზუერეში გეოგრაფიულ ადგილს ხედავდა და „საზუერეს“ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფ. ალის მიდამოებში ვარაუდობდა. ნ. ბერძენიშვილი ეთანხმებოდა ჯანაშიას მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ ტერმინს „საზუერე“ (თუ „საზუერეთი“) საბაჟო დაწესებულების სახელიდან წარმომდგარ გეოგრაფიულ სახელად თვლიდა, მაგრამ განსხვავებით ს. ჯანაშიასგან, „საზუერეს“ საციციანოში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ძამის ხეობაზე მიანიშნებდა.³ სწორედ ნ. ბერძენიშვილის მიერ პირველად დაისვა კითხვა მძოვრეთი (ზოვრეთი) იმავე ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვა ხომ არ იყო, საიდანაც „საზუერე“. ჯ.

¹ კ. კეკელიძის, კიმენი, I, ტფ., 1918, გვ. 133-160.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 4.

³ ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, ტ. I, გვ. 189.

გვასალია ზოვრეთის დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევს მძოვრეთს.¹

რაც შეეხება ტერმინს „ზორვა“, ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მსხვერპლი“, „შეწირვა“, „გება“,² ე.ი. მსახურება, მსხვერპლის მიტანა, ღვთაებათა სახელზე მსხვერპლის შეწირვას გულისხმობს.

ამდენად, წარმართული სარიტუალო ადგილის აღმნიშვნელი „საზორველი“, „ზორვა“ და „საზურე“ ტერმინების იდენტური შინაარსი აშკარაა. წარმართული რელიგიის კულტმსახურებასთან და, კერძოდ, კერპის წინაშე მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებულ ტერმინ „ზორვას“ ამ მნიშვნელობით იყენებს ლეონტი მროველი არმაზის დღესასწაულის აღწერისას: „მაშინ დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად საჯმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა, და წარჰყვა წმიდა იგი მათ თანა. ხოლო ვითარ-იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, წიად მოგუთასა ჯიდსა ზედა, და დადგეს მუნ. და ხედვიდა წმიდა ნინო ცეცხლის მსახურთა მათ ერთა მოგუებასა, და იგლოვებდა უცხოებასა თვსსა“.³ ამონარიდი ასევე ნათლად მიანიშნებს სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულებას წარმართობის მიმართ, „შემკობა კერპთა და ბომონთა“, ქურუმთა „კეთილად პყრობა“ და „ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს მსახურება კერპთა.“

მ. ანდრონიკაშვილი მას ირანული წარმოშობის სახელად თვლის. საშუალო სპარსულის მიხედვით - Zohr „მსხვერპლი“, შესაწირავი, ძღვენი, სამსხვერპლო სასმელს ნიშნავს, რომელიც

¹ ჯ. გვასალია, ღმოსავლეთ საქართველოს, ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 983, გვ. 152-153.

² ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ., 168.

³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 88.

თავისთავად მომდინარეობს ავესტური სიტყვიდან.¹ „ზორვა“ (მისივე განმარტებით არის, „მსხვერპლის შეწირვა წარმართულ ღვთაებათა და კერპთა მიმართ“).

სულხან-საბა თვლიდა წარმართული სამლოცველოს არსებობას, საკერპო ადგილს. მისი განმარტებით, „ზორვა ესე არს კერპთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი. ზორვა არს საკმეველთა დაკმევა, გინა თაყვანი, გინა შეწირვა მსხვერპლთა კერპთა მიმართ. ზორვა არს შეწირვა, გინა თაყვანისცემა კერპთა. ზორვა არს კერპის თაყვანის-ცემა და შესაწირავი.“² ხოლო „საზორავი დასაწველიაო“. „მსხვერპლშეწირვაზე“ ძველ ებრაულთ და წარმართთა შეხედულებით, სამსხვერპლოსთან ცხოველს კლავდნენ, გარკვეული ნაწილები კი უნდა შეწირულიყო ღვთაებისადმი და ისინი უნდა დაეწვათ. პროფ. ი. გაგომიძე საუბრობს ანაპიტასადმი ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის შესაძლებლობაზე, თუმცა იმოწმებს რ. გირშმანის მოსაზრებას ზოროასტრიზმთან დიდი სისხლიანი მსხვერპლშეწირვის შეუთავსებლობაზე.³

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ზოვრეთის“ ეტიმოლოგია „ზორვ“ ფუძის ბგერათა მონაცვლეობით უნდა იყოს მიღებული. მაშინ გამოდის, წარმართობიდან მომდინარე წმინდა სატაძრო-სარიტუალო ადგილის „საზორველის“ სახელი თან - დათან და ბუნებრივად დაუმკვიდრდა თავდაპირველად სატაძრო-სარიტუალო ადგილს, ხოლო მოგვიანებით II-III საუკუნეების გვიანანტიკურ ქალაქს „საზუერე“ ადგილის მიხედვით - „ზოვრეთი“ (მძოვრეთი“).

¹ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 34, 242-244.

² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., ტ. I, თბ., 1966, გვ. 286.

³ Гагошидзе Ю. М. Из истории грузино-иранских взаимоотношений (храм II-III вв. до н. е. Дедоплис Мидори. В кн: Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье. Москва, 1981. С. 102-115; Гагошидзе Ю. М. Дохристианские храмы Грузии. IV-Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983. С. 1-12.

„ზოვრეთი,“ „ზორვა“ ფუძის მქონე სახელი ფართოდ დამკვიდრებული ჩანს ქართულ ტოპონიმში და მხოლოდ ძამის ხეობის ლოკალურ, სარიტუალო ადგილს არ მოიცავს. იგი გვხვდება ზემო იმერეთში, ქვემო საზანოს თემში სოფ. ზოვრეთი, სკანდა - შორაპანის სასაზღვრო ხაზთან, გუჯარეთისა და ალის ხეობაში, კლარჯეთში ქალაქ სათლეს მახლობლად (ჩრდილო-დასავლეთით), საბარათიანოში ქალაქ სამშვილდის მახლობლად, კახეთში - ნეკრესთან („ნაზვრევი გორა“). ლ. ჭილაშვილის¹ მოსაზრებით, „ნაზვრევი“ - „ზორვიდან“ არის მიღებული და ირანული მეტყველებიდან შემოსულად მიიჩნევა, რომელიც შემოჰყვა ირანიდან ცეცხლის რელიგიას, მაზდეანობას (მვ. წ. II ს.) და მიანიშნებდა წარმართული სამლოცველოს არსებობას, რაც დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა. თუ დავუკვირდებით, „საზურე“ ადგილები ქალაქების ცენტრში კი არა, მის სიახლოვეს ხალხმრავალ უბანთან, სასაზღვრო ხაზთან, ან სვაჰრო სტრატეგიული მნიშვნელობის გზასაყართან მოჩანს. შესაბამისად, ძამის ხეობის „საზურე“ ადგილი გვერძინეთ-ციხისგვერდთან შიდა ქართლში შემომავალ გზასაყართან არის სავარაუდებელი. რა გვამღვეს ამ ჰიპოთეტური ხასიათის მოსაზრების უფლებას, მაშინ როცა არ ჩატარებულა არქეოლოგიური გათხრები, ერთი შეხედვით არ დასტურდება პირდაპირი წერილობითი წყაროებით, მაგრამ იმავდროულად არ არსებობს არავითარი პირდაპირი ცნობები და მტკიცებულებანი, რომლებიც გამორიცხავენ ჩვენს მოსაზრებას. ამასთან, მეცნიერული კვლევებით გამოვლენილი იქნა იბერიის ანტიკური პერიოდის სატაძრო არქიტექტურის ძეგლები, მდიდარი სამარხეული ინვენტარით, რომლებიც საინტერესო სიახლეს გვთავაზობენ რელიგიურ ცენტრებსა და რელიგიურ დღესასწაულებზე, მათ შორის ცეცხლის ტაძრებზე, რომლებიც ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია.

¹ ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000, გვ. 47.

ზემოაღნიშნული არმაზობის დღესასწაულის მსგავსად, სატაძრო - საკულტო ადგილად წარმართული რელიგიური დღესასწაულებისთვის მძოვრეთის სიახლოვეს საიმედოდ დაცული ადგილი იქნებოდა შერჩეული, ხალხმრავალი ბაზრობით, რომლებიც „საქვეყნო“ ვაჭრობაში ვაჭარ-მოქარავენებსაც მოიზიდავდა. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის ასეთი ცენტრი ძამის ხეობის ზემო წელზე საერთაშორისო სატრანზიტო სავაჭრო მაგისტრალის გზასაყართან, ადმინისტრაციული და საბაჟო დანიშნულების თავდაცვითი ნაგებობით, ხალხმრავლობით და გეოგრაფიული მდებარეობით გამორჩეული თრიალეთის ქედის ციცაბო ფერდობზე მდებარე ციხისგვერდთან უნდა ყოფილიყო, მსგავსად მცხეთის არმაზციხისა: „... კერპობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუნენ კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდენ მუნ სილოდობითა.“¹ ამაზე მიანიშნებს ციხისგვერდიდან გუჯარეთის ხეობამდე უძველეს ნაგებობათა ნანგრევების ფრაგმენტები, რომელთა შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა აწ შემუსვრილნი.“²

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საზორველი“ ამ მიკრო-მხარის და ქალაქის მთავარი წარმართული სატაძრო-საკულტო ნაგებობებით გამორჩეული ადგილი უნდა ყოფილიყო საკულტო-ცერემონიალური სივრცეებით, წარმართული სატაძრო კომპლექსის არქიტექტურულ-დეკორატიული განსხვავებული ფორმებით, მათ შორის ცეცხლის ტაძრით.

მძოვრეთის სიახლოვეს, ურბნისის ცეცხლთაყვანისმცემლების შესახებ საინტერესოდ აღწერს მემატიაწე. ქართლში შემოსულმა ნინომ „მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადაცა იგი იხილა ერი უცხოთა თესლთა

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 143.

² იქვე, გვ. 59.

ღმერთთა მსახური; რამეთუ ცეცხლსა, ქვათა და ძელთა ღმერთად თაყუანის-ცემდეს, რომლისათვისცა შეეურვა სულსა ამის წმიდისასა და შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათვის ებრაულისა, და დაყო მუნ თუე ერთი, და განიცდიდა ძალსა ამის ქუეყანისასა. ⁴¹ ცეცხლის ტაძრების, კერპების, საკურთხევლების არსებობა დადასტურებულია სხვა ქართულ წერილობით წყაროებშიც (შუმანიკის წამება, ევსტატი მცხეთელის წამება, რაჟდენის ცხოვრება). ქართლის ცხოვრების მიხედვით ვახტანგ გორგასალმა და მისმა მეუღლემ რაჟდენის ნეშტი წრომიდან ნიქოზში გადაასვენეს და იქ ეკლესია ააგებინეს „საგზებელსა თანა ცეცხლისასა“⁴²

დედოფლის მინდვრის კვლევებიდან გამომდინარე, გრანდიოზული მასშტაბის წარმართული სატაძრო კომპლექსი, რომლის მთავარი მიზანი ქართლის სამეფო სახლის საკუთარი საგვარეულო კულტის დამკვიდრება უთუოდ იქნებოდა, ამასთან ამ მიკრომხარის (დედოფლის მინდორი, ურბნისი, ზღუდერი) არქეოლოგიური არტეფაქტების მსგავსება, საკმაო არგუმენტებია, ვივარაუდოთ მძოვრეთის ამ უბანში კერპთაყვანისმცემელ სატაძრო-საკულტო „საზორველის“ გვერდით ცეცხლის ტაძრის არსებობა, რადგან ერთი ღმერთის რწმენა მეორეს არ გამოირიცხავდა. შესაძლოა, ცეცხლის მიმართ თავყანისცემაზე მიანიშნებდეს ზღუდერის სამარხებში აღმოჩენილი მრვალმხრივი ფუნქციის და ფორმის მქონე სანათების და საცეცხლურების სიმრავლე სამივე მდიდრულ სარკოფაგში.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების გათვალისწინებით, შესაძლოა, „საქართველოში სპარსული მაზდეანობა ადგილობრივი კულტურის ნიადაგზე შეცვლილი სახით არსებობდა,“³ როგორც ზორო-

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 87,

² იქვე, გვ. 199.

³ ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი 12 ტომად, ტ. 1, თბ., 1979, გვ. 145,

ასტრული რელიგიის რემინისცენცია ქართულ ნიადაგზე მოდიფიცირებული სახით .

ამავე პერიოდის იბერიაში არსებული ცეცხლის ტაძრების სიმრავლე ჩანს დედოფლის მინდორზე,¹ ციხიაგორაზე (სოფ. კავთისხევის ჩრდ. გარეუბანთან)² ნეკრესში, ღართისკარში მცხეთის ჩრდ. გარეუბანში, სამადლოს მიწების ტაძარი³ ნასტაკისი, უფლისციხის ორსვეტიანი დარბაზი. ⁴

მკვლევრები ი. გაგოშიძე, თ. დუნდუა, გ. ყიფიანი ნ. სილაგაძე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქრისტიანულ მარტირიუმებსა და წარმართულ სამლოცველოებს შორის აშკარა კავშირს ხედავენ. რაც შეეხება ქალაქის წარმართულ სატაძრო-საკულტო რიტუალის მსვლელობას, მძოვრეთზე წერილობითი წყაროების არარსებობის მიუხედავად, მასზე წარმოდგენას გვიქმნის მცხეთაში წარმართი მოსახლეობის არმაზობის დღესასწაული: „კვალად უწყოდთან დღესასწაული კერპთა, ღმერთთა თვთ მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკდაბდაბითა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა შესწირვიდიან ძროხათა, ჯართა ცხოვართა და ნადირთა. თაყვანისცემდნენ არმაზს და შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა

¹ Gagoshidze J. M., 'The Temples at Dedoplis Mindori', East and West, 1992, vol. 42, pt. 1, pp. 27-48.

² ი. გაგოშიძე, გ. ყიფიანი, სვეტი კავთისხევის ციხიაგორიდან, ძეგლის მეგობარი, თბ., 1987, № 3 (98), გვ. 8-11; გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000, გვ. 39.

³ გ. ნარიანიშვილი, კ. ხიმშიაშვილი, იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1993, № 1, გვ. 13-42.

⁴ ი. გაგოშიძე, წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე (ქარელის რაიონი), ძეგლის მეგობარი, თბ., 1974, № 35, გვ. 38; Gagoshidze J. M., 'The Temples at Dedoplis Mindori', East and West, 1992, vol. 42, pt. 1, pp. 27-48; შდრ. კლაუს შიპმანი დედოფლის მინდორის ცეცხლის ტაძრის შესახებ, http://www.cias-soas.co.uk/fire_temple.htm

ფერჯისითა, პირობითა სახიობითა და ძნობითა სამდღე და მოიქციან თვსთვსად სახით.“

სტრაბონის ზოგადი ცნობების მიხედვით: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბეებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო [დაწესებულებანი]. ამ ცნობის მიუხედავად დიდხანს ითვლებოდა ჭეშმარიტებად, რომ წარმართული საქართველო არ იცნობდა სპეციალურ საკულტო ნაგებობებს. დედოფლის მინდვრის გრანდიოზული მასშტაბის წარმართული სატაძრო კომპლექსის აღმოჩენის მეცნიერული მნიშვნელობა ამ მხრივაც განუზომელად დიდია ჩვენი საკვლევი თემისთვის. ამ აღმოჩენამ შეცვალა თვალსაზრისი, თითქოს მონუმენტური სატაძრო ნაგებობების შექმნა¹ საქართველოში პირველად ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდებოდა. ვითვალისწინებთ რა სტრაბონის ცნობებს, წერილობით წყაროებს, ზემოაღნიშნულ ფილექტიმონის წამებიდან ამონარიდს: „ჰხედავა, ვითარ - ესე პირად-პირად გამოწერილ და აღმკულ არიან შშნე-ბული ესე და ფოლოცნი ესე მარმარინოფენილნი, სუეტნი და სუეტის-თავნი ოქროცხებულნი და ყოვლად ქმნული ესე სანატრელ არს აწ. ტაძარი-ლა ესე ესრტთ შუენიერ არს ხილვად. განჩინებულ არს, რამეთუ დიდებულსა ამას ღმერთსა აპოლონს წეს-არს თავყუანის-ცემაჲ,“ გარეუბნის რეკონსტრუქცია წარმოგვიდგება ხუროთმოძღვრების რიგზე გაწყობილი საერო და სარიტუალო მდიდრულ ნაგებობათა კომლექსებით, ხმაურიანი სავაჭრო ადგილებით, ქულბაქებით, ფუნდუკები მგზავრთათვის და საზუერე (საბაჟო) ადგილით ვაჭარ-მოქარავენეთათვის. ციხის-გვერდთან შემალღებულ ფერდობზე, მთავარ საკულტო-სარიტუალო ადგილებთან კეთილმოწყობილი, ქვით მოკირჩლული მისასვლელი გზებით, მსგავსად იმ წესისა როგორც იყო

¹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, წიგნი XI, გვ. 127.

ელინისტური ხანის ქალაქებში. სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო გზის მოძვრეთის მონაკვეთზე მდებარე, ასეთ თვალში-საცემ მდიდრულ და „კეთილნაშენ“, გამორჩეულ სატაძრო-საკულტო უბანს (ქორდითირიკოსხევი - გვერდისძირი) შეეძლო მიეპყრო „სომხური გეოგრაფის“, ანონიმი ავტორის განსაკუთრებული ყურადღება. ანონიმი მემატეანის საყურადღებო ცნობით და ჩვენეული ინტერპრეტაციით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მის მიერ დასახელებული ქალაქების - თბილისი, სამშვილდე, მცხეთის სატაძრო-საკულტო უბნებს, სავარაუდოდ, გვერდისძირი დიდად არ ჩამორჩებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ქრისტიანობამდელი ეპოქის მნიშვნელოვანი წარმართული ცენტრების სიმრავლე ჩაანაცვლეს აქ ადრექრისტიანული ეკლესიებით და სხვა სიწმინდეებით.

ქრისტიანობის გავრცელებისთანავე კი წარმართული და მაზდეანური სამლოცველოების ნგრევის დიდ მასშტაბებს ადასტურებს 1408 წლის მცხეთის სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „რომლისა მიერ: [ო]დეს :.და:დაეცნეს :.და :.შეიმუსრნეს :.განიგნივნეს: .და: .გაყოველნი: საძაგელნი: .და :. ბილწნი :. კერპნი :. არმაზისნი :. და :. მოოჭრდა :. ყოველი :. შენე[ბულება :.] მათი :.და :. დაჯრცეს :. და :. იავარ :. ქმნეს :. ყოველნი: **ბომონნი: ზაგინნი: საზორველნი:** .და :. მსახურებელნი :. მათნი :.და :. აღეშნეს :. მათ :. წილ :. სახლნი: . ლთისანი :. ტაძარნი: დიდებისანი :. და :. საყდარნი :. სამეუფონი...“¹ უკანასკნელი ფრაზის „და :. აღეშნეს :. მათ :. წილ :. სახლნი :. ლთისანი :. ტაძარნი :. დიდებისანი :. და :. საყდარნი :. სამეუფონი“ მიანიშნებს წარმართული ტაძრების ნანგრევებზე შედარებით შთამბეჭდავი და უფრო მასშტაბური სივრცის ქრისტიანული „საყდარნი სამეუფონი“ აშენდებოდა. ამ პროცესზე საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილი: „კვალად არიან გორა მთათა ზედა შენნი ეკლესია-

¹ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 6;

საყდარნი, სადაცა მნიად ხედებიან კაცნი, თჳნიერ დღესასწაულთა მათთა, ამისთჳს, რამეთუ, ვინათგან, კერპობასა შინა მათ მთაგორათა ზედა იყუნენ კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდენ მუნ სიღოდობითა, და ქრისტიანობასა შინა შემუსრეს კერპნი, არამედ კვალად არა დასცხრენ მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სიღოდითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი, რათა თაყვანისცენ ამათ და არღარა მოიხსენონ სიღოდა-განცხრომითა.¹

ნეკრესში ყველაზე გამოკვეთილად გამოვლინდა წარმართობაცეცხლთაყვანისმცემლობას და ქრისტიანობას შორის არსებული მძაფრი ბრძოლის შედეგები. არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოები, უძველესი წარწერები ადასტურებენ ნგრევისა და სისასტიკის კვალს და თვალნათლად მიანიშნებენ, როგორ იქცა ნეკრესი ქრისტიანობის მძლავრ კერად და იმავდროულად ცნობილი გახადა წინაქრისტიანული ხანის დიდი კულტურა.²

საზოგადოდ, ყოფილ წარმართულ სალოცავზე ეკლესიის აგების პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა ქვეყნის ყველა მხარეში, რომლის კვალი და გავლენა ნათლად ჩანს წინაქრისტიანულ საქართველოში. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერ კაცთა მიერ ჩართულ დამატებაში ვკითხულობთ: „აწყვერს მოსული წმინდა მოციქული (ანდრია პირველწოდებული მ.მ.) წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი ... სადა იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი.“³

ივანე გვარამაძე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მესხეთში ანდრია პირველწოდებულის საქრისტიანო ქადაგების შესახებ, რა-

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 143.

² ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000, გვ. 6-7.
ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004, გვ. 15, 34.

³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 39.

საც დიდი არეულობა და ნგრევა მოჰყოლია მესხური წარმართული პანთეონის. ახალციხელებსაც როგორ გამძლელებათ ახალი სარწმუნოების მიღება.¹ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმართული ნაგებობების ნგრევა და მათ ადგილზე ქრისტიანული საკულტო ნაგებობათა ინტენსიური მშენებლობა დაიწყებოდა მძოვრეთშიც. ახალი მონოთეისტური რელიგიის დამკვიდრებას მართლაც რთული კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. ასევე მხედველობაშია მისაღები ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, მათ შორის დასავლური ორიენტაცია.

სწორი უნდა იყოს ჩვენი ვარაუდი, რომ ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებასთან და ახალი საწარმოო ურთიერთობის გამარჯვებასთან ერთად ძამის ხეობის „საზორველის“ ნგრევამ წარმართული წმინდა სარიტუალო მნიშვნელობის სატაძრო-საკულტო ადგილს წარმართული რელიგიური საზურველი შემოაცალა, „საკრალური იდუმალებით შეინიღა“ და მხოლოდ საბაჟო „საზურე“ ადგილის მნიშვნელობა „შეიძინა“. ამ დროს ხდება „საბაჟოს“ ჩანაცვლება „საზურესთან“. სწორედ ეს მიზანი ჰქონდა დაკისრებული ამ ტერმინების შენაცვლებას. ე.ი. ძველი წარმართული „საზორველი“ გადაიქცა ადრეფეოდალური ხანის საზურე დაწესებულებად, ზოვრეთის საბაჟო ადგილად, თუმცა ამ წმინდა ადგილის ხსოვნა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებიდან ქრისტიანობამ ადვილად ვერ წაშალა. საზურეს ღვთისმშობლის სიწმინდის არსებობა და გავლენიან საგვარეულოთა შთამომავლობაში გავრცელებული სახელი, საზვერელი სხვა არაფერზე მიგვანიშნებს, თუ არა საკულტო წმინდა ადგილის „საზვერეს“ ხსოვნის საპატივსაცემო სახელად.²

¹ მ. მიჩიტაშვილი, ივანე გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებანი, თბ., 1995, გვ. 51.

² სცსსა, ფ. 1448 აღწერა 1, საქმე, 5041; სცსსა ფ.1450 აღწ.1 საქმე 1, საბ.101; სცსსა, ფ. 1449, საქმე 1640; თ. ჟორდანიას, ქრონიკები II, ტფ., 1897, გვ. 213.

„საზორველის“ ადგილის ერთ-ერთ ნაშთზე შესაძლოა მიანიშნებდეს გვერძინეთის სიახლოვეს მდ. ძამის მარჯვენა მხარეს, ტყით დაფარულ, ოდნავ შემადლებულ გორაკზე, სრულიად განსხვავებული ფორმის ქვითკირის შენობის ნანგრევი, კედლები სიმაღლით 1 მ. სიგრძით-6,4 მ, სიგანით-4,8 მ. შენობას ეკლესიის ფორმა ნამდვილად არა აქვს, არც კედლების მოყვანილობით. კარი სამხრეთით უნდა ჰქონოდა. მას ადგილობრივი მაცხოვრებლები მიქელ-გაბრიელის ეკლესიად მოიხსენიებენ. გ. ბოჭორიძე ადგილზე მონახულების შემდეგ თავის წიგნში მას „რადაც“ შენობის ნანგრევად მოიხსენიებს, რომელსაც მოყვანილობა უბრალო ოთახის ჰქონდა და არა ეკლესიისა.¹

საკმაო საფუძვლიანობით შეგვიძლია ვივარაუდოთ წარმართობისდროინდელი წმინდა სარიტუალო „საზორველის“ ამ ერთ-ერთმა ნაშთმა, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მხოლოდ საბაჟო ნაგებობის ფუნქცია შეიძინა, გვიანფეოდალურ ხანაში სავაჭრო-სატრანზიტო გზის „დაყრუების“ შემდგომ საბაჟო ნაგებობა მიქელ-გაბრიელის ეკლესიად აკურთხეს. ამ ჰიპოთეტურ მოსაზრებას გვიმყარებს მის სიახლოვეს ტრადიციული ერთნავიანი ბაზილიკების სიმრავლე. ესენია: მდ. ძამის მარჯვენა მხარეზე შემორჩენილი დაზიანებული გვერძინეთის ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი, (5×3 მ.) რომლის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. იქვე გვერძინეთში, აბუხალოს წყლის შესართავთან, ე. ი. აბუხალოს და ძამის წყლის შუა მარიამ-წმიდის ეკლესიის ნანგრევი (3,5 × 2 მ.), რომლის მხოლოდ აღმ. კედლის ნაშთია შემორჩენილი და გვერძინეთის სხლების ეკლესიის ერთნავიანი შენობა (5 × 3 მ.).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ პერიოდში ქრისტიანობის წარმართობასთან ჭიდილში საბოლოო გამარჯვებისათვის საკრალური ტოპოგრაფიული ტერ-

¹ გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, თბ., 2011, გვ. 175.

მინები „საზვერეები“ და „მეზვერე“ ცათა სამარადისო სასუფეველს მიმავალთა „გარდუვალ სამსჯავრო“ მნიშვნელობის ადგილად გადაიქცა. საკრალური სივრცის საზვერეების შესახებ არაფერია ცნობილი ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში, ამ პერიოდის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. მამების ნაწერებსა თუ ცხოვრებებში. საკრალური სივრცის საზვერეების აღწერა ადრეულ დასავლურ მართლმადიდებლურ წყაროებში მოიპოვება. მასზე ყურადღება პირველად ფიქსირებულია IV-VI სს. კონსტანტინოპოლის წმ მამათა ნაწერებსა და ცხოვრებებში წმიდა ეფრემ ასურის (373 წ.), წმ. ისაია განდევილის (VI ს.), წმ. სვიმეონ ემესელის, სალოსის (VI ს.), წმ. იოანე დამასკელის (VII ს.) და სხვა. ამ საკითხის პასუხად მხოლოდ ვარაუდის ფრთხილად გამოთქმა თუ შეიძლება, რომლის საფუძველს მხოლოდ მათივე განმარტება იძლევა: „საზვერეების შესახებ სწავლება არის ეკლესიის სწავლებაო.“ ამგვარი შენაცვლება და ტერმინების ტრანსფორმაცია „საჰაერო საზვერეებზე“, საბოლოოდ ადვილად წაშლიდა წარმართობის წმინდა სარიტუალო ადგილთა ნოსტალგიას, შიშისა და ძრწოლისა გამო, სადაც „ბოროტი შემასმენლები, საზარელი მსჯავრმდებელნი, მეზვერეები, ცოდვების აღმრიცხველნი ხვდებიან და აღურიცხავენ ახალგაზრდობასა თუ ხანდაზმულობაში ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს“¹, სადაც: „შფოთავს და ძრწის სული და მწუხარებით მილტოლვილი ღვთის ანგელოზებთან ცდილობს დამალვას, ... რომელნიც აბრკოლებენ მას: რადგან ყოველი საზვერე მის ცოდვას წარმოაჩენს“ (წმიდა კირილე ალექსანდრიელი 444 წ.). წმიდა ეფრემ ასურის (373 წ.) მიხედვით კი „როცა ძალით მოგვიტაცებენ და მიგვიყვანენ გარდუვალ სამსჯავროდ, მაშინ მათი მხილველი საბრალო ადამიანი ... ერთიანად ძრწის, თითქოს მიწა იძრაო ... საზარელი მსჯავრმდებელნი, მეზვერეები, ცოდვების

¹ მღვდელმონაზონი სერაფიმე როუზი, სული გარდაცვალების შემდეგ, იბეჭდება ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოს დიმიტრის(შიოლაშვილის) ლოცვა-კურთხევით, თბ., 2006, გვ. 106-115.

აღმრიცხველნი; გზაზე ხვდებიან ადამიანებს და აღურიცხავენ ახალგაზრდობასა თუ ხანდაზმულობაში ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს, რომელნიც სიტყვით, საქმით ან ფიქრით აღასრულეს.“¹ მათთვის ცნობილი იყო და შიშობდნენ რათა „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს.“ [მარკოზი,3-4]²

წარმართობისდროინდელი საკულტო წმინდა ადგილის თაყვანისცემა რამდენად ღმად ჰქონდათ გააზრებული, როგორ იყვნენ გამსჭვალულნი მისდამი თაყვანისცემით, საკუთარი ცოდვილობის განცდით, რამდენად დიდხანს და მტკიცედ დარჩენილა იგი მოვრეთის მოსახლეობაში, ამის უტყუარობას ადასტურებს საზუერის ღვთისმშობლის სიწმინდის არსებობა (XVI - XVII სს.) მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ფანასკერტელ-ციციშვილთა მამულში - კეხიჯვრის სამხრეთით და ორბოძალას მთის ჩრდილო-დასავლეთით. ამ სიწმინდის არსებობის მტკიცებულებაზე მიანიშნებს „წარწერა მხედრული, ბრეთის ეტრატის სახარებაზე“ (1543 წ.) სადაც ვკითხულობთ: „აქუს საზუერისა ღრმთისმშობლისა ოქრომჭედელსა სამი ჩარეჟი ვერცხლი. მისსა სარგებელსა ასისა თანგისა ცწლისა მიართმევდეს და ნახე [ვარ] ლიტრა სანთლისა გულსა მიართმევდეს. სხვა არასთანა სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა ხატის მსახურების მეტი, წელიწადშიგან ამას მიართმევდეთ, ერთისა სათათროსა მალის მეტი.“ ამავე სახარების მეორე ასომთავრულ წარწერაში ვკითხულობთ: „მე ფრიად ცოდვილმან შალიკაშვილის ასულმან თანამეცხედრემან ფანასკერტელის ფარსადანისამან გულდამ ჳელუყავ დიდებულისა საზუერი-სა ლწვისმშობლისა ოთხთავისა შემკობად სახსრად სულისა ორთავე ჩწ მეუღლეითა და სადღეგრძელოთ ძეთა ჩვენთვის ამინ.“³

¹ ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, თბ., 2016, გვ. 326.

² იქვე, გვ. 327.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), VI, თბ., 1953, გვ. 195-196.

საზუერის ღვთის მშობლის ოთხთავის შემკობაზე ფანასკერტელთა ზრუნვა „სახსრად სულისა ორთავე ჩნ მუღღელთა და სადღერძელთ“ პირდაპირ მიანიშნებს მათ მამულში საზუერის ღვთისმშობლის სიწმინდეზე.

XVII საუკუნის ბოლოს ციციშვილებისთვის სადავო გამხდარა საზუერეს ღვთისმშობელთან მიმდებარე მამულები. გაყრის წიგნში ვკითხულობთ: „კეხიჯვარზედ შეცილდნენ ედიშერ და პაპუნა. ედიშერ ასე უპასუხა: რა ბიძაჩემი და ნოდარიშვილი გაიყარნენო კეხის ჯვარი ამონისშვილს საუფროსოში გამოჰყვაო მაშინვე ბიძაჩემმა ციციმ წართვაო და სახასოთ დასდვაო. ბატონმა ამაზედაც ფიცი დაადვა ედიშერს ... ჩვენ ასე უთხარით ედიშერს, უფიცრად შუა გაუყოფთ კეხისჯვარსაო და საზვერლისა მღვთის მშობელი თავისი შეწირულობით უწილოთ პაპუნას დაანებეო და ედიშერა არა შესჯერდაო.“¹

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, ცალკე კვლევის საკითხია ძამის ხეობაში გვიანფეოდალურ ხანამდე შემორჩენილი წინაქრისტიანული კულტები, ღვთაებები, მათი მდგრადი არსებობის მიზეზები და მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც „შეინიღბა“ ახალი მნიშვნელობით და სინკრეტულ ხასიათს ავლენდნენ.

ამრიგად, ასეთია დღემდე ჩვენ მიერ მოკვლეული წყაროთ-მცოდნეობითი ბაზა და ჩვენეული ინტერპრეტაცია, ზოგჯერ ჰიპოთეტური, დამყარებული ლოგიკურ დასკვნებზე, „ზოვრეთის“ ეტიმოლოგიის შესახებ, დამატებით საველე სამუშაოების და ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობების გათვალისწინებით, რაც გვიანანტიკურ ნაქალაქარ მძოვრეთის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია.

¹ სცსსა, ფ. 1448, საბ. 5010.

3. ქალაქის უბნები

მძოვრეთის საზღვრების ლოკალიზაციის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ჯ. გვასალია ტოპონიმ „ზოვრეთის“ ლოკალიზაციის შესახებ აღნიშნავდა: „დღეს ტოპონიმი „ზოვრეთი“ დადასტურებულია სუქანათ უბანსა და ორთუბანს შორის.“ მეცნიერი ვარაუდობდა ორთუბნის ძველ სახელწოდებას ოსთუბანს, თუმცა არც იმას გამორიცხავდა, ორთუბანი დამახინჯებული ურიათუბანი ყოფილიყო“.¹ ვერ გავიზიარებთ ჯ. გვასალიას გამოთქმულ მოსაზრებას ოსთუბნის შესახებ. ოსთა მთავრის, ბაყათარის სისხლიანი თარეშის შემდგომ, როცა არცერთ წყაროს არ შემოუნახავს ცნობები ოსების საქართველოში დარჩენის შესახებ, წარმოუდგენელია, მათ მიერ აოხრებულ ძამის ხეობაში, კვლავ კომპაქტურად დაესახლებინათ და ოსთუბანი მათივე საპატივცემოდ შემორჩენილიყო, მაშინ როცა ჟამთააღმწერლის ცნობით, გიორგი ბრწყინვალემ არა მარტო დაამარცხა და საქართველოდან განდევნა ისინი, არამედ გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში: „შემუსრნა კავკასიასა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილა, მოხარკე ჰყუა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაიდგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრა.“ რ. თოფჩიშვილის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „ოსური მუდმივი დასახლებების გაჩენის მტკიცება საქართველოში და მით უმეტეს შიდა ქართლში სრული ნონსენსია“.²

ჩვენი კვლევით ისტორიული ქალაქი მძოვრეთი მოიცავდა ისტორიულ უბნებს, სოფლებსა და დღევანდელ ნასოფლარებს: **ზღუდერს, ორთუბანს, სუქანანთუბანს, გვერძინეთს, სარკინეთს, ციხისგვერდს, სათერძეს და დღევანდელ ელბაქიანთ კარს.**

¹ გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 152.

² რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 89.



ძამის ხეობა სატელიტიდან

ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები, მათ შორის ოსმალური დავთრებიც ერთხმად ადასტურებენ უძველეს ქალაქებში (მცხეთა, ურბნისი, ატენის ციხე, ალი, სურამი, ფრონეს ხეობა, გურჯაანის მუნიცი. დღევანდელი სოფ. ვაზისუბანი) ურიათუბნის არსებობას.

ურიათუბნის ქალაქის ცალკე უბნებად დასახლება უძველესი დროიდანვე იღებს სათავეს. ძირითადად უბანთა სახელწოდება მცხოვრებთა სპეციფიკური საქმიანობის მიხედვით, ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით, ან გეოგრაფიული მდებარეობით შეირჩეოდა. მაგ. ლეონტი მროველს დასახელებული აქვს „უბანი ჰურიათა“, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი ასახელებს „მოგუთა უბანსაც“. ამავე წყაროების და „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ჯავახეთის მხრიდან შემოსული ნინო ქართლის დედაქალაქ მცხეთაში სწორედ

ურბნისის გავლით ჩადის. ურბნისში დღემდე შემორჩენილა მათი სამოსახლო ადგილის სახელი „ნაურიალი“. მძოვრეთის სიახლოვეს, ურბნისში აღმოჩენილი იქნა ახ.წ. დათარიღებული III საუკუნის ფარაკიანი ბეჭედი, რომელიც საბეჭდავად იხმარებოდა. ქ. ჯავახიშვილი ებრაულწარწერიან ბეჭედს ქართლში დამზადებულ, ადგილობრივი გლიპტიკის ნიმუშად თვლის.¹ თავის მხრივ პირადი საბეჭდავი მათ მაღალ სოციალურ სტატუსზე მიანიშნებს. ნაურიალის გაცილებით ადრეული სამაროვანი აღმოჩენილი იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. მცხეთიჯვარში, გომიდან 12 კმ-ზე და მოიცავს 300 კვ. მ. ფართობს. დიდია მისი ქრონოლოგიური საზღვრებიც (ძვ. წ. VIII-III სს.). აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა კი პარალელებს პოულობს შიდა ქართლის და საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან.²

ძამის ხეობაში ებრაელი მოსახლეობის დასახლება უნდა უკავშირდებოდეს ებრაელთა მეორე ნაწილის შემოსვლას პირველი იუდეური ომის შემდეგ, როცა ტიტუს ვესპასიანე ავგუსტუსმა დაანგრია იუდეველთა მეორე ტაძარი ახ. წ. 70 წელს. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის გარდა იუდეველთა თემის მრავალსაუკუნოვანი სამოსახლო ადგილი, ორთუბნის დღევანდელი მაცხოვრებლების გადმოცემით, დღემდე კარგად ახსოვთ და „ურიების თორას“ უწოდებენ. აქ ებრაელებს ჰქონდათ საკულტო ცენტრი, ე. წ. „ბაგინი ჰურიათა“.

ებრაელები სამეწარმეო საქმიანობასთან ერთად ჩაბმულნი იყვნენ სოფლის მეურნეობაში. მძოვრეთსა და ორთუბნის გარდა მიწებს ფლობდნენ სანებელსა და კვიბიჯვარში. 1738 წლის დოკუმენტით: „... მძოვრელმა : ჯინჯიხას : შულმა : ისრაელამა და

¹ ჯავახიშვილი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972, გვ. 14;

² ე. მამისთვალაშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალური ხანა, თბ., 1995, გვ. 118-127. ქ. დავითაშვილი, ა. დავითაშვილი, ნაურიალის ძვ. წ. VIII-III სს-ის სამაროვანი, იბერია - კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრე მედიევური პერიოდის არქეოლოგიურ- ისტორიული კვლევანი, თბ., 2010, № 6, გვ. 60.

ელიამ : შვლმა და მომავალმა: სახლისა: ჩვენისამან: თქვენს : ბატონს
: ნოდარის : შვლს : ზაზას: შვლს : ბატონს : ფარსადანს : თქვენს : ძმას
: ალექსანდრეს : და : დავოს : ასე: რომე: დაგვეჭირა : და: მოვედით
: ჩვნის : ნება: წადილითა : მოგყიდეთ : სანებელს : ჩვენეულის :
ვენახის : ბოლოს : მიწა.“¹

მამის ხეობაში ებრაელი მოსახლეობის სიმრავლეზე მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული ე. წ. ბრეთის ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლიის სახელით ცნობილი ორი ბიბლია - ერთი ნაბეჭდი, მეორე ხელნაწერი. იგი წარმოადგენს ებრაულ პალიმფსესტს (ხელნაწერი დაწერილია ქ. სალონიკში, 1513 წ. სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს იეჰუდა გედალიას ოჯახში, ვინმე ყაზრიელის მიერ).

ე. მამისთვალიშვილის მოსაზრებით, ბრეთის ბიბლიის კულტი უნდა წარმოშობილიყო XVI საუკუნეში. ებრაელები სამხრეთ საქართველოს სოფ. ვახანიდან გადმოსახლებულან ბრეთში.² ა. კრიხელის ვარაუდით მებატონე ავალიშვილებმა ისარგებლეს ყმა ებრაელების გაჭირვებით და ბიბლია დაისაკუთრეს. ადგილობრივთა გადმოცემის მიხედვით მებატონეს კულტად ქვეული ბიბლია ვაჭარი და ხელოსანი ყმა ებრაელთა დასაფიცებლათაც გამოუყენებია, რადგან ცნობილია როცა ჭეშმარიტი იუდაისტი ებრაელი ბიბლიაზე დაიფიცებდა, პირობას შეასრულებდა და სრულ სიმართლეს უთუოდ აღიარებდა. აღნიშნულ მოსაზრებასთან ერთად არ გამოვრიცხავთ გვიანანტიკური ხანის მძოვრეთში ებრაელთა მოსვლისას ნაწილი ბრეთის ხევის ტერიტორიაზე დასახლებულიყვნენ, (მდ. ფრონეს მარცხენა ნაპირზე) დედოფლის მინდორთან სატამრო კომპლექსის, მეფის საზაფხულო რეზიდენციის სიახლოვეს.

¹ სცსსა, ფ. 1448, საქმე 4421.

² ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია (ანტიკური და ფეოდალური ხანა), თბ., 1995, გვ. 102.

ვახუშტი ბატონიშვილი მძოვრეთს „მცირე ქალაქად“ წარმოგვიდგენს. სავაჭრო და სახელოსნო საქმიანობის ხაზგასმის მიზნით საგანგებო ყურადღებას უთმობს მძოვრეთს მოსახლე ებრაელებსა და სომეხებს: „იმერხევის დასავლით, ძამაზედ, არს მძოვრეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი (არიან) სომეხნი და ურიანი.“¹ XVIII საუკუნის შუა ხანებში, ისინი მხოლოდ ლეკიანობის შიშით, აყრილან და დროებით გადასახლებულან ქარელში. მათ შთამომავლებს ქარელში დღესაც მძორელაშვილებად მოიხსენიებენ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქარელში დაახლოებით 400 ებრაელი მოსახლე (სული) ცხოვრობდა და უმრავლესობა ციციშვილთა ყმები ყოფილან. მათი კეთილმოწყობილი პირობების შესახებ ი. ჩორნი ფრიად კმაყოფილი დარჩენილა: „ცხოვრობდნენ ისე როგორც ევროპულ ოჯახებშია მიღებული ... საოცრება იყო პირდაპირ ყოველივე ამის ხილვა, სინათლე-წყვდიადივით არსებული განსხვავების აღმოჩენა ბრეთსა და ქარელს შორის.“² ჩორნი კმაყოფილებით აღწერს ბრეთის სინაგოგას, რომელიც ბევრად უკეთესი ყოფილა, ვიდრე ცხინვალის, რაც წარმოდგენას გვიქმნის ადრეული პერიოდის მძოვრეთის სინაგოგაზე.

აბანოთუბნის გარეშე საქალაქო ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა. წყალგაყვანილობის რთული სისტემა, თიხის კერამიკული მილების ნაშთების სიმრავლე დღესაც უხვად მოიპოვება ნაქალაქარის სხვადასხვა უბნებში. მათ შორის მდ. ძამისა და თრიალეთის მთის ფერდობებზე. ციციშვილების სასახლის პირდაპირ მდ. ძამის სანაპიროზე, ჭალისპირას დღემდე ჩანს აბანოთა ნანგრევების კვალი, მათ შორის კარგად შემონახული აბანოები. სავარაუდოდ, უძველესი აბანოების განახლება-რეკონსტრუქცია რეზიდენციის დაარსებას, დაახლოებით (XV-XVI

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 58,

² დავიდი, ი. იეჰუდა ჩორნი და მისი ცნობები, ქუთაისი 1996, განთიადი № 3-4.

სს.) უნდა უკავშირდებოდეს. ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ, შედარებით, კეთილმოწყობილ აბანოში (14,8×11,7) კარგად არის შემორჩენილი რთული კონსტრუქციის ძეგლის გათბობის და ექსპლუატაციის სისტემა. თაღვან საბანაო აუზიან ოთახებს ლამაზი გუმბათოვანი სახურავი ამშვენებს, ცენტრში დატანებული სარკმელით.

საერთოდ, ხეობა მდიდარია ბუნებრივი წყაროებით. განსაკუთრებული სამკურნალო თვისებებით გამორჩეულია გოგირდოვანი წყალი (სოფ. აბანოსთან) და მინერალური ე. წ. „მჟავე წყლები“. კონსტანტინე ნოდარის ძე ციციშვილის 1891 წლის გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული განცხადება საზოგადოებას აუწყებდა ხვედურეთის სააგარაკო ადგილებში სამკურნალო წყლებზე საბანაო აუზების გამართვის თაობაზე.¹ როგორც ჩანს, სამკურნალო თვისებებით განთქმულ აბანოზე მკურნალობა ჩვეულებრივი ამბავი იყო და დიდი ხნის ისტორიაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ლეკთა ხშირი თავდასხმების გამო, უფუნქციოდ იქნა დარჩენილი და მივიწყებული.

ელნისტურ სამყაროსთან სიახლოვის გათვალისწინებით, გვიანანტიკურ ქალაქში **ბერძენ-რომაელთა უბანიც** მოიაზრება. კოლხეთისა და იბერიის ქალაქებთან თავად ბერძენ მოლაშქრეთა დასახლების შემთხვევებიც იშვიათი არ უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ საინტერესოა მ. შპაიდელის მიერ გამოქვეყნებული, ეგვიპტეში აღმოჩენილ პაპირუსზე დაწერილი ლათინურენოვანი წერილი, რომელიც დაწერილია აფსაროსის ვეტერანი მეომრის მიერ. წერილიდან ჩანს, ვეტერანები როგორ დასახლდნენ აფსაროსსა და ფასისში და შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

მძოვრეთში მცხოვრები ფრანგიშვილები, საკმაო ყმა-მამულის მფლობელ აზნაურიშვილებად მოიხსენებიან როგორც საარქივო მასალებში, ასევე ედიშერ და პაპუნა ციციშვილების 1701-1703 წლის

¹ „ივერია“, 1891, №116.

გაყრის დოკუმენტში.¹

მამის ხეობის სიახლოვეს უძველესი დროიდან ბერძნულ დასახლებაზე მიანიშნებს მდ. ფცის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფლის ტოპონიმი „ბერძენაული“ და მისი წარმოშობის ისტორია (დღევანდელი აბისის საკრებულო). ბერძნებით დასახლებული მამულების შესახებ საინტერესო ცნობებია შემონახული დომენტი კათალიკოსის 1660 წლის წყალობის წიგნში, ხუდადა ხოჯაშვილისადმი. მასში ვკითხულობთ: „... საფიცარი დაგიწერე ... თქვენ, ფრანგ ხოჯაშვილს ხუდადასა და შვილსა შენსა ზურაბასა. ასე, რომ პირველის წმინდის ქათალიკოზის და სხუათა შემდგომთა მისთა წმინდა ქათალიკოსთ ამგვარი საფიცარი და წიგნები გკონდა განთავისუფლებისა და შენის სახელოსი და ნასყიდი მამულისა და ყმისა სითარხნისა სიგლები ვიდრე ჩემა[მ]დინ, ყოველივე ჩვენ მოგვართვი და ვნახეთ; რადგან დამველებული იყო და ჩვენთვინაც ეუწყებინათ განახლება, ისევე პირი გაგიახლეთ. მას ჟამს, ოდეს საფრანგეთიდან მოსულიყო ნათესავი შენი საქართველოში დამდგარიყო დიდათ მიჩნეული ქართლის მეფისაგან და სარდრებისაგან და დარბაზ ბატონთაგან და ყოველთაგან და მეფეს მამულიც ეძლია სადიდკაცო, რადგან მამულის მქონებელს ლაშქარი პირობა და სამსახური მეფისა ქონიათ.“² როგორც ჩანს, დომენტი კათალიკოსის დროს ფრანგი (კათოლიკე) ხოჯაშვილები კათალიკოსის ქვეშევრდომობაში გადასულან და სვეტიცხოვლისათვის საკმაოდ დიდი შეწირულებაც გაუღია „მას უკან ბატონს კათალიკოზს გასწყობია და სვეტისცხოვლის ჩრდილს ქვეშ შემოუყვანია და ცხრა კომლი სვეტისცხოვლისთვის მიურთმევია, თავისის საქონლებითა, სიგლებითა ხელთ მიუცია ხუთი ქალაქს და

¹ სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, ს.75, ს. 202; ფ. 1448, ს. 5041; ფ. 1449, ს. 868; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 611.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 527.

ოთხი გორს და ბატონს ქათალიკოზს სვეტიცხოვლის მემკვიდრეთ დაუწერია და სანთელი და საკმელი სამსახური დაუქმთ“ ... დომენტი კათალიკოსს „ვაჭარ-მეჭულბაკე“ ყმების მოურაობა უბოძებია, „ამათი ანუ სხვისა რაც ვაჭარი მეჭულბაკე ყმა ყოფილა სვეტიცხოველს ქალაქს, ანუ გორს, ანუ ქართლში, ანუ კახეთს, რადგან არავის ქონიათ ხელი მოურაობა თქუენთვის მიეცათ“, რომლის უკითხავად საეკლესიო მამულებში მამასახლისი და იასაული არ ინიშნებოდა. ამას გარდა ხუდადას, დაგროვილი დიდძალი ქონების მფლობელობას ხელშეუხებლობის სიგელით უმტკიცებს. მათ შორის „ბერძენაული მინდორი, ბერძენებისაგან ნასყიდი, დავითის შვილისაგან თქუენთვის მოსყიდული, ბერძენებისაგან თქუენგან აშენებული თქუენთვის სოფლად.“¹ ძალზე საყურადღებოა ამონარიდი, „პირველის წმინდის კათალიკოზის და სხუათა შემდგომთა მისთა წმინდა ქათალიკოსთ ამგვარი საფიცარი და წიგნები გქონდა განთავისუფლებისა“, რაც პირდაპირი მტკიცებულებაა ქრისტიანობამდელ ხანაში, სოფელში ბერძენთა დიდ დასახლებაზე. მათი კუთვნილი მამული ხუდადას უყიდია, როგორც ჩანს ბერძენებთან გარკვეული ხელშეუხებლობის პირობით.

მტკიცე ფიცის მიუხედავად, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან სადავო შემოსავლიანი მამულები კათალიკოსის სახლთუხუცესის, პაპუა მაღალაძის საკუთრება გამხდარა. პაპუა თავის ანდერძში საუბრობს ბერძენაულის აშენებაზე.² XVIII ს. საკათალიკოსო მამულებში ორჯელ ჩატარებულა აღწერა. 1715 წლის აღწერის დავთართ, როგორც შემდგენელი უწოდებს „მატიანე რუისის სამწყსოისას“ მიხედვით სოფ. ბერძენაულში 20 კომლია, თითოეულ კომლს „დრამა ნახევარი კოდი აძეს: ამათი სახუცო აბაზი ოთხი,“ აღწერაში ე. წ. „გადამალული“ კომლი არ მოიაზრება,

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 527-528.

² გ. ბოჭორძე, პაპუა მაღალაძის ანდერძი, საქართველოს მუზეუმის მოამბე ტ. IX-B, თბ., 1936, გვ. 55-58; ხეც. Ad-1689; Ad-1667; სცსსა, ფ. 1448, ს. 5038; ფ. 1448, ს. 5058;

რადგან აღუწერიათ სამეფო კარის ფარულად: „მე დრამისთვის ავწერე: საყდარს მოსავლის ანგარიში არ დაეკარგოსო ... ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩვენებთო.“¹

ჩვენამდე მოღწეულ 1736-1744 წლების ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერით² კომლთა რაოდენობა განახევრებულია – კომლი 9, თავი-17. დავთარის მიხედვით შესაძლებელია მოსახლეობის რეალური სოციალური მდგომარეობის დადგენა: ფურ-კამეჩი მხოლოდ 3 კომლს ჰყავს, ერთს-წისქვილი აქვს, 4 კომლი გადახდისუუნაროა, მინიშნებულია „ღარიბი“.

სუქანანთუბანი დიდგვაროვანთა და მდიდარ მოქალაქეთა უბანი უნდა ყოფილიყო, რაზეც მიანიშნებს ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის განჩინება³ და XVIII საუკუნის საციციანოს დავთარი.⁴

ძირითადად ქალაქის განაპირა მიდამოების დასახლებანი „**გარეთუბნებად**“ მოიხსენიებოდა. ივანე ჯავახიშვილი ძველ ქალაქს ოთხ უბნად ყოფს „წინა უბანი და უკანა უბანი; შუა და გარეთ უბანი.“⁵ ისინი ქალაქის ზრდასთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა.

ს. მაკალათია ქალაქ მძოვრეთის რვა უბნის არსებობას ვარაუდობდა, მაგრამ უბნებს არ ასახელებს და არც წყაროზე მიუთითებს. ორთუბნის ისტორიული შუა უბნის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე ძამის ზემო წელის

¹ ექვ. თაყაიშვილი, რუისის სამწყსოს დავთარი, 1715, ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბ., 2015, გვ. 58.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 777.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 623-625.

⁴ სცსსა, ფ.1448, აღწ.1, ს. 5041.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 36.

მარჯვენა სანაპიროზე, აბუხალოს წყლის შეერთების გზასაყართან, მდებარეობს ისტორიული სოფელი **გვერძინეთი**.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერაში“ აზუსტებს სოფლის ლოკალიზაციას: „კვალად გვეძინეთის დასავლით მოერთვის ჴევი აბუხალოსი, აქა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი, და კაცთა შეუვალი სიმაგრით. აქიდამ გარდავალს გზა გუჯარეთს.“¹ სოფ. გვერძინეთში გზა განშტოვდებოდა - ერთი გზა შედის მუხილეთში, საიდანაც გზა გადადიოდა ტანას ხეობაში, მეორე გზა მიემართება აბუხალოსაკენ და გადადის გუჯარეთში, მესამე ძამასვე მისდევდა, სათერძე-ციხისგვერდისაკენ, აქ მდებარე ნასოფლარ ძამას გავლით გზა შედიოდა გუჯარეთში, ისტორიულ თორში, გზაჯვარედინს ციხე სხლები სდარაჯობდა, (ალ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ რუკაზე სხლების ადგილზე ნაჩვენებია ძამა, რუსულ ხუთვერსიან რუკაზე² უსახელოდაა დატოვებული) მეორე შტო აბუხალოს წყალს მისდევდა. აბუხალოს დასავლეთით, გუჯარეთის გადასასვლელამდე ამ გზას ალექსის მტკიცე ციხე მეთვალყურეობდა და იცავდა „მაგარი და მჭვრეტი ქართლ-იმერეთისა ... ხოლო ადგილნი ესენი იყო უშენი ... არა არს აქა ვენახნი და ხილნი, თჯნიერ მთის ხილთა, და სხვით ნაყოფიერი მთისებრ, ბალახ-ყვავილთა, ტყითა და წყაროებითა შემკული; ნადირნი მრავალნი, წყალი კალმახით სავსე. მოერთვიან სამჭრიდან და ჩრდილოდამ ჴევნი თორის წყალსა ... სადაცა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე.“³ ალექსის ციხე გეოგრაფიულად ძამის ხეობასთან ახლოს იყო. ციხე თორელების აგებული იყო და სამცხეში გადასასვლელ გზებზე ისინი აკონტროლებდნენ. „თორელობის დაკარგვის“ შემდგომ ალექსის ციხე და მთელი

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 58.

² карта кавкаского края, составленный Д.Д. Пагиревым, 1913 г.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 60.

გუჯარეთი ფანასკერტელ-ციციშვილების მფლობელობაში აღმოჩნდა.

ვახუშტის აღწერით გუჯარეთის ხეობაში „ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა აწ შემოსვრილნი.“ ამ გზასაყარზე, გუჯარეთთან თავს იყრიდა მდინარეთა ხეობებით მოკლე და მოხერხებული გზები, რომლებიც მარჯვედ შემოდიოდა სამცხიდან შიდა ქართლში. შესაძლოა ამიტომაც მიაკუთვნა შეცდომით სამცხის მხარეს გიულდენშტედტმა სოფლები: წრომი, გვეძინეთი, სამწევრისი, ხცისი-ციხეებით, კრისისხევი, ღართა, შვლისყური, თავოეთი, ბრბონა.¹

აღ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოსულ საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზე² პუნქტი ძამა მდ. ძამის ნაპირზე სამხრეთ-დასავლეთით მძოვრეთსა და ციხისგვერდთანაა აღნიშნული. ციციშვილთა სიგელებიდან და გაყრის დოკუმენტებიდან ცნობილი სოფელი ციხისგვერდი ამჟამად მხოლოდ ადგილობრივ ხანშიშესულ მცხოვრებთ თუ ახსოვთ. 1930 წლის „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ დაყოფაში“ და არც რუსულ ხუთვერსიან რუკაზე ასეთი პუნქტი არ ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული ვერსიებია გამოთქმული უძველეს ნაქალაქარში ძამის ციხის ადგილმდებარეობის და მის სიახლოვეს პატარა სოფელ ძამას შესახებ.

ს. მაკალათია მდ. ძამის სათავეში მიაწინებდა ძამის ციხის არსებობას და იმოწმებდა ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებასაც. ნ. ბერძენიშვილის გამოთქმული ვარაუდის მიხედვითაც ძამის ციხე თავდაპირველად მდ. ძამის ხეობაში, ქალაქ მძოვრეთის გარეუბანში, სტრატეგიული მნიშვნელობის გზასაყართან, ხეო-


¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანი თურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 217.

² აღ. ჯავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფიულ-სტატისტიკური ატლასი, თბ., 1930; საქართველოს სსრ ატლასი, რედაქტორი აღ. ჯავახიშვილი თბ., 1964. შდრ. карта кавкаского края 1913.

ბიდან სამცხეში გამავალი გზის სიახლოვეს მდებარეობდა. ადგილმდებარეობის სავლელ დათვალიერებამ ერთხელ კიდეც დაგვარწმუნა ამ მოსაზრების სისწორეში.

ძამისა და აბუხალოს წყლის შესართავთან არსებულ ვიწრო ხეობაში გაღმა - გამოღმა, დღემდე შემორჩენილია სათვალთვალ-სასიგნალო და თავდაცვითი XVI საუკუნის გვერძინეთის კოშკები. ისინი შედიოდნენ ქალაქის თავდაცვის ერთიან სისტემაში, რათა დროულად გადაეცათ საჭირო სიგნალი. აღმოსავლეთიდან გვერძინეთთან - ძამის, დასავლეთიდან აბუხალოს ხეობის შემოსასვლელ გზებს კეტავდნენ, აკონტროლებდნენ და იცავდნენ ქალაქს მტრის თავდასხმებისგან.

თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე სოფ.



გვერძინეთის კოშკები

გვერძინეთის დასავლეთით ტყით დაფარულ სათერძისწყლის ხეობაში მდებარეობს ნასოფლარი „სათერძე“. ტოპონიმები „სათერძისწყალი“ და „სათერძე“ თავისი ფუნქციური დატვირთვის მნიშვნელობით ადრეფეოდალურ ხანას წინ უსწრებს და მიგვანიშნებს, რომ გვიანანტიკური ქალაქი, მძოვრეთი უძველესი დროიდანვე გარშემორტყმული ყოფილა ხელოსნური წარმოებით დაწინაურებული გარეუბნით.

სათერძე საუკუნეების განმავლობაში „ქულბაქნი ფეიქართა და მკერვლისა“ საუბნო ცენტრად დარჩენილა. სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, წყალგამყოფ მთის კონცხზე, გვერძინეთიდან 4-5კმ-ზე დღემდე შემორჩენილია XIII საუკუნის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები.¹ ეკლესია დარბაზულია (10,8×6,8 მ.) ნაშენია სულ თლილი, პირის ფერი ქვისა და კირისაგან. ძამის ხეობის საველე დათვალიერებისას ს. მაკალათიას² ნასოფლარში უნახავს XI-XII საუკუნეების ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც 1940 წლის მიწისძვრით დანგრეულა. ნანგრევებიდან ტაძრის დასავლეთის კარიბჭის მშვენიერი ჩუქურთმიანი ქვის მოზრდილი ფრაგმენტი თავად აღმოუჩენია და გაუსუფთავებია.³ მისი ყურადღება მიიპყრო ჩუქურთმიანი არშიით შემკულმა ტაძრის კარმა და სარკმელმა, რომლის კედლებს წარწერები და თამარ მეფის სახის ბარელიეფური ქანდაკება ამშვენებდა.⁴

ძამის მარჯვენა სანაპიროზე, გვერძინეთის დასავლეთით მდებარეობს მეორე ნასოფლარი „ციხისგვერდი“. იგი მდებარეობდა მდ. ძამის ზემო წელზე მდებარე ძამის ციხის მახლობლად, სოფ. სათერძეს პირდაპირ. ტოპონიმი „ციხისგვერდი“ სწორედ გვიან-

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 388-389;

² სერგი მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი, გსიემ - 7463/1-31;

³ გსიემ 7463 / 86;

⁴ გსიემ 7463 / 40.

ანტიკური პერიოდის ძამის ციხის სიახლოვეს („გვერდით“), ამ სოფლის მდებარეობას უკავშირდება.

სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს გვეძინეთთან სიახლოვეს ციხის არსებობას: „მძორეთს დასავლეთს, გვერძინეთს ... აქა არს ციხე. კვალად გვეძინეთის დასავლეთით მოერთვის ჳევი აბუხალოსი ...“¹ სოფ. ციხისგვერდს ციხიად მოხსენიებს გვერძინეთის სოფლების ჩამოთვლისას, თუმცა ციხეს სახელით არ მოიხსენიებს და არ აღწერს. ამ სოფელს იოანე ბატონიშვილიც ციხიად მოიხსენიებს ქართლ-კახეთის აღწერაში.²

ს. მაკალათია უძველეს ძამის ციხეს და საბაჟოს სწორედ ნასოფლარ ციხისგვერდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, გვერძინეთის სიახლოვეს ვარაუდობდა.³

გვერძინეთ-ციხისგვერდის უბანი ძამის ზემო წელზე გამავალ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სატრანზიტო გზასაყართან დიდ სავაჭრო და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა.

ამდენად, ადგილობრივი ტოპონიმები ერთ-ერთი უძველესი, ამასთან სანდო და უტყუარი პირველწყაროა, ნაქალაქარის სოციალურ-ეკონომიკური ყოფა-ცხოვრების რეალური ისტორიის და აშკარად მიგვანიშნებს, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქის მსგავსად, მძოვრეთი ცალკეული დასახლებების გაერთიანების გზით ჩამოყალიბებული ქალაქია. მისი განაპირა დასახლებანი დამოუკიდებელ სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ახალ ვითარებაში ქალაქის ზრდასთან ერთად, უბნების სახით ორგანულად დაუკავშირდნენ.

გვერძინეთ-ციხისგვერდის ახლო ტერიტორიაზე ლოკალიზდება ციხესთან ერთად მონასტრის არსებობა, რაზეც მნიშვნელობა

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 58.

² იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიუბელი დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედომვილმა, თბ., 1986, გვ. 32-33.

³ ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ. 43.

ურბნისის ეპარქიის საბუთებიდან ვახტანგ VI-ის 1712 წლის განახლებული „ყმისა, მამულისა და სამწყოს შემოწირულების“ გუჯარი ურბნისის ეპისკოპოს ელისესადმი. ამ პერიოდში მეფისგან დასჯილ-შევიწროვებული ციციშვილები კარგავენ არა მარტო ქვემო საციციანოს, არამედ სტრატეგიული მდებარეობის მამულებს ზემო საციციანოში.¹ სიგელში ჩამოთვლილია სოფლები, „ჟამთა ვითარებისაგან დაკლებულ იყო, გუჯრები დაჰკარგვოდა. მოგვიდგა კართა დარბაზისა ჩვენისათა ჩვენგან დადგინებული იშხნელი ურბნელ ეპისკოპოზი ელისე და გუჯრის განახლებას გვიაჯა ... და აწ ამ გუჯრით განვუახლეთ ... სამართლიანის სამძღვრითა, მითთა, ბართა, წყლითა, საწყლისპიროთა ზვრითა, ხოდაბუნითა ... ერთის ლაშქარ-ნადირობისა და საურისაგან კიდე არა ეთხოვბოდეს“, რომელთა შორისაა ციციშვილთა სოფლები და მეფის წინაშე ეპისკოპოსის ნაკისრი მოვალეობები: „კიდევ გუჯარეთს ერთი ნასოფლარი გვეძინეთიდამ რომ გზა გარდავა ციხესთან რომ ნასოფლარი არის. ესენი თავეთის მთა-მითთ, ბართ და ყ-ის მათის სამართლიანის სამძღვრით და მამულითა. და გაგვიკეთებინებია მონასტრის სამრეკლო და გალავანი. შიგნით კანკელი და დახატული და ხატებით შემკული“.² ამდენად, ზემოაღნიშნული წყაროები და ტოპონიმები ცხადად მიანიშნებს ციხის არსებობას, რომლის თავდაპირველი მშენებლობა სავარაუდოდ ქალაქის დაარსებას უნდა უკავშირდებოდეს.

გვერძინეთის ჩრდ. დასავლეთით საველე დათვალიერებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო **სარკინეთმა**. მდიდარი, მრავალმხრივი და სარწმუნო ინფორმაციის შემცველი ტოპონიმი რკინის მადნის შემცველი ქანების არსებობაზე უნდა მიანიშნებდეს. ცნობილია,

¹ მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 95-101.

² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III, (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 45.

რომ თავდაპირველად ქალაქის უბნების უმეტესობა დამოუკიდებელ დასახლებებს წარმოადგენდა და ქალაქი სწორედ ცალკეული დასახლებების გაერთიანების გზით ყალიბდებოდა. ვფიქრობთ, ქალაქის ამ უბანში, სარკინეთშია სამიებული ნაქალაქარ მძოვრეთის **მჭედელ-მეტალურგთა უბანი**.

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს 1722 წლის „ღმრთაების გუჯარი“, რომელშიც დაცულია საინტერესო ცნობა მძოვრეთის სამთო საქმიანობაზე. მართალია, ავტორი ერთი მხრივ მძოვრეთს სოფლად მოიხსენიებს, მეორე მხრივ მის სტრატეგიულობას, ბუნებრივ სიმდიდრეს, სამეწარმეო საქმიანობასა და შემოსავლებს უყურადღებოდ არ ტოვებს. იმავდროულად ავტორისთვის ცნობილია ფანასკერტელ-ციციშვილთა შეუვალობა და იცის, სამეფო კარის მოხელეებსაც არ მიუწვდებათ ხელი მძოვრეთის სიმდიდრეზე. დოკუმენტში ვკითხულობთ: „... სოფელი მძოვრეთი პირველადვე სამკვიდროდ მეფეთაგან შენაწირნი არის საყმოდ მთიან-მინდვრიანად, წყლიან-ტყიანად, რომელ ჩვენნი კარის მოსაქმენი არად არას მოსაქმე არიან მას მძოვრეთსა ... ამათნი სამთონი და ბარის საბალახენი, ბაჟნი, სამღებრონი ... ჩვენთა მოკვლეთა არა-რა საქმენი უძე[სთ] მუნით. და უკეთუ ვინმე მესარჩლენი დაიცილონ მძოვრელთა მათთა ანუ ბართა, მისახნენ ჩვენნი მწიგნობარნი და ფიცნი მძოვრელთა უბრძანეთ, თვისნი ალაგნი იფიცონ ხატსა თვისსა ზედა“.¹ რა სიმძლავრის სამთამადნო კერა შეიძლება ყოფილიყო, ამაზე ცნობები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. ფაქტიურად, სამთამადნო წარმოება უზრუნველ-ყოფილი იქნებოდა ახლომდებარე „სანახშირე“ ტყის მასივების სიუხვით და წყლის რესურსით. ცხადია, სამთამადნო წარმოებაში მადნის გამოღებისა და მისი შემდგომი დამუშავების პროცესების ფაქტიური მონაცემები აისახება როგორც შრომის იარაღებში, ასევე

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966. გვ. 364-365.

საბრძოლო იარაღის არსენალში, რომლის გამოვლენა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრებით არის შესაძლებელი. რაც შეეხება ზღუდერის სამაროვანზე აღმოჩენილ ლითონის ინვენტარს (ბრინჯაოს და რკინის ისრისპირები, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები, საკინძები, მახათები, რკინის ანჯამები, საბეჭდავი ბეჭდები, რკინისა და ბრინჯაოს საცეცხლურები, რკინის სანათურები, რკინის დანები, ცხენის აღკაზმულობანი და სხვ.), მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს ნამდვილად სარწმუნოს ხდის.

ჩვენს მოსაზრებას ასევე გვიდასტურებს, 1904 წელს გუჯარეთისხევის ნასოფლარ თელოვანში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების განძი. სამარხში ბრინჯაოს იარაღებთან ერთად აღმოჩენილი იქნა ჩამოსასხმელი ყალიბები და ბრინჯაოს ზოდები. მის სიახლოვეს გუჯარეთისხევაში ნასოფლარ „გვერდისუბანთან“ მდებარე მთის სახელწოდება „მადანი“ და მის სიახლოვეს სოფ. ტყემლოვანას მდებარეობა „მადანის წყალზე“ - ადასტურებს ლითონის საბადოს უძველესი კერის არსებობას. სავარაუდოდ, ძამის ხეობისა და გუჯარეთის ხეობის მოსახლეობისთვის მეორე სამთამადნო კერა იქნებოდა. ხეობის სიახლოვეს სამთამადნო კერის სიმძლავრეზე მიანიშნებს ქალაქ ურზნისის¹ არქეოლოგიური გათხრებისას სამარხში აღმოჩენილი ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები და არქეოლოგ ი. გაგომიძის მიერ დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი რკინის ბეგთარი.

ვფიქრობთ, მათი წარმოება მძოვრეთის მჭედელთათვისაც უძველესი ტრადიცია უნდა ყოფილიყო, რომელთა კვალს გამოავლენს სამომავლო არქეოლოგიური გათხრები.

ჩვენ მიერ საველე კვლევით დადგენილი ქალაქის უბნები ერთმანეთთან ფიზიკურად დამორებული დასახლებული პუნქტებია, რომლებიც გამოირჩეოდნენ განსხვავებული საქმიანო-

¹ ლ. ჭილაშვილი ნაქალაქარი ურზნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 96.

ბით, მაგრამ საწარმოო და სავაჭრო საქმიანობა მჭიდროდ აკავშირებდათ ერთმანეთს. ქალაქის გავლენის არეალში არსებული გარეუბნები (ზოგიერთი წყაროს მიხედვით „ზემოუბანი“) კი მუდამ იცვლებოდა მისი განვითარებისა და გაფართოების შესაბამისად.

ადგილზე ჩატარებული შესაბამისი ზედაპირული კვლევები, ზემოაღნიშნული სოფლების გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული წყაროები, ტოპონიმიკის მონაცემები და ზღუდერის არქეოლოგიური გათხრების მასალები მყარ საფუძველს იძლევა გვიანანტიკური ქალაქის ჩრდილოეთ საზღვრის ლოკალიზაციაზე და მდ. დამის ზემო წელზე მდებარე გარეუბნებზე (სათერძე, სარკინეთი, გვერძინეთი, ციხისგვერდი).

ამრიგად, დაახლოებით გამოიკვეთა ისტორიული მძოვრეთის უბნები: **წინაუბანი - ზღუდერი, შიდა უბნები: სუქანაანთ უბანი, ურიათუბანი, აბანოთ უბანი, ბერძენ-რომაელთა უბანი** (სომეხთა უბნის არსებობა XVIII საუკუნემდე წერილობითი წყაროებით არ დასტურდება¹) და **გარეუბნები (ზემოუბნები): სათერძე, სარკინეთი, გვერძინეთ-ციხისგვერდი**. საზღვრების ზუსტი ლოკალიზაცია ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების გარეშე შეუძლებელია, ამას ემატება ნარატიულ წყაროთა სიმწირე, რომელიც მეტის გამოუქების შესაძლებლობას არ იძლევა. ნანგრევების სახით შემორჩენილი ისტორიული ძეგლების სიმრავლე კი გადაუდებელ საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყების აუცილებლობას საჭიროებს.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 58; შდრ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 273, 279; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 54.

თავი III

არქეოლოგია მძოვრეთის შესახებ


1. ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიცია (1964-1966 წწ.)

ნაქალაქარ მძოვრეთის საზღვრების და უბნების ლოკალიზაციაზე წარმოდგენას გვიქმნის 1964-1966 წლების ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები (ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. ნემსაძე).¹ არქეოლოგიური ექსპედიცია დაიგეგმა სოფ. ზღუდერში მცხოვრები თ. მედოშვილის ცნობის საფუძველზე. გადაუღებელი წვიმებისაგან ადიდებული მდინარე იმერხევის წყალი (ღვანანა) გადავარდა მდ. ძამაში (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) და ჩამორეცხა მისი მოპირდაპირე მარცხენა ნაპირის მოზრდილი ბორცვი, საიდანაც გამოჩნდა საინტერესო, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა.

ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ, თ. კილურაძე, ვ. ჩაგუნავა, ალ. ჯავახიშვილი, ლ. ლლონტი, ლ. საგინაშვილი, მ. მენაბდე, გ. ჯავახიშვილი, ქ. ჯავახიშვილი, ე. გოგაძე, ლ. ფანცხავა, ა. აბრამიშვილი და მ. მემმარიაშვილი, ზღუდერში აღმოაჩინა სამი ადგილობრივი წარჩინებულის მდიდრული სამარხი, რომელსაც მკვლევრები ათარიღებენ ახ. წ. 200-250 წლებით.

სამარხებში აღმოჩენილი რომაული წარმოშობის საგანძურის შესახებ სპეციალისტები არ გამორიცხავენ რომში ფარსმან II-თან ერთად ზღუდერის წარჩინებულთა მონაწილეობას და გამოთქვამენ

¹ დ. ბრაუნდი, ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, საგანძური ზღუდერიდან, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250 წწ.) თბ., 2009, გვ. 3, 54, 93-94. Г. М. Немсадзе погребения иберийской знати из згудери. Академия наук сср институт Археологии Краткие сообщения средневековые древностиб москва 1977, стр. 108-114.



ზღუდერის სამი მდიდრული გვიანანტიკური პერიოდის სამარხი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველო - ლოს მუზეუმის წინაფეოდალური ხანის, დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია 190-65;

მოსაზრებას, რომ აქ აღმოჩენილი მრავალი ოქროს მონეტა, ალბათ, მათ საჩუქრების სახით მიიღეს რომის იმპერატორებისგან. ეს მონეტები ღირებულება არა მარტო იმიტომ, რომ ოქროსია, არამედ ისინი წარმოადგენენ იმპერატორთა გამოსახულებების შესანიშნავ ნიმუშებს და მეტყველებენ იმპერატორთა სამეფო გულუხვობაზე. ეს პასაჟი გავრცელებული იყო ახ.წ. I ს. რომის იმპერიაში და თავად იბერიის სამეფოში.

ვერცხლის ჭურჭელთან ერთად იმპერატორის გამოსახულებიანი ოქროს მონეტები დიპლომატიური საჩუქრების სახითაც გაიცემოდა იმპერატორისაგან ახ.წ. I საუკუნიდან IIIს. შუახანებამდე (როცა მათი აღმოჩენები წყდება), თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ თვით იბერიის მეფეებს მიეგოთ ასეთი პატივი ერთგულ ქვეშევრდომთათვის წარწერით, თუ წარწერების გარეშე.

ფაქტიურად ეს იყო პოლიტიკური კონტროლის და შიდა დიპლომატიის ეფექტური ხერხი, რომელიც იმეორებდა საჩუქრის გაცემის ტრადიციას, როცა იბერიის მეფეები და სხვა გამოჩენილი

პირები იღებდნენ ძღვენს რომელი იმპერატორებისგანაც.¹ რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ძამის ხეობის წარჩინებულ ელიტას შესაძლოა რომის იმპერატორის კარზე მიეღო, როგორც მეფის ამალის წევრს, ან იბერიის მეფისაგან, ერთგულების თუ საგანგებო დამსახურების გამო.

ზემოაღნიშნული შენიშვნები აძლიერებს ჩვენს მოსაზრებას, რომ მძოვრეთის დიდგვაროვანი ელიტა იბერიის სამხრეთი საზღვრის „მონაპირე“ პიტიახშ-ერისთავები იყვნენ, რომელთაც ევალებოდათ ძამის ხეობაში შემოსასვლელი გზების გაკონტროლება და დაცვა.


ზღუდერის აღმოჩენები მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საკვლევი თემისთვის, რომელმაც არაერთი ფაქტოლოგიურ - ქრონოლოგიური ხასიათის კორექტივი შეიტანა როგორც მძოვრეთის ქალაქის დაარსების ისტორიაში (ახ. წ. II-III სს.), ასევე მძოვრეთის წინაქრისტიანული, ელიტარული საზოგადოების ცხოვრების წესში.

ზღუდერის უნიკალური საგანძურის 1964-66 წლების აღმოჩენა თითქმის უცნობი და სათანადოდ შეუფასებელი დარჩა ფართო საზოგადოებისთვის. ეს მაშინ, როცა არქეოლოგები თავიდანვე მიანიშნებდნენ, რომ ზღუდერის სარკოფაგებში დაკრძალული იყო იბერიის წარჩინებულთა საგვარეულო, დაახლოებით იმავე რანგისა, როგორც არმაზისხევის პიტიახშეები. ქ. ჯავახიშვილის, გ. ნემსაძის, დ. ბრაუნდის ხანგრძლივმა კვლევამ შედეგი გამოიღო.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემულმა ილუსტრირებულმა სამეცნიერო წიგნმა² ამცნო ქართულ და უცხოურ სამეცნიერო საზოგადოებას, ზღუდერის უნიკალური საგანძურის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდის წარჩინებულ პიტიახშთა ყოფასა და საქალაქო ცხოვრებაზე წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა,

¹ დ. ბრაუნდი, ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, საგანძური ზღუდერიდან, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250 წწ.) თბ., 2009, გვ. 21.

² იქვე, გვ. 3, 54, 93-94.



ტაბ. I. 1964-1966 წლების ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ხეობაში აღმოჩენილი ყორღანები

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის წინაფეოდალური ხანის, დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია 190-65;

წერილობითი წყაროების მწირე ცნობებთან ერთად უნიკალური, ავთენტური პირველწყაროა ჩვენი საკვლევე თემისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ, დაწვრილებით გავცნობოდი და მკითხველისთვის წარმოგვედგინა ზღუდერის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამარხებისა და სამარხული ინვენტარის უნიკალური განძის აღწერილობა, სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით

შეგვეფასებინა მათი მნიშვნელობა ნაქალაქარის დღემდე უცნობი ისტორიის სრულყოფილი რეკონსტრუირებისათვის.¹

¹ ფიჭვის ხის № 1 სარკოფაგისგან გადარჩენილი ნაწილების მხოლოდ მცირე კვალი შემორჩენილიყო. სარკოფაგის გარეთ აღმოჩნდა უნიკალური ვერცხლის ჭურჭელი: ორი ვერცხლის ლანგარი, რომელთაგან ერთი ფიჭვის გირჩებიანი დეკორით გამოირჩევა. ვერცხლის დოქი და მინის ჭურჭელი არწივის გამოსახულებიან ლანგარზე იდო ორი ოქროს მილაკი ამოზიდულ თვალებზე ჩასმული ლალის თვლებით.

აქვე აღმოჩნდა მოყავისფრო-მოწისფერი მინის სანელსაცხებლე „ორთავა კოლბა“, ორთავე მხარეს რელიეფური მორთულობით, მინის თასის ფრაგმენტები, მინის ცისფერი მძივი. ნივთები სარკოფაგიდან 1მ. რადიუსით აღმოჩნდა, რაც დამაჯერებლად მოწმობდა, რომ ისინი ამოიყარა ფლატის ჩამოშლის დროს.

ნახშირიან ფენაში გათხრილ სამარხში მიცვალებულის ჩონჩხზე აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი, კაბრიასის და მატრონას გამოსახულებით. ოქროს მავთულ-ხვეული რგოლისებრი სამაჯურები და ასეთივე ოქროს ბეჭედი, არწივისა და კურდღლის ინტალიოთი. ვერცხლის ხუთი რომაული მონეტა გორდიან III-ის აურეუსი მოჭრილი ახ. წ. 240წ. ამათგან ყველაზე გვიანი ალექსანდრე სევერუსის პერიოდის (ახ. წ. 228 წ.) კარაკალას (211-217 წწ.) ოქროს მონეტა, ერთი კომოდის (180-192 წწ.) გოტარზე პართელის (ახ. წ. 40-51 წ.) პართიული 5 დრაქმა და ავგუსტუსის 4 დენარი იყო. აქედან გამომდინარე, მკვლევარების ვარაუდით სარკოფაგი ახ. წ. 230 წ. ფარგლებში ჩაუდგამთ.

20 მეტრის დაშორებით, მის ჩრდილოეთით აღმოჩნდა № 2 სარკოფაგი ორი მიცვალებულის ჩონჩხით, რომელთაგან ერთი ადრეული პერიოდის ცუდად შემონახული იყო.

მეცნიერებს გაუჭირდათ დადგენა რა ნივთები დაამატეს მეორადი დამარხვის დროს.

მარჯვენა მიცვალებულს, რომლის ჩონჩხი კარგად იყო შენახული, თავი ედო ვერცხლის პინაკზე, რომლის ძირზე გამოსახული იყო ცეცხლიანი ზომონის-საკურთხევლის წინაშე მდგარი ტორაწეული მოოქრული ცხენი. მარჯვენა ხელთან იდო მეტად ორიგინალური ბრინჯაოს საცეცხლური, რკინის სანათური გირჩით და თიხის ცალყურა ქოთანნი.

მდიდრულ სამარხებულ ნივთებში საყურადღებოა იმპერატორ გორდიან III-ის (ახ. წ. 240 წ.) ოქროს მონეტა, რომელიც მიცვალებულს პირში ჰქონდა ჩადებული (როგორც იმპერეციური ცხოვრებისაკენ მიმავალი გზის გადასახდელი საზღაური „ქარონის ობოლის“ მსგავსად, რაც მდინარე სტიქსის გადასასვლელად, ქვესკნელში შესვლის საფასურად იყო განკუთვნილი. მარჯვენა მარჯვნივ ეკეთა ოქროს რგოლისებრი მავთულ-ხვეული სამაჯური. მარცხენა ხელზე ე. წ. გრილოსის

(მითითური ქმნილება) ბეჭედი. ასევე ოქროს ბეჭედები (5 ცალი). მართკუთხა ფორმის ბრტყელი ოქროს ფირფიტა (5 ცალი) და ოქროს საკიდი საყურეები რომელსაც, არქეოლოგები „არმაზისხევურსაც“ უწოდებენ, რადგან მათი ანალოგი არმაზისხევის სამარხებში აღმოჩნდა.

რაც შეეხება ოქროს ფირფიტებს, მათი გარკვევა არქეოლოგებისთვის საერთოდაა გახდა თუ რა ნივთები დაამატეს მეორადი დამარხვის დროს. მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეს სარკოფაგი უკვე გამოყენებული იყო, სანამ აქ ამ მიცვალებულს ჩასვენებდნენ, მასში აღმოჩნდა მეორე ჩონჩხის ნაშთი. ძვლები მიხვეტილი იყო კუბოს ზედა კუთხეში, რომ ადგილი გამოეთავისუფლებინათ მეორე მიცვალებულისთვის. მის მარჯვნივ იდო ვერცხლის ლანგარი ძაღლის და ტახის გამოსახულებით. ლანგარზე იდო „რადაც ნეკნები“, როგორც მოიხსენიებენ არქეოლოგები.

არქეოლოგების შეფასების მიღმა დარჩენილმა ამ არტეფაქტმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. სავარაუდოდ, „რადაც ნეკნები“ შესაძლოა საკრალური მნიშვნელობის იყოს და უკავშირდებოდეს შუმერულ მითოლოგიას, („ენქი და სამყაროს შექმნა“) ადამიანის თიხისაგან გამოძერწვას და მისი ნეკნის დაკავშირება ქალთან- ქალღმერთ ნინმახთან (ნინთი-რაც „ნეკნის ქალსაც“ ნიშნავს). ეს მითოლოგიური სიუჟეტი აისახა ძველ აღთქმაშიც. ან მეორეს მხრივ ხომ არ იყო შუმერულ-აქადელთა შეხედულების, ადამიანის დანიშნულების „...დემერთა სამსახურისთვის“ მზადყოფნის საკრალური ნიშანი. აღნიშნული მოსაზრებანი სამომავლო კვლევის მნიშვნელოვან საკითხად მიმაჩნია.

ამავე ლანგარზე იდო ალექსანდრე სევერუსის (ახ. წ. 228 წ.) ოქროს მონეტა და ბეჭედი - გელლოსის ინტალიო. ამ მიცვალებულს გიშრის და გრანიტის რამდენიმე მძივი და ერთი გრძელი ცისფერი მინის ექვსწახნაგა მძივი ჰქონდა. აქვე მინის ნაწარმის ორ ფრაგმენტი. რომელიც მსგავსია ბერძნული ჭურჭლის და III-IV საუკუნეებით თარიღდება. მკვლევარები ვერცხლის ჭურჭლის დეკორის მიხედვით და ნუმისმატიკური მასალით უპირატესობას III საუკუნით დათარიღებას ანიჭებენ (ახ. წ. 240 წ. შემდგომი პერიოდით) ათარიღებენ. სარკოფაგის ხის ძელების ნაშთი ზოლად გასდევდა სამარხის ნაწილს. ხის კონსტრუქციასთან არის დაკავშირებული რკინის ორადმოკეცილი 9 ანჯამა და 2 თავბრტყელი ვერცხლის სამსჭვავილი.

სარკოფაგში აღმოჩნდა ჭრაქის ნატეხები და საკმაო დაქანგული უნიკალური სანათური, რომელსაც შუაში 13 სმ. დიამეტრის მთლიანი ჯამი და გარედან მირჩილული სამი მაღალი ღერო ჰქონდა. ქვედა ნაწილში ღეროები ფეხებს წარმოადგენს, ზედა ნაწილში, ხელის მოსაკიდებლად კუთხით ერთდებოდნენ. სანათურის საერთო სიმაღლე 34 სმ-ია.

მეორე სარკოფაგიდან 80 მ. დაშორებით, ბორცვის დასავლეთ მხარეს აღმოჩნდა ვერცხლის დასამარხი სარეგლის ფრაგმენტები, რაც მიანიშნებდა №3 სარკოფაგის

ზღუდერის სამაროვანზე აღმოჩენილ ღარიბულ სამარხებში მოპოვებული ინვენტარი ამკარად მიანიშნებს სამაროვანზე დაკრძალულთა ქონებრივ უთანასწორობაზე. იბერიის სოციალური

ადგილმდებარეობას, სადაც ორი მიცვალეული ერთდროულად იყო დასაფლავებული.

მარჯვენა მიცვალეულის მკლავი გადახვეული იყო მარცხენა ცხედრის მკლავზე. ორივეს თავსახამები ეხურათ. ორივე მიცვალეულის თავთან მიმოხვეული იყო ოქროს კილიტები.

მარჯვენა მიცვალეულს ორივე მაჯაზე ოქროს სამკაული ეკეთა, პატარა ოქროს ზარის ფორმის სამკაულისგან შედგენილი, თითო მაჯაზე 10 ცალის ოდენობით, სპეციალისტები ვარაუდობენ მაჯების საკერებლები ყოფილიყო. მასვე ეკეთა მოზრდილი ოქროს ბეჭდები და საყურეები, რომლებსაც ვერძის თავები ამშვენებდათ. მარცხენა მიცვალეულს ეკეთა შესანიშნავი კამეო-გულსაკიდი. ორივე მაჯაზე ეკეთა ოქროს ჯაჭვი, რომელიც გულსაკიდი ჯაჭვის მსგავსი იყო. მიცვალეულს ასევე ჰქონდა ბეჭედი ინტალიოთი.

აქვე აღმოჩნდა უნიკალური ვერცხლის ჭურჭელი, არმაზული წარწერებით. პატერა, (ჭურჭელი ღმერთებისთვის ღვინის შესაწირავად) საიდანაც ამოვიდა მრავალფეროვანი ვერცხლის ჭურჭელი, ორი ვერცხლის თასი, ვერცხლის ლანგარი, კოვზები და ბრინჯაოს სურა. საყოფაცხოვრებო ნივთები, ვერცხლის ბალთა, ვერცხლის ლურსმანი, ვერცხლის „სარჩული“ ვერცხლის აბზინდები და შესაკრავი მოწყობილობები, ასევე რკინის ნივთები(ისრისპირები, დანის ნატეხი, ლურსმანი). სხვადასხვა ფერისა და ფორმის მინის ჭურჭელი, ნაწილი მხოლოდ ფრაგმენტების სახით.

გამორჩეული და მეტად საინტერესოა ვერცხლის პატარა ბიუსტი - ლომის ქანდაკება. მის თათებთან ოქროს ოთხი მონეტას მიაკვლიეს არქეოლოგებმა. სამარხში აღმოჩენილი 4 ოქროს მონეტადან, ყველაზე ადრეული დომიციანეს (ახ. წ. 77-78 წწ.) აურუსის, მარცხენა მიცვალეულს პირში ედო, ხოლო ფაუსტინა უფროსის (141-176 წწ.) ოქროს მონეტა მის ზურგს უკან. მარჯვენა მიცვალეულთან აღმოჩნდა ანტონინუს პიუსის მონეტა (138-161 წწ.) 28 ცალი ავგუსტუსის დინარი ძვ. წ. 31-ახ. წ. 14 და კომოდუსის (180-192 წწ.) დენარი და ხუთი ვერცხლის პართული დრაქმა.

ამრიგად, ოქროს მონეტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა გვიჩვენებს, რომ მესამე სარკოფაგი ყველაზე ადრეული ხანისაა. აქ აღმოჩენილი მონეტებიდან ყველაზე გვიანი მიეკუთვნება იმპერატორ კომოდუსს ახ. წ. 190 წ. რომლის მიხედვით თარიღდება №3 სარკოფაგის ჩადგმის თარიღი. მკვლევართა მიერ დადგენილ იქნა, რომ პირველად ჩაუდგამთ სარკოფაგი №3, ახ. წ. 200 წლის ახლოს. შემდეგ მოდის სარკოფაგი №1, დაახლოებით ახ. წ. 230 წლისთვის და ბოლოს გაუმართავთ სარკოფაგი №2, დაახლოებით ახ. წ. 250 წლისთვის.

წყობის შესახებ საინტერესო ცნობები დაცულია სტრაბონის გეოგრაფიაში: „ასევე ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი [გვარია] და პირველი, რომლისაგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე[ამ გვარიდან] მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე[გვარი] არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე [გვარი] არის არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე[გვარი]არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი, ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა.“¹

მდ. ძამის ჩამორეცხილ ფლატის ნაპირთან, ჩამოშლილი სამარხის ნახშირიან ფენასთან, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გათხრების დაწყებამდე იპოვეს მდიდრული სამარხის ინვენტარის ნაწილი. მათი ცნობით, გათხრების დაწყებამდე მიცვალებულთან ასევე უპოვიათ ვერცხლის სურა, ბალთებიანი ქამარი და ვერცხლის ფულები. 1965 წელს თ. მედოშვილმა გადასცა გ. ნემსაძეს სარდიონის მძივები სხვადასხვა ფერის და ზომის 72 ცალი. 12 ცალი მოგრძო ექვსწახნაგა ფორმისაა, 9-ცალი სხვადასხვა ზომის კასრისებური ფორმის. № 1 სარკოფაგს მიაკუთვნებს არქეოლოგი გ. ნემსაძე აღმოჩენილ სამარხულ ინვენტარს: ვერცხლის აბზინდები და ცხენის სხვადასხვა შესაკრავი მოწყობილობის ნაწილები, ფართოდ ცნობილი გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან, ოქროს წყვილი მოთვალული დუგმა, ვერცხლის გარსაკრავიანი სარეცლის დაშლილი ფეხები და მასთან დაკავშირებული წვრილი ლურსმები, ვერცხლის თავბრტყელი სამსჭვალი, მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვ. ამავე სამარხს მიაკუთვნებენ გათხრებამდე აღმოჩენილ დაუდგენელი წარმომავ-

¹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, წიგნი XI, 3 თავი, გვ. 129-130.

ლობის ორიგინალურ ნივთებს: ბრინჯაოს გრიფონს და ბრინჯაოს ხარისთავიან საცეცხლურებს.

სპეციალისტთა მოსაზრებით, ზღუდერზე აღმოჩენილ რამდენიმე ნივთს ახლო პარალელი არ მოეძებნება მსოფლიო არქეოლოგიაში. მათ შორის ღირსშესანიშნავია, დაუდგენელი წარმომავლობის ღია ფერის ბრინჯაოს **გრიფონი,* (იხ. დანართი 4.2)** ცხენისმაგვარი კისერით და ლომის კუნთოვანი, კარგად გამოძერწილი სხეულით, საკმაოდ დელიკატური ფრთებით, არწივის ნისკარტით და თხის მსგავსი წვერით.

გრიფონი - ფანტასტიკური, მითოლოგიური არსება ფ. აკერმანის მიხედვით განასახიერებდა მზის ორმაგ სახეს,¹ მიწასა და ცაზე სიმბოლური გამოსახულება. მზის სტიქიის ორი მთავარი არსების, არწივის და ლომის ერთ არსებაში გაერთიანება განასახიერებდა მზის სიძლიერეს. აღიქმებოდა ბოროტ ძალებზე გამარჯვების სიმბოლოდ. მკვლევარებმა უცნაურად ჩათვალეს გრიფონის მდგომარეობა.² საყრდენის გარეშე მას დგომა არ შეეძლო, ვარაუდობენ ის დიდი ანსამბლის ნაწილი იყო, მაგრამ არ ჩანდა ნიშნები, რომ ის რაიმეზე იყო მიმაგრებული. ფაფარზე ემატებოდა ხუთი პატარა ბრინჯაოს ნაწილი, მათგან მხოლოდ სამია შემორჩენილი. ყოველი ნაწილი შეიცავდა პატარა ხვრელებს, მაგრამ მკვლევარები ვერ ადასტურებენ რომ ისინი განკუთვნილი იყო დიდ საგანზე მისამაგრებლად, ან რა ნივთზე უნდა ჰქონოდა აწეული ფეხი დაბჯენილი.

სპეციალისტების ვარაუდით, გრიფონებს ხშირად აწეული წინა ფეხი ბორბალზე აქვთ დაყრდნობილი. ბორბალს შესაძლოა ჰქონდა ზოდიაქოს ნიშნებიც. ამით გამოიხატებოდა დროისა და

¹ Ph.Ackerman, Sasanian Seals, dans AU Pope. A Survey of Persian Art, 1938 / 39, p. 795.

* გრიფონი მითოლოგიური არსებაა, რომელიც აერთიანებს ცხოველთა და ფრინველთა მეფეების თვისებებს.

² დ. ბრაუნდი, ქ. ჯავახიშვილი. გ. ნემსაძე, საგანძური ზღუდერიდან, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250 წწ.) თბ. 2009, გვ. 93.

ბედისწერის მოძრაობა. გარდა ამისა, გრიფონი და ბორბალი ქალ-ღვთაება ნემესიდას სპეციალური ატრიბუტი იყო. ქალ-ღვთაებას ძირითადად შურისძიების აღმსრულებლად მიიჩნევდნენ, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი როლი ადამიანის ბედის წარმართვაში, რადგან იგი ძალიან ახლოს დგას ქალ-ღვთაება ფორტუნასთან.

ბრინჯაოს გრიფონი იშვიათია საქართველოს ტერიტორიაზე. ზღუდერის არქეოლოგიური გათხრებიდან აღმოჩენილი იშვიათი არტეფაქტები გვიანანტიკური ქალაქ მძოვრეთის ისტორიას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ეს აღმოჩენა სირიასთან იბერიის ისტორიულ კავშირებზე მიანიშნებს და მის შემოტანას მკვლევარები ახ. წ. III საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ. იგი გამოისახებოდა რომაული სასახლეების პორტალებზე, როგორც ბოროტ ძალებზე - ლომებზე, გველებზე, გამარჯვების სიმბოლო.

2. ტორეტიკული ძეგლები ზღუდერის სამარხებიდან

გვიანანტიკურ ეპოქაში ლითონის პლასტიკას - ტორეტიკას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის - კ. მაჩაბლის მოსაზრებით, გვიანანტიკურ ვერცხლს განსაკუთრებული ღირებულება აქვს, იმის გამოც, რომ II-III საუკუნეთა მხატვრული ვერცხლი, განსხვავებით I საუკუნის ძეგლებისაგან, საკმაოდ იშვიათია ევროპის მონაპოვრებში.¹ სწორედ ამ პერიოდისაა ზღუდერში აღმოჩენილი მრავალფეროვანი ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც დიდი ოსტატობით და დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული. ფუფუნების საგნები და სარიტუალო ნივთები მით უფრო საინტერესოა, რომ „დიპლომატიური“ საჩუქრების სახით არის მიღებული. ორიგინალობით გამორჩეულ ადგილობრივ ვერცხლის ნაწარმზე ასახულია

¹ კ. მაჩაბელი, ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983, გვ. 9.

გვიანანტიკური ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენციები. მეორე ნაწილი ჩვეულებრივი სახმარი სუფრის ჭურჭელია, რომელსაც რომაული ელინისტური გავლენა ატყვია და ადგილობრივი ნაწარმია. ზოგჯერ სხვადასხვა ადგილას შექმნილი ტორევიტიკული ძეგლები ისე ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ ძნელი ხდება მკაფიო ზღვარის გავლება რომაული წარმოშობის იმპორტისა და მისი მიბაძვით შექმნილ ადგილობრივ ნაწარმოებს შორის. აღმოჩენილი არტეფაქტები ყოველთვის არ ემთხვევა სამარხის დათარიღებას, სადაც უმეტესად ხვდებოდა დიდი ხნის განმავლობაში ნახმარი ვერცხლის ნივთები. კ. მაჩაბელი პლინიუსის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ მოდა ვერცხლის ნივთებზე ხშირად იცვლებოდა, ძველ ვერცხლეულს ხშირად გადაადნობდნენ ხოლმე ახალი, უფრო თანამედროვე ფორმის ჭურჭლის შესაქმნელად. მიუხედავად ამისა, ვერცხლის ძველი ფორმები საკმაოდ დიდხანს არსებობდა და დათარიღება მხოლოდ ფორმის მიხედვით მტკიცე დასაყრდენს არ იძლეოდა. ამის გათვალისწინებით კ. მაჩაბელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ვერცხლის ორნამენტულ სამკაულზე, გამოსახულებათა სიუჟეტებზე, ჭურჭლის დამზადებისა და ორნამენტების შესრულების ტექნიკაზე.¹

მხატვრულობით და შესრულების სრულყოფილი ტექნიკით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზღუდერის ვერცხლის დიდი ზომის, ორიგინალური **პინაკები**, რომელთა ფსკერზე რელიგიურ-რიტუალური სიუჟეტებია მოცემული. **№3 სარკოფაგიდან (იხ. დანართი 4.3) და №2 სარკოფაგიდან (2.11)**, რომლის ცენტრში მოთავსებულია მარადიული ცეცხლი, საკურთხევლის წინ მდგომი ცხენის გამოსახულებით. ცხენის კულტის არსებობა საქართველოში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის სამარხებიდან ჩანს. საქართველოს ტერიტორიაზე მიცვალებულ-

¹ კ. მაჩაბელი, ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983, გვ. 9.

თათვის ცხენის მთლიანად, თუ ნაწილობრივ ჩატანების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია დაკრძალვის რიტუალში ცხენის საკრალურ ფუნქციაზე უნდა მეტყველებდეს. გვიანანტიკურ ხანაში ცხენის მსხვერპლშეწირვა ფართოდ გავრცელებული მოვლენა ჩანს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პროფ. ი. გაგომიძის მოსაზრება, რომ „სამარხში ცხენის ჩატანების შემთხვევა ანტიკური ხანის საქართველოში მხოლოდ წარჩინებულთა სამარხებისთვის იყო დამახასიათებელი“¹

კ. მაჩაბლის კვლევით, ცხენიანი პინაკების ტიპი სპეციფიკური ორნამენტური დეკორით გავრცელებული ჩანს უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში, სახელოსნოთა ნაწარმს კი ათარიღებს III საუკუნის მეორე ნახევრით. მძოვრეთის პინაკი მსგავსებას იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში (არმაზისხევი, ბორი, ზღუდერი, ჟინვალი) აღმოჩენილ ცხენის გამოსახულებიან ვერცხლის ლანგრებთან. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ 1902 წელს სოფ. ბორში შემთხვევით აღმოჩენილ საკურთხეველის წინ მდგომი ცხენის გამოსახულებიან ვერცხლის თასზე არმაზული წარწერაა „ბუზმიჰრ კეთილი პიტიახში“. მის შესახებ პირველი ცნობა გაზეთმა ივერიამ გამოაქვეყნა.² პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე სპეციალისტებმა სხვადასხვა დროით დაათარიღეს (შ. ამირანაშვილმა I საუკუნით, გ. წერეთელმა II საუკუნით და ა. ბორისოვმა IV საუკუნით).³ აშკარაა, პინაკებზე ცხენის გამოსახულება დამზადებულია საკრალური მნიშვნელობით. ეს, რა თქმა უნდა, არაა გასაკვირი, რადგან ცხენის წყალობით იქცა მხედარი გავლენიან და ძლიერ ძალად, ცხენი კი ყველაზე ერთგულ, საიმედო და თაყვანისცემის ღვთიურ სიმბოლოდ.

¹ ი. გაგომიძე ი, ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 79.

² გაზ. ივერია 1902, № 131.

³ რ. კვიციანი, რ. დავლიანიძე, ნ. ჩხარტიშვილი, არქეოლოგიური კოლექციები სოფ. ბორიდან, მუზეუმის მოამბე, თბ., 2016, № 7, გვ. 6.

ახ. წელთაღრიცხვის დამდეგიდან ტორევეტიკაში ნათლად ჩანს „წმინდა ცხოველთა“ შორის ცხენის კულტის უპირატესი როლი. შეიმჩნევა რა ახალი რელიგიური ნაკადები, მკვლევარები მითრას კულტის გავრცელების არეალის კვალზეც საუბრობენ. მათი ნაწილი ცხენის კულტს რომსა და რომის პროვინციებში მითრაიზმის განსაკუთრებულ პოპულარობას უკავშირებენ. მითრაისტულ რელიგიაში ცხენის კულტმა განვითარების უმაღლეს საფეხურს სწორედ ახ. წ. პირველ საუკუნეებში მიაღწია. პროფ. ი. გაგომიძის კვლევით, ელინისტური ხანის ქართველ დიდგვაროვანთა წრე მაზდეანურ რელიგიას აღიარებდა. სამეფო კარისა და დიდგვაროვანთა მრწამსის დამადასტურებელ არგუმენტად თვლის ირანული საკულტო დანიშნულების ნივთების სიმრავლეს წარჩინებულთა სამარხებში, მათ შორის ვერცხლის პინაკებს მარადიული ცეცხლის საკურთხევლითა და მათ წინ მდგარი ცხენებით. მითრაიზმში განსაკუთრებული ადგილი ცხენის სიმბოლიკას უჭირავს. ცხენის კულტი მზის კულტს უკავშირდება და მიცვალებულისათვის ცხენის ჩაყოლება მზის ღვთაებისადმი მსხვერპლშეწირვის ფაქტს წარმოადგენდა. ცხენის მსხვერპლად შეწირვა ფართოდ გავრცელებული მოვლენა ჩანს ტორევეტიკასა და ბრინჯაოს არტეფაქტებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ცხენს მტკიცედ დაუმკვიდრებია ადგილი არა მარტო სამეურნეო ცხოვრებაში, არამედ ზოვრეთის მოსახლეობის აზროვნებაში. მზის ღვთაებას ხშირად ცხენის სახით გამოსახავდნენ, რადგანაც ცხენი მზის სიმბოლოდ იყო გაგებული არა მარტო ქართულ, არამედ აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებში. ღვთაებათა შორის (მზეს) მხოლოდ უსწრაფესი ცხენი შეეფერებოდა¹. ჯერ კიდევ ქსენოფონტეს „ანაბაზისის“ ცნობით, მზის ღვთაებისადმი ცხენის მსხვერპლად შეწირვა კავკასიისათვის

¹ თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 216.

უცხო მოვლენა არ ყოფილა.¹ დაკრძალვის რიტუალში ცხენის საკრალურ ფუნქციაზე მეტყველებს ზღუდერის სამარხებში ფართოდ წარმოდგენილი ვერცხლის ლანგარზე დადებული ცხენის აღკაზმულობა. ვერცხლის აბზინდები და შესაკრავი მოწყობილობები უნდა მიგვანიშნებდეს დაკრძალვის რიტუალის მონაწილე ცხენის, როგორც მხედრის იმპევენიური ცხოვრების თანმხლებ არსებაზე. ამასთან დაკავშირებით ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა საინტერესო ცნობა სვანეთში არსებული უძველესი ტრადიციის შესახებ. დასაფლავების დღეს გარდაცვლილის ცხენს შეკაზმავდნენ, პატრონის კუბოსთან დააყენებდნენ, ხოლო გასვენების დროს სვანი მხედარი სამგლოვიარო პროცესიის წინ აქეთ-იქით დააქროლებდა და ისე მოქანცავდა, რომ ბოლოს ცხენი დაეცემოდა და კვდებოდა. მათი რწმენით, ცხენი თავის პატრონთან ერთად საიქიოში მიდიოდა. ზღუდერისა და დოღლაურის სამარხების გარეთ აღმოჩენილი ცხენების ჩონჩხები, ზემოაღწერილიდან გამომდინარე, უნდა მიგვანიშნებდეს ცხენის მხედართან დაკრძალვის რიტუალზე.

ზღუდერის №2 (2.10) ხის სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკის ფსკერზე გამოსახულია **მოოქროვილი ძაღლი და ტახი**. კ. მაჩაბელი არტეფაქტს მაღალ შეფასებას აძლევდა: „სპეციფიკური ორნამენტური დეკორი იმეორებს ცხენების გამოსახულებიანი ფილებების შემკულობას ... მედალიონის კომპოზიცია კი არ წარმოადგენს ძველი ანტიკური სქემის გამეორებას (ძაღლისა და ტახის გამოსახულებები ძველბერძნულ და მცირეაზიულ ხელოვნებაში იღებს სათავეს) არამედ მის ახლებურ გააზრებას, როგორც ჩანს ეს კომპოზიცია გარკვეულ სიმბოლიკურ კატეგორიებთან არის დაკავშირებული.“² მსხვერპლშეწირვის რიტუალური ჭურჭელი, ზღუდერის ვერცხლის პინაკი რელიგიურ-რიტუალურ

¹ თ. მიქელაძე, ქსენოფონტე, ანაბაზისი, ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1967, გვ. 4.

² კ. მაჩაბელი, ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983, გვ. 117.

სიუჟეტს და ტახის/ღორის კულტის არსებობას ადასტურებს. ზღუდერის პინაკი თარიღდება III საუკუნით. ღორის კულტთან დაკავშირებული არქეოლოგიურ მონაპოვართა სიმრავლე და განსხვავებული სარიტუალო წეს-ჩვეულებანი ამის საფუძველს იძლევა. ტახის გამოსახულებიანი თიხის რიტონები გვხვდება, ვანის (№3, №19) ჟინვალისა და არაგვისპირის (№13) სამარხიდან. აღმოჩენილია ტახის/ ღორის მცირე ქანდაკებები სვანეთში, არმაზისხევში (№6, №3 სამარხში ოქროს საკიდი „ტახის“ მინიატურული ქანდაკება, სიგრძე 2 სმ, სიმაღლე 1,2 სმ. სიგანე 1,0 სმ. წონა 2,88) და საბეჭდავი ბეჭდები.¹ ამ უკანასკნელის საფუძველზე მიანიშნებენ საქართველოში ტახის კავშირს რელიგიურ კულტთან და არტეფაქტების სიმბოლურ დანიშნულებას, მის ავგაროზად გამოყენებას ავი სულების წინააღმდეგ. ამასთან აღნიშნავენ, რომ ცხოველი დიდ როლს თამაშობდა დემეტრიოსის და დიონისეს კულტებში.² უკავშირებენ ასევე მითრას კულტს, რადგან მითრას წმინდა ცხოველებს შორის (ხარი, ცხენი, ძაღლი, გველი, ყორანი და მამალი) განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტახს, რომელიც მითრას მხარდამხარ ებრძოდა ბოროტებას, რისთვისაც წარმატებით იყენებდა თავის ბასრ ეშვებს. საქართველოში ტახის/ღორის კულტის გავრცელება მხოლოდ ზოროასტრიზმსა და მითრას კულტს არ უკავშირდება. იგი სათავეს პრეისტორიული წარსულიდან იღებს, რაზეც მიანიშნებს აქემენიდური ხანაზე ადრეული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, თუმცა ამ კულტის გაძლიერებას ხელი შეუწყო აქემენიდურ სამყაროსთან პოლიტიკურ - ეკონომიკურმა და კულტურულ - რელიგიურმა ურთიერთობებმა. ქართული ეთნოგრაფიული მასალების

¹ გ. გოგოჭური, ი. ბერძენიშვილი, ტახის/ღორის კულტი ქართულ არქეოლოგიასა და ეთნოკულტურაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბ., 2014, №5, გვ. 18.

² ა. ავაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, არმაზის-ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 70-71.

მიხედვით ტახი/ღორი მოიაზრებოდა ოჯახის სიუხვის, სიმდიდრის, ხვავისა და ბარაქის მომტან სიმბოლოდ და ავი სულებსაგან ოჯახის მფარველად.

პატერა (ლათ. *patera*) (3. 26) ელინისტურ-რომაული საყოფაცხოვრებო და სარიტუალო ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნიმუშია. ძირითადად ე. წ. „სამსხვერპლო პატერას“ იყენებდნენ საკულტო რიტუალის ჩასატარებლად. ო. ლორთქიფანიძე, რ. გორდეზიანი, კ. მაჩაბელი პატერას იმპორტირებულ ჯგუფს მიაკუთვნებენ. ზღუდერში აღმოჩენილი ბრინჯაოს პატერას ფართო პირი მთავრდება ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით. (პატერის ჯამის დიამეტრი 22 სმ. ტარის სიგრძე-14 სმ, ძირის დიამეტრი-11 სმ.) პატერა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ სახელური და თასის შეერთების ადგილი ამ დიზაინის სუსტი ადგილია და ძველადვე შეუკეთებიათ სქელი ბრინჯაოს მავთულით, რაც მის სიძველეზე უნდა მეტყველებდეს. თასის ცენტრალური ნაწილი, ვერძის თვალები და რქები მოვერცხლილია, რომლის კვალი დღემდეა შემორჩენილი. ცხვრის თავის გამოსახულებიანი ბრინჯაოს პატერები აღმოჩნდა ბორში, კლდეეთსა და არმაზისხევის №6 სამარხში.¹ სპეციალისტებს სხვადასხვა ახსნა აქვთ ამასთან დაკავშირებით, ყველაზე მისაღებად მიაჩნიათ, რომ პატერა შესაწირად გამოყენებული დანიშნულების ჭურჭელია, განწმენდის რიტუალის ჩასატარებლად. მათი კვლევით მთელ რიგ ძეგლებზე კულტის მსახურნი გამოსახული არიან პატერითა და სურით ხელში. თავად ჭურჭელი ძირითადად გვხვდება რომაულ რელიეფებზე მსხვერპლის შეწირვის სცენებში და ღვთაებისათვის შესაწირავ ნივთებს შორის. მათი არსებობა სამარხებში კი საკრალურობასთან ერთად, უჩვენებს დაკრძალვის წესებთან მათ კავშირს. ტაძრებში მათ უძღვნიდნენ რიტუალურ მსახურებას და შესაძლოა ღვთაებასაც.

¹ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 75-76.

სამარხებში მათ იყენებდნენ რიტუალის ჩასატარებლად, რომელიც მიცვალებულის კულტთან იყო დაკავშირებული. შესაძლოა მას სამარხში ატანდნენ მიცვალებულს, როგორც სიმბოლურ საჩუქარს გარდაცვლილისთვის“.¹ ნატურალური სიზუსტითაა გადმოცემული ვერძის სახე. ცნობილია, რომ ვერძის კულტის არსებობა საქართველოსა და კავკასიაში მჭიდროდ უკავშირდება სამეურნეო ყოფაში მეცხვარეობის განვითარებას. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ცხვრის ფარის მეთაური - ვერძი მიეკუთვნება ღვთაების იმ თანმხლებ ცხოველთა რიგს, რომლებიც სარგებლობდნენ ბუნების აღორძინების, განახლების, შინაურ და გარეულ ცხოველთა გამრავლების ქალღმერთების მფარველობას. ე.ი. უნდა უკავშირდებოდეს ნაყოფიერების და ცხოველთა მფარველი ქალ-ღვთაების კულტს. ინკრუსტაცია აახლოებს ძვირფას და იშვიათ ვერცხლის პატერებთან მსგავსებას გერმანიაში, რეინბერგში აღმოჩენილ პატერასთან.² ზღუდერის პატერა მნიშვნელოვან აღმოჩენად ითვლება, რომელიც შესაძლოა ყველაზე უძველესი იყოს აღნიშნული ტიპის პატერებიდან. კომოდიუსის აურეუსის მიხედვით თარიღდება ახ. წ. 190 წლით.

№3 სარკოფაგში აღმოჩენილი ვერცხლის პატერა ბიუსტის ფრაგმენტის (3.17) ფუნქციის განსაზღვრა და მისი აღდგენა დაზიანების გამო უჭირთ სპეციალისტებს (ნაწილი ფანტასტიკურ ცხოველად მიიჩნევს). საიდუმლოებით მოცულ გამოსახულებას ლომის ქანდაკებადაც ვარაუდობენ. ქმნილებას ჰქონია ხვეულებით აღბეჭდილი ბეწვიანი ტყავი. ცალკე შემორჩენილია ცხოველის ორი ფეხი ბრჭყალებით. ბიუსტი თავისუფლად მყარად იდგა. არც იმას გამორიცხავენ, მიცვალებულის სარეცლის

¹ ე. გიგოლაშვილი, საქართველოში აღმოჩენილი პატერები, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევა, იბერია-კოლხეთი, 2011, № 7, გვ. 69.

² დ. ბრაუნდი, ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, საგანძური ზღუდერიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250 წწ.) თბ. 2009, გვ. 88.

დეკორაციას წარმოადგენდეს. მოკვლეული არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ლომის თაყვანისცემა ანტიკური ხანის საქართველოში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, რაზეც მიანიშნებს ძვ. წ. VI ს. კოლხურ თეთრზე (შუბლზე) ფაფარაყრილი ლომის თავის გამოსახულება. ლომის კულტის არსებობას ადასტურებს წინწყაროს, სამთავროს, საირხესა და ვანის სამარხებში აღმოჩენილი არტეფაქტები და ლომის თავის ქანდაკებები.

№3 სარკოფაგის გარეთ აღმოჩენილი იქნა ისეთი ორიგინალური სამარხეული ინვენტარი, როგორცაა სარეცლის ფეხების **ვერცხლის გარსაკრავი, (3.25)** რომელსაც პარალელი ეძებნება თანადროულ სამაროვნების კოლექციათან: ბორის (დაცულია ერმიტაჟში, თარიღდება ძვ. წ I-ახ. წ. II სს.),¹ ბაგინეთის და არმაზისხევის (I, III, VI სამარხიდან გარსაკრავი, უფრო დეკორატიულობით გამოირჩევა). კ. მაჩაბელის შეფასებით მათ აერთიანებთ, მხატვრული ხასიათი, წარმოადგენენ გარკვეული ორნამენტული დეტალების ნაირგვარ ვარიაციებს, ერთნაირია მათი დამზადების ტექნიკა, რაც საშუალებას იძლევა ვერცხლის ეს ნაკეთობა ზღუდერის ადგილობრივი ცენტრის ნაწარმად, მძოვრეთში (III ს.) დამზადებულად მივიჩნიოთ.²

3. ბერძნულენოვანი და არამეულ-არმაზული წარწერები

ზღუდერის ელიტარული სამარხების ინფორმაციულობას და აღმოჩენის მნიშვნელობას მნიშვნელოვნად ამდიდრებს ბერძნულენოვანი და არამეული წარწერები. აღნიშნული ადასტურებს ქართლში არა მარტო ბერძნული დამწერლობის გავრცელების არეალს, არამედ იმასაც, რომ ადგილობრივ მოსახლეობას


¹ რ. კვიციანი, რ. დავლიანიძე, ნ. ჩხარტიშვილი, არქეოლოგიური კოლექციები სოფ. ბორიდან, მუზეუმის მოამბე თბ., 2016, № 7, გვ. 8.

² კ. მაჩაბელი, გვიანანტიკური ტორეტიკა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 80.

გათავისებული ჰქონია წმინდა ბერძნული ჩვეულებანიც, როგორცაა ქარონის ობოლის გატანება, რომელიც მიანიშნებს ბერძნებთან ხანგრძლივ და სიღმისეულ ისტორიულ ურთიერთობების არსებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზღუდერის არტეფაქტებზე წარწერების ენა უმთავრესად ბერძნული იყო. მესამე სარკოფაგმა წარმოაჩინა არა მარტო მდიდარი ინვენტარი, არამედ არამეულის ადგილობრივი ფორმის, „არმაზულად“ ცნობილი უნიკალური დამწერლობა ვერცხლის ჭურჭელზე. სპეციალისტთა შორის საკამათო აღმოჩნდა მათი დათარიღების საკითხი. კ. მაჩაბელი მესამე საუკუნით დათარიღებას აძლევს უპირატესობას და ვერცხლის ჭურჭელს იბერიაში დამზადებულად მიიჩნევს.


№3 სარკოფაგიდან (**იხ. დანართი 3.13**) განსაკუთრებით საინტერესოა ფრიალა ვერცხლის თასი დაბალ მრგვალ ბაზაზე, ორი მოზრდილი სახელურის თავზე ცერა თითის საბჯენი ორნამენტირებული ადგილებით. ცენტრში ფსკერზე კვეთილი ვარდულით მოთავსებულია მცირე ორნამენტი (ექვსი ყურძნის ფოთოლი და ექვსი ყურძნის მტევანი ენაცვლება ერთმანეთს წრეში), ასევე ორნამენტირებულია ცერის ადგილები. აღნიშნული დეკორატიული მოტივები ფართოდ არის გავრცელებული მცხეთასა და საქართველოს სხვა სამარხეულ ინვენტარში. ძველთაგანვე მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკური ქვეყნის – ქართულ ხელოვნებაში ამ ულამაზესი მხატვრული მცენარეული მოტივების დამკვიდრება სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ვაზის კულტის სიმბოლური გააზრება დამოწმებულია ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. რაც შეეხება ვარდულს, იგი ციურ მნათობს უნდა გამოხატავდეს ჭურჭლის ძირზე ორენოვანი წარწერით. ამოტვიფრულია ბერძნული სახელი „ეუფრატეს“, რაც მფლობელის სახელი შეიძლება ყოფილიყო. ბერძნული ასოების მოყვანილობის მიხედვით თ. ყაუხჩიშვილი

ახ.წ. I ს-ით ათარიღებს და მის მფლობელობაზე მიუთითებს,¹ რომლის ანალოგი აღმოჩენილია სოფ.ბორის თასზე (უფრო მეტად ორნამენტირებულ, გვიანდელ ნივთებთან ერთად).



შიგნით ასევე აღნიშნულია მისი წონა (უნდა შეესაბამებოდეს რიცხვით სახელს - ერთი ათეული და სამი ერთეული) 13 არმაზული ასოთი ამოტვიფრული პუნქტირით.²

ამ სარკოფაგშივე აღმოჩენილ იქნა მეორე ბრტყელი ვერცხლის ლანგარი, (3. 14) დაღარულ უკანა მხარეს ძირის რგოლი არ გააჩნია. მის უკანა მხარეს ამოფხაჭნილია არმაზული წარწერა, სახელი „ტრპტ“



დ. ბრაუნდი წაკითხვით გვთავაზობს სახელს - ატროპატესს ბერძნულად.³ მ. ჭელიძის ვარაუდით, შესაძლოა ჭურჭლის


¹ თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ. 263, 268;

² მ. ჭელიძე, ეპიგრაფიკული შენიშვნები, სემიოტური ძიებანი, V, თბ., 1990, გვ. 73;

³ დ. ბრაუნდი, ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, საგანძური ზღუდერიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250 წწ.) თბ. 2009, გვ. 78;

მგლობელის სახელს წარმოადგენდეს. მისივე კვლევით, „ასობის მოხაზულობით წარწერა ძლიერ ჰგავდა მცხეთაში აღმოჩენილ წარწერათა დამწერლობას, რომელიც სავსებით ჩამოყალიბებულ სახეობას წარმოადგენს არამეული დამწერლობის და ცნობილია, როგორც „არმაზული დამწერლობა“.¹ მკვლევარი კითხულობს („trpt“), ადარებდა ბორის თასს და აღნიშნავდა, რომ ასოთა ძირითადი ფორმა ბორის თასსა და ზღუდრის მოცემულ წარწერაში არმაზის ბილინგვის შესაბამის ნიშანთა მოხაზულობის იდენტური იყო. მიაჩნდა ჭურჭლის მგლობელის სახელად, რომელიც საკმაოდ გავრცელებულ სახელი იყო მიდიაში, სასანური ხანის ბეჭდებზე.

წყვილად სარკოფაგში აღმოჩნდა კიდევ ერთი ვერცხლის თასი (3.15) დეკორირებული დაღარული კონცენტრული წრეებით ცენტრის გარშემო. ჭურჭელს მკვეთრი კიდე აქვს და დაბალი მრგვალი ძირი. ძირის რგოლის შიგნით არმაზული წარწერაა, რომლის ანალოგიები ცნობილია. ვერცხლის თასზე აღმოჩენილ წარწერას, ხუთი არმაზული ასოთი „ჩემი ლანგარი“, „ჩემი თასი“ კითხულობს მკვლევარი, მ. მჭელიძე.² მისი მოსაზრება გაზიარებული იქნა სპეციალისტების მიერ.



თავად მკვლევარი ამოკაწრულ წარწერაში ასოთა დაწერილობებში მარჯვნიდან პირველი არმაზული ასოს მცირე მოდიფიკაციაზე მიუთითებს (მეორე და მეხუთე ასოთა მოხაზულობას უფრო

¹ მ. ჭელიძე, ეპიგრაფიკული შენიშვნები, თბ., 1990, გვ. 71.

² იქვე, 73-74.

კუთხოვნად თვლის თუმცა არმაზის ბილინგვაში y - ს მსგავს დაწერილობისად თვლის).

№3 **სარკოფაგში (3.11)** აღმოჩნდა ვერცხლის კოვზები ბურთულიანი და ჩლიქის დაბოლოებით. ბურთულიანი ვერცხლის კოვზის ტარზე აღმოჩნდა ორენოვანი წარწერა. წარწერა შესრულებულია ბერძნულ და არამეულ ენებზე. მესამე ასო დაზიანებულია და შუაზე გაწყვეტილია. მ. ჭელიძე ადასტურებს, რომ არმაზული მოხაზულობა აქვს. სამასოიანი წარწერის მნიშვნელობა მკვლევარისთვის უცნობია. სავარაუდოდ შეიძლება წარმოადგენდეს საკუთარ სახელს, ან მის შემოკლებას. მ. ჭელიძე წარწერების პალეოგრაფიული კვლევის ანალიზით ახ. წ. II- III სს. ათარიღებს. დაახლოებით ამავე პერიოდს მიაკუთვნებს (II ს.) არმაზისხევის და ბორის წარწერებსაც.¹

თ. ყაუხჩიშვილის კვლევით, აღნიშნულ სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის კოვზის ტარზე, ბურთულიანი დაბოლოებით, ორენოვანი სამ-სამი ასოსაგან შედგენილი წარწერაა ამოკაწრული. ბერძნული წარწერის შესატყვისია მეორე წარწერა სამი არმაზული ნიშნით. სავარაუდოდ, წარწერა კოვზის მეპატრონის სახელის შემოკლებულ ფორმად მიაჩნია.

ბერძნულ-არმაზული ბილინგვა ცხადად მიანიშნებს, რომ იმ პერიოდის საქართველოში არმაზულის პარალელურად იხმარებოდა ბერძნულიც. თ. ყაუხჩიშვილის შეფასებით. ბერძნულ ასოთა მოხაზულობა რაიმე განსაკუთრებული და საგანგებო მონაცემებით არ გამოირჩევა და სამარხის ინვენტარის მიხედვით ახ. წ. II- III საუკუნეებით ათარიღებს. ²


¹ მ. ჭელიძე, ეპიგრაფიკული შენიშვნები, სემიოტური ძიებანი, V, თბ., 1990, გვ. 74.

² თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ. 268.

X H Δ L V F


1986 წელს დედოფლის მინდორზე, სოფ. დოღლაურთან, დედოფლის მინდორის სამხრეთ კიდეზე, მტკვრის მარცხენა შენაკადის მაღალ ნაპირზე (ქარელის მუნიცი.), არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა ძვ. წ. II-I სს. მიჯნის სასახლის ნაშთები, რომელიც სატაძრო კომპლექსის, ქართლის (იბერიის) მეფეთა საგვარეულო სალოცავის თითქმის თანადროული იყო. ი. გაგომიძის კვლევით, სასახლეში მცხოვრებ ხელისუფალს ექვემდებარებოდა მთლიანად დედოფლის მინდორი. სამეფო რეზიდენციის ფუნქციას იძენდა მოსალოცად მოსული მეფის და მისი ოჯახი სტუმრობისას. არქეოლოგიური მონაცემებისა და რადიოკარბონულმა ანალიზმა დაადასტურა სასახლის და სატაძრო კომპლექსთან ერთად მიწისძვრის შედეგად მოულოდნელი ნგრევისა და თანდართული ძლიერი ხანძრის კვალი. პირველ სართულზე გადარჩენილ არტეფაქტებს შორის აღმოჩნდა გრავირებული ძვლის 8 ფირფიტა №1 სათავსის იატაკზე. ყველა ფირფიტა ირმის რქისაგან არის გამოკვეთილი. გრავირებულ 7 ფირფიტაზე შემორჩენილი იყო არამეული დამწერლობის ის სახეობა, რომელსაც „არმაზულს“ ვუწოდებთ. ყველაზე ვრცელი ტექსტი შემორჩა №1 ფირფიტაზე, რომელზედაც ოცზე მეტი ასონიშნის ამოცნობა მოხერხდა.¹

¹ ი. გაგომიძე, მ. წოწელია, არამეულწარწერიანი ფირფიტები დედოფლის გორიდან, ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბ., 1991, გვ. 62-70.



1989 წელს დედოფლის გორის არქეოლოგიურმა გათხრებმა (ხელმძღვ. ი.გაგოშიძე) გამოავლინა სამი ქვევრის პირზე არამეული წარწერა, რომელსაც კ. წერეთელი პალეოგრაფიული ანალიზით არმაზულის სახელწოდებით ცნობილ (ძვ. წ. I ს.) არამეული დამწერლობის ადგილობრივ სახეობად თვლის. მეცნიერის მოსაზრებით, შესაძლოა, ქვევრის ხელოსნის დამლა ყოფილიყო.¹

საინტერესოა, რომ ზღუდერიდან 10კმ-ზე მდებარე სოფ. ურბნისში ქვევრის პირზე აღმოჩენილი იქნა ოთხი ასოსაგან შემდგარი არამეული წარწერა. გ. წერეთელმა „არმაზული“ დამწერლობის საუკეთესო ნიმუშად შეაფასა და II-IV საუკუნეებით დაათარიღა.²



¹ კ. წერეთელი, ორი მცირე არამეული წარწერა დედოფლის გორიდან, მაცნე, ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1992, № 3, გვ. 5-7.

² ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 54-55.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ლ. ჭილაშვილის ხელმძღვანელობით კახეთში (ყვარელის მუნიცი.), ნეკრესის ნაქალაქარზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა წარმართული და მაზდეანური სამლოცველოების სასტიკი ნგრევის კვალი. საფუძვლიანად მოთხრილი სამლოცველოები, დანგრეული სამარხები, დამტვრეული და გადაყრილი არმაზული წარწერებიანი ქვები, რომლებიც ქრისტიანული ტაძრების სამშენებლო მასალად იქნა გამოყენებული, მათ შორის აშკარად ჩანდა გამოყენებული მეორადი დანიშნულებით საწნახელის კედელში.¹ მშენებლობის ქვეშ აღმოჩნდა მაზდეანური სამლოცველო და მასზე მიჯრით მიმაგრებული სამარხები, რის გამოც ეპიტაფიების მხოლოდ დაზიანებულმა ნაწილმა მოაღწია. მკვლევარი ლ.ჭილაშვილი ნეკრესის 10 წარწერას წინარე ქრისტიანული ხანის, არმაზულ წარწერად თვლის და ათარიღებს ძვ. წ. ბოლო საუკუნეებიდან ახ.წ. IV საუკუნემდე.²

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოში აღმოჩენილი არმაზულ - არამეული დამწერლობის ძეგლების გავრცელება ძირითადად მოდის ქართლის ტერიტორიაზე, ესენია: არმაზის ბილინგვა (II ს.) და ე. წ. შარაგასის „გამარჯვების სტელა“ (I ს.), ბერსუმას ლანგარი (III ს.), ოქროს საავგაროზე ფირფიტები (II ს.), ოქროს ორი სამაჯური და ბეჭედი (IVს.), ბაგინეთიდან ორი წარწერა ქვებზე და სარკოფაგის ვერცხლის ნივთებზე (II-III სს.), ორი წარწერა ქვევრის პირებზე უფლისციხიდან, ზღუდერიდან 4 წარწერა ვერცხლის ნივთებზე (II-IIIსს.), დედოფლის გორის 7 წარწერა სათამაშო ფირფიტებზე (Iს.), წარწერა ქვევრის პირზე ურბნისიდან (II-III სს.). ძალისიდან ფირფიტები საკურთხეველზე

¹ ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004, გვ. 25, 82.

² იქვე, გვ. 126.

(II-III სს.), ნეკრესის 10 წარწერა (ძვ. წ. I-IV სს.), წარწერა ვანიდან ოქროს ფირფიტაზე (II ს.), და ყაზბეგიდან (II-III სს.).

თ. გამყრელიძის მოსაზრებით, ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შემოდებული იქნა საქართველოში ქართლის მონათვლასა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით,¹ მაგრამ დასაშვებად მიაჩნია წარმართულ ეპოქაში დამწერლობის არსებობა. მისივე შეფასებით, „არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანული ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა (გამოაძევა) მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა“

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა და არმაზულ დამწერლობათა აღმოჩენებზე დაყრდნობით ვიზიარებთ თ. მგალობლიშვილის გამოთქმულ საინტერესო მოსაზრებას: „ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოში ე. წ. „არმაზული“ დამწერლობა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და სხვა ოფიციალური დოკუმენტების შესადგენად კი არ იხმარებოდა, არამედ ფართოდ იყო გავრცელებული ყოფაში... მინაწერები მეტყველებენ იმაზე, რომ „არმაზული“ დამწერლობას მარტო პროფესიონალი მწერლები არ ფლობდნენ და რომ იგი ნამდვილად ადგილობრივი, ქართული დამწერლობა იყო ძვ. წ. I-ახ. წ. IV საუკუნეებში, ქართული ასომთავრული ანბანის შექმნამდე.“²

ამრიგად, სპეციალისტების მოსაზრებათა გათვალისწინებით ქართული დამწერლობის ადრექრისტიანობის ეპოქაში შექმნის თეორიის საყოველთაო აღიარებას ერთგვარად ხელს უშლიდა ის, რომ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე გრაფემები იყო და არა ნარატიული ტექსტი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არმაზული დამწერლობის ზემოაღნიშნულ ძეგლებს შეემატა ახალი უნიკალური ანალოგიები

¹ თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989, გვ. 206.

² თ. მგალობლიშვილი, ქრისტიანული ქართლი IV- V საუკუნეებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, თბ., 1988, გვ. 106.

ზღუდერსა და დედოფლის მინდორზე. ახლა, როცა გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილია ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ. წ. VII საუკუნის ტაძარი, უცნობი უნიკალური დამწერლობის ტექსტებით, რომელიც გახდა საერთაშორისო კვლევის საგანი და, სავარაუდოდ, მთლიანად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიის მონაკვეთს, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ძამის ხეობის წარჩინებული საზოგადოება არა მარტო ფლობდა და იყენებდა ადრექრისტიანულ არმაზულ და ბერძნულ დამწერლობას, არამედ სამეწარმეო საქმიანობაშიც ძვ. წ. I ს. და ახ. წ. IV ს-მდე ფართოდ იყენებდა, რაც მოსახლეობის წიგნიერებაზე მიანიშნებს.

რაც შეეხება ზღუდერის გამორჩეულ ტორევიტიკულ ძეგლებს, ხელოვნებათმცოდნეთა შეფასების გათვალისწინებით, სხვა ანტიკური ხანის ძეგლებთან ერთად მხატვრული ღირსებებითა და ტექნიკური ოსტატობით ანტიკური სამყაროს ვერცხლის ჭურჭლის საუკეთესო ნიმუშებს შეიძლება ამოვუყენოთ გვერდით. ზღუდერის საგანძურის ტორევიტიკის ბრწყინვალე ნიმუშებმა ასევე წარმოდგენა მოგვცა გვიანანტიკური ხანის მძოვრეთის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებაზე, წარმართული პანთეონისა და დაკრძალვის მდიდრული რიტუალების შესახებ.

4. გლიპტიკური ძეგლები

ზღუდერის სამაროვანზე გლიპტიკური ძეგლები თვალნათლივ განსაზღვრავს მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების განვითარების დონეს. ძეგლები საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ პოლიტიკურ პროცესებზე, სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, მფლობელთა ქონებრივ მდგომარეობაზე.

მხატვრული ხელოსნობის დარგებიდან გლიპტიკა¹ ფერად ლითონებზე ინტალიოების კვეთა ერთი-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. სტილისტური ერთიანობისა და განსხვავებულობის, შესრულების ტექნიკის იდენტურობის, სიუჟეტთა ორიგინალობის და მსგავსების, ფორმათა ტიპების მიხედვით, შესაძლებელი ხდება იმპორტულისა და ადგილობრივის დადგენა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ სახელოსნოებში ნაკვეთი ინტალიოთა თემატიკა ბერძნულ-რომაული გავლენითაა თუ დამოუკიდებელი „შედევრია“ - ახსნას ძნელად ექვემდებარება, რაც ზღუდერის ინტენსიურ კულტურულ ცხოვრებაში ორიგინალური ხელოვნების კერის (სახელოსნო ცენტრების) მაღალპროფესიულ დონეზე მიანიშნებს. ზღუდერის სამარხებში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი გლიპტიკური ძეგლებიდან საკვლევი თემისთვის გამოვყოფთ რამოდენიმე უნიკალურ ნივთს:

№1 სამარხში აღმოჩენილია ორმაგ-პორტრეტისანი **ოქროს ბეჭედი სარდიონის თვლით**, (19×15 მმ.), რომელსაც ამკობს ერთმანეთის პირისპირ გამოსახული ახალგაზრდა ქალისა და მამაკაცის პორტრეტი. (**იხ. დანართი 1.1.**) ინტალიოზე პლასტიკურად არის გამოსახული ორი ბიუსტი ბერძნული წარწერით - კაბრიასი და მატრონა (matroane - ლათინურად ნიშნავს გათხოვილ ქალს, ოჯახის დედას). წყვილადი პორტრეტების გამოსახვა გემაზე რომაულ გლიპტიკაში ახ. წ. I-III სს. გავრცელდა. პორტრეტები

¹გლიპტიკა - ძვირფას და ნახევრად ძვირფას ქვებზე (ლითონზე, ძვალზე, მინაზე) გამოსახულების ამოჭრის ხელოვნებაა. გეზ-ქვა, ბეჭდის თვალის, რომელზეც გამოსახულება ამოკვეთილი. გლიპტიკური ძეგლები - გემები ორგვარია. სიღრმეში ამოჭრილ გემას ინტალიო ეწოდება, ამოზურცულ გამოსახულებიანს - კამეო. ინტალიოს სამგვარი დანიშნულება აქვს. გამოიყენება როგორც სამკაული, ავეაროზი და საბეჭდავი. კამეოს მხოლოდ სამკაულისა და ავეაროზის ფუნქცია აქვს. (ქ. ჯავახიშვილი, საქართველოს გლიპტიკური ძეგლები, იბერია-კოლხეთი, თბ., 2015, № 11, გვ. 5.)

უდიდესი გემოვნებითაა შესრულებული. ზღუდერის გემაზე გამოსახული ქალისა და მამაკაცის ვარცხნილობა და პორტრეტი მცირეაზიულ პორტრეტებთან მსგავსების საფუძველს აძლევდა სპეციალისტებს (თმის ვარცხნილობა და წვერ-ულვაში მოდამი იმპერატორ ადრიანეს შემოუტანია ახ. წ.117 წ.), მისი შექმნა დაათარიღებულია III საუკუნის 50-60 წლებში. ამ მოსაზრებას ამყარებს №1 სამარხის ნუმიზმატიკური მასალით დათარიღებაც. სპეციალისტები როგორც ფიქრობენ, ოჯახური პორტრეტული გემები სპეციალური დაკვეთით მზადდებოდა. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, ნივთი რომელიმე რომის პროვინციულ სახელოსნოში, შესაძლოა მცირე აზიაში, ან ძველ ქართლში იყოს დამზადებული (მკვლევარები ქალის თავსაბურავის მიხედვით მიუთითებენ, რომ შესაძლოა ადგილობრივი ნაწარმი ყოფილიყო).

ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, იქნებ სწორედ ამ გემის პროვინციული წარმოშობით უნდა აიხსნას მანდილოსნის თმის ვარცხნილობის ერთგვარი თავისებურება და ამგვარი ვარცხნილობის გვიან ხანამდე შემორჩენა.¹ ამ მოსაზრებას ეთანხმება თ. ყაუხჩიშვილი.²

ქართლის პიტიახშებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მცხეთა-არმაზის გათხრების მასალებმა. ძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ IV საუკუნეზე გაცილებით ადრე, ახ. წ. I-III საუკუნეების იბერიაში საკმაოდ მრავლად ყოფილან ადგილობრივი, იბერიის მეფის პიტიახშები, რომლებიც წარმოდგენილი ჩანდნენ სათანადო ძლევამოსილებით მცხეთის ბერძნულ-არამეულ წარწერებში. ამ მხრივ საინტერესოა 1940 წელს არმაზისხევში № 3 ე. წ. ბერსუმას სამარხში, (ახ. წ. III საუკუნე)³

¹ ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B, თბ., 1982, გვ. 143.

² ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ. 263.

³ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 53.

აღმოჩენილი ბერძნული წარწერა. ვფიქრობთ, კაბრიასიე პიტიახშ-ერისთავია, რომელსაც შეეძლო მიეღო საჩუქარი იბერიის მეფისგან. ზღუდერის ლანგარიც ასეთივე საჩუქარია, როგორც ბერსუმა პიტიახშის და საფუძველი გვაქვს ცნობილი პიტიახშების (ზევახი, ასპარუგი, შარაგასი, ბუზმირი, კუბლიკიოს აგრიპა) გვერდით მოვიხსენიოთ კაბრიასი პიტიახშ-ერისთავად. ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური კითხვა - რა გვადლევს ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს, მხოლოდ ჩვენი ინტერპრეტაცია თუ სპეციალისტთა კვლევის შედეგები?

მართალია, სახელი კაბრიასი კარგად ცნობილი რომაული სახელია, მაგრამ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან მჭიდრო და ხანგრძლივი სავაჭრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მოსახლეობაში, მათ შორის წარჩინებულთა საგვარეულო სახელებზე უფრო სწრაფად აისახებოდა. საკვლევი საკითხისთვის მნიშვნელოვანია, რომ იმავე (1.3.) სამარხიდან ფრაგმენტის სახით ჩვენამდე მოღწეულ ოქროთი დაფერილ, გირჩებითა და დაფნის ფოთლის არშიით შემკულ ვერცხლის დიდ ლანგარზე გარედან, ირგვლივ იკითხება მჭიდრო პუნქტირით გამოყვანილი ბერძნული წარწერა **XAPICAMHI E]XARICAMH[N „მე ვუბოძებ საჩუქრად“**. მკვლევრები მიუთითებენ, რომ მისი უშუალო პარალელია წარწერა ვერცხლის ლანგარზე მცხეთიდან (არმაზისხევი № 3 სამარხი).¹

ლანგარის ბოძება თითქმის თანადროულია ზღუდერის პიტიახშის. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ არმაზისხევი იკითხება წარწერა: „მე მეფე ფლავიუს დადეს, ვუძღვნი ამას როგორც საჩუქარს ბერსუმას პიტიახშს“, ზღუდერის ლანგარის ფრაგმენტზე, სამწუხაროდ, აღარ შემორჩენილა სახელები, ვინ აჩუქა ან ვისთვის

¹ დ. ბრაუნდი, ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, საგანძური ზღუდერიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში (ახ. წ. 200-250 წწ.) თბ., 2009, გვ. 34.

იყო განკუთვნილი საჩუქარი. მკვლევრებს გაუჩნდათ მოსაზრება, ხომ არ იყო საჩუქარი კაბრიას პიტიახშისთვის განკუთვნილი.

კითხვაზე დადებითი პასუხის საფუძველს გვაძლევს თ. ყაუხჩიშვილის ახალი კვლევის შედეგად გამოთქმული საინტერესო მოსაზრება: „ზღუდერის ლანგრის ფსკერზე, შიგნით ყოფილა ასევე პუნქტირით შესრულებული წარწერა, რაც თითქმის არ იკითხება, მაგრამ ჩანდა მკაფიოდ **A** ასო. ასოთა მოხაზულობის საერთო სტილისა და მასში დაცული ფორმულის მიხედვით წარწერას ათარიღებს ახ. წ. II- III საუკუნეებით“.¹

ამავე სამარხში (1.6) აღმოჩნდა **ოქროს ბეჭედი არწივის და კურდღლის ინტალითი**, ამოტვიფრული ნარინჯისფერ სარდიონზე. მასზე გამოსახულია ფრთაგაშლილი არწივი, რომელსაც კურდღელი უპყრია და ჰკორტნის. არწივის გამოსახულებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მასალები. მ. ლორთქიფანიძის კვლევების თანახმად, არწივის გამოსახულება ძველი აღმოსავლეთის გლიპტიკაში ყველგან სამეფო ფრინველად ითვლებოდა. არწივი, რომელსაც კლანჭებში რომელიმე ცხოველი უჭირავს, ანტიკურ სამყაროში ოლიმპიელი ზევსის კულტის სიმბოლოს წარმოდგენდა და გამარჯვების მომასწავებლად ითვლებოდა.² თავად არწივი, როგორც ძალაუფლების, ცისა და მზის, ძლევამოსილების სიმბოლო, ხშირად გვხვდება აღმოსავლეთის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში. ძველადმოსავლურ მითოლოგიაში კი არწივის, როგორც ღმერთების მაცნის ფუქცია არაერთგზის დასტურდება. არწივი კიდევ უფრო პოპულარული გახდა გვიანანტიკურ ხანაში. გემა ბეჭდის თანადროულია და თარიღდება ახ. წ. III საუკუნით. ინტალიო მსგავსი სიუჟეტით აღმოჩენილია ურბნისში, იმ განსხვავებით, რომ არწივს ორივე

¹ თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ. 268.

² მ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ძვ.წ. V- III სს. საბეჭდავი ბეჭდები, თბ., 1975, გვ.58.

მხარეს რომაული ლეგიონის ნიშნები ჰქონდა, რაც მიანიშნებს, რომ იგი არა მარტო ლეგიონის ნიშანი, არამედ რომაული არმიის ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. ოქროს დამუშავების ამგვარი ტექნიკით ბეჭდები ცნობილია „დიდი მცხეთიდან“.¹ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფრინველის მინიატურული გამოსახულებები დამახასიათებელია კოლხური და იბერიული ოქრომჭედლობისთვის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით (ძვ. წ. XIV-XIII სს.) დათარიღებულ სამარხებში.

№2 სამარხში (2.1.) აღმოჩენილი ხუთი ოქროს ბეჭედიდან განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა **ოქროს ბეჭედი ინტალითი „გელლოსის“**, შავი გაუმჭვირვალე მინის თვლით (21×15 მმ.). ინტალიო ჩამოსხმულია და შემდეგ საფუძვლიანად დამუშავებული. იგი გამოსახავს შუახნის ნახევრად მელოტი მამაკაცის ბიუსტს, გრძელი წვერით, მარცხნივ მიმართული კეფისა და მარჯვენა მხრის უკან ბერძნული წარწერით ორ სტრიქონად, მცირე ზომის ასოებით. კიდეზე ასოების ნაწილი გადაცვეთილია, შესაძლოა, გემის ბუდეში ჩასმის დროს თვალი გახეხეს.² პიროვნების რეალისტურად შესრულებულმა პორტრეტმა კი სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ქ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ შესაძლოა პორტრეტი მიეკუთვნოს რომაულ ხანაში შექმნილ ძველი საბერძნეთის გამოჩენილ მოღვაწეს ფილოსოფოსს, რაც სპეციალისტთა მოსაზრებით (ა. ფურტვენგლერი, ჯ. რიხტერი) რომაული სამყაროსთვის მიღებული ყოფილა.³ დამუშავების ტექნიკისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ვარაუდობს, ზღუდერის გემა რომაული გლიპტიკის ხელოვნებას ეკუთვნის, ხოლო გემაზე წარწერა გემის მესაკუთრეს, ან ქვისმჭრელ ოსტატს. თავად ქ. ჯავახიშვილის

¹ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, არმაზის-ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 106-108.

² ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, ზღუდერის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B, თბ., 1982, გვ. 145.

³ იქვე, 1982, გვ. 146.

მოსაზრებიდან გამომდინარე, ანტიკური ხანის ქვისმჭრელი ოსტატის ხელწერა ყოველთვის შეუმჩნეველი და მოკრძალებული იყო, შესრულებული მცირე ზომის ასოებით, რასაც ამ ბეჭდის წარწერაზე ვერ ვიტყვოდით. მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ ბეჭდის ზუსტი ანალოგია ჩვენთან ცნობილი არ არის. თ. ყაუხჩიშვილი აღდგენილი სახით კითხულობს „გემინოსისა“, ან გემნიოსისა.¹ იგი შესაძლებლად მიიჩნევს ლათინური სახელის Gemnius გვიანდელ ფორმას წარმოადგენდეს და წარწერას ახ. წ. III საუკუნით ათარიღებს. ამ თარიღს ამაგრებს იმპერატორ ალექსანდრე სევერიუსის (222-235 წწ.) ოქროს მონეტა. დ. ბრაუნდი უარყოფს ქ. ჯავახიშვილის მოსაზრებას. თვლის, რომ გამოსახულების შუბლის მორთულობა (მის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერის სურათის მიხედვით) „არ უხდება იმ აზრს, რომ გემაზე გამოსახული პიროვნება არის ფილოსოფოსი. არც იმ აზრს, რომ ეს პორტრეტი იყო შემოტანილი.“² ბრაუნდის მოსაზრებით, მორთულობა აჩვენებს მის სტატუსს იბერიის ელიტაში, მას ადგილობრივ წარმოებად თვლის და კითხულობს „გელოოსისა“. მკვლევარს მიაჩნია, ასოები ბეჭედზე გამოსახული ამ ადამიანის სახელია და თვლის, გრძელი ულვაში და წვერები ნამდვილად არ იყო იშვიათი რომაულ იბერიაში.

№2 ხის სარკოფაგიდან **(2.2)** უნიკალურობით გამოირჩევა **ოქროს ბეჭედი გრილოსით**. მავთულ-ხვეულ ბეჭედს მოწითალო-ყავისფერი სარდიონით, ორივე მხარეს ოქროს ბურთულით, ინტალიოზე გამოსახული აქვს გრილოსი. ფართოდ ცნობილი მითიური ქმნილება აერთიანებს სხვადასხვა რეალურად არსებული ქმნილებების ნაწილებს. ცენტრში გამოსახულია მამაკაცის თავი თხელი ბაკებით და აპრეხილი წვერით, თავს

¹ თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ. 263.

² დ. ბრაუნდი, ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, საგანძური ზღუდერიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში (ახ. წ. 200-250 წწ.) თბ., 2009, გვ. 44.

მალა გამოსახულია ცხენის პროტომი და გველის ენა. თავი დგას ჩიტის ფეხებზე. ინტალიოზე ამოჭრილი მოტივი - ცხოველისა და ადამიანის შერწყმული პროტომა არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულსა და უჩვეულოს ბერძნული ხელოვნებისათვის. მსგავსი ფანტასტიკური არსებანი გავრცელებული იყო რომაული ხანის გემებზე. ასეთ არსებებს გრილოსებს უწოდებდნენ. ისინი გლიპტიკაში გავრცელდა ახ. წ. II-IV სს. ჩიტის ფეხებზე შემდგარი გამოსახულება ციური, ზეციური სიძლიერის მიმანიშნებელი სიმბოლოა, მოგვაგონებს, რომ უძველესი დროიდან ადამიანის წარმოდგენაში ფრინველები უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ ზეციურ სამყაროსთან, ანარეკლია წარმართული პანთეონის რწმენა-წარმოდგენებისა და ვფიქრობთ ფრინველის გამოსახულებას ჰქონდა არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური ხასიათი, არამედ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება. ამ მხრივ საინტერესოა ი. გაგომიძის მოსაზრება, „ასეთ გამოსახულებებში ადგილობრივი, ქართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები აისახება ... მზის ღვთაების (ცხენის) გამოსახულებას ხშირად ახლავს ხოლმე ფრინველი ... თუ ცხენი მზის ღვთაებად ითვლებოდა საქართველოში, ფრინველი მთვარისა უნდა ყოფილიყო.“¹ ინტალიო სტილისტურად თუ კვეთით მსგავსებას ავლენს ბერძნულ-რომაულ ხელოვნებასთან. გრილოსის აღნიშნული ბეჭედი, ინტალიო ავი თვალის საწინააღმდეგო მაგიას წარმოადგენდა. მას ავგაროზის დანიშნულება ჰქონდა. ზღუდერის მსგავსი გრილოსი იბერიიდან მხოლოდ მცხეთაშია აღმოჩენილია².

№3 მდიდრული სამარხის (3.1) ერთ-ერთი უნიკალური და უძვირფასესი ნივთია ოვალური ფორმის **კამეო ყელსაბამი**. მასზე გამოსახულია ზღვაში მოცურავე დელფინი. ზღვის ქალ-ღვთაება პლასტიკურად და რეალისტურად ამოჭრილ მოცურავე დელფი-

¹ ი. გაგომიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 35-37.

² ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა ტ. I, არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 191.

ნის ზურგზეა წამოწოლილი. დელფინები თავის მხრივ აფროდიტეს წმინდა ცხოველებად ითვლებოდნენ. ისინი აცოცხლებდნენ ზღვის ტალღებს, ხოლო მათ მიერ ანთებული ვარსკვლავები მანათობელ შუქურად იქცეოდნენ მეზღვაურთათვის. პირველი პუნიკური ომის შემდეგ, (ძვ. წ. 249 წ.) ერთმანეთს შეერწყა აფროდიტეს და ვენერას კულტი. მარცხენა ხელში უჭირავს განზე გაწეული მოზრდილი სამოსი-საბურავი, რომელიც მის ქვედა ტანსაცმელს ფარავს. ნერეიდა ქვის გაუმჭვირვალე რძისფერ ფენაშია ამოჭრილი. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აქ შეიძლება გამოსახული იყოს არა მხოლოდ ნერეიდა, არამედ ქალ-ღვთაება ლევკოთეა, რომელსაც მნიშვნელოვანი ტამარი და მნიშვნელოვანი კულტმსახურება ჰქონდა იბერიაში. ნერეიდებთან ერთად ის ითვლებოდა მიცვალებულთა საიქიოში გამცილებლებად. სტრაბონი ფაზისიდან შორაპნამდე კოლხთა ვაჭრობის აღწერის შემდეგ მოსხთა ქვეყანაში ახსენებს ლევკოთეას სამლოცველოს: „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო სამ ნაწილს შეიცავს: ერთის ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს.“¹

ლევკოთეას ტამრისა და მისი სამისნოს ლოკალიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად განსხვავებულადაა წარმოდგენილი. 1946 წელს სიმონ ჯანაშიას რედაქციით გამოცემულ საქართველოს ისტორიაში ლევკოთეას ტამარი ქართლის (იბერიის) მიწა-წყალზე ივარაუდება.² გ. მელიქიშვილს ლევკოთეას ტამარი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ეგულება.³ ნ. ბერძენიშვილი „ბორჯომის ხეობის დღიურში“ აწყურის ტამარზე საუბრისას, ძველი წარმართული ტამრის ადგილზე შესაძლებლად

¹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, წიგნი XI, 2.17; XI, 2.18; გვ. 124.

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1946, გვ. 76.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, ტ. I, თბ., 1970, გვ. 495, 584.

მიიჩნევს ლევკოთეას ტაძრის არსებობას.¹ ოთ. ლორთქიფანიძე თვლის რიონის დაბლობზე, ვანის ნაქალაქართან.² ნ. ხაზარაძე ბერძნული წყაროების ურთიერთშეჯერებით სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ლოკალიზაციას ეთანხმება და ტაძარს ისტორიულ მესხეთის ტერიტორიაზე ვარაუდობს, მაგრამ არ გამოორიცხავს სტრაბონისეული ლევკოთეას ტაძრის და სამისნოს არსებობას ქართლში (იბერიაში).³ იმპერიის მოკავშირე იბერიაში, რომლის დედაქალაქს ჯერ კიდევ რომის იმპერატორის, ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს მიერ აგებული გალავანი იცავდა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ, კულტურულ-ეკონომიკურ პროცესებში მრავალმხრივ მონაწილეობდა, ბერძნულ-რომაული პანთეონის ზემოქმედების კვალის არსებობა ადგილობრივ რელიგიურ წარმოდგენებსა და კულტებზე მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რაც დაადასტურა კიდევ გლიბტიკურმა ძეგლებმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების და ზღუდერის არქეოლოგიური მასალების გათვალისწინებით არ გამოვრიცხავთ ლევკოთეას კულტის პატივსაცემად მოკრძალებული ტაძრის და სამისნოს არსებობას გვიანანტიკურ ქალაქ მძოვრეთში. ამ მოსაზრებას ამყარებს ი. გაგომიძის ინფორმაცია დედოფლის გორის სასახლის №20 სათავსოში დაუზიანებლად შემორჩენილი ცეცხლის საკურთხევლის და ხანძრის სიმბურვალისაგან ერთმანეთთან შედუღებული არტეფაქტების შესახებ. ეროვნული მუზეუმის მიერ არტეფაქტების ერთი წლის ლაბორატორიულად დამუშავების

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ., 1964, გვ. 261;

² ოთ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში (ახალი კომენტარები), თბ., 2010, გვ. 212.

³ ნ. ხაზარაძე, სტრაბონის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის, („გეოგრაფია“ XI, 2. 17), მაგნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1984, № 1, გვ. 115.

შემდეგ აღმოჩნდა ბერძნულ-რომაული პანთეონი, ბრინჯაოსა და ვერცხლის მცირე ზომის ქანდაკებებით წარმოდგენილი.¹

სპეციალისტთა ნაწილი ფიქრობს, ქართული წარმართული პანთეონის ღვთაება, რომელიც გარეგნული ნიშნებით ემსგავსება ბერძნულ ლევკოთეას – „თეთრ ქალღმერთს“ (ბერძენთა რელიგიური წარმოდგენით წყალში მცხოვრები წყლის ღვთაება), მას თავყვანს სცემდნენ, როგორც ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის ადგილობრივ ქალღვთაებას. ლევკოთეა ბერძნული მითოლოგიის ძალიან საინტერესო და რთული პერსონაჟია. თავისი წარმოშობით ნაყოფიერების და მოსავლიანობის ღვთაებაა.

ბერძნულ მითოლოგიის თანახმად ლევკოთეა იყო დიონისეს მხსნელი და აღმზრდელი. თავყვანს სცემდნენ, როგორც მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველს. ზოგიერთი გადმოცემა პარალელს დემეტრეს კულტთან პოულობს. ამდენად, მითოლოგიაში მრავალსახოვნად გვხვდება მჭედლებისა და მეტალურგების, მიწათმოქმედების, ასევე ავადმყოფების და ქალთა მფარველიც. ანტიკური მითოლოგიიდან ცნობილია, ერთსა და იმავე ღვთაებას შესაძლოა სხვადასხვა ბუნება ჰქონოდა და იმავდროულად, რამდენიმე დანიშნულების ღვთაებად გვევლინებოდა. ისინი დროთა განმავლობაში იძენდნენ გარკვეულ თვისებებს, ან კარგავდნენ. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ლევკოთეა თავისი გარეგნული სახით მაინც წყლის ქალღმერთია. ბერძნული სახვითი ხელოვნების ძეგლებზე ლევკოთეა გამოსახულია ზღვის ცხოველებით გარშემორტყმული. ქ. ჯავახიშვილის შეფასებით, კამეოს შემქმნელი ხელოვანი სრულყოფილად ფლობს როგორც პლასტიკის, ისე ფერწერული ხელოვნების ხერხებს და მათი ოსტატური კომბინაციით შესანიშნავ მხატვრულ ეფექტს აღწევს. მისივე შეფასებით,

¹ ი. გაგოშიძე, 2013-2015წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, თბ., 2015, № 11, გვ. 124-125.

შესანიშნავად იყო გადმოცემული დელფინებისათვის დამახასიათებელი „ღიმილიც“. ცხოველის თავი და ცალკეული ნაწილები შესრულებულია პლასტიკურად და ამავე დროს ძალიან რეალისტურად. ქვის ფერთა შესაძლებლობის ოსტატური გამოყენებით და სასურველი ფერწერული შუქ-ჩრდილების მიღებით ხელოვანმა შესანიშნავად შეძლო სხეულის სიმრგვალისა და მოცულობითობის სრული შთაბეჭდილების შექმნა.¹ მკვლევა - რები მას ათარიღებენ ახ. წ. II საუკუნით, რადგან სტილითა და კვეთის მანერით სრულიად განსხვავდება ახ. წ. III საუკუნის კამეოებისგან. მათი ვარაუდით, ზღუდერის კამეო ყველაზე დიდ მსგავსებას იჩენს რომაული ხანის სამ კამეოსთან, რომელთაგან ერთი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. ყელის სამკაულის მედალიონი წარმოადგენს ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებულ ჩარჩო-კოლოფს, რომელშიც კამეო არის ჩასმული. მარყუჟების საშუალებით მაგრდება მედალიონი მსხვილ ოქროს ძეწკვზე, რომელიც რომაული ხანის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ყელის სამკაულს წარმოადგენდა. ყელსაბამის ძეწკვის მსგავსია სამაჯურები.² მედალიონით შემკული ყელის სამკაული ახ. წ. II საუკუნიდან გავრცელდა. ზღუდერის მსგავსი სამკაული ანალოგიებს პოულობს ახ. წ. II- III საუკუნის ძეგლებში, არმაზისხევის №7 სამარხში, ურბნისში, წილკანში, ოკამში.

№2 სარკოფაგში აღმოჩენილი ბრინჯაოს უნიკალური **საცეცხლური, (2.12)** რომელსაც ფიჭვის გირჩით დაგვირგვინებული დიონისეს ტაძრის ფორმა აქვს (9×5,5 სმ.) **დიონისეს კულტის,** როგორც მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველის თაყვანისცემაზე უნდა მიანიშნებდეს. არტეფაქტი შემკულია მდიდრული არქიტექტურული დეტალებით და წარმოდგენას გვაძლევს დიონისეს საკულტო ტაძრის მოდელზე, რაც მიანიშნებს

¹ ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, ზღუდერის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B, თბ., 1982, გვ. 134

² იქვე, 134-136.

რომაული პერიოდის იბერიაში გავრცელებულ ამ საკულტო სატაძრო ხუროთმოძღვრების არსებობას. აღმოჩენის მომენტში არქეოლოგებმა დააფიქსირეს მასში ნაცარ-ნახშირი, ე.ი. წარმოადგენდა სასაკმევლე საცეცხლურს. მას ბომონსაც უწოდებენ, რადგან საცეცხლურები ანალოგიას ცხენიან ჭურჭლებზე გამოსახულ საკურთხეველ ბომონებთან პოულობს. ეს შეეხება როგორც ცეცხლიან, ისე უცეცხლო ბომონებსაც.¹ აღნიშნული საკრალური ნივთები დიონისეს სახით თაყვანს სცემდნენ მეღვინეობა-მევენახეობის ადგილობრივ ღვთაებას, რომლის კულტი უძველესი დროიდანვე არსებობდა იბერიაში და მათ შორის მძოვრეთშიც. ამ მოსაზრების საფუძველს გვიმყარებს ძალისის სასახლის დარბაზში დღემდე შემორჩენილი დიონისეს და არიადნეს გამოსახულებები.

თავისთავად საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს საცეცხლურის ფიჭვის გირჩიანი ორიგინალური „გუმბათი“ და რა სიმბოლური მნიშვნელობა უნდა იყოს მასში ჩადებული. ცნობილია, რომ ხე უძველესი მითოლოგიური კულტმსახურების ობიექტია როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. ხე მოიაზრებოდა, როგორც კავშირი ცასა და მიწას შორის, როგორც დედაბოძი, რომელიც სამყაროს ცენტრში იყო აღმართული და ბიბლიური იაკობის კიბის დატვირთვას იმეორებდა. ხე იყო ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ძალთა გამგებელი, სამყაროსა და კულტურის ცენტრი.

საკულტო-სარიტუალო შინაარსის გამოსახულებათა შორის წიწვიანი ხეებისა თუ მათი ნაყოფის (ფიჭვის ან ნაძვის გირჩი) გამოსახვა არ არის შემთხვევითი, ხშირადაა გამოსახული საკულტო სცენებში. ფიჭვის ხის მოტივი როგორც მიცვალებულის, ისე ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული გრაფიკულ

¹ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის წინაფეოდალური ხანის, დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია 190-65.

ხელოვნებასა და ორნამენტში (სუქანანათუბანში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები წიწვოვანი ორნამენტით), რომელიც ასახავს სიცოცხლის ხის მოტივის ერთ-ერთ ვარიანტს. ქართველი ტომების რელიგიურ აზროვნებაში მეტად პოპულარული იყო. მაგ. ლაზურ ორნამენტში გამოსახული სიცოცხლის ხის მოტივი ცეცხლის, კერისა და მიცვალებულის კულტანაც იყო დაკავშირებული.¹

ანტიკურ სამყაროში ნაძვს დაკრძალვის სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნაძვი ღმერთებისგან ხელდასმულად და იმავდროულად დიონისეს ატრიბუტად ითვლებოდა, მაშინ ნათელი გახდება წიწვოვანი ხის სიმბოლური საკულტო-საკრალური დატვირთვა: ზღუდერის გამორჩეული ელიტარული საგვარეულოსთვის მხოლოდ ფიჭვის მასალისგან დამზადებული სამარხები და სამარხებში დიონისეს ტაძრის ფორმის ფიჭვის გირჩებიანი ბრინჯაოს და რკინის საცეცხლურების არსებობა.

ქრისტიანულ ხელოვნებაშიც ფიჭვის გირჩი სიცოცხლის წყაროს უკავშირდება და აუზებთან გირჩის წარმოსახვის ელინისტური ტრადიციაა გამოყენებული. ამის მაგალითია ბიჭვინთის მოზაიკა, ხოლო სტრაკოვსკის აუზებთან დაკავშირებული ფიჭვის გირჩები ნაყოფიერებისა და სიცოცხლის სიმბოლოდ აქვს მიჩნეული.²

ამრიგად, წიწვოვანი ხის დეკორი გვხვდება ტორევეტიკაში (ფიჭვის გირჩიანი ვერცხლის ლანგარი №1 სამარხიდან), ბრინჯაოსა და რკინის სამარხულ ინვენტარზე, რომელსაც გარკვეული სიმბოლური საკულტო-საკრალური დატვირთვის მნიშვნელობა ჰქონდა.

მრავალმხრივი ფუნქციის მქონე სანათების სიმრავლე და მასალის მრავალფეროვნება ჩანს ზღუდერის სამივე სარკოფაგში

¹ გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიშვის მოამბე X, თბ., 1941, გვ. 307.

² Strzygowski, Der Dom u Anchem und detne Entstellung,leipzig, 1904, s.16-23.

და ასევე ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში დედოფლის მინდორზე და ტახტისძირში.¹

დაზიანებულ №1 სარკოფაგში აღმოჩნდა რკინის სანათურის ფრაგმენტი (2.13) და საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ხარისთავიანი ბრინჯაოს საცეცხლურები (4.1) (11,9×10,3 სმ.). ხარის კულტს ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი. ხარის კულტი დასტურდება გვიან-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ადგილობრივ (ზღუდერი, სუქანანთ უბანი) ძეგლებში. აშკარაა, ხარის კულტი აირეკლა გვიანანტიკური პერიოდის ზღუდერის გრაფიკულ სიმბოლიკაშიც. მისი კულტი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ქრისტიანულ რელიგიაშიც კი შეაღწია. ავტორს მიზნად ჰქონდა დასახული ეზვენებინა ხარის ღვთაებრიობა, საქმე გვაქვს ხარის ღვთაების ქანდაკებასთან, რაც მიანიშნებს როგორც სარიტუალო-დეკორატიულ დღესასწაულებზე მათი ფართოდ გამოყენების ტრადიციაზე, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულებაზე. გირჩიანი საცეცხლურისაგან განსხვავებით, ხარისთავი შესანიშნავ სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს. ქანდაკება სტილიზებულია, შესრულების მაღალი ტექნიკის შთამბეჭდავი გამომსახველობის გამო დღემდე ანალოგი არ აქვს საქართველოში. იგი რელიგიურ კულტთან დაკავშირებულ ერთგვარ ასოციაციას გვიქმნის, რადგან ხარის სკულპტურის იერსახე მსხვერპლად შეწირული ზვარაკის შთაბეჭდილების იმიტაციას ქმნის. სპეციალისტების განსხვავებული მოსაზრებების გამო ის ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია.

ზღუდერის გვიანანტიკური ხანის სამარხმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა იბერიაში ახ. წ. II-III საუკუნის ხარის კულტი, როგორც სიმბოლო უძველესი მიწათმოქმედების რეგიონისა, რომელიც კოლხურ თეთრზეც აისახა. ხარისთავის სკულ-

¹ ი. გაგომიძე, ნ. გოგობერიძე, ტახტისძირის სამაროვანი, კატალოგი [www. heritages Site](http://www.heritagesite.org), ონლაინ არქეოლოგია № 1, თბ., 2011, გვ. 22-37.

პტურული გამოსახულება და გირჩიან-გუმბათიანი ტაძარი ერთმანეთისაგან მხოლოდ გარეგნულად განსხვავდებიან, და-ნიშნულების მხრივ ერთ, სარიტუალო სასაკმევლე საცეცხლურებს წარმოადგენენ და მსგავსი დეკორითაა შემკული, მეორე მხრივ მიანიშნებენ ტრადიციულ არქიტექტურულ ნაგებობების არსე-ბობას მძოვრეთში.

ორიგინალობით გამორჩეული სანათების ფრაგმენტების და საცეცხლურების მიცვალებულთათვის სამარხში ჩატანების სიმ-რავლე შესაძლოა, გარდაცვლილთა კერპთაყვანისმცემლობასთან ერთად ცეცხლთაყვანისმცემლობის არსებობაზე მიანიშნებდეს ან, სარიტუალო წესის შესრულებასთან იყოს დაკავშირებული და საიქიოს გზის განათების მიზნით აიხსნებოდეს.

№3 წყვილიან, მდიდრულ სარკოფაგში (3.3) აღმოჩენილი ოქროს სამი ბეჭდიდან საინტერესოა **ბეჭედი იაგუნდის ოვალური ინტალითი** (1,7×1,4 სმ.), რომელზეც გამოსახული ელინისტური მმართველის პორტრეტი. სპეციალისტების აღიარებით, გემა ელინისტური პორტრეტული ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს.¹ იგი იმდენად იდეალიზებულია, რომ პორტრეტების იდენტიფიკაცია გამძლეა. ოქროს ბეჭდის ინტალით მართლაც ბერძნული კლასიკის ნიმუშს წარმოადგენს. თავდაპირველად ქ. ჯავახიშვილმა და გ. ნემსაძემ ზღუდერის პორტრეტული გემა ელინისტურ ხანას მიაკუთვნეს და შესაძლებლად ჩათვალეს, ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 356-323 წწ.) პორტრეტი ყოფილიყო ამოტივრული, ან მისი რომელიმე მემკვიდრის.² შემდგომი კვლევებით რომაულ გემებთან ერთად რამდენიმე უფრო ადრეული, პტოლემაიოსების ეგვიპტის

¹ დ. ბრაუნდი, ჯავახიშვილი ქ. ნემსაძე გ. საგანძური ზღუდერიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250 წწ.) თბ., 2009, გვ. 44.

² ქ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, ზღუდერის სამარხის გლიპტიკური ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B, თბ., 1982, გვ. 130.

გლიპტიკური ძეგლები აღმოჩნდა, ერთი გემა და გემის ანაბეჭდი (ძვ. წ. I და ახ. წ. I სს.) თიხის ბულაზე დედოფლის გორის სასახლის ნანგრევებში, ერთი ზღუდერის სამაროვანზე ახ. წ. III ს. დასაწყისი ხანის. ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ჯავახიშვილის კვლევით, ყველა მხოლოდ შიდა ქართლში, კერძოდ, ქარელის მუნიციპალიტეტშია აღმოჩენილი, რომელსაც დიდ შეფასებას აძლევს. მისივე შეფასებით „ისინი მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშებს ან მათ ანაბეჭდებს წარმოადგენს, ყველა საგანზე მეტნაკლები ვარაუდით პტოლემეაიოსების სამეფო პირთა პორტრეტებია გამოსახული ... მნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი რანგის გლიპტიკური ძეგლები ვაჭრობის საგანს შეადგენდა. სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ გემმას ელინისტური პორტრეტული ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშად. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ძველ ქართლში დიპლომატიური საჩუქრების სახით შემოსულიყო.“¹ მართლაც, შესაძლოა, პართელებთან ბრძოლისას მარკუს ანტონიუსმა (სომხების ღალატის შემდეგ) მოკავშირე იბერიელების „ერთგულების საფასური“ პტოლემეაიოსების კარზე მიღებული წესის თანახმად, მეფეთა და დედოფალთა პორტრეტებიანი ძვირფასი საჩუქრები უხვად გასცა იბერიის მეფისთვის, რაც თავის მხრივ, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ზღუდერის წარჩინებულთა დამოკიდებულებას სამეფო კართან. ასევე ჩნდება კითხვა რომის საიმპერატორო კარზე იბერიის მეფის ამაღლაში ამ წარჩინებულთა შესაძლო მონაწილეობაზე. ქ. ჯავახიშვილი დიდ მსგავსებას ხედავს ზღუდერის პორტრეტსა და ერმიტაჟში დაცულ პტოლემეაოს V (204-181 წწ.) პორტრეტულ გემად მიჩნეულ სარდიონის ინტალიოს გამოსახულებასთან და ხაზგასმით აღნიშნავს,

¹ ქ. ჯავახიშვილი, ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალების მიხედვით), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, ძიებანი, თბ., 2003, № 12, გვ. 75.

რომ ელინისტური ხანის გემა უფრო გვიანდელ - ახ. წ. II-III საუკუნეების რომაულ ბეჭედშია ჩასმული ... ხშირია შემთხვევები, როდესაც გლიპტიკური ძეგლები, განსაკუთრებით რელიეფები და მაღალ მხატვრული ნიმუშები დიდი ხნის განმავლობაშია ხმარებაში, ან ადრინდელი გემები მოგვიანებით ახალი სამკაულების დასამშვენებლად არის გამოყენებული,¹ ამით ჩანს ოქროს დაზიანებული ნივთების მეორადი დამუშავების ტრადიცია, რაც საუკუნეების სიღრმიდან მოდის.

ამრიგად, ზღუდერის საგანძურის გლიპტიკური ძეგლები ბერძნულ-რომაულ და აღმოსავლურ ცივილიზაციასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს. ზღუდერში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების აღწერილობა არაფრით ჩამოუვარდება რომაულს და იმდენად სრულყოფილ დონეს აჩვენებს, რომ სპეციალისტებს ხშირად უჭირთ ადგილობრივ ნაწარმად აღიარონ, მეორე მხრივ, წარმოადგენს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ წყაროს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის და გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხების შესწავლისათვის.

ბერძნულ-ელინურ და ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციას ნაზიარები მძოვრეთის წარჩინებულთა საგვარეულო თავს იწონებდა არა მარტო ძვირფასი ოქრო-ვერცხლის სამკაულებით, იშვიათი საკულტო ნივთებით, შესაფერისი გამორჩეული სამოსით, არამედ ყოველდღიური საოჯახო უნიკალური საგნებით, ბერძნულ-რომაული და ქართული სტილით ნასაზრდოები მძოვრეთის პიტიახშები ცდილობდნენ, რომაელთა მდიდრულ და განცხრომით ცხოვრებას არ ჩამორჩენოდნენ. ზღუდერის მდიდრული სამარხების საგანძურის ნახვისას გვახსენდება რომაელი მწერლის პლინიუსის ცნობილი ფრაზა, „ აქ ფუფუნება ყოველგვარ

¹ ქ. ჯავახიშვილი, ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში (გლიპტიკური მასალების მიხედვით), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, ძიებანი, თბ., 2003, № 12, გვ. 82-83;

ზღვარს იყო გადასულიო“. ა. აფაქიძე ახ. წ. II-III სს. ზღუდრის მდიდრულ სამაროვანს ხევისუფალთა სამარხებად მოიხსენიებს და გვიანანტიკური ხანის, ამ რანგის ხელისუფალთა შესაფერის ფუფუნებით ცხოვრებაზე ამახვილებდა ყურადღებას.¹

ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყაროა მძოვრეთის მოსახლეობის რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისათვის. მასში საკმაოდ მკვეთრად აისახა პოლითეისტური ხასიათი, რელიგიურ-სარიტუალო წესები, მსხვერპლშეწირვის ხასიათი და მასთან დაკავშირებული რიტუალები, რომლებიც ანალოგიებს პოულობენ ანტიკური პერიოდის ქალაქებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაღალი რანგის პირთა სამარხებში: არმაზში, კლდეეთში, ბორში, ურბნისში აღმოჩენილი ნივთები მეტ-ნაკლები სიზუსტით თითქმის ემთხვევა ერთმანეთს და ზღუდრის საგანძურს, რაც უნდა მიანიშნებდეს დაკრძალვის საერთო რიტუალის არსებობაზე, მიცვალებულთათვის აუცილებელ ჩასატანებელ ნივთთა ერთგვარ ტრადიციაზე, მათ შორის კუთვნილი ფუფუნების სამკაულების, მდიდრული საყოფაცხოვრებო თუ რელიგიურ - სარიტუალო ჭურჭლის.

5. ნუმისმატიკური მასალა

გვიანანტიკურ ხანის სავაჭრო ურთიერთობებში მძოვრეთის ინტენსიურ მონაწილეობაზე მეტყველებს სამარხებში აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალა, რომელიც იმავდროულად სწორედ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების უტყუარი მაჩვენებელია. ნუმისმატები გასაოცარ ფაქტად მიიჩნევენ არა მარტო ზღუდერში 11 ცალი იშვიათი ოქროს მონეტის აღმოჩენას, არამედ სამარხების მიდამოებში უცნობი

¹ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 704-705.

კონტექსტის ოქროს მონეტების არსებობას. მარკუს ავრელიუსის (ახ. წ. 175-176 წწ.) და კარაკალას (ახ. წ. 198-199 წწ.) მოჭრილი მონეტები, რასაც ემატება ორი ელაგაბალუსის (ახ. წ. 218-219 წწ. და 220-226 წწ.) და 226 წელს მოჭრილი ალექსანდრე სევერუსის მონეტები. დიდხანს რჩებოდა ხმარებაში ოქტავიანე ავგუსტუსის (მმართველობის ხანის ძვ. წ. 31-ახ. წ. 14) დენარები, მარტო №3 სარკოფაგში აღმოჩნდა 28 ცალი ავგუსტუსის დენარი, აქვე იყო ფაუსტინა უფროსის ერთი დენარი და ხუთი ვერცხლის დრაქმა პართული ე.წ. გოტარზის, არტაბან II-ის (მეფობის ხანის ახ. წ. 10/11 - 38 წწ.) დრაქმა და ადგილობრივი მინაბამები.

ზღუდერში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალები სიღრმი - სეულად შესწავლილი იქნა ცნობილი სპეციალისტების მიერ. დ. კაპანაძემ და გოლენკომ¹ საკმაო სიზუსტით შეძლეს დაეთარილებინათ სამარხები. დონდუა საგანგებო ყურადღებას უთმობს ზღუდერში აღმოჩენილი რომაული აურეუსების საერთო რაოდენობას (32 ცალი დენარი) და საიმპერიო მონეტების სამ ძირითად კერაში ზღუდერს მეორე ადგილს მიაკუთვნებს,² რაც მიანიშნებს, რომ ამ დენარების მიმოქცევას ძამის ხეობაში ხანგრძლივი და ფართო ხასიათი ჰქონდა.

გარდა რომაული დენარებისა, ძამის ხეობაში აღმოჩნდა რომაული აურეუსების ბარბაროსული მინაბამები. დ. კაპანაძემ საქართველოში აღმოჩენილი ასეთი მინაბამები იმთავითვე ადგილობრივ ემისიად მიიჩნია და მათ „იბერიული აურეუსები“ შეარქვა.³ მინაბამებიდან გაიუს და ლუციუს კეისრების ტიპის ავგუსტეს დენარები განსაკუთრებით პოპულარული ჩანს.

ადგილობრივი მინაბამების წარმოებაზე მიუთითებს 1971 წელს ზოვრეთის სიახლოვეს, სოფ. ყელეთში მცხოვრები ა. მიქაბერიძის

¹ Голенко К. В. и Капанадзе Д. Г. Монеты найденные в селении згудери (Грузинская ССР) в 1964-1965гг. Вестник древней истории, № 1, москва 1968г. Стр. 160-166.

² თ. დონდუა, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის ნარკვევები, თბ., 2017, გვ. 182-183.

³ დ. კაპანაძე ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 47.

მიერ შემთხვევით ნაპოვნი ვერცხლის „ჰიბრიდული“ ტიპის მინაბადი (მონეტის წონა-3,78 გრ. ზომა-20 მმ.) მონეტის შუბლი: მარჯვნივ მიმართული წვერიანი იმპერატორის გამოსახულება გარშემო დამახინჯებული ლათინური წარწერით. გ. დუნდუა გამოსახულებაში იმპერატორ მარკუს ავრელიუსს (161-180 წწ.) გულისხმობს. დენარის მონეტის ზურგზე: ფარებზე დაყრდნობილი გაიუსი და ლუციუსია და დამახინჯებული ლათინური წარწერა AVGUSTI. ამ „ჰიბრიდულ“ მინაბადს ანალოგი არ მოეძებნება. მას ადგილობრივ პროდუქციად თვლის გ. დუნდუა არა უგვიანეს მარკუს ავრელიუსის ეპოქისა.¹ მოსაზრება გაზიარებული იქნა მ. შეროზიას მიერ.²

სპეციალისტების ვარაუდით, I საუკუნის სრულფასოვანი რომაული დენარების შემოსვლის შეწყვეტასთან დაკავშირებით იჭრებოდა მინაბადები. ვფიქრობთ, ადგილობრივი მინაბადების მძოვრეთში დამზადებას წინ უთუოდ უძლოდა ორიგინალების ინტენსიური ტრიალი. მინაბადების მოჭრა ორ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. 2001 წელს სოფ. რუისში (ქარელის მუნიცი.) ნაპოვნი იქნა ოქროს რომაული მონეტის უხეში ადგილობრივი მინაბადი (წონა-3,62 გრ. ზომა-20 მმ.).³

ადგილობრივი მინაბადების მძოვრეთში დამზადების საფუძველს იძლევა მ. შეროზიას კვლევის საინტერესო შედეგები: „იბერიის სამეფოს დედაქალაქ მცხეთასა და მის შემოგარენში, ე. წ. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, ხანგრძლივ არქეოლოგიურ კვლევებს არ გამოუვლენია ავგუსტუსის დენარის არც ერთი

¹ გ. დუნდუა, სოფ. ყელეთში 1971 წელს აღმოჩენილი რომაული დენარის იშვიათი მინაბადი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972, გვ. 40.

² მ. შეროზია, ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბადების შესახებ, იბერია კოლხეთი, თბ., 2009, № 5, გვ. 64-65.

³ მ. შეროზია, რომაული აურეუსები და მათი მინაბადები იბერიის ფულად მიმოქცევაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VI, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თბ., 2015, № 6, გვ. 38, 43.

ბარბაროსული იმიტაცია, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ დონის საფასეები აქ პოპულარული არ იყო.“

ამდენად, კვლევამ აჩვენა, რომ შესაძლებელი იყო ადმინისტრაციულ ცენტრებში მინაბაძების მოჭრა, რაც დაადასტურა ჯერ კიდევ ვანის განძის აღმოჩენამ. არქეოლოგიური ექსპედიციისას მიკვლეული სპილენძის ანონიმური მონეტების განძის აღმოჩენისას, გ. დუნდუას კვლევით, დადასტურდა ქალაქ ვანში მინაბაძების მოჭრა: „ვანის განძის მონეტები ყოველგვარ ეჭვს გარეშე მოჭრილია ძვ. წ. I საუკუნეში ე.ი. იმ დროს, როდესაც პონტოს სამეფოს ტერიტორიაზე ანონიმური მონეტების ემისია შეწყვეტილია, იქ საქალაქო მონეტები იჭრება.“¹ გ. დუნდუას მოსაზრით, არსებობდა ყველა საფუძველი ვანის განძის ანონიმური მონეტების ადგილობრივ მოჭრის შესაძლებლობის.

ამდენად, ბუნებრივია, გაჩნდა აუცილებლობა, გარკვეულიყო, როდის ჩნდება და ვის შეეძლო რომაული აურეუსების მინაბაძების მოჭრა. როდის ჩნდება რომაული აურეუსების მინაბაძები, ამაზე პასუხი 2004 წლის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციით (ხელმძღვანელი პროფ. ი. გაგოშიძე) გახდა ცნობილი. დედოფლის გორაზე, სოფ. დოდლაურთან,² № 15 ოთახის შემოკრებილ ნანგრევში იპოვა დაზიანებული მონეტა, რომელსაც ცეცხლში ყოფნის კვალი აჩნდა. ძვ. წ. I -ახ. წ. I სასახლე, სადაც მონეტა აღმოჩნდა ახ. წ. I საუკუნის ბოლოს ძლიერი მიწისძვრით დაინგრა, რომელსაც ხანძარიც მოჰყოლია. ამიტომ მინაბაძი და მისი იდენტური ცალეები I საუკუნეზე გვიანი პერიოდით ვერ დათარიღდება. აღნიშნული თარიღი მიღებულია კერამიკული ნაწარმის, რომის იმპერიიდან იმპორტირებული ბრინჯაოს ჭურჭლის და დანახშირებული მარცვლეულის

¹ გ. დუნდუა, იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1974, № 2, გვ. 154.

² Gagoshidze I. The Royal palace of the first century B.C – Journal of Georgian Archeology, 2004, VI, 172.

რადიოკარბონული ანალიზის შედეგების შეჯერების საფუძველზე. ყველაზე ადრეული რომაული დენარის ეს მინაბაძი მკვლევარმა დაათარიდა არა უგვიანეს I საუკუნით. 2015 წლის ექსპედიციისას აქვე აღმოჩნდა ავგუსტუსის 13 დენარი, ალექსანდრე მაკედონელის სტატერის 2 ადგილობრივი ოქროს მინაბაძი, მისი მინაბაძი აღმოჩნდა ტახტისძირშიც (ქარელის მუნიცი.). ამით დადასტურდა, რომ ავგუსტუსის ამ ტიპის დენარის მიმოქცევაში ჩართვისთანავე ჩნდება ადგილობრივი მინაბაძეები. დოღლაურთან ოქტავიანე ავგუსტუსის რომაული დენარისა (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14) და მისი მინაბაძის ერთდროული აღმოჩენაც გახდა შესაძლებელი. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1934 წელს აბისში (ქარელის მუნიცი.) აღმოჩენილი იქნა ახ.წ. I ს. (47 წ.) რომში მოჭრილი დენარი. მ. შეროზიამ დაადასტურა, რომ მინაბაძეები ჩნდება ავგუსტუსის დენარის გავრცელებისთანავე და საკმაოდ დიდხანს იყო მიმოქცევაში, ვიდრე იყო მოთხოვნა თავად ორიგინალზე, I საუკუნის მიწურულიდან III საუკუნის ჩათვლით. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარების მინაბაძეების სპექტრულმა ანალიზმა არ გამოორიგბა, ერთი და იმავე სახელოსნოს ნაწარმი ყოფილიყო. აქვე აღინიშნა, რომ მონეტები, რომელიც დამზადებულია დაბალი სინჯის ვერცხლისაგან, ყველაზე გვიანდელ ნიმუშად არის მიჩნეული და დათარიღებულია III საუკუნით.¹ ეს ყოველივე მიუთითებს ფულის ამ ერთეულზე ბაზრის დიდ მოთხოვნილებაზე მიკრორეგიონში, მაშინ როდესაც წყდებოდა ან კლებულობდა ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული მონეტების შემოსვლა, სწორედ მაშინ იწყებოდა მათი ადგილობრივი იმიტაციების ემისიები.

¹ შეროზია მ, ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძეების შესახებ, იბერია კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევა, თბ., 2009, № 5, გვ. 65-66.

რომაული დენარის ორიგინალი ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში, მათ შორის იბერიაში I-III საუკუნეებში. საქართველოში აღმოჩენილი 360-ზე მეტი ეგზემპლარიდან საფასეები ნახევარზე მეტი აღმოჩენილი იქნა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მცხეთასა და მის შემოგარენში 200-მდე ეგზემპლარი, შემდეგ მოდის არაგვის ხეობა (სატრანზიტო მაგისტრალთან), დაბა ჟინვალთან -55, ზღუდერზე-32, სოფ. აღაიანთან-18, სოფ. ბორი-16, ერწო-თიანეთში -15, კლდეეთი 14, ურბნისი -9;¹

ამის შემდეგ გასარკვევი რჩება საკითხი, ვის შეეძლო რომაული აურეუსების მინაბადების მოჭრა. ამ საკითხზე საინტერესოა ა. აფაქიძის მოსაზრება სოფ. ბორის (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) კოლექციაში აღმოჩენილი ოქროს მონეტის შესახებ. მონეტის ერთ მხარეზე სქემატური გამოსახულება იყო, მეორეზე დატანილ არმაზული წარწერაში ამოიკითხა სიტყვა „პიტიახში“. ა. აფაქიძე შენიშნავდა, რომ მასზე ადრე აღმოჩენილ არმაზის წარწერებში პიტიახში, მართალია, სხვაგვარად ქარაგმდებოდა, მაგრამ შესაძლებელი იყო „თანაგვარ მოვლენასთან გვექნოდა საქმე ოქროს მონეტის შემთხვევაშიაც“.² ეს მნიშვნელოვანი აღმოჩენა ხაზგასმით მიაჩნებოდა, რომ ფულს შესაძლოა პიტიახშიში ჭრიდნენ. მონეტაზე მირჩილული ყუნწი კი აშკარად მიაჩნებოდა ოქროს მონეტის სამკაულად გამოყენებაზე. დ. კაპანაძემ მოსაზრება საეჭვოდ მიიჩნია. თავდაპირველად მონეტები კოლხეთში მოჭრილად ჩათვალა. შემდგომი კვლევების საფუძველზე აღნიშნული დენარების და აგრეთვე არტაბან II-ის დრაქმების ერთი ნაწილის ადგილობრივი მოჭრის შესაძლებლობა დასაშვებად ჩათვალა.³ მ. შეროზია ეთანხმება ამ მოსაზრებას და

¹ იქვე, გვ. 61.

² ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფელ ბორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1944, გვ. 443.

³ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ. 1969, გვ. 44.

აღნიშნავს, რომ „მსგავსი კატეგორიის ბარბაროსული მინაბამების მოჭრა არ იყო იბერიის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა. ძირითადად იყო ადგილობრივი წარმომავლობის, რომელსაც აწარმოებდნენ ეპიზოდურად პროვინციებში, უმთავრესად ადგილობრივი ხელისუფლება. ასე რომ, თუ სპეციალისტთა ვერსიას გავყვებით, მაშინ შეგვიძლია იგი მტკიცებულებად ჩავთვალოთ და მძოვრეთში აღმოჩენილი მინაბამები მძოვრეთის პიტიახშების ადგილობრივი „ზარაფხანის შედეგად“ მივიჩნიოთ.

ამრიგად, ზღუდერის სამაროვანზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალის ადგილობრივი მინაბამების ფართოდ გამოყენება, იმპორტული საქონლის სიუხვე: აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (შუა აზია, ეგვიპტე, ინდოეთი) ძვირფასი ქვების გამოყენება ადგილობრივ ოქრომჭედლობაში, რომელი უნიკალური გლიპტიკური და ტორევტიკული ძეგლები, სირიული მინის ჭურჭელი აშკარად მიანიშნებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში მძოვრეთის დიდგვაროვანთა აქტიურ მონაწილეობაზე.

გათხრის შედეგად არტეფაქტიდან ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსა და კავკასიაში უძველესი ჩინური აბრეშუმის აღმოჩენა დედოფლის გორაზე, №1 სამარხში (თაგვის სორო) და №18 სამარხში, ამასთან ბამბის და სელის ქსოვილის ფრაგმენტები¹, რაც მოლოდინს აჩენს, ზღუდერის დიდგვაროვანთა ორიგინალურ აქსესუარებს (მრავალფეროვანი ოქროს კილიტები, დუგმები) სამოსიც შესაბამისი ხარისხის უნდა ჰქონოდა, რადგან ცნობილია, რომ შინამრეწველობის ესა თუ ის დარგი ფეხს იკიდებდა იქ, სადაც საამისო რესურსი, ტრადიცია და

¹ E.Kvavadze, I. Gagoshidze. Fibres of silk, cotton and Flax in a weaving Workshop from the first century AD palace of Dedoplis Gora, Georgia. *Veget Hist Archaeobot* 17 (Suppl), 2008, 211-215. ი. გაგოშიძე 2013-2015 წლების არქეოლოგიური გათხრები დედოფლის გორაზე, იბერია კოლხეთი, თბ., 2015, № 11, გვ. 120.

ნაწარმზე მოთხოვილება იყო. ამაზე მიანიშნებს სამწევრისის ეკლესიის ქვევრიდან არაპალინოლოგიურ ნაშთებში აღმოჩენილი შალის, სელის და ბამბის ქსოვილის ბოჭკოები.¹ ვფიქრობთ, მძოვრეთში ხელოსნური წარმოების დარგებიდან საფეიქრო საქმიანობის განვითარების მაღალ დონეზე უნდა მიანიშნებდეს დედოფლის მინდორზე და მეზობელ ურბნისში 1961 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციის მიერ გვიანბრინჯაოს პერიოდის სამარხში აღმოჩენილი მატყლის მაღალხარისხიან ნართზე აცმული მძივები.

მართალია, ზღუდერის სამაროვანზე არ აღმოჩნდა ქსოვილის ფრაგმენტები, მაგრამ გლიპტიკური მასალა უდავოდ მიგვანიშნებს ქსოვის ხელოვნების მაღალ კულტურაზე. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური მონაპოვრებში მაღალხარისხოვანი ქსოვილებით და ნაირგვარი ოქროსამკაულით შემკულ ქსოვილების აღმოჩენაზე საუბრისას აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი არმაზისხევის, ბაგინეთის, ბრილის მდიდრული სამარხების გვერდით მძოვრეთსაც მოიხსენიებს.² ზღუდერის გლიპტიკურ მასალაზე აშკარად შეიმჩნევა ლამაზად შემოსილი, ნატიფი, დახვეწილი გემოვნების მანდილოსნის თავსამკაულით შემკული ფაქიზი, თითქმის გამჭირვალე, ჰაეროვანი თავსაბურავი ქსოვილის სიმსუბუქე, თხელი ნაზი ნაკეცებით, რაც შესაძლოა ჩინური აბრეშუმის ქსოვილის ან ადგილობრივი მაღალი ხარისხის ნართის არსებობაზე მიანიშნებდეს. ამ მოსაზრების საფუძველს ამყარებს მცხეთა-არმაზის გათხრების აღმოჩენები, ასევე ჰეროდოტეს ცნობები საქართველოში ნაზმატყლიანი ცხვრის ჯიშების შესახებ³ და დიონ კასიუსის ცნობა მეფე ფარსმანის

¹ ზ. თვალჭრელიძე, ე. ყვავაძე, „ქვაბების“ სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის არტეფაქტების ინტერდისციპლინური კვლევის შედეგები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VII, თბ., 2016, № 7, გვ. 68, 81.

² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, ტ. I, თბ., 1970, გვ. 760.

³ თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 73;

მვირფასი საჩუქარის („მოოქრული წამოსასხამი“) შესახებ იმპერატორ ადრიანესადმი.¹ მძოვრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შემთხვევაში, ვფიქრობთ, ნაქალაქარის ტერიტორიაზე ბევრად მეტი უნიკალური აღმოჩენების მომსწრენი გავხდებით.

ზღუდერის სარკოფაგის №1 არქეოლოგიურ ინვენტარში აღმოჩენილი იქნა მინის ნაწარმი: მინის სანელსაცხებლე („ორთავა კოლბა“), ორივე მხარეს რელიეფური მორთულობით. (სიმაღლე 5,9 სმ), რომლის შესაძლო დამზადებას სპეციალისტები ვარაუდობენ სირიაში, მათ შორის ო. ლორთქიფანიძე სირიიდან მინის სანელსაცხებლების შემოტანას I-III სს. ვარაუდობდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სირიული და ეგვიპტური იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი I საუკუნის რომის, პართიის და მისი მოკავშირე სომხეთის სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო დასავლეთის გზით, რომის პროვინციებზე გავლით მდ. მტკვრის ხეობიდან შიდა ქართლში შემოდიოდა. ი. გაგომიძის კვლევით, ურბნისში სამხრეთ დასავლეთიდან მტკვრის ხეობით მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე I საუკუნის უფრო მეტი და უფრო ფართო ასორტიმენტის სირიული მინის ჭურჭელია დალექილი, ვიდრე თვით მცხეთაში, იბერიის დედაქალაქში.² სირიული მინის ნაწარმის მკვეთრი შემცირება შეინიშნება III საუკუნის მეორე ნახევრიდან იბერიაში, რაც გამოიწვია სირიაში მინის წარმოების დაცემამ. ამავე სამარხში აღმოჩნდა მინის თასი და მშვენიერი გამჭვირვალე მინის ლანგარი, ზედ ბერძნული წარწერით „დიადი საქმეების საკეთებლად, იცოცხლე“. წარწერას ზუსტი პარალელი არ ეძებნება, ჭურჭლის ფორმის მიხედვით ათარიღებენ III

¹ დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბ., 1966, გვ. 53.

² ი. გაგომიძე, ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრები ქ. წ. I საუკუნეში, ქართლის სამეფოს (იბერიის) საზღვრები ქ. წ. I საუკუნეში, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევა-ნი, თბ., 2007, № 3, გვ. 25.

საუკუნით. აქვე მოკვლეული მინის თასი გავრცელებული ყოფილა რომის იმპრიაში ახ. წ. II-III სს. რამდენიმე ათეული წელია, რაც ლურჯი მინის მრავალწახნაგები მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა და მათ წარმოება-დამზადების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ლურჯი მინის მრავალწახნაგები ცნობილი იყო მხოლოდ მცირე აზიაში, თუმცა მოგვიანებით კვლევებმა გამოავლინა „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების არეალი. ქ. ჯავახიშვილი ხანგრძლივი კვლევის შედეგებზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: „ლურჯი მინის მრავალწახნაგების აღმოჩენის დღევანდელი მონაცემები (70-მდე საქართველოს ტერიტორიაზეა და 16-17 მის გარეთ რაც) უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება ... მკვლევართა მოსაზრება მათი იბერიაში დამზადების შესახებ.“¹ მკვლევარები მ. ლორთქიფანიძე, ქ. ჯავახიშვილი, ი. გაგოშიძე, ს. ბარნაველი, ადგილობრივი მცირეაზიული საბეჭდავების იბერიულ პირებად მიიჩნევენ და არ გამორიცხავენ მათ იბერიაში დამზადების შესაძლებლობას.²

ზღუდერის № 2 სარკოფაგში მარცხენა მიცვალებულთან აღმოჩნდა გიშრის, გრანიტის და ერთი უნიკალური გრძელი ცისფერი მინის ექვსწახნაგა მძივი. არქეოლოგი გ. ნემსაძე ყურადღებას ამახვილებს აქვე აღმოჩენილ მინის ნაწარმის ორ ფრაგმენტზე, რომელთაგან ერთი ისე იყო დაფხვნილი, რომ მისი აღდგენა ვეღარ მოხერხდა. მინის ნაწარმი მსგავსია ბერძნული ჭურჭლის და III-IV საუკუნეებით თარიღდება.

№3 სარკოფაგში მიკვლეული იქნა მინის მოლურჯო-მწვანე ფერის, რომაული წარმომავლობის ბოთლი, რომელიც დათარიღებულია მეორე საუკუნით. აქვე განსხვავებული, გამჭვირვალე

¹ ქ. ჯავახიშვილი, ლურჯი მინის მრავალწახნაგები, მიეზანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, თბ., 2002, № 9, გვ. 75.

² ქ. ჯავახიშვილი, პართული საბეჭდავი ურზნისიდან, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1975, № 4, გვ. 112, 116.

მინის ღია ყვითელ-მომწვანო ფერის ფრაგმენტი და ნაფხვენებიც იქნა აღმოჩენილი.

ზღუდერის სიახლოვეს, სოფ. ურბნისის სამაროვანზე მრავალრიცხოვან მინის სანელსაცხებლეთა შორის აღმოჩენილი იქნა წუნდებული მინის ნაწარმი. 1955წ. ნაქალაქარის გვიანანტიკური ხანით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი მინის ზოდების წარმომავლობა ლ. ჭილაშვილმა დაუკავშირა ურბნისში მოქმედ მინის საწარმოს.¹

1996 წლის ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი პროფ. ი. გაგოშიძე). ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ტახტისძირში² გაითხარა ძვ. წ. IV-III სს. სამაროვანი, სადაც მრავალრიცხოვან ნივთებს შორის, მძივებთან და საკიდებთან ერთად აღმოჩნდა იშვიათი, მეტად საინტერესო ეგვიპტური ნივთები: თეთრი გამჭვირვალე მინის ორი ოვალური მედალიონი-ინტალიო. მედალიონების ერთი ზედაპირი ბრტყელია, მეორე მცირედ ამოზურცული. ერთის ბრტყელ პირზე ამოჭრილია ფრთაგამოღილი გრიფონი. საკმაოდ კარგ ნახელავში გამოსახულება არ არის ღრმა, მაგრამ საკმაოდ მკაფიოა, შიგ ჩაწნეხილია ოქროს თხელი ფურცელი, რომელიც ალაგ-ალაგ ამოვარდნილი იყო. აღმოჩენილი სამკაული ძველი აღმოსავლეთის და ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის კავშირის უტყუარ მტკიცებულებაზე მიანიშნებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოქროს თხელი ფურცლების გამოყენება გამჭვირვალე მინის ნაკეთობების შესამკობად პირველად ეგვიპტეში დაიწყო ძვ.წ. IV საუკუნეში. ოქროს ფურცლით შემკული ნაკეთობები ელინისტური ხანის დასაწყისიდან ჩნდება საქართველოში, მათ შორის რომაული ხანის დედოფლის გორაზე (ძვ. წ. I და ახ. წ. I ს.).

¹ ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 56-57; ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961, გვ. 79.

² ქ. ჯავახიშვილი, ოქროს ფურცლით შემკული იშვიათი ნივთები ტახტისძირის სამაროვნიდან, იბერია-კოლხეთი საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევა, თბ., 2012, № 8, გვ. 17, 20.

ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ჯავახიშვილი ტახტისძირში აღმოჩენილ იშვიათ მედალიონებს ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით ათარიღებს და სავარაუდოდ ეგვიპტესთან, კერძოდ, ალექსანდრიასთან კავშირზე მიუთითებს.¹

ოქროს ფურცლით შემკული ნაკეთობები ერთობ იშვიათია მსოფლიო მუზეუმებში. ნაკეთობების დამზადების ტექნიკური სირთულის გამო ნაკეთობები მეტად ძვირადღირებული ფუფუნების საგნებია. ეს აღმოჩენა ძამის ხეობაში კიდევ ერთი საფუძვლიანი არგუმენტია, რომ შესაძლებლად ჩავთვალოთ მინის წარმოების ადგილობრივი სახელოსნოების არსებობა მძოვრეთში ახ. წ. II-III საუკუნეებში.

ზღუდერის სარკოფაგში აღმოჩენილი სანელსაცხებლები (1.9) მის წარმოებაზე უნდა მიანიშნებდეს. ნელსაცხებელი ზეთზე მზადდებოდა და სხვადასხვა სურნელით ზავდებოდა.²

ზეთსახდელთა არსებობა ქართველთა ყოფის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ გავრცელებულ და მნიშვნელოვან დარგს განეკუთვნება. სხვადასხვა სახის საზეთე მცენარეთა კულტურები (სელი, კანაფი, ნიგოზი-კაკალი, ზეთისხილი, მზესუმზირა) უძველესი დროიდანაა ცნობილი. ზეთსახდელი იარაღების განვითარებაში საყურადღებოა საზეთე წისქვილები და წნეხის ეთნოგრაფიულ სახეობათა ქართული მონაცემები.

ზემოაღნიშნული ქრონოლოგიური ფენის გარდა გათხრებისას დადასტურდა მესამე გვიანფეოდალური ხანის ფენა. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიდან გაითხარა ორი საწნახელი, ნაგები ფლეთილი ქვით და კირის მკვრივი ხსნარით. ერთი მათგანი ყურძნის, მეორე კი ზეთის სახდელი საწნახელი აღმოჩნდა. მათ

¹ ქ. ჯავახიშვილი, ქართლის სამეფოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან რომაულ ხანაში, ძიებანი, თბ., 2003, № 12, გვ. 76-81.

² ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ქართული ზეთსახდელეები) თბ., 1963, გვ. 31.

სიახლოვეს თიხის თონე, ქვევრები და წყალსადენი მილები.¹ ზეთის მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობამ თავისთავად გაზარდა მოთხოვნა მათზე. ზეთის საწყაოს მრავალფეროვნება და საბაჟო წესდებამი ასახული საბაჟო ტარიფები აშკარად მეტყველებს ზეთის წარმოების მნიშვნელობაზე მძოვრეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-რელიგიურ ცხოვრებაში.


XX საუკუნის მიწურულს საქართველოში პირველად დაიწყო თიხის ჭურჭლის შიგთავსის ინტერდისციპლინური მეთოდებით კვლევა. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, სამწევრისის (XV ს.) ქვევრიდან მოპოვებული შიგთავსის პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური კვლევით დადასტურდა ვაზის წიპწებისგან ზეთის წარმოება. კვლევის შედეგები დატანილია დიაგრამებზე, რომელიც კარგად ასახავს, თუ რაოდენ მდიდარია ამ ორგანული ნაშთის სპექტრი.²

ზეთის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა მძოვრეთში მეტად საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენაა. მასში შალის ბოჭკოებთან ერთად, სელის ბოჭკოების არსებობაც დადასტურდა, რომელიც ადამიანის სამოსის მტვრის ნაშთი უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ საზეთე სელის ინტენსიური წარმოების რეგიონად ითვლება აღმოსავლეთ საქართველოში მესხეთ-ჯავახეთი, თრიალეთი და ქვემო ქართლი, სადაც „სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა“³. სავარაუდოთ სხვადასხვა ჯიშის სელი (ქსოვილის და ზეთის წარმოების) მოპყავდათ ძამას ხეობაშიც, სელის ზეთის მრავალმხრივი გამოყენე-

¹ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის წინაფოცდალური ხანის, დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია, 190-65.

² ზ. თვალჭრელიძე, ე. ყვავაძე, „ქვაბების“ სამონასტრო-სამოსახლო კომპლექსის არტეფაქტების ინტერდისციპლინური კვლევის შედეგები, მუზეუმის მოამბე, VII, თბ., 2016, № 7, გვ. 67-68, 70, 81.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 31, 42, 86.



ზღუდერზე აღმოჩენილი ზეთსახდელის და საწნახელის სქემა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის წინაფეოდალური ხანის, დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია 190-65.

ნების გამო. მას ფართოდ მოიხმარდნენ განათების, ტყავის დასამუშავებლად, სამკურნალოდ, სამხატვრო და სამღებრო საქმიანობაში, ქსოვილების მოჩითვისას, რელიგიურ რიტუალებში და სხვ. მასზე დიდი მოთხოვნილების გამო სცილდებოდა

პირადი და საოჯახო მოხმარების ფარგლებს და უძველესი დროიდანვე ხელოსნურ წარმოებასა და ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ზღუდერის არქეოლოგიურმა გათხრებმა უტყუარი ფაქტობრივი მასალით დაგვიდასტურეს გვიანანტიკური მძოვრეთის საქალაქო მეურნეობის ისეთი დარგების არსებობა, როგორც იყო მინის ნელსაცხებლების და ზეთსახდელების წარმოება, რაც დღემდე უცნობი რჩებოდა წერილობითი წყაროებით.

ამრიგად, ზემოთ განხილული არქეოლოგიური ძეგლებიდან გამომდინარე არტეფაქტები ძირითადი ავთენტური წყაროა გვიანანტიკური პერიოდის, როგორც გვიანანტიკური ქართლის კულტურული დონისა და საგარეო ურთიერთობების ისტორიისათვის, ასევე ზოვრეთის საქალაქო ცხოვრების სავაჭრო და წარმოებითი ურთიერთობების, სამეურნეო დარგების განვითარების, ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად, შიდა ქართლში დღემდე თითქმის უცნობი კიდევ ერთი ნაქალაქარის დაარსების ისტორიის გასაცნობად.

6. ნაქალაქარის ზღუდე-გალავნი

საკვლევი თემის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილი, ნაქალაქარის ზღუდე-გალავნის აღმოჩენის საკითხი, ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო 2009 წლის მუზეუმის გამოცემაში, „საგანძური ზღუდერიდან“ ვერ მოხვდა. იმ ვითარებაში, როცა წერილობით წყაროებს ნაქალაქარის დაარსების ისტორიაზე ცნობები არ შემოუნახავთ, ალიზის ზღუდე-გალავნის თავდაპირველ აგებას, მისი შემდეგდროინდელი ფენების აღმოჩენას და პერიოდების დადგენას ქალაქის დაარსების ისტორიისათვის „ინფორმაციის შენახვის“ ავთენტური, უტყუარი პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომისთვის მეტად ღირებული აღმოჩნდა ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. ნემსაძის ანგარიშის (1966 წ.), ის ნაწილი,¹ სადაც საუბარია გვიანანტიკური ხანის გათხრების უბანზე აღმოჩენილი ქვისწყობიანი საძირკვლის ნაშთზე: „ნაგებობის საძირკვლის სიგანე 1,5 მ. აღწევს. იგი ორფენიანია. რეკონსტრუქციის შემდეგ პირველ ფენაზე უშუალოდ დაუდგამთ მეორე, ისეთივე ნაგებობა. ორივე ფენა წარმოადგენს თითოწყობიან რიყისა და კლდის ნაგლეჯი ქვებით ნაგებ საძირკველს. ზედა ფენის წყობას დატანებული აქვს საძირკვლის სიგანის ზღურბლი. ამ საძირკვლების თავზე მოთეთრო-მოყვითალო თიხის ფენა, რაც უქველად ალიზის კედლის ნაშთი უნდა იყოს ... საძირკვლის სიგრძე უდრის 20,9 მ. ბოლოში ის 90⁰-ით, უხვევს და 5,5 მ. მანძილზე გრძელდება. აქ იგი გადაჭრილია შედარებით განიერი (1,6-1,65 მ.) „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობის ქვის წყობით, რომელსაც გარეთა კუთხეები მომრგვალებული აქვს, ხოლო შიგნითა კი სწორი ... ამ ნაგებობის ფრაგმენტს მხარე მორღვეული აქვს, რადგან ბორცვის ეს ნაწილი იხვნებოდა ბუნებრივია თითქმის ზედაპირზე ამოსული დაზიანებულიყო, რომ აღარაფერი ვთქვათ მასზე დადგმულ ალიზის კედელზე“. დაახლოებით რა ფართობს მოიცავდა ეს კედლები, დოკუმენტურად ამის დადასტურება შეუძლებელია ნაქალაქარ მძოვრეთის არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე. ამონარიდი ამყარებს მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ორფენიანი, მტკიცე ზღუდე-გალავნის ნაგებობის საძირკველის რეკონსტრუქციის შემდეგ პირველ ფენაზე ზედადადგმულ, ზედა ფენის საძირკველში, დამატებითი სიმტკიცის მიზნით „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობის ქვის წყობით გაუმაგრებიათ, რაც ჩვენი

¹ გ. ნემსაძე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 54-55.

მოსაზრით მტკიცებულებაა იმისა, რომ ეს გვიანანტიკური ხანის ნაგებობება (ქვედა ფენის გამოკლებით) დაშენებულია კედლის მეორედ რეკონსტრუქციის შემდეგ. ივ. ჯავახიშვილი ბურჯის, ციხის ზღუდის გასწვრივ გარკვეულ მანძილზე გამოწეულს მომრგვალებულ, ან ოთხკუთხედს საბრძოლველ ნაწილს უწოდებდა, საიდანაც მტრის წინააღმდეგ სროლა გაადვილდებოდა.¹ ფაქტიურად, სახეზე გვაქვს უძველესი ქალაქის საფორტიფიკაციო კომპლექსის ნაშთი, მტკიცედ ნაშენი კედლებით და მასში მკვიდრად ჩაშენებული „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობის ქვის წყობის საბრძოლო კომპიტი.

ზღუდერთან ახლოს, სოფ. ურბნისის, დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშის შედარებითი ანალიზით და გორის ციხის კედლის ნაშთების არქეოლოგიური მასალის² გაცნობით ნათელი გახდა, რომ ანალოგიურია მათი ზღუდე-გალავნების და ნაგებობების მშენებლობა ტექნიკური თვალსაზრისით და საერთოდ ტიპიურია გვიანანტიკური ხანის იბერიის ქალაქებისთვის, მათ შორის არმაზციხის.

ბუნებრივია, დარჩა გასარკვევი საკითხი, რომელ საუკუნეში უნდა დაწყებულიყო ზღუდე-გალავნის თავდაპირველი, რეკონსტრუქციამდელი ქვედა ფენის მშენებლობა ?

დედოფლის მინდორზე ახ. წ. I საუკუნის ბოლოს მოულოდნელი დამანგრეველი მიწისძვრისა და გაჩენილი ხანძრისაგან ფაქტიურად განადგურებული ქართლის (იბერიის) მეფეთა საგვარეულო სალოცავი, გრანდიოზული სასახლე და მისი შემოგარენის მდიდარი ნახანძრავი მასალები საფუძველს იძლეოდა, ამ დიდი კატასტროფის კვალს გავყოლოდით მძოვრეთამდე, რომელსაც შესაძლოა მძოვრეთის ამ პერიოდის უძველეს დასახ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 46.

² ე. მამისთვალისძე, გორის ისტორია, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, წიგნი I, თბ., 2018, გვ. 211.

ლებამდე მივეყვანეთ. სატაძრო კომპლექსის განადგურების აღნიშნული თარიღი დადგენილია კერამიკული ნაწარმის, რომის იმპერიიდან იმპორტირებული ბრინჯაოს ჭურჭლის და დანახშირებული მარცვლეულის რადიოკარბონული ანალიზის შედეგების შეჯერების საფუძველზე. თუ გავითვალისწინებთ ახ. წ. I საუკუნის ბოლოს დედოფლის მინდორზე მომხდარ კატასტროფის მასშტაბებს, იგი უთუოდ დამანგრეველი იქნებოდა მძოვრეთის დასახლებული პუნქტისთვისაც, რომლის დანაცრებულ-დანახშირებული ქვედა ფენის მეორედ რეკონსტრუქციამდელი კვალი აშკარად ჩანს ნაქალაქარის ზღუდის კედელში. ჩვენს ამგვარ ვარაუდს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ანტიკური პერიოდის ნაქალაქარ ურბნისის¹ ადრეული და გვიანანტიკური ხანის დანახშირებულ-დამწვარი ფენების არსებობაც.

კითხვაზე - როდის შეიძლება თავდაპირველი, ნაქალაქარის ქვედა ფენის ზღუდის მშენებლობა დაწყებულიყო - სამწუხაროდ, წყაროთა არარსებობის გამო რთულია ზუსტი არგუმენტირებული პასუხი, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ მშენებლობის ქვედა ზღვარი, კატასტროფამდე პერიოდი - ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევარი.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვლენების ქრონოლოგიური განვითარება მიგვანიშნებს, რომ ამ პერიოდის იბერიაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულის ან ადმინისტრაციული ცენტრის გარდა შეუძლებლად მიგვაჩნია, მსგავსი სიმტკიცის ზღუდე-გალავანი აშენებულიყო სამეფოს ყოველ დასახლებულ პუნქტში (დაბასა თუ სოფელში). თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ დაახლოებით ახ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარამდე მძოვრეთი ზღუდე-გალავნით გამაგრებული ადმინისტრაციული ცენტრი მაინც უნდა ყოფილიყო ძამის ხეობის მიკრორაიონში, ქალაქად ჩამოყალიბებამდე.

¹ ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 56-57.

სწორედ ამ კატასტროფის შემდეგ გახდებოდა აუცილებელი მეორედ რეკონსტრუქცია, ზღუდე-გალავნის გამაგრების მიზნით, ახალი „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობის, ქვის წყობით დაშენება, რაც ახ. წ. II საუკუნის დამდეგამდე ნამდვილად ვერ დაიწყებოდა.

ამრიგად, ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთი, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ანტიკურ ქალაქთა მშენებლობის ტიპიურ ნაგებობას წარმოადგენდა, სრულად ადასტურებს როგორც სამშენებლო მასალის მოპოვება-დამუშავებას და ქალაქის სამშენებლო-საინჟინრო პოტენციალს, ასევე საერო და სატაძრო-საკულტო მშენებლობების, მეთუნეობის, ქვისმთლელების და სხვ. ხელოსნული წარმოების ცალკეული დარგების განვითარების დონეს და ასევე ხელოსნური ნაწარმის ტრანსპორტირების საკმაო გამოცდილებას.

იბერიის მეფეთა საგვარეულო სალოცავის და გრანდიოზული სასახლის სრულად განადგურების შემდეგ, ახ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან ქალაქური ტიპის მძოვრეთის დასახლება იძენს ახალ ფუნქციას. გვიანანტიკური ქალაქი, ვფიქრობთ, სწორედ ამ დროს მეორედ შემოიზღუდა მტკიცე ბურჯებით გამაგრებული ზღუდე-გალავნით. გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით ქალაქს უთუოდ თავისი ციხე უნდა ჰქონოდა. მძოვრეთის ზღუდე-გალავნით „შემოზღუდა“, რაც დიდ ეკონომიკურ რესურს მოითხოვდა, ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის დიდი ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე ცენტრი იყო, მეორეს მხრივ, ზღუდის საჭიროება მოსალოდნელი საფრთხის, ან მტრის თავდასხმის საშიშროებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რაც პირველ რიგში დაემუქრებოდა სტრატეგიული მდებარეობით და ეკონომიკური სიძლიერით გამორჩეულ ქალაქს. რომის იმპერიის საზღვრისპირა პროვინციებთან, საერთაშორისო სავაჭრო-სტრატე-



გიულ მაგისტრალთან მდებარე ადმინისტრაციული ცენტრის გამაგრება და მიკრორეგიონის ცენტრალურ ქალაქად გადაქცევა თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობებით, იბერიის სამეფო კარის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მოსაზრებით აიხსნება.

გვიანანტიკური ხანის ნაქალაქარის დაარსების ისტორიაზე მუშაობისას შევეცადეთ გავვერკვია, საიდან იღებდა სათავეს ძამის ხეობის უძველეს ნამოსახლართა ისტორია. სამაროვნის სანაპირო ზოლზე 1965 წელს განახლებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა

ცხადყო, რომ ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში.

არქეოლოგ გ. ნემსაძის მიერ აქ გაითხარა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის 10 ორმოსამარხი და 6 ყორღანი.¹ ექვსივე ყორღანი, რომელთა დიამეტრი დაახლოებით 5 მ. იყო, გარეშემოსაზღვრული იყო წრიულად განლაგებული, ორსართულად დაწყობილი კლდის ნაგლეჯი ქვებით. ყორღანები დაზიანებულიყო, მორღვეული ჰქონდათ მნიშვნელოვანი ნაწილი. არქეოლოგის მტკიცებით, ყველა ორმოსამარხი, ყორღანი და მასში ჩაშვებული სამარხები წარმოდგენილი იყო გვიანბრინჯაო-რკინის ხანისთვის დამახასიათებელი ინვენტარით. სამწუხაროდ, გამოქვეყნებულ ანგარიშში ვერ მოხვდა სამაროვანზე აღმოჩენილი ინვენტარის სრული ჩამონათვალი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის დედოფლის მინდორის ფონდის კოლექციაში (№ 190-65) დაცულ გ. ნემსაძის პირად არქივში მივაკვლიეთ ამ უბანზე აღმოჩენილი მდიდარი და საინტერესო არქეოლოგიური მასალის ანგარიშის პირს,² რომელსაც დართული ჰქონდა აღმოჩენილი სამარხეული ინვენტარის სრული აღწერა. აქედან საყურადღებოა სამარხებში მიმოზნეული სარდიონის სხვადასხვა ზომისა და ფორმის 80 ცალი მძივი და მოვარდისფრო სარდიონის სამაჯური რგოლებით. მძივების სიმრავლით და ფერთა სიუხვით გამოირჩევა ყორღანი №4, ლურჯი ოდნავ გამჭირვალე მინის, მოწითალო ფერის სარდიონის და ცისფერი პასტის მძივებით (5 ცალი), ასევე ქარვისა და გიშრის მძივები. გიშრის წარმოება ცნობილია ანტიკური პერიოდიდან, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ზემო იმერეთში. ოკრიზის გიშრის საბადოები და მათი დამუშავების მაღალი ტექნოლოგიის შესახებ ცნობები დაცულია სამეცნიერო

¹ გ. ნემსაძე, ბრინჯაოსნივთებიანი სამარხი მამას ხეობიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIX - B, თბ., 1972. გვ. 26.

² საქართველოს ეროვნული მუზეუმი ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია № 190-65.

ლიტერატურაში, რაც მიგვანიშნებს გიშრის დამუშავების ადგილობრივ წარმოებაზე. შინახელოსნობის ამ დარგის ნაწარმზე, განსაკუთრებით სამკაულებზე, დიდი მოთხოვნა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ უხვად გაჰქონდათ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან საზღვარგარეთ. იგი მიაჩნდათ ავი თვალისაგან დაცვის უნიკალური თვისებების მქონე „მვირფას“ ქვად.

სამარხებში უხვად იყო წარმოდგენილი თიხის ჭურჭლი, რომელთა დამზადების ტექნიკა და შემკულობა მაღალი დონის ოსტატობაზე მიგვანიშნებს. ზღუდერის სამაროვანზე აღმოჩენილი შავი ფერის თიხის სადღვებლები წარმოდგენილია ჭურჭლის ტანის სახით, ძირითადად ნატეხებით. არქეოლოგი გვიან-ბრინჯაო-რკინის ხანის სამარხის კოლექციის აღწერისას ყურადღებას ამახვილებს თიხის ჭურჭლის ჩარხზე დამზადების ტექნოლოგიაზე, გაბნეულ შედარებით თხელკედლიანი ნატეხების სიმრავლეზე, სხვადასხვა ფერის (წითელი, შავი, მოჩალისფრო ნაცრისფერი) და დანიშნულების ჭურჭელებზე: თიხის ფიალები, რომელსაც გარედან ეტყობა ჩარხზე ბრუნვის ზოლები. დაბალგვერდებიანი ლანგრები ფართო პირით, ჩარხზე დამზადებული სასმისები ღია ყავისფერი, ცეცხლში ყოფნის კვალით, რომელთაც ყელის ძირში დაჭდეული ხორბლისფერი მარცვლების რიგი შემოუყვებოდა. კეცები ნაცრისფერი ფერის, რაც ქურაში გამოწვის პროცესის შედეგია, თიხის ქილები, ფართოპირიანი გადმოშლილი ქოთანის ყელწიბოანი დაბალი, ან ფართო ქუსლით. დოქები სხვადასხვა ზომის, კოჭობები, დიდი რაოდენობის ჯამები, მათ შორის შავად გაპრიალებული და თიხის სურები. №5 სამარხში აღმოჩენილი თიხის სურა მეტად ორიგინალურია - ყურზე ცხოველის გამოსახულებით, აქვე აღმოჩნდა განსხვავებული ოთხკუთხა ფორმის და ორყურა ფართო ცილინდრული საყოფაცხოვრებო თიხის ჭურჭელი.

მეთუნეობის მაღალ დონეზე მიანიშნებს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს


მუზეუმი) დაცული, სამწევრისში მდ. ძამის შესართავთან, ძამის მარცხენა და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სკრა-ქარელის არხის გაწმენდითი სამუშაოებისას შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი-დან, თიხის მონაცრისფროდ გამომწვარი ალაგ-ალაგ ყვითელი ლაქებით დაფარული თიხის დერგი. (საინვ. № 85-64) აქვეა დაცული სამწევრისში აღმოჩენილი თიხის მოჩუქურთმებული ფილები, რომელზეც გამოსახულია ფეხზე მდგომი ხუთი გულხელდაკრეფილი ადამიანი. მეორე ფილაზე კი გამოსახულია ექვსი ფიგურა. (საინვ. № 7-20/8-9)

ყურადღებას იქცევს სამაროვანზე აღმოჩენილი მრავალგვარი რკინის საბრძოლო იარაღები. სამარხებში უხვად ჩანდა: რკინის შუბები, ისრისპირები, მასრაგახსნილი (12 ცალი) ისრისპირი ბრინჯაოს მახვილკუთხა მოყვანილობის პირით, გრძელი დაშვებული ფრთებით. ხელშუბი ტანისებური, ქვის ნივთები, მათ შორის ქვის დანა, სატევრები რკინის ვიწრო და გრძელი პირით, ძირითადად მიცვალებულის ხელებთან.

ბრინჯაოს საკინძების სიმრავლით გამოირჩევა სამარხი №1, №3 და № 6 სამარხები, საკინძები ტანსაცმლის შესაკრავად იყო განკუთვნილი და თავსაბურავის სამაგრ სამკაულად ითვლებოდა, მათი სიმრავლე მიანიშნებს ფართო გამოყენებაზე. აქვე აღმოჩნდა ეჟვანი, ნემსი, მახათი. ერთი სამარხი ეკუთვნოდა მოზარდს, მასში აღმოჩნდა ჭინჭილა, ხელადა, თიხის ჭურჭელი, გოტარხის ვერცხლის მონეტა, ოქროს წვრილი მავთულის საყურეები. მიკვლეული იქნა ძვლის კარგად დამუშავებული ერთადერთი ნივთი, ბრტყელი მართხვუთხედის ფორმის, არქეოლოგის ვარაუდით, შესაძლოა საოჯახო დანიშნულების ნივთი ყოფილიყო.

1965 წლის ექსპედიციისას სუქანანთუბანში, ზღუდერის სამაროვნიდან დაახლოებით 1 კმ. მდ. ძამის ჩამონგრეულ ნაპირიდან დაშორებით გამოვლენილი იქნა გვიანანტიკური პერიოდის ბრინჯაოსნივთებიანი სამარხები. სავარაუდოდ, სამარხები საშუალო ან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა

და დათარიღებულია ახ. წ. II–III საუკუნეებით. სამარხი აღმოაჩინა ადგილობრივმა მკვიდრმა დ. ჯერანოვმა. მას პირველს უნახავს სამარხეული ინვენტარი და შეუგროვებია.



ტაბ. II. ბრინჯაოსნივთებიანი სამარხი სოფ. სუქანანთ უბნიდან.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის წინაფეოდალური ხანის, დედოფლის მინდვრის ფონდი, კოლექცია 190-65.

სუქანანთ უბნის სამაროვნიდან ყურადღებას იქცევს სხვადასხვანარი ფორმისა და ზომის საკიდ-ავგაროზები: ერთი მათგანი

წარმოადგენს მასიურ, მრგვალყუნწიან, სიმეტრიულად განლაგებულ 9-ბურთულიან მტევანს. (ტაბ. II. 6) სამი საკიდი ჭვირულია და წარმოადგენს ყუნწიან „სფეროს“, შედგენილს გადაჯვარედინებული ორი რგოლისაგან; ორ მათგანს ქვემოდან აქვს ოთხ-ბურთულიანი პირამიდა (ტაბ. II. 5), ერთს - კონუსური შვერილი (ტაბ. II. 4) სუქანაანთ უბნის ჭვირული საკიდების მსგავსი საკიდებია ურბნისის სამაროვნის (I-II სს.) სამარხეულ კომპლექსებში.¹ ერთი საკიდი თხელფურცლიანია, ფოთლისებური მოყვანილობით და ჩახვეული ყუნწით (ტაბ. II. 1) ზედაპირი დაფარულია ამობურცული წერტილებით. აღნიშნული ტიპის საკიდ-ავგაროხები მრავლადაა ცნობილი ბორში, კლდეეთში, ურბნისში, სამთავროს კრამიტსამარხში (№ 287, № 242 უბანზე). არქეოლოგები (ბ. კუფტინი, გ. ლომთათიძე, დ. ქორიძე, გ. ნემსაძე) ახ. წ. I ს-დან ფართოდ გავრცელებულ სამარხეულ ინვენტარად თვლიან.

ზარაკები ხშირად დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი ატრიბუტია. სუქანაანთუბანზე აღმოჩენილი იქნა 3 ცალი ზარაკი. ამათგან, ერთი ნახევარსფერული მოყვანილობის არის, ორი კონუსური. კონუსურთაგან ერთი დაფანჯრულია (გამჭოლი) ხოლო მეორე დაუფანჯრავი (ტაბ. II. 9,10). ექვან - ზარაკების სიუბ-ვე და მრავალსახეობა გავრცელებული ყოფილა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. ზარაკს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულება ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. VIII-VI სს. სამაროვნებზე, ზარაკი სარიტუალო სამარხში ცხენის აღკაზმულობის ელემენტად ჩანს. შემდგომში ის ჩანს ექვანებთან ერთად. ძვ. წ. IV-III სს. ზარაკის დამოუკიდებელი საკრალური ფუნქცია ჩანს დაკრძალვის რიტუალში და საზეიმო ცერემონიალებში. სუქანაანთუბანზე აღმოჩენილი ზარაკები გამოყენებული ჩანს ყელსაბამად, ტანსაცმლის და თავსაბურავის

¹ დ. ქორიძე, ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის XXV უბანზე 1956-1959 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, გვ.131.

სამკაულად. ამ შემთხვევაშიც ისინი ითვლებოდნენ მაგიური დანიშნულების საკულტო-საკრალურ ნივთებად.¹ მართალია, ზარაკები ცხენის აღკაზმულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტია, მაგრამ ზარაკის დანიშნულება ამით არ ამოიწურება. როგორც ჩანს, ზარის ხმაურით იდევნებოდა ბოროტი სულები, ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, ხიფათი ნადირობისას და სხვ. სუქანანთ უბნის ზარაკების ყველაზე ახლო ტიპოლოგიური პარალელები გვხვდება ურზნისის, კლდეეთის, სამთავროს I- III სს. სამარხებში, მცხეთის და სხვ. სამაროვანზე.²


მშვილდსაკინძიანი ფიბულები* სუქანანთ უბნის სამაროვნის მასალაშია წარმოდგენილი. გავრცელებულ ფიბულათა ტიპოლოგიური ნიშნებიდან გამოირჩევა რკალის შემკულობით და ბუდის გრავირებული სახეებით. ღერო რვაწახნაგაა და შემკულია ლამაზი წიწვოვანი ორნამენტით. მშვილდის მოძრავი რკინის ენა მოტეხილი ჰქონდა, რომელზეც სპირალურად შემოხვეული დაჟანგული ნაწილიდა შემორჩენოდა. ეს ფიბულები ორიგინალობით გამოირჩევა საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ფიბულებს შორის.³

¹ თ. ჭანიშვილი, მაგიური დანიშნულების არტეფაქტები (ზარაკები) ანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებიდან, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, ოთარ ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, თბ., 2006, № 17-18, გვ. 143.

² ა. კალანდაძე, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმოხილველი 1, თბ., 1949, გვ. 284;

* ფიბულა, ლათინური სიტყვაა და საკინძს, შესაკრავს ნიშნავს. (ლათინურ - ქართული ლექსიკონი, თბ., 1940; 1961); ფიბულა გამოიყენებოდა ტანსაცმლის შესაკრავად და სამკაულად. იგი შედგება ნემსისაგან, ნემსსაჭერისაგან, რკალის ანუ ფიბულის კორპუსისა და ზამზარისაგან. ფიბულას გამოყენების თაობაზე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, „სამოსელის შესაკრავად ჰქონიათ დილეები, დუღმები ფიბულები და სხვადასხვანაირი ქინძისთავები“, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, გვ.14.

³ ნ. სულავა, კავკასიის ფიბულები, (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი), საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბ., 2011, გვ. 10.



ტაბ. III ფიბულები (ნ. სულავა)

მონასტერი- 40. სოხთა- 41, 42, 43, 44. ჩხარი - 45. შოშეთი - 46, 47, 48. ბრილი - 50. ზემო ავჭალა -51. შავსაყდარა- 52. ძვერი - 53. სანთა - 54. სუქანანთ უბანი - 55. 56. ვანი- 57. კამუნთა- 58. ალაგირი

აღნიშნულ მშვილდსაკინძსა და კოლხურ-ყოზანური კულტურის ცნობილ ფიბულებს შორის მსგავსებაზე მიუთითებს არქეოლოგი გ.

ნემსაძე.¹ ამ ტიპის ფიბულებს ი. გაგოშიძე მიაკუთვნებს ახ. წ. II-III საუკუნეებს.

აღმოჩენილი იქნა ორი წყვილი საყურე - ერთი გახსნილ-რგოლიანი, ქვედა ნაწილში წვრილი ბურთულების 4 ჯგუფი აქვს. ისინი ერთმანეთთან პირამიდისებურად არიან შეკავშირებული და ყურძნის მტევანს მოგვაგონებს. მასიური ბურთულებით ნივთების შემკობა, გარდა საყურეებისა, სუქანაანთუბნის სამარხის სხვა ნივთებსაც ახასიათებს (მძივი, მტევნისებრი და ჭვირული საკიდები). შემკულობის ამ დეკორატიული მოტივით აღნიშნული საყურეები II-III სს. სხვა სამარხებთანაც პოულობს კავშირს, რადგან დეკორატიული მოტივი მკაფიოდ გავრცელებული ჩანს ახ. წ. II-III სს. სამკაულებში. არქეოლოგი გ. ნემსაძე, სავარაუდოდ, მათ გვიანანტიკურ ხანას მიაკუთვნებს.

ბრინჯაოს ჭვირული ბალთა (ტაბ. II. 12) ბრინჯაოს სასარტყლე აბზინდა, ან როგორც მას უწოდებენ ჭვირული ბალთა, მიცვალებულის წელის არეში აღმოჩნდა ტყავის ქამრის ნაშთთან ერთად. ბალთას ოთხკუთხა ჩარჩო აქვს, წინამხრიდან წნული ორნამენტი. მისი ცენტრალური ნაწილი ფანტასტიკურ ირემს უკავია, რომელსაც კისერში ჩაფრენია მტაცებელი, ყელში კი მის წინ აღმართული გველი მისწვდომია. თავად ირემს ფეხებს შორის ნუკრივით ფრინველი ჰყავს შეფარებული.²

გვიანბრინჯაოს ხანის განვითარებულ საფეხურზე ირმის კულტის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს კოლხურ და აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძეგლებზე გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც ძლიერი სტილიზაციით გამოირჩევა.

¹ საქართველოს ეროვნული მუზეუმი ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია № 190- 65, 181-206.

² გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის I- III საუკუნეებში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955, გვ. 359-360.

სუქანანთუბნის ჭვირულ ბალთას ექსპედიციის ხელმძღვანელი გვიანანტიკურ ხანას მიაკუთვნებს.

მძივები. სუქანანთ უბნის სამარხში ბრინჯაოს ნივთებს გარდა სხვადასხვა ფორმისა და მასალისგან დამზადებული მძივებია მიკვლეული. კერძოდ, მინისებური პასტის მრავალწახნაგა მძივები (ტაბ. II. 22), ქარვის (ტაბ. II. 23). მინის მძივებიდან წარმოდგენილია თავლისფერი (ტაბ. II. 18) მძივი ინკრუსტირებული თეთრი ზოლებით და ლურჯი ფერის (ტაბ. II. 19, 20), რომლებიც ამავე პერიოდითაა დათარიღებული. როგორც გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის, ისე გვიანანტიკური ხანის ზღუდერის ნაქალაქარზე საბრძოლო იარაღებიდან აღმოჩენილია ძირითადად რკინის შუბები, ისრისპირები, სატევრები, ხელშუბი, რაც თვალნათლივ მიანიშნებს ქალაქის ზღუდის სიახლოვეს ბრძოლის კვალზე. საბრძოლო მოქმედებისას მებრძოლები როგორც ჩანს, თავგანწირვით იცავდნენ ქალაქის ზღუდე-გალავანს.

არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ორმოსამარხები წარმოადგენს სამარხის ყველაზე გავრცელებულ ტიპს და უფრო ტრადიციით აიხსნება.

ზღუდერის არისტოკრატია უპირატესობას, სამარხის ძველი ტრადიციისაგან განსხვავებით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ფიჭვის სამარხებს ანიჭებდა. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, ადგილობრივი ტრადიციული დაკრძალვის წესით არიან დაკრძალულნი.

1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თორი-ლიკანის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი გ. ნასიძე) გუჯარეთის ხეობაში აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს ხანის მდიდარი ორმოსამარხები, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ძამისა და გუჯარეთის (თორის) ხეობის ბრინჯაოს ხანის დასახლებათა არსებობა და სამარხეული ინვენტარის მსგავსება.¹

¹ გ. გოგოჭური, გუჯარეთის ხეობაში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსები, საქართველოს სახელმწიფო ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბ., 2012, № 3, გვ. 7.

ახლა უნდა დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც ზემოთ უპასუხოდ დარჩა. ესაა გვიანანტიკური მძოვრეთის დასახლების თავდაპირველი ზღუდე-გალავნით გამაგრების და ადმინის - ტრაციულ ცენტრად გადაქცევის საკითხი, რომელიც ჩვენი კვლევით უნდა უკავშირდებოდეს დედოფლის მინდორზე საზაფხულო, სამეფო რეზიდენციის მშენებლობის პერიოდს - ძვ. წ. II ს. და ახ. წ. I საუკუნის გრანდიოზულ სატაძრო კომპლექსს.

ცნობილია, რომ მდ. ძამის სატრანზიტო გზასაყარი, ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მომავალ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე სავაჭრო ურთიერთობების პროცესში ჩართული აღმოჩნდა არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზია, ინდოეთი, ჩინეთი. ამავე გზას მოჰყვებოდნენ უცხო ჯურის დამპყრობლებიც. „თრიალეთიდან მზოვრეთსა ზედათ“ ძამისა და აზუხალოს ხეობით, ამ მეტად მოხერხებული გზასაყარით, წამოსული მტრის მოულოდნელი თავდასხმის საშიშროება სამეფო კარს აიძულებდა, მტკვრის მარჯვენა მხარის ძველი ზღუდე-გალავნიანი დასახლება შემოეზღუდა კიდევ უფრო მტკიცე ბურჯებიანი ზღუდე-გალავნით.

დედოფლის მინდორის ძვ. წ. II - I საუკუნეების სატაძრო კომპლექსის მთავარი ტაძარი, პროფ. ი. გაგოშიძის კვლევით, უკავშირდებოდა ზოროასტრული ტრიადის ერთ-ერთ წევრს, „არდვისურა ანაპიტას ტიპის რომელიღაც ქალღმერთის სახელზე უნდა ყოფილიყო აღმართული“.¹ არქეოლოგის მოსაზრებით, შესაძლოა დღემდე შემორჩენილი ტოპონიმი „არადეთი“ სწორედ მას უკავშირდებოდეს.² ტოპონიმის მნიშვნელობის განსაზღვრისას იგი

¹ ი. გაგოშიძე, წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, გვ. 76-77.

² Гагошидзе Ю. М. Из истории грузино-иранских взаимоотношений (храм II-III вв. до н. е. Дедоплис Мидори. В кн: Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье. Москва, 1981. С. 102-115; Гагошидзе Ю. М. Дохристианские храмы Грузии. IV-Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983. С. 1-12.

ყურადღებას ამახვილებს „სურ“ ფუძის ავესტურ წარმოშობაზე, რაც „მტკიცე, შეურყეველი, ნოტიო, უბიწოს“ აღნიშნავს და ამავედროულად შედის ქალღვთაება ანაჰიტას ორმაგი ტიტულის შემადგენლობაში - „არდვი-სურა ანაჰიტა“. ჯერ კიდევ 1972-75 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიშში არქეოლოგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დედოფლის მინდორის მთავარი ტაძარი თავისი გეგმარებით გენეტიკურად უნდა უკავშირდებოდეს აქემენიდურ ტაძრებს. 1976-77 წლების არქეოლოგიური გათხრების ანგარიშის¹ მიხედვით, დედოფლის მინდორის ნაგებობათა სიახლოვე ძველადმოსავლურ ტრადიციებთან თავს იჩენს არა მარტო მათ დაგეგმარებაში, არამედ სამშენებლო ტექნიკაშიც. ხოლო „ძველ-ადმოსავლური“ მასშტაბები და მისი მდებარეობა ანტიკური ივერიის გეოგრაფიულ ცენტრში მიუთითებს იმ კულტების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომელთაც აქ სცემდნენ თაყვანს.“

იმის გათვალისწინებით, რომ ანტიკური ხანის საქართველო თითქმის თანაბრად იყო მოქცეული აქემენიდური და ელინისტური გავლენის სფეროებში. ბერძნულ-რომაულ კულტებთან ერთად, თაყვანისცემის ტრადიცია მათთან ერთად შემოვიდა და ადგილობრივმა მოსახლეობამ ზოგიერთი საკუთარ ღვთაებებთან გააიგივა. შემოდის ირანული წარმოშობის, მზის, სინათლისა და სამართლიანობის ღვთაება მითრას კულტი, რომელიც ქალაქ ტრაპეზუნტის ოფიციალურ ღვთაებას წარმოადგენდა (I-III სს.), შემორჩენილია მითრას გამოსახულება (II-III სს.) საქალაქო მონეტებზე.² გ. დუნდუა, თ. თოდუა, გ. ყიფიანი, მ. მშვილდაძე მითრას გავრცელებას რომის იმპერიაში ძლევაამოსილ ლეგიონებს უკავშირებს, მათ შორის მოიაზრებენ XV ლეგიონს.

¹ ი. გაგომიძე, დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსის 1976-77 წწ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1977, გვ. 68;

² T. Dundua. Christianity and Mithraism. The Georgian Story. Tb. 1999, p. 3.

მითრას კულტის პირველ დაფიქსირებას ვარაუდობენ, იმ დროს, როცა ვესპასიანემ ახ.წ. 74 წელს შეიყვანა მეომრები კაპადოკიაში პართიასთან ურთიერთობისა და ალანთა აქტიურობის გამო. შესაძლოა, მისი გავრცელება მის დანიშნულებაშია საძიებელი, რადგან ავესტაში მითრა „ერთგულებას, ფიცს“ ნიშნავს, ერთგულება კი გამარჯვების მომტანი იყო, აქედან პოპულარული ხდება მითრა კულტი III ს. რომის იმპერიაში.

მძოვრეთის ზემოაღწერილი ამ ნაგებობის მომიჯნავე ტერიტორიაზე 1966 წელს კვლავ გაგრძელდა ექსპედიცია. გამოვლენილ იქნა ადრეფეოდალური ხანის (ტაბ. III), დაახლოებით IV-VI სს. დამწვარი ფენა, სადაც საკმაო რაოდენობით ხის ძელების ანაბეჭდიანი ალიზის ბათქაში და ნახშირ-ნაცარი ჩნდებოდა. სწორედ აქ აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი ბრტყელი, განიერი ძირით და მაღალი ტანით (სიმაღლე- 40,2 სმ.), რომელთაგან არქეოლოგის მითითებით ოთხი აღდგენილია და ამდენივე ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. აღმოჩენილ ტერიტორიაზე ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. ნემსაძე საუბრობს დამწვარ ფენაზე, სადაც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ... ცეცხლისკვალიანი ქვების გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ ეს ნაგებობება (ქვედა ფენის გამოკლებით) აშენებულია ნახანძრალზე. საკმაოდ მოზრდილ ამ ნაგებობას, რომელსაც გადამტიხრავი და შემაერთებული კედლები არ უჩანს, პირობითად უწოდა გამაგრების - „გალავნის“ ნაშთი.“¹ ზღუდერის „დამწვარი ნაგებობიანი“ ფენის დათარიღებისას გაითვალისწინებული იქნა ლ. ჭილაშვილის დათარიღება.² ურბნისის „დამწვარ ნაგებობიან“ ფენასა და ზღუდერში გათხრილ არტეფაქტებს შორის მსგავსებაზე მიუთითებდა გ. ნემსაძე და ზღუდერში გათხრილი ნაგებობის ფენას სწორედ იმ

¹ გ. ნემსაძე, ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 55.

² ლ. ჭილაშვილი ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 90-101;

პერიოდს უკავშირებდა. რაც შეეხება ნივთიერ მონაპოვარს, არქეოლოგი ხაზგასმით აღნიშნავს „ყელწიბოიანი ორყურა ჭურჭელი „ბურჯის“ საძირკვლის დონის დაბლა აღმოჩნდა და ქრონოლოგიურად წინ უნდა უსწრებდეს ამ უკანასკნელს“¹. არგუმენტად ფაქტიურად რჩება ზღუდერის ნახანძრალ ფენაში აღმოჩენილი ყელწიბოიანი ორყურა თიხის ჭურჭელი და მისი ანალოგის, კერამიკული ფრაგმენტების დათარიღება (ურბნისის V-VI სს. და ლოჭინის IV-VI სს.²).

აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით რადიკალური ცვლილებები ჩანს IV-V სს. მძოვრეთის საქალაქო ცხოვრებაში, რაც შესაბამისობაშია იბერიის სამეფოს ისტორიულ რეალობასთან. IV საუკუნიდან ქართლში მტკიცედ მკვიდრდება ქრისტიანობა. იწყება ქრისტიანული ეკლესიის მზარდი როლი ქართველთა სახელმწიფოებრივ და სულიერ ცხოვრებაში.

IV ს. რომის იმპერიაში ეკონომიკურ - პოლიტიკურმა კრიზისმა მწვავე ხასიათი მიიღო, რასაც დაერთო მომთაბარე ტომების თავდასხმები. 395 წელს რომის იმპერია დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიად გაიყო. 410 წელს გუთებმა აიღეს და გაძარცვეს ქალაქი რომი. ქართლის სამეფოს თავს დაატყდა სასანური ირანის საშიშროება. ირანის აგრესიული პოლიტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა შაბურ II-ის დროს (310-379 წწ.). სასანური ირანის შემოჭრის გამანადგურებელი ნგრევისა და აოხრების შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობაც მიუთითებს: „და ვითარცა მეფობაჲ დაესრულა ქართლსა შინა, სპარსნი

¹ ნემსაძე გ. ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 55.

² რ. აბრამაშვილი, ლ. ჭილაშვილი ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის მოამბე, თბ., 1962, ტ. 23-B, გვ. 203; ლ. ჭილაშვილი ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 90-101.

განძლიერდეს და ერთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს.“¹

ამდენად, დიდმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომელიც ქართლის სამეფომ განიცადა IV –VI საუკუნეებში, თავისი კვალი დაამჩნია მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების განვითარებას.

IV საუკუნის დასაწყისში, ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ქართლის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში მკვეთრი გარდატეხა ხდება, თუმცა კვლავაც რეალობად ჩანს ქურუმთა არსებობა და წარმართული გავლენა. მასალების სიმწირის გამო შეუძლებელია თანმიმდევრულად გავადევნოთ თვალი მძოვრეთის ჩვენთვის უცნობ ცალკეულ პერიოდს. ასეთ დროს სავარაუდო რეკონსტრუქცია ქართლის სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ისტორიის და მატერიალური კულტურის ძეგლების მონაცემთა მოშველიებითაა შესაძლებელი. ამ პერიოდის მძოვრეთის კვალმა ჩვენამდე მოაღწია დამწვარ - დანგრეული ზღუდერის გალავნის ნაშთის სახით. რაც შეეხება V საუკუნის ურბნისს, არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი² „დამწვარი ნაგებობების“ ფენა და გადამალული განძი აშკარად მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობისათვის ირანელ დამპყრობთა თარეში მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ვერც მძოვრეთი გადაურჩებოდა თავს დატეხილ ნგრევასა და განადგურებას. ვითარება მკვეთრად იცვლება VI-VII სს. მიჯნაზე. ქრისტიანობის გავრცელება, ჩანს, სტიმული გახდა ხეობაში ფართო სამშენებლო საქმიანობის გაშლისათვის, რაზეც მიანიშნებს VI-VII სს. ზღუდერის ეკლესიის მშენებლობა და მძოვრეთის მეზობლად VI საუკუნით დათარიღებული ურბნისის გრანდიოზული საფორტიფიკაციო ნაგებობანი.

¹ http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva.pdf.

² ლ. ჭილაშვილი ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 101.

ამ პერიოდში სავაჭრო სატრანზიტო მაგისტრალის ფუნქციონირებას და არტაშატის* იბერიასთან სავაჭრო კავშირს ადასტურებს პროკოპი კესარიელი: „საქონელი (დვინში) შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელთა ქვეშევრდომ ხალხების ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებმიცემობას აწარმოებენ.“¹

VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დამდეგს ძამის ხეობაში მძოვრეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრი ჩანს. ქართლის ეკონომიკური აღმავლობის შედეგი იყო ქართლის სხვადასხვა კუთხეების, საერისთავოებად დაყოფილი ქართლის სამეფოს გაერთიანების ტენდენციის გამძლიერება. „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორი ამაზე მიანიშნებს - „შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ,“ რაც სუვერენული ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოს აღდგენაზე მნიშვნელოვანი მინიშნებაა. ერისმთავრობის დაწესებაზე და რომაელებთან კავშირზე მიანიშნებენ თეოფანე ბიზანტიელი (VI ს.) და იოანე ეფესელი (VI ს.). ქართლის სახელმწიფოს აღდგენის თარიღის შესახებ, მართალია, ცნობას არ იძლევიან, მაგრამ თხზულებაში სპარსელების წინააღმდეგ 571 წელს აჯანყებული ქართლის წინამძღოლად გორგენი (გურგენის იდენტურობა გუარამთან ცნობილია - მ. მ.) არის დასახელებული: „მაშინვე გადაუდგნენ იბერებიც და მიემხრნენ რომაელებს: მათ მთავრობდა გურგენი, ხოლო იბერთა დედაქალაქი მაშინ ტფილისი იყო.“² ჯუანშერის თანახმად, გუარამმა ქართლის ტახტი დაიკავა

*428 წლიდან სომხეთის პოლიტიკური ცენტრი გადადის ქ. დვინში, რომელიც კვლავაც დიდ როლს ასრულებდა საერთაშორისო ვაჭრობაში.

¹ გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 88.

² თეოფანე ბიზანტიელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1938, გვ. 257-258.

ჰორმიზდ IV-ის (579-590 წწ.) დროს, მაშინ როცა სპარსეთში თურქები და ბიზანტიელები შეიჭრნენ: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი“ 589 წელს. ჯუანშერი თვლის გუარამს ქართლის მმართველად, „კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატისა თანა და უბრძანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი ... გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი და წარუძღუნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარზადაგანს, დაუწყეს ტყუენვად ... მოიწივნეს სპარსთა ზედა.“¹ ქართლის გათავისუფლება სპარსელთა ქვეშევდომობისგან, ჯვრის გამოსახულებიანი ქართულ - სასანური მონეტების ემისია² და გრანდიოზული სატაძრო მშენებლობა მცხეთაში იდეოლოგიური ფუნქციის მნიშვნელობისაა, ერთი მხრივ, ქართლში მაზდეანობის აღსასრულისა, მეორე მხრივ, ქრისტიანული რელიგიის აპოთეოზის. მართალია, 591 წელს ქართლის დიდი ნაწილი ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ გუარამი ფაქტიურად დამოუკიდებელი მმართველია, რაც ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოს აღდგენას ნიშნავდა. მიუხედავად პოლიტიკური სირთულეებისა, იწყება ქართლის ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი, რომელიც ჯერ კიდევ გუარამის ერისმთავრობიდან დაწყებულა, „ამან გუარამ კურაპალატმან იწყო ციხეთა და ქალაქთა მაგრებად“, რომელიც განუხრელად ვითარდებოდა VII ს. დასაწყისიდან. ქართლის საერისთაოს საშინაო და საგარეოსავაჭრო ურთიერთობის ზრდამ, ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობათან ერთად ხელი შეუწყო ქართლის სხვადასხვა კუთხეების პოლიტიკური გაერთიანების ტენდენციის ზრდას.

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 217-220.

² გ. დუნდუა, ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1976, № 1, გვ. 107-109.

VII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების შესახებ მოგვითხრობს X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი: „ამ მოსემ ხელი დაასხა წმინდა საკრებულოს უხუცესს კირიონს ქართლის სამწყსოს, გუგარქის და ეგრისის არქიეპისკოპოსად“.¹ ე. ი. სომეხი ისტორიკოსის მიხედვით, VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ქართლი და ეგრისი ერთი მწყემსმთავრის ხელქვეით გაერთიანებულია. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ეს ცნობა იმის მომასწავებელია, რომ „ამიერ და იმიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი უმზადებდა.“²

VII საუკუნის დამდეგს ერთიანი რელიგიური და საეკლესიო პოლიტიკა ქვეყნის ერთიანობის დასაწყისს გულისხმობდა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანება და შექმნილი პოლიტიკური ვითარება დადებითად აისახა ძამის ხეობის აღმშენებლობით საქმიანობაზე და მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების აღმავლობაზე. ხეობა ქართლის სამეფოს სასპასპეტო მხარეში შედიოდა, „არაგვთაგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენას სოფლისა, რომელსაც აწ ჰქვან შიდა-ქართლი,“ ანუ „მტკუარსა სამჭრით კერძო ქართლი“.³ სტრატეგიული მნიშვნელობის ძამის ხეობაში სწორედ ამ დროს უკავშირდება გრანდიოზული ძამის ციხის და ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, სომხეთის დამორჩილების შემდეგ ქართლში არაბთა გამოჩენამდე, რომელსაც

¹ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786-925) სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 10.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 301.

³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 24-25, 276.

ევალეზოდა არა მარტო მთლიანად ხეობის, არამედ ხეობაში შემომავალი გზების გაკონტროლება და დაცვა.

ფართო სამონასტრო მშენებლობა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად გადაქცევა უნდა უკავშირდებოდეს ასურელი მამების მოღვაწეობას. სერგი მაკალათია VI-VII საუკუნეებში ძამის ხეობას კეთილ ნაშენსა და მჭიდროდ დასახლებულს წარმოგვიდგენს და იმოწმებს ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებას.¹

ს. მაკალათია ზღუდერის ეკლესიის უძველეს ფენას VI-VII საუკუნეებით ათარიღებს. ეკლესია დგას სოფლის განაპირას, მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე. საკმაოდ დაზიანებულ ნაგებობაზე გაირჩევა სამი სამშენებლო ფენა VI-VII საუკუნის (სამნავიანი ბაზილიკა), VI-VII საუკუნეების, X საუკუნის (სამეკლესიანი ბაზილიკა) და XIII-XIV სს. მიჯნის. (13,6 X 11,5) ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით.²

VII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში მაღალმხატვრული ღირსებებით გამორჩეული ადგილი უჭირავს: ძამის ციხეს, სამწევრისის და წრომის ტაძარს. წრომის მოზაიკურ მხატვრობაზე ცნობებს გვამღვეს ვახუშტი ბატონიშვილი: „მტკვრის კიდესა ზედა არს ციხე სამწევრისის, დიდი, შიგ ეკლესია კეთილშენი ... სამწევრის ზეით, არს მონასტერი ყოვლადწმიდისა წრომს, გუნბათიანი, შვენიერი, სოფის კენჭი ჩაწყობილ-დახატული, და ხუცის სამარ“.³

სამწევრისის ციხიდან ნახევარი კმ. დაშორებით აღმოსავლეთით უფრო მაღალი ქედიდან თავს დაჰყურებს VII საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებული ჯვრის ტიპის სამწევ-

¹ ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ. 9; ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, „ქართული ხელოვნება, თბ., 1948, ტ. 2, გვ. 38-46.

² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 373.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 58.

რისის გუმბათოვანი ტაძარი (9,6 × 8,8 მ.), ნაშენია მონაცრისფრო-მოყვითალო ქვიშაქვის ქვათილებით. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია, რადგან მას თითქმის ხელუხლებლად ჰქონდა შერჩენილი VII საუკუნის კონსტრუქციები, ამასთან ერთად იძლეოდა სამშენებლო ხელოვნებისა და ტექნიკის მაღალი დონის სურათს.

1918 წელს წრომის ტაძარზე აზომვითი სამუშაოების შესრულებისას სამწევრისის აღნიშნული ტაძარი პირველად ნ. სევეროვის ყურადღების ცენტრში მოექცა. მაშინვე შეუნიშნავს ამ ტაძრის, მცხეთის ჯვრის და წრომის ტაძრის სტილისტური და ხუროთმოძღვრული მსგავსება და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გუმბათოვანი ძეგლების გამოკვლევის გეგმაში შეუტანია. 1919 წლიდან მისივე ინიციატივით, სამწევრისი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების „ოქროს“ ფონდში იქნა შეტანილი. ლაკონური ფორმებით, უზადო პროპორციებით და ტექნიკური შესრულების მაღალი ოსტატობით გამორჩეულ ეკლესიას, ძველი ქართული ხელოვნების შედევრთა რიცხვს, მცხეთის ჯვრისა და წრომის ჯგუფს მიაკუთვნებს. ძველი შემდეგ გამოიკვლია გიორგი ჩუბინაშვილმა. მის ნაშრომში პირველად გამოქვეყნდა ტაძარზე შემორჩენილი წარწერები, აკაკი შანიძის წაკითხვითა და შენიშვნებით.¹ გიორგი ჩუბინაშვილის მოსაზრებით, ეს „ორი უკანასკნელი ძველი წარმოადგენს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ორ ეტაპს, დაცილებულთ ერთმანეთისაგან დაახლოებით ორი ათეული წლით და მიაკუთვნებს სამწევრისს ამ მეორე ფაზას, ე. ი. VII საუკუნის მეორე ოცწლედს.“²

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 222-223;

² გ. ჩუბინაშვილი, მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის, ქართული ხელოვნება, № 2 თბ., 1948, გვ. 19;

ნ. სევეროვი ქართული ხუროთმოძღვრების თავისებურებათა გამოსარკვევად პარალელს ავლებს დასავლეთის ძველი ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებთან. სამწევრისის ტაძრის შედარებისას პლაციდიას მავზოლეუმთან რავენაში (V ს. ძეგლი) აღნიშნავდა, რომ „ორივე შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ჯვარი, სამი თანასწორი და ერთი წაგრძელებული მკლავით.“¹

1925 წელს დაზიანებული ისტორიული მნიშვნელობის ტაძრიდან ქვების გატანა დაუწყიათ სკოლის მშენებლობისთვის, რაც მეცნიერთა ძალისხმევით იქნა შეჩერებული. 1940 წლის ძლიერმა მიწისძვრამ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ისევე როგორც წრომი და ხცისი, მნიშვნელოვნად დააზიანა, მაგრამ ტაძარი მთლიანად აღდგენილი იქნა ძველებური სახით 1952-1953 წლებში არქიტექტორ ლ. ხიმშიაშვილის პროექტითა და ხელმძღვანელობით.

ასეთი მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები და მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლე ნათლად მიუთითებს მძოვრეთის და მთლიანად ამ მხარის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის აღმავლობასა და აღმშენებლობით პროცესებზე. მძოვრეთის მახლობლად ურბნისის არქეოლოგიური გათხრებმა დაადასტურა ნაქალაქარის განადგურება VIII საუკუნის 30-იან წლებში.² ნაქალაქარის ძირითადი უბნები, სადაც არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა, არაბების შემოსევის შემდეგ სხვადასხვა მიზეზების გამო აღარ დასახლებულა. ვახუშტი ბატონიშვილი ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ურბნისზე, „აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე“.³

¹ ნ. სევეროვი, სამწევრისი, ქართული ხელოვნება, № 2 თბ., 1948, გვ. 5;

² ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 104;

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 78;

VIII საუკუნის 30-40-იანი წლების რადიკალურად შეცვლილ მდგომარეობაზე ხაზგასმით მიუთითებს მემატანე: „ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუას-რუანთამან (არჩილის მემეკვიდრეები) პირველად უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი ჟამად რბევასა და ოჯრებასა, მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას.“¹ ზღუდერისა და ურზნისის არქეოლოგიური მასალა მიანიშნებს კატასტროფის ერთდროულობასა და ამ პერიოდის გადამწვარი, ზღუდემონგრული ფენების სრულ იდენტობაზე.

VIII საუკუნის 30-40-იანი წლების მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების დაცემა და მისი სტრატეგიული მნიშვნელობის ფუნქციის მოშლა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ, ამ მხარეში მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობით აიხსნება. საქართველოს აოხრების შემდგომ მურვან ყრუმ ცეცხლითა და მახვილით მოითარეშა ძამის ხეობა, გადავიდა გუჯარეთის ხეობით და შეიჭრა სამცხეში.

IX საუკუნის მეორე ნახევარში არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ შიდა ქართლში ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც სხვა ქართულ სამეფო სამთავროებში, შესაბამისად, ქვეყნის გაერთიანების პროცესი სხვა სამთავროებში იწყება. სამთავროთა შორის გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებას მოხერხებულად იყენებდნენ და „იპყრობდეს ქართლს აზნაურნი“. მათ შორის „აზნაურნი საზუ - ერელნი“ და X საუკუნის ბოლომდე „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა.“²

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 250;

² იქვე, გვ. 262-276;

თავი IV

ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლა მძოვრეთისა და ძამის ხეობის დასაუფლებლად

1. „აზნაურნი საზუერელნის“ მოღვაწეობის საკითხისათვის

„აზნაურნი საზუერელნის“ მოღვაწეობის საკითხის შესახებ ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ივ. ჯავახიშვილი პირველი მიუთითებდა, რომ „ძველ ქართულ მწერლობაში ... საზუერელ საბაჟო დაწესებულებას ეწოდებოდა ... აზნაურნი საზუერელნი, ალბათ საზუერელს ანუ საბაჟოს მოხელეები უნდა ყოფილიყვნენო“.¹

ნ. ბერძენიშვილი ტერმინს „საზუერელნი“ სადაურობის აღმნიშვნელად თვლიდა. კითხვაზე „აზნაურნი საზუერელნი“ საიდან უნდა წარმომდგარიყო გვარი საზუერელი, პასუხობდა საზუერედან“, მისთვის საეჭვო აღარ იყო, რომ „აზნაურნი საზუერელნი „გაღმა მხარის“ ანუ ნაქალაქარ მძოვრეთის შემდგომი დროის აზნაურნი იყვნენ და ეს „საზუერე“(ანუ საზუერეთი) ამ მხარის მთავარი პუნქტი იყო.

ს. ჯანაშია „საზუერეს“ აიგივებდა ჩიჯავამეთა საგვარეულოს - თან.² რის მტკიცებულებად მიაჩნდა ალის მიდამოებში, აფხაზთა სამეფოსა და ქართლის საზღვარზე ძველად საბაჟოს არსებობა და აქაურ ფეოდალთა ჩიჯავამე-ამირეჯიბთა საგვარეულო სახელი „საზუერელი.“ „საზუერელ-ჩიჯავამეების“ ქართლში დამკვიდრებას ს. ჯანაშია „აფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნის პერიოდში, VIII-IX საუკუნეებში ვარაუდობდა.

ვფიქრობთ, „აზნაურნი საზუერელნი“ ზოვრეთის დიდაზნა-

¹ ივ. ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, ქუთაისი, თბ., 1919, გვ. 32.

² ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 478.

ურთა „სახლების“ მნიშვნელობით ან საგვარეულო სახლის წევრთა გამაერთიანებელი ნიშნის ფუნქციით არის ნახმარი, ან შესაძლოა ისინი სისხლისმიერი ნათესაობით არც იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა აზნაურნი: ტბელები, ფავნელები, კორინთელები და სხვ. ამდენად, ზოგრეთი მთლიანად ძამის ხეობის გეოგრაფიულ სახელად გვევლინება, „აზნაურნი საზუერელები“ კი მთელი ძამის ხეობის მფლობელებად. მათი გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე სტრატეგიული მნიშვნელობის შიდა ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას უკავშირდება. შიდა ქართლი ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ ცენტრს, გამოირჩეოდა ეკონომიკურ-კულტურული განვითარების მაღალი დონით, ისტორიული ტრადიციებით, წარმოადგენდა ქართული ქრისტიანობის ცენტრს, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის გაერთიანებაში. მემატთანეს თქმით: „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“.

X საუკუნის დასაწყისშივე შიდა ქართლი კონსტანტინე „აფხაზთა მეფისა“ და სუმბატ ტიეზერკალის, სომეხთა მეფის ბრძოლის ასპარეზი ხდება, საბოლოოდ გამარჯვება კონსტანტინეს დარჩა. რომელიც ფლობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაც, რაზეც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული სამწევრისის წარწერა მიუთითებს. X საუკუნიდან 70-იან წლებამდე ინიციატივა აფხაზთა მეფეებს ეკუთვნოდათ, ვიდრე ტაო-კლარჯელი ბაგრატიონები დაასრულებდნენ „საქართველოს“ წარმოქმნის ისტორიული მნიშვნელობის პირველ პროცესს.

ქართლში ვითარება იცვლება მას შემდეგ, რაც შიდა ქართლის პოლიტიკურ ცენტრი, უფლისციხე 904 წელს, „მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტი აფხაზთა მეფე დაიპყრა უფლისციხე და ყოველი ქართლი“. მემატთანე მიუთითებს, რომ ქართლის „უფალი ივანე ტბელი ვასალად იქცა, მოგვიანებით მოხელედ, ერისთავად. კონსტანტინე აფხაზთა მეფის მემკვიდრე „გიორგი აფხაზთა

მეფემან მისცა ქართლი მესა თჳსსა უხუცესსა კოსტანტის. და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადდა საქმე მისი შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაურნი.“¹ მრავალ აზნაურთა შორის არიან „გადმა მხარის“ მონაპირე „აზნაურნი საზუერელნი.“ მეფე გიორგი გულგრილი ვერ დარჩებოდა ქართლში მიმდინარე პროცესის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის გაერთიანების პოლიტიკას.

უფლისწულ კონსტანტინეს „ქართლის გამგებლად“ მოიხსენიებს 923-926 წლებით დათარიღებული მამულის შეწირულების სიგელი: „სახელითა ღვთისაფთა ესე კელი ჩუენ ბერმან და გიორგი დაეწერეთ ოდეს კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო. ჩუენ ცხრაზმის ჳევის ჳევისუფლად ვიყვენით ... „ჳევისუფალნი, ფაქტიურად ჩვეულებრივი ფეოდალები არიან, „ქართლის გამგებლის“ მოხელეები, აზნაურნი, მოგვიანებით ერისთავნი რომლებიც იპყრობდნენ ქართლს. კონსტანტინე თავისი მომხრე ქართლის გავლენიანი, ძლიერი აზნაურებით, მათ შორის ტბელებით გამაგრდნენ ქართლის რეზიდენციაში, უფლისციხეში. როცა ხანგრძლივი ალყითაც ვერაფერს გახდა, მაშინ სხვა გზას მიმართ მეფე გიორგიმ: „აბირნა აზნაურნი საზუერელნი ... გამოვედ, ჩუენ წარგიყვანოთ აფხაზეთად, შენ დაჯდე მეფედ და მამა შენი დარჩეს გარეგნით. ხოლო მან დაიჯერა და მიენდო, გარნა ააზნაურნი იგი, რომელნი უდგეს თანა, უშლიდეს საქმესა ამას, და მან არა ისმინა მათი“. მაცთურმა წინადადებათ და დიდი ამბიციების მქონე უფლისწულმა ამჯობინა ალყაშემორტყმული სიმაგრე გაერღვია, „ღამე ტივითა მტკუარსა, და ვითარ განწურა პირსა მტკურისასა, ვედარა დაითმინეს და მიეტევნეს შეპყრობად. და ვითარ იგრძნა ზაკულება მათი, შეაქცივნა ტივნი გარე, რათამცა შევიდა ციხესვე. ვერღარნა დაიმორჩილნეს ტივნი და ჩაჳდეს ადგილსა, სადა ტივნი

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 266-267.


დადგებოდეს.¹ საზუერელთა ღალატით შეპყრობილი უფლისწული სასტიკად იქნა დასჯილი, „პირველად თუალნი დასწუნეს და მერმე გამოყუერეს, და მოკუდა.“ აღნიშნული კონტექსტი მრავალმხრივ მნიშვნელოვან მტკიცებულებას იძლევა საზუერელთა გავლენის შესახებ:

1. „აზნაურნი საზუერელნი“ მტკვრის მარჯვენა, „გაღმა მხარის“ მონაპირე აზნაურნი და ძამის ციხის მფლობელები არიან და თავიანთ სამკვიდრო სამფლობელოდან უშიშრად მიადგებიან მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე რეზიდენციას, ქალაქის სამხრეთით არსებულ სანაოსნო-სავაჭრო გზით. აშკარაა, „საზუერელნი“ ხშირად და თავისუფლად იყენებდნენ უფლისციხის ისტორიულ გვირაბთან არსებულ ნავმისადგომს და ახლაც ამ გზით იწვევენ თავისკენ უფლისწულს.
2. მიუხედავად მის გვერდით სიმაგრეში მყოფ მოკავშირეთა წინააღმდეგობისა, არ დაეტოვებინა სიმაგრე, „საზუერელთა“ ერთგულებაში დარწმუნებული კონსტანტინე იმ ერთადერთ ძალად სთვლიდა, რომელთაც შეეძლოთ უსაფრთხოდ მისი გადაყვანა აფხაზეთში, მოკლე და მოხერხებული სტრატეგიული გზით.
3. აზნაურნი საზუერელნი „გაღმა მხარის“, არა მარტო ამ მხარის გავლენიანი და ანგარიშგასაწევი ძლიერი ძალაა. უფლისწული დარწმუნებული ჩანს, რომ სამეფო ტახტის გარშემო ატეხილ დაპირისპირებაში მათ შეეძლოთ, მისი გამეფებისთვის მხარდაჭერა და მათი დანაპირების, „ჩუენ წარგიყვანოთ აფხაზეთად, შენ დაჯდე მეფედ და მამა შენი დარჩეს გარეგნით,“ აღსრულება.
- 4 რატომ მაინცდამაინც „აზნაურნი საზუერელნი აბირნა“ მეფე გიორგიმ. აშკარაა აფხაზეთა მეფისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს კონსტანტინესთან მათი მჭიდრო ურთიერთობა,

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 267.

მეორე მხრივ, ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, მეფე დარწმუნებულია ძნელად მისადგომ და მტკიცე ქალაქის აღებას და მოკავშირეებით გარსშემორტყმული ამბოხებული უფლისწულის ხელში ჩაგდებას თავისი ძალებით ვერ შეძლებდა. ერთადერთი გამოსავალი მეფობის შესანარჩუნებლად „აზნაურ საზუერელთან“ ნებისმიერ გარიგებაზე შეთანხმების მიღწევა იქნებოდა. საკადრის საფასურად, საკომპენსაციად ქართლის დიდაზნაურთა პოლიტიკური გეგმების დალატისა - არ დაეშვათ პოლიტიკური გაერთიანება და ქართლში კვლავაც შეენარჩუნებინათ ძლიერი ძალა და გავლენა, სავარაუდოდ, „გაღმა მხარის“ მფლობელთათვის, ერისმთავრის და ქართლის გამგებლობის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ ამის შემდგომ წყაროებში არავითარი მინიშნება აღარ გვხვდება „აზნაურ საზუერელის“ შესახებ .

ძამის ციხე X საუკუნის მეორე ნახევარში ძამელი მთავრის, ადარნასეს რეზიდენციაა. მტკიცე და აუღებელი ციხის პატრონობით სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული ჯეობების მფლობელი დიდად აქტიურობს საქართველოს სამთავროების გაერთიანებისთვის მიმდინარე ბრძოლებში. ეგრის-აფხაზთა მეფის, დემეტრე III-ის (967-975 წწ.) წინააღმდეგ თავისავე ძმას, თეოდოს „უხმეს კაცთა ვიეთმე ამის ქუეყანისათა“. საბერძნეთში მყოფ აფხაზთა უფლისწულს თეოდოსს გამეფებას შეჰპირდნენ მესხი აზნაურები. „გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს ... იკრებდა ლაშქართა“ მეფემ მოასწრო თეოდოსის მხარდამჭერთა განადგურება. „ხოლო დემეტრე მეფემან წარავლინა ლაშქარი ... გააქციეს თეოდოსი“. ძამელი ფეოდალი არ უშინდება მეფის დამარცხებული მოწინააღმდეგე ძამის ციხეში შეიფაროს. სამცხიდან მოკლე, მოხერხებული გზით გადმოსულმა სამეფო ტახტის პრეტენდენტმა თავი ძამის ხეობის მფლობელს შეაფარა: „წარვიდა ქართლს და მიმართა ადარნასეს, ძამელსა მთავარსა... დემეტრე მეფემან მიგზავნა ლაშქარი თვისი, მოადგა ციხესა



მამისასა და ჰეროდენ სამ თუე ოდენ და ციხის გამოღმართ ევენბოდეს ფრიად. და ვითარცა მისჭირდა ციხოვანთა, ითხოვეს ფიცი და სიმტკიცე“. სამი თვის ალყის შემდეგ მორიგდნენ თეოდოსს ბრძოლაზე ხელი აელო, სანაცვლოდ „წარჯდეს მშვიდობით ... და გაგზავნეს მშვიდობით. წარვიდა წინაშე დავით კურაპალატისა“.¹ აღნიშნული ცნობა ნათლად წარმოაჩენს ძამელი მთავრის სიძლიერესა და გავლენას, აფხაზთა მეფის მოწინააღმდე-

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 270-272.

გე ადარნასე სამი თვის ბრძოლის და დიდი ზარალის მიუხედავად „ციხის გამოღმართ ევნებოდეს ფრიად“ ახერხებს მეფე დაითანხმოს მშვიდობიან მოლაპარაკებაზე. კიდეც უფრო საინტერესოა შედეგი, ფიცის და პირობის გატეხვის, ქვეშევდომთა სასტიკად დასჯის მაგიერ, როგორც ჩანს შიდა ქართლის პოლიტიკურ ასპარეზზე ადარნასეს ძალებს და მდგომარეობას რეალურად აფასებს მეფე, ამჯობინებს სამომავლოდაც ადარნასეს კეთილგანწყობა შეინარჩუნოს და დადებული შეთანხმება არ დაარღვიოს. სამწუხაროდ ადარნასეს საგვარეულოს შესახებ დამატებითი ცნობები პირველწყაროებში არ მოგვეპოვება. სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა „ძამელის“ და ისტორიული ქრონოლოგიის გათვალისწინებით შესაძლოა ვივარაუდოთ შეუვალობით და ძლიერებით გამორჩეული ძამელი მთავარი ადგილობრივი „აზნაურ საზუერელთა“, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ყოფილიყო, რომელსაც „ვეობისა“ თუ „ქვეყნის“ უთუოდ დიდი მხარდაჭერა უნდა ჰქონოდა.

ვფიქრობთ, ადარნასე ძამელის მდგომარეობა იცვლება მას შემდეგ, როცა ლეონის მემკვიდრე „დემეტრე აფხაზთა მეფის“ სიკვდილის შემდეგ (975 წ.) ტახტზე უსინათლო თეოდოსი ავიდა (975-978 წწ.), რითაც ისარგებლეს კახელებმა: „მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა და იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშისძე.“ ამ უკანასკნელმა მოუწოდა დავით კურაპალატს „რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თვთ, ანუ უბოდოს ბაგრატსა ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშისძე ეძებდა ბაგრატს მეფედ.“¹ ამდენად, 975 წლის შემდგომ შიდა ქართლი ტაოელ ბაგრატივანთა ხელში გადადის. იწყება სამეფო ხელისუფლების შეტევა ბაღვაშთა საგვარეულოს, ძამელთა, ტბელთა და ქართლის


¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 270-272.

სხვა დიდაზნაურთა წინააღმდეგ. სამეფო კარი ვერ დაუშვებდა მსგავსად ლიპარიტისა, რომელმაც „შეიპყრნა ქუეყანანი თრიალეთისანი ადაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე.“ ე. ი. თავად ირჩევენ პატრონად ტაოელ მთავრებს და მტრობენ აფხაზთა მეფეებს. მეორე მხრივ, მტკიცე და მიუვალი ძამის ციხის მფლობელი „ძამელ-საზუერელნი“ ამჯობინებდნენ აფხაზთა მეფეების ყმადნაფიცობას, თუმცა შეუვალობის შენარჩუნების მიზნით უპირატესობას ტახტის პრეტენდენტ უფლიწულებს ანიჭებდნენ. ასეთი „ყმადნაფიცობის“ ნაცვლად მეფე ბაგრატი მხოლოდ „მოსწრაფედ მორჩილებს“ ერისთავ-მოსაკარგავებს სცნობდა. დაპირისპირებას მოჰყვა დიდი ამბიციების მქონე ფეოდალურ საგვარეულოთა „დამცრობა“, მათ შორის, სავარუდოდ, „აზნაურთა საზუერელთა,“ ზოგიერთისა კი სრულიად გაქრობა ისტორიულ-პოლიტიკური არენიდან.

XI საუკუნიდან ბრძოლით შენარჩუნებული „გაღმა მხარი“ სამეფო დომენის შემადგენლობაშია. 1002 წლით დათარიღებულ წვიმოეთის ეკლესიის წარწერაში ბაგრატ მესამისა და დედა დედოფლის, გურანდუხტის მოხსენიება ადასტურებს გაღმა მხარეში მეფის მფლობელობას. XII საუკუნიდან კიდევ უფრო ძლიერდება სამეფო ხელისუფლების პოზიციები აღნიშნულ მხარეში, რაზეც მიაწინებს ძამის ხეობაში მეფე თამარის პირველი ვეზირის, ანტონ გლონისთავისძის ქტიტორული მოღვაწეობა. ყინწვისის მონასტრის განთქმულ ფრესკებზე სამეფო ოჯახის გამოხატვა მიაწინებს, რომ ყინწვისის სამეფო მონასტერია.

რაც შეეხება „აზნაურ საზუერელთა“ და ჩიჯავაძე- ამირეჯიბთა საერთო წარმომავლობის საკითხს, ნ. ბერძენიშვილი მეტად საფრთხილო და საინტერესო საკითხად თვლიდა. დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ დადებითი პასუხი იქნებოდა რომ ჩიჯავასძენი „ძველად მთლად ან უმთავრესად გაღმა მხარეში მკვიდრობდნენ“.

მკვლევარ ო. სოსელიას აზრით, „აზნაურნი საზუერელნი“ და ჩიჯავაძენი ერთი საგვარეულოა, თუმცა მათ სამკვიდრო მამულად, ს. ჯანაშიასგან განსხვავებით, მტკვრის გაღმა მხარეში მდებარე „საზუერე“ მიაჩნდა.¹



ისტორიული „გაღმა მწარი“ (პ. ზაქარაიას პირადი არქივიდან № 175)

სოსელია თვლიდა, XV საუკუნის დამდეგს „გაღმა მწარის“ გარკვეული ნაწილი „საზუერელ-ჩიჯავაძეთ“ ეჭირათ. ქართლში ბინადრობის ზედა თარიღად XVს. შუა ხანებს ვარაუდობდა. ს. მარდიშვილი აზნაურ საზუერელთა და ჩიჯავაძეთა საერთო წარმომავლობის დამაჯერებლობას მოკლებულად მიიჩნევს.² მისი მოსაზრებით, შესაძლებელი იყო, ჩიჯავაძეებს „საზუერელი“ სხვა „საზუერიდან“, ალის საბაჟოდან მიეღოთ, რადგან საკუთარი სახელი „საზუერელი“ გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხის საგვარეულოებში.

¹ ო. სოსელია ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან II, თბ., 1981, გვ. 10.

² ს. მარდიშვილი, ვინ იყვნენ „აზნაურნი საზუერელნი“, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1990, № 2, გვ. 133.

ჩიჯავამეთა საგვარეულოდან, XIV ს. მეორე ნახევრიდან XV ს. შუა ხანებამდე კახაბერ ჩიჯავამე (1399-1407 წწ.) ამირეჯიბია. ამირეჯიბი მაღალი თანამდებობა იყო, მანდარტურთუხუცესის თანაშემწე, ვაზირების გვერდით დარბაზობას ესწრებოდა და სამეფო კართან სიძე-მოყვრობაც აკავშირებდა, რაც პირდაპირ მიანიშნებს ჩიჯავამეთა საგვარეულოს აღზევებასა და სიძლიერეს XIV ს-ის მეორე ნახევრიდან. არ არის გამორიცხული, სტრატეგიული მდებარეობის ხვედურეთის და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სამეფო დომენის მამულები ერთგულ და გავლენიან მოხელეს სამკვიდროდ გადასცემოდა, ნაწილი მის თანამეცხედრეს, მეფის ასულ ულუმპიას მზითვადაც მიეღო. მისი სულის მოსახსენებლად მისმა მეუღლემ ულუმპიამ (ბაგრატ V-ს ასული და გიორგი VII-ს და) სვეტიცხოველს შესწირა ხვედურეთში ბუკისძისეული მამული, რომელიც ერთადერთი სამკვიდრო მამული არ იქნებოდა: „მეფეთა-მეფის გიორგის დამან ულუმპია და ჩემმა შვილმა საზურეულმან ... შემოგწირეთ ჩიჯავამის ამირეჯიბისა სულისა საადაპოდ ჯუედურეთს ბუკისძისეული მამული მისითა სამართლიანითა მზღვრითა ... და თქვენ ... კათალიკოზმან ელიოზ კაცი დაასახლოთ ამას ბუკისძისეულსა მამულსა ზედა, არავინ იყოს შემცილე ... და არავინ რად საქმე დაიგდოს ... თუნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან მეტი ...“¹ შემწირველნი პირობას დებენ, რომ თემურ-ლენგისაგან აოხრებულ და დაუსახლებელ შეწირულ მიწებზე დასახლების შემთხვევაში, მხოლოდ „მუშაობას“ (თითო დღე ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა) ითხოვენ და არა მიწის შემოსავალს. ამ შემთხვევაში საზურეულის და ჩიჯავამის საერთო წარმომავლობა და საკუთარი სახელი, არ არის მტკიცე საფუძველი მათი

¹ სცსა, ფ. 1449, ს.1640. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XVსს, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, II, თბ., 2013, გვ. 70; შდრ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 213.

ურთიერთკავშირის. საზუერელი გავრცელებული სახელი ჩანს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. (კახეთის მეფის იმამყულიხანის სახლთუხუცესი, საზვერელი ოთარ.¹ სამცხის ათაბაგის ყვარყვარეს IV-ის ვაჟი საზუერელი² და სხვ.) მოხსენიებული ისტორიული პირები, ელიოზ კათალიკოსის (1399 - 1419 წწ.) და გიორგი მეფის (1393-1407 წწ.) ზეობის წლები იძლევა საბუთის დათარიღების შესაძლებლობას 1399-1407 წლებით.

თ. ჟორდანიას მოსაზრებით, მეფე ალექსანდრეს გამეფებისას კახაბერ ჩიჯავაძე გარდაცვლილი ჩანს, თუმცა სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან ქუცნა და მეფე ალექსანდრე დიდი ნაბახტევის ეკლესიის კედლის მოხატულობაში ერთად არიან გამოსახულნი. XV საუკუნიდან მისი „საკელო“ ამირეჯიბობა გაბელისძეთა³ საგვარეულოში მკვიდრდება. მართალია, გ. ოთხმეზური არ ეთანხმება თ. ჟორდანიას ქუცნა ამირეჯიბის წინაპრებად ჩიჯავაძეთა აღიარებაში, მაგრამ დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობით გაბელიძე - ამირეჯიბთა საგვარეულოსთან ჩიჯავაძეების ახლო კავშირზე მიუთითებს. ამირეჯიბი კახაბერი და ულუმპია იხსენიებიან სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სულთა მატიაწეში.⁴ გ. ოთხმეზურის კვლევით ჩიჯავასძეთა ასეთი ჩართვა გაბელიძეთა სამემკვიდრეო სახელოში ამ ორი გვარის ერთიანობაზე მიანიშნებდა, რომლებიც თანდათანობით კარგავენ სამფლობელოებს ძამის ხეობაში. XVI საუკუნიდან კი გაბელიძე-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 275, დოკ. № 192.

² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 347.

³ ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 140.

⁴ დ. კლდიაშვილი სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიაწე, თბ., 2008, გვ. 165.

ამირეჯიბთა საგვარეულოში გაბელიძენი აღარ ფიგურირებენ.¹ ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ იმერელ ჩიჯავაძეებზე გვაწვდის ცნობებს.² ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, მათ შიდა ქართლში ჰქონიათ მამულები XIV-XVსს. მიჯნაზე - სოფ. ხვედურეთში.³

XV საუკუნის გაღმა მხარის ციციშვილების და ჩიჯავაძეების დაპირისპირების საკითხი განხილული გვაქვს მონოგრაფიაში,⁴ ამიტომ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ჩიჯავაძენი და ფანასკერტელები სხვადასხვა მხარეს ჩანან. ჩიჯავაძენი „გაღმა მკარეს“ ატენის ციხეს და სამეფო მამულების მოურაობას ედავებიან ახალდამკვიდრებულ ფანასკერტელებს. სამეფო კართან ახლო კავშირზე მიაწვდიან თაყა ფანასკერტელის სიგელი ელიოზ კათალიკოსისადმი (1399-1419 წწ.), რომელიც 1419 წლამდე, მის გარდაცვალებამდე უნდა იყოს შედგენილი. სიგელი მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევა, მასში თაყას და, სითიხათუნი, დედოფლად არის მოხსენიებული: „...ქ'კ'უსა ელიოზს ... მოგახსენეთ სააღაპეთ პატრონისა ჩუწნისა დიდისა დედოფლისა სითიხათუნისათვის ატენს ლუსმალაური მამული, ასე რომე ფერიცვალება დღე პატრონისა ჩუწნისა დისა, დედოფლისა სითიხათუნისათვის გარდაიხდებოდეს კარგადებული ადაპი და ფერისცვალების მეორე დღე ჩემთვის ... შემოგწირეთ მეფეთ-მეფე ალექსანდრეს ბრძანებითა და ნება-დართვთა ატენს ლუსმალაური მამული...მე ფანასკერტელმა თაყამან პატრონისა ჩუწნისა დისა სითიხათუნის სააღაპედ, ასე რომე მატანელთა არა-საქმე დააგდონ მას გუერც არა ყალანსა, არა კულუხსა თანა.“ ადაპთა ნუსხაში

¹ გ. ოთხმეზური ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, ამირეჯიბი, თბ., 2029, გვ.20-35.

² ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 36, 428, 429, 821, 843, 889.

³ სცსსა ფ. 1449, ს. 1640.

⁴ მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 135-136.

ჩაწერილია: „ატენს ლუსუას მამული სააღაპოდ თაყასი.“¹ ჩანაწერიდან ნათელია, რომ თაყა ფანასკერტელი ლუსუას, სააღაპე მამულის, მწირველადაა დადგენილი ალექსანდრე დიდის „მეფის ბრძანებითა და ნება-დართვითა“.

მწირველის დადგენის წესის მიხედვით სამწირველოს პატრონისათვის სასურველი იყო სამწირველო შემდეგშიც ერთხელ დადგენილი, პირველი მწირველის გვარის წევრთა, ან მასთან სულიერად დაახლოებულთა ხელთ ყოფილიყო. ე.ი. პირდაპირი მემკვიდრეობით გადასულიყო გვარის წევრებზე, მწირველთა დამსახურების და ერთგულების შესაბამისად, რათა შეწირულება მუდამ თავის კონტროლს ქვეშ ჰქონოდა. რადგან დედოფალ სითიხათუნის ნება-სურვილით არ მიუღიათ ეს გადაწყვეტილება. ეს გვადლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ მეფე ალექსანდრეს მიერ 1412 წლის მცხეთისადმი შეწირული სააღაპე მამულების, „მრავალფერად ვალდადებულისა და ჭირნახულისა რუსასა სულისათვის სააღაპედ ატენს“² და რკონის სიგელზე გვიანდელი მინაწერის³ მიხედვით, მწირველად თემძის ხეობაშიც თაყა ფანასკერტელი უნდა ყოფილიყო.

ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების 1392- 1447 წლების ნუსხების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ საეკლესიო მამულების რაოდენობა 1447 წლის ნუსხის მიხედვით, მეტად შემცირებულია ძამას ხეობაში, რაც იძლევა საფუძველს დავასკვნათ ალექსანდრე დიდის მეფობაშივე, სააღაპედ გაცემული მამულები ტანასა და თემძის ხეობის გარდა, ფანასკერტელებს მამულები ძამის ხეობაშიც უნდა ჰქონოდათ, რაზეც მიანიშნებს 1467 წლის მეფე კონსტანტინე მეორის განახლებული სიგელი.

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანაიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, II, ტფ., 1897, გვ. 223.

² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, თბ., 1913, გვ. 8.

³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 157.

რაც შეეხება ფანასკერტელთა და ჩიჯავასძეთა საგვარეულოთა საერთო წარმომავლობას არც ერთი ნარატული წყარო ამაზე არ მიაწვდის. მათ დაპირისპირებასთან დაკავშირებით საინტერესოა ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული XV საუკუნის დოკუმენტი თუმანიშვილების კოლექციიდან. მემატიანეს ცნობები ისტორიულ რეალობას მოკლებული არაა და ამ პერიოდის წყაროთაგან სანდობით გამოირჩევა, მასში ვკითხულობთ: „ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალსა იქით მისსა მმასა პატრონსა დემეტრეს მიაწება თაყას გარეთ და თაყა ამისთვის არა მიაწება, რომე მისი მამული და ციხე ჩიჯავასძისათვის უნდოდა და ამაზედა თაყა დიდად შეწყინდა და ესე მოაჯსენა პატრონსა დემეტრეს, ვითა: „წასაჯდენლად უნდივარ და ჩემი თავი და მამული მისთვის არა მოგანებაო. ამაზედან გამრეკელმან აზდომიანთა საქმე მოაჯდუნვა, რომე მისი თავი და მამული ვახტანგისად შექმნა და თაყა პატრონსა დემეტრესად დაარჩუნვა და მოარჩინა წაჯდენასა. თუმცა გამრეკელი არა, ციხესა და მამულსა ყუელსა გაუცემდეს და თაყას წახჯდენდეს და ნისისა გულისათვის მისი თავი და მამული დადვა და გაამაგრა მისითა საქმითა. ამისნი მოწამენი მიწობელი და თურმანისძე საგია და წყლის იქითელნი დარბაზისერნი არიან. ამაზედა ჩიჯავაძე სამწევრის დაესხა. პატრონი დემეტრე ატენის წყალზედ იდგა. თაყაცა გუერცა იახლა. გამრეკელი და ჩუნცა გუერცა ვიახლენით. მთრვალთა ესე ამბავი მოგუივიდა, ვითა: ჩიჯავასძემან სამწევრისი დაარბიაო. თაყას ეთრო და ვერა შეიტყო. ადგა გამრეკელი, სამნივე შვილნი თანა წაგვიტანნა და რომე მივედით, გაგუსწრებოდა და ვედარა მივესწრენით და, თუმცა მივესწრებოდით, ანუ შევეხოცებოდით და ანუ დავკოცებოდით. თაყასა და მისისა შვილისა გულისათვის, დავიკოცებოდით და თუ არა, ჩუნ და ჩიჯავასძესა ერთმანერთისათვის მოყურობის მეტი არა გუეწყინა რა.“¹

¹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 50, 51.

თაყას სიძე, გამრეკელ ჯავახიშვილის ცნობით, „ჩიჯავასძესა ერთმანერთისათვის მოყურობის მეტი“ წყენა ერთმანეთში არ ჰქონიათ. როგორც ჩანს, ჩიჯავასძენი სამეფო კართან დაახლოებული, შიდა ქართლში, „გაღმა მჯარის“ სამკვიდრო საგვარეულო მამულების მფლობელები არიან. სწორედ ამიტომ გამრეკელი გაკვირვებას არ გამოთქვამს მეფის საფუხერენულ უფლებათა რეალიზაციაზე - ატენის ციხე და საჯელო თაყასი თავის ერთგულ ჩიჯავასძეებს გადასცეს. მით უმეტეს მათთვის ცნობილია, რომ თაყას და, სითიხათუნი მეფე ვახტანგის თანამეცხედრეა,¹ მაგრამ მეფის „მოყუარე“ სიძის ერთგულების ნაცვლად, მეფის უმცროს ძმას „გაღმა მხარის“ „პროვინციის მეფე“ დემეტრეს ერთგულობს. ამ დალატის გამო აღარ უკვირთ ქართლის აზნაურებს „ჯელთ შეპყრობა“, „წაქდენა“. საბუთში ჩიჯავაძისგან სამწევრისის დარბევის ფაქტის მიზეზი კი არა, შედეგი აღელვებთ.

დოკუმენტი ნათელს ხდის ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესს. ვახტანგ მეფემ ვერ შეძლო გაორგულებული თავისი მოყვარისთვის თაყა ფანასკერტელისთვის ყმა-მამულები და ციხე ჩამოერთმია და ჩიჯავაძისთვის გადაეცა. ჩიჯავაძეების მცდელობა, ბრძოლით დაიბრუნონ XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაკარგული მამულები, მარცხით მთავრდება. მეფეთ-მეფე ვერც ძალით ბედავს ქვეშევრდომის „ჯელთა შეპყრობას“, რადგან იცის, „შეიპყრობდეს ჯელთა და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს,“ ამიტომ იძულებულია მისი „მინებება“. უფრო მეტიც, მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ტახტის პრეტენდენტი საკუთარი ძმა, „პროვინციის მეფე“ - დემეტრეა. სოციალური დასაყრდენი ძალა, ქართლის საკმაოდ გავლენიანი საგვარეულოები: გამრეკელნი, ჯავახიშვილები, თუმანიშვილები - „წყლის იქითელნი დარბაზის ერნი“,

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შევსებული, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილი თ. ჟორდანაიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, II. ტფ., 1897, გვ. 223.

მეფის ძმის და ფანასკერტელების მხარეს არიან, მაშინ როცა ისტორიული წყაროების მიხედვით მეფე ვახტანგი თავს სიძეა. „პროვინციის მეფისათვის“ ასეთი მნიშვნელოვანი სამფლობელოს „მინებება“ არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ისინი სწორედ ასეთ „ქვეყნებში“ პოულობენ ან ღებულობენ ერთგულ დასაყრდენ ვასალებსა და შემოსავლის წყაროს და თუ ჩვენს მოსაზრებასაც გავითვალისწინებთ, რომ თავა ფანასკერტელი დემეტრეს სიძეა, კიდევ უფრო ნათელს ხდის თავა ფანასკერტელის გავლენას და ტახტის პრეტენდენტთან სიახლოვეს. ამის გათვალისწინებით ასეთი მჭიდრო კავშირი და ერთსულოვნება დემეტრესა და თავას შორის ბუნებრივია. ამიტომ მზად იყო გაეწირა თავი გამრეკელს თავასთვის „ანუ შევეხოცებოდით და ანუ დავკოცებოდით, თავასა და მისისა შვილისა გულისათვის.“ მათი მხარდამჭერი ჩანს მეფე ვახტანგის „ქუისლი“ თავა ამილახორი, სავარაუდოდ ამ „შეცოდებისთვის“ მეფეს სათანადოდ დაუსჯია.¹

ამდენად, დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოსული დასუსტებული ჩიჯავაძეები XV საუკუნის შუა წლებამდე ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ „გალმა მჭარის“ მცირე სამკვიდრო მამულებს. ამავე პერიოდში სამეფო კარზე დაწინაურებული და ქართლის გავლენიან საგვარეულოებისგან მხარდაჭერილი ტაოელი ფანასკერტელები მიზანმიმართულად აგრძელებდნენ ბრძოლას „გალმა მჭარის“ დასაკუთრებისთვის. მათთან ბრძოლაში ჩიჯავაძეები ქართლის ამირეჯიბის და ატენის მოურავობის სახელობის დაკარგვასთან ერთად კარგავენ სამკვიდრო მამულებს, რასაც შედეგად მოჰყვა XV საუკუნის 50-იან წლებში ჩიჯავაძეთა საგვარეულოს საბოლოოდ გამოდევნა ძამის ხეობიდან.

¹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 41.

2. ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლის ისტორიიდან (XIII-XV სს.)

გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა მეფის ერთგულებით აღზევებული თორელების შემოსვლა ძამას ხეობაში, ხეობის დაპატრონების მცდელობით თორის ხეობიდან აქტიურად მოიწვედნენ შიდა ქართლისაკენ.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში, მას შემდეგ, რაც 1266 წელს სამცხე დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა. შიდა ქართლში, კერძოდ, ძამის ხეობაში გადმოსასვლელ გზებზე მდებარე თორელთა და თმოგველთა სამფლობელოების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლაში ჯაყელთა საგვარეულო აქტიურ მოქმედებას იწყებს XIII საუკუნის ბოლოს და მეტად წარმატებითაც. ახალქალაქის (ჯავახეთის) ერისთავთ-ერისთავი თორელი გამრეკელი კახას ძე მეჭურჭლეთუხუცესად ჩანს მიქელ კათალიკოსის დაწერილიდან. საბუთი ს. კაკაბაძემ დაათარიდა 1241 წლით, რაც გაზიარებული იქნა ნოდარ შოშიაშვილის მიერ.¹

რკონის დაწერილის მიხედვით (1260 წ.)² კახა თორელი მეჭურჭლეთუხუცესია, მის შემდეგ თორის სიუხერენია მისი შვილი გამრეკელი, რომელიც ფლობდა ძამის ციხეს დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) მეფობისას. თორელები, როგორც ქართლისა და სამცხის სანაპირო მხარის გამგებელნი, ძამის ციხის დაპატრონებით ძამის ხეობის მფლობელებიც ხდებიან.

დაახლოებით 1303-1405 წწ. ოსთა მთავარმა ბაყათარმა წაართვა ძამის ციხე თორის პატრონს და ძამის ხეობით გაღმა მხარის, თორ-თრიალეთის ხელში ჩაგდებას ცდილობდა: „აოხრებ-

¹ ნ. შოშიაშვილი XIII ს. ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVIII-B, 1954, გვ. 119-120.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (IX-XIII სს.) შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 146.

და ბაყათარ ქართლსა.“ მონღოლები ხეობაში ოსებს ასახლებენ იმ პირობით რომ ისინი მათ ლაშქრობებში მიიღებდნენ მონაწილეობას „მოლაშქრედ და თანამბრძოლედ“. მონღოლთა მხარდაჭერით გათამამებულმა „მაშინ ბაყათარ წარულო გამრეკელსა კახას ძესა, ციხე ძამისა.“ ამ ხეობის ხელში ჩაგდებით ბაყათარი მეტად საშიში შეიქმნა მესხეთის მთავრისათვის, რომელსაც თავად ეჭირა თვალი თორელთა საგვარეულო მამულზე: „ცნა ესე ბექამან მოუჴდა დიდითა ლაშქრითა, ხოლო ბაყათარ ციხით გამოსრული წინ დახუდა ... იქმნა ომი ფიცხელი და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ“ ბექა ჯაყელი მანდატურთუხუცესი ბრძოლაში ამარცხებს გამრეკელის მტერს: „ითხოვეს ოსთა ზენაარი და აღუთქუეს არა წყენა ... უკანას მოკუდა ბაყათარ“.¹ ძამის ციხის დაპატრონება, ძამის ხეობის მფლობელობას და ქართლში დამკვიდრების პერსპექტივას ნიშნავდა. ბექა მანდარტურთუხუცესის, კახა თორელის ოჯახთან პოლიტიკური ქორწინებით გამყარებული კავშირი, 1408 წლის კეთილმოყვრობის წიგნით ხდება ცნობილი. ბექა ჯაყელი კვლავ მათ გაუყრელობაზე და ერთიანობაზე მიუთითებდა: „ძემან ჩემმან თქვენნი დაი (კახა თორელის და, ჯერ კიდევ კახა თორელის მამის სიცოცხლეში) შეირთო და ვედარაი სიყვარულით ყოფილ ვიყვენით ... ვიყუნეთ ჰაგრევე [ვითა წი]ნას ყოფილ ვართ გაუყრელნი.“² ხოვლეს (ზესხევის) ეპიგრაფიკული წარწერების³ მიხედვით, სამცხის მთავრები წინასწარ გათვლილი პოლიტიკური ქორწინებით დაახლოებულ ჯავახიშვილთა საგვარეულოს გან, შიდა ქართლში მათ ისტორიულ მამულებს, „კეთილმოყვრობის“ წიგნით ნამზითვად იღებენ, რასაც რკონის დაწერილიც

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 317.

² საქართველოს სიმეღენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ. 7-8;

³ ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 72;

ადასტურებს.¹ ძამისა და ხვედურეთის ხეობებში მათ უპირისპირდება დიდი სამფლობელოების პატრონი ორბოძლელთა ფეოდალური საგვარეულო. შესაძლოა ამ ბრძოლას უკავშირდებოდეს 1939 წელს ხვედურეთის ხეობაში (სოფ. ხევი) აღმოჩენილი განძი, რომლის დიდი ნაწილი თბილისში მოჭრილი, XIII საუკუნისის II ნახევრის მონღოლური ფულია. განძი დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ორბოძლელებთან ბრძოლაში „დამცრობილი“ დასუსტებული საგვარეულო შტო კარგავს გავლენას ძამის ხეობაში. თორელთა გვარის ძირითადი შტო, ჯავახ თორელის მემკვიდრეები, ჯავახიშვილებად იწოდებიან. მათი შტო ტანასა და ქვემო ქართლში იღებენ გიორგი მეფისა² და კონსტანტინე მეორისგან³ მამულებს და საბოლოოდ შიდა ქართლში ქმნიან ჯავახიშვილთა საფეოდალოს. თორი ჯაყელების გავლენაში ექცევა, მალე თორელთა ფეოდალური სახლი ძირითად სამფლობელო მამულს, თორს კარგავენ, ამის შემდგომ ჯაყელები აქტიურად ცდილობენ სამთავროს ფარგლების გაფართოებას. ეუფლებიან შიდა ქართლსა და ძამის ხეობაში შემომავალ სტრატეგიულ გზებს. XV საუკუნიდან თორელთა გვარი ნარატიულ წყაროებში აღარ მოიხსენიება. 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ თორი უკვე პეტრეს ლივად მოიხსენიება. ჯავახეთი მთლიანად მოექცა სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში და გაუმეზობლდა ქართლის სამეფოს. ამდენად თორის ექსპანსია

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (IX-XIII სს.) შეადგინეს და გამოსცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 149-155.

² ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 133, 136.

³ იქვე, გვ. 134, დოკ. № 49; გვ. 137; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ., 1984, გვ. 158.

გასცდა გუჯარეთისა და ძამის ხეობის საზღვრებს და გაუჩნდათ ქართლში დამკვიდრების პერსპექტივა.

ისტორიული საბუთების მიხედვით ფანასკერტელ-ციციშვილები შიდა ქართლში, პირველად სწორედ ძამისა და ხვედურეთის ხეობაში ღებულობენ საკვიდრო მამულებს.¹ ვერ დავეთანხმდებით ს. მაკალათიას ცნობას თითქოს: „ძამის ხეობა უნდა ყოფილიყო თავისუფალი სამფლობელო, რომელსაც ესაჭიროებოდა გამაგრება და პატრონობა.“² სინამდვილეში წერილობითი წყაროები მიანიშნებენ ფანასკერტელ-ციციშვილების დამკვიდრებას ძამის ხეობაში, რასაც ადგილობრივი ძლიერი საგვარეულოების, ორბომლელოთა, ჩიჯავაძეთა, ჯავახიშვილთორელთა აშკარა შევიწროება მოჰყვა. ამ საგვარეულოების გვერდით გაღმა მხარის მფლობელად გვევლინება მცხეთის ეკლესია. 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით „ხვედურეთს სოფელი ცოლოთი, ხვედურეთს შვიდი საკომლო. იმერხევს სოფელი სარკის წმიდის გიორგისა, მათითა მამულითა და მარჯანიძენი. სამწევრისს ზევით სოფელი სანებელი.“³ 1413 წლის შეწირულების გუჯარით მცხეთის ეკლესია სოფ. ლეთეთსაც ღებულობს.⁴

აქ ჩნდება ბუნებრივია კითხვა, რატომ აძლევს სამეფო კარი უპირატესობას ფანასკერტელთა საგვარეულოს?

სამეფო კარი არ დაუშვებდა, სეპარატისტულად განწყობილ სამცხის მთავართან, ჯაყელთა გაძლიერებულ საგვარეულოსთან „ოდესღაც“ კეთილმოყვრობის კავშირით შეკრულ და ათაბაგთაგან

¹ მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 22-23.

² ს. მაკალათია, ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ. 7.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 177.

⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანაიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, ტ. II. ტფ., 1897, გვ. 220.

„დამცრობილ“ თორელ-ჯავახიშვილთა შტოსთვის ჩაებარებინა სამეფოს საზღვრისპირა ხეობების და სატრანზიტო სტრატეგიული გზების დაცვა. მით უფრო თემურ ლენგისაგან აოხრებული მხარის აღდგენას სჭირდებოდა ძლიერი, გავლენიანი და მეფის ერთგულებაში მრავალგზის გამოცდილი საგვარეულო, რომელიც მხარის აღმშენებლობასთან ერთად დაიცავდა, გააკონტოლებდა სამეფოს საზღვრებს და საათაბაგოში დარჩენილ ფანასკერტელთა საგვარეულოსთან და ერთგულ მოკავშირეებთან ურთიერთობით შეძლებდა პოლიტიკური ვითარების კონტროლს.

რაც შეეხება ორბომღელეებს, XIII მეორე ნახევრიდან შიდა ქართლში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ძამისა და ხვედურეთის ხეობებში ფეოდალური საგვარეულო დიდი სამფლობელოების პატრონი ჩანს. ორბომღელეები პირველად იხსენიებიან 1355წ. მეფე დავით IX (1348-1360 წწ.) მიერ გაცემულ სიგელში. მასში დაცული ცნობის მიხედვით, ულუ დავით VII-თვის (1247-1270 წწ.) „ორბომღელესა თეთრი ქორი მიუგურია დიდის დავით მეფისათვის და მათ ჯუდედურეთს მცხეთისა გლეხნი [ო]რბომღელისათვის უბოძებია“ საჩუქრის სანაცვლოდ მცხეთის საეკლესიო მამულებს უწყალობებს ძამისა და ხვედურეთის ხეობებში, მხოლოდ ერთი პირობით, თუ ეკლესია მათ გადაუხდოდა 1200 თეთრს, მაშინ ეკლესიის კუთვნილი მამულები ეკლესიას დაუბრუნდებოდა. რადგან ორბომღელეთათვის აღნიშნული თანხა არავის მიუცია, ისინიც მკვიდრად დაეპატრონენ მცხეთის საეკლესიო მამულებს: „ესე ჟამთა შლილობისაგან არცა მეფეთა მოეკლო, არცა ქ(ართლისა) კათალიკოზსა და მცხეთელთა დაესწა და ორბომღელს რაიც ამათ გლეხთა (ა)ქაით მცხეთისაი ჯუდედურეთის ჴევს და იმერჴევს არის: გლეხები, ზუარი, ქუაზნი, ფარდახტნი (პარტახტნი) და რაიც არის ყუელა მიმძღავრებით დაეჭირა.“⁴¹ ე.ი.

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, ტ. II. ტფ., 1897, გვ. 184-185.

მათ ეს მამულები „მიმძლავრებით“ შეინარჩუნეს. ამავე სიგელით ცნობილი ხდება, რომ მეფე დავით IX-ეს 1355 წ. თანხა თავად გადაუხდია და მამულები მცხეთისთვის დაუბრუნებია: „პაპის მამისა ჩუენისა დავით მეფისაგან გაჩენით ნაბ[ოძე]ბი თეთრი თორმეტ ათასი, და შევსწირეთ ახლად და დაუმტკიცეთ წმიდასა და ცათა მობამავსა დედაქალაქსა მცხეთასა ... ღმრთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა ... რაიც ჯუედურეთის ჯევს და იმერჯევს მცხეთისაი არის და ყოფილა ...“ სიგელში მკაცრად და საგანგებოდ მითითებულია, „ნუცვინ გამოჩნდების ... და ნუმცავინ იკადრებს ამის ახლად ჩუენგან დაქსნილ-შეწირულთა ადგილთა ცილებად“.¹ მიუხედავად მეფის მკაცრი გაფრთხილებისა ორბოძლეებს მცხეთისთვის მამულების მხოლოდ მცირე ნაწილის დაბრუნების შემდეგ არ დაუტოვებიათ ხეობა, რაც მიანიშნებს ორბოძლეების მეფისადმი დაუმორჩილებლობაზე.

როგორც ცნობილია, XIII-XIV სს. პოლიტიკური ვითარების გამო შესუსტდა ქვეყნის ისტორიულ კუთხეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი, მოიშალა მათი დამოკიდებულება ცენტრისადმი. მეფისაგან სამმართველოდ მიღებულ ხევში თუ რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში „ველმწიფობას“ იწყებდნენ დიდებულები: „ყოველნივე ჯევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვდრ ქმნილიყვენ, და, ვისცა მამულსა მისცემდა, მკვდრად მიეცემოდა.“ ორბოძლეებიც სარგებლობენ შექმნილი ვითარებით და როგორც ჩანს, ხეობაში კვლავაც მძლავრობით მოახერხეს შეენარჩუნებინათ სამფლობელოთა დიდი ნაწილი, მათ შორის ზღუდერის, ხვედურეთის და კეხიჯვრის მამულები და იმერხევში მდებარე ძამის მონასტერი. მათი სამფლობელოები ძირითადად ძამის ხეობის ქვედა წელსა და იმერხევის მიდამოებში ივარაუდება, რადგან ძამის ციხე ჯავახიშვილებს ეპყრათ ხელთ.

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, II, თბ., 2013, გვ. 46-47; ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 184-185.

ხვედურეთის ხეობაში, სავარაუდოდ, მათ მფლობელობაში იყო თავდაცვითი ნაგებობა „ქუაზნი“ - თრეხვის გამოქვაბულთა ოთხი კომპლექსი მდ. ხვედურელას მარცხენა ნაპირზე, რომლის „ნავთ-საყუდელად“ მშენებლობა უკავშირდება XI საუკუნის 60-იანი წლების ცნობილ მემატიანეს, „ქართლის ცხოვრების“ ავტორსა და რედაქტორს, რუისის ეკლესიის მთავარეპისკოპოსს ლეონტი მროველს. მის შესახებ 1957 წელს თრეხვის მახლობლად აღმოჩენილ მშენიერი წნული ჩუქურთმით შემკულ ქვაჯვარის ნუსხურ წარწერაში ვკითხულობთ: „მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაზი ხატისათჳს ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისის საყდრის შვილთათჳს ჟამთა შინა აღფარსლან სულთანისაგან ოხრობისთა, ქორონიკონსა ს კ ვ.“ (1066წ.)

თავდაპირველად ორბომლელებს რეზიდენცია ზღუდერში უნდა ჰქონოდათ, სადაც შეიმჩნევა XIII-XIV სს. მიჯნაზე ინტენსიური მშენებლობის კვალი. ამ ფაქტის პირდაპირ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე, სოფლის განაპირას მდებარე ზღუდერის ეკლესია. მასში გაირჩევა სამი სამშენებლო ფენა VI-VII სს. (სამნავიანი ბაზილიკა), მეორე- X ს. (სამეკლესიანი ბაზილიკა) და XIII-XIV საუკუნეების (13,6 × 11,5 მ.) მიჯნის, რესტავრაციის კვალის მიხედვით.¹

XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება სოფლის სამხ. აღმ-ით 600-700 მეტრის დაშორებით მდებარე მეორე ღვთისმშობლის ეკლესია და მის სიახლოვეს (აღმ. 5-6 მ.) ეკლესიის თანადროული სამსართულიანი კოშკის ნანგრევი (7-8 მ. სიმაღლის). კოშკი ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. დაზიანებული ტაძრის შეკეთებისას კედელში აღმოჩენილი იქნა თავდაყირა ჩადგმული სამი წარწერიანი ქვა. ორ ქვაზე ერთი ტექსტი ჩანს ამოჭრილი: „ ე. ი. წმიდაო

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 372-374.

სტეფანე შეიწყალე ისაკ და მარიამ შვილითურთ.⁴¹

რენე შმერლინგი დამწერლობის სტილის მიხედვით შესაძლოდ თვლიდა ამ წარწერის დათარიღებას XI ს-ის 20-იანი წლებით. ხელოვნებთმცოდნეების მოსაზრებით, წარწერიანი ქვები ეკუთვნოდა წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიას, რომლის ნანგრევები საუკუნეების შემდგომ გამოყენებული იქნა სამშენებლო მასალად, XIII-XIV საუკუნეებში ეკლესიის რესტავრაციისას.

ამ პერიოდში მომძლავრებულ, შეუვალობით ცნობილ ორბომლელებს სამეფო კართან დაპირისპირება, მეორე მხრივ, ზღუდერის სიახლოვეს, მეზობელ თორელ - ჯავახიშვილთა, ამირეჯიბ - ჩიჯავასძეთა საგვარეულოებიდან მომდინარე მუდმივი საფრთხე აიძულებდათ, სამფლობელოთა სიახლოვეს უფრო მიუვალ და „აულებელ“ ციხე-სიმაგრის მშენებლობაზე ეზრუნათ.

ახალ რეზიდენციაში სამკვიდრო სამფლობელოთა არეალიდან მოულოდნელი თავდასხმის მოლოდინში მყოფი ორბომლელები ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყვნენ გაეკონტროლებინათ და დაეცვათ როგორც რეზიდენცია, ასევე ძამის ხეობის ქვემო წელზე თავიანთი სამფლობელოები თავდაცვის მაღალი ორგანიზებით: რეზიდენციის დაცვის მუდმივი გარნიზონით, საბრძოლო იარაღის არსენალით, ბუნებრივი წყალსადენით და რეზერვუარით, სურსათის მარაგით და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში ორბომლელები ვერ გაბედავდნენ, მეფის 1355 წლის ბრძანებას არ დამორჩილებოდნენ. ფაქტიურად, აღნიშნული დოკუმენტი მინიშნებას იძლევა მშენებლობის დაახლოებით პერიოდზე.

ასეთი ადგილი მათ სამფლობელოში სწორედ ველისციხე იყო. მდ. იმერხევი (ღვანანა) თრიალეთის მთებიდან იღებს სათავეს და ძამას უერთდება ზღუდერთან. მისგან დაახლოებით 7-8 კმ-ზე, სოფ. ველისციხესთან, საცხენისის ქედის ჩრდილოეთ

⁴¹ლ. რჩელიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, თბ., 1948 ტ. 2, გვ. 43.

კალთაზე, მთის წვერზე, საკმაოდ მიუვალ და მტრისაგან ბუნებრივად დაცულ ადგილზე დღემდე შემორჩენილია მტკიცედ ნაგები ციხის ნანგრევები და ციხის ტერიტორიაზე მდებარე, ნანგრევებად ქცეული ეკლესია. ციხის სიახლოვეს ნასოფლარის არსებობაზე ჯერ კიდევ ნამოსახლართა სიმრავლის ნაკვალევი მიაჩნება.

დღემდე შემორჩენილი მტკიცედ ნაგები ციხის ფრაგმენტები, სავარაუდოდ, მეფისადმი სეპარატისტულად განწყობილი ორბოძლელების რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. ამაზე მიგვანიშნებს ავთენტური პირველწყაროები ორბოძლელთა შესახებ, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ციხის სიახლოვეს საინტერესო ეტიმოლოგიური წარმოშობის ტოპონიმი სოფელი ორბოძლა (სოფ. იმერხევი, ორბოძლა და ნასოფლარი ველისციხე შედიან ზღუდერის საკრებულოში, მდებარეობენ ერთმანეთის სიახლოვეს - თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ღვანანას, მამის მარჯვენა შენაკადის ნაპირას.) სამწუხაროდ, ველისციხის მშენებლობის და ფუნქციონირების შესახებ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ტოპონიმი „ველისციხე“ ერთდროულად ისტორიული და გეოგრაფიული შინაარსის ინფორმაციის მომცველია. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ორფუმიანი კომპოზიტი. მისი თავდა - პირველი ნომინაცია ველზე (გაშლილ ვაკე ადგილზე) მდებარე ციხეს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა შესაძლებელია ტოპონიმები დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს და ადგილობრივი შინაარსობლივი გამართლება ჰქონდეს, ამასთან უშუალოდ უკავშირდებოდეს ისტორიულ რეალობას. ამ შემთხვევაში იგი სწორედ გააზრებულად წარმოქმნილია. მთისა და ბარის საზღვარზე გეოგრაფიული და სტრატეგიული ადგილმდებარეობით შერჩეული მტკიცედ ნაგები ციხიდან, საგუშაგო - სასიგნალო ფუნქციის პარალელურად, მას უფრო მნიშვნელოვანი დანიშნულება ჰქონდა - გაეკონტროლებინა და დაეცვა „მიმ-

ძლავრებით“ მოპოვებული ვრცელი სამფლობელოები, რომლებიც ხელისგულივით მოჩანდა მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ძამის ციხესა და მძოვრეთამდე.

ველისციხის შესახებ პირველი ცნობები ლ. ჭილაშვილს ეკუთვნის (როგორც ჩანს, ნაქალაქარ ურბნისზე არქეოლოგიური ექსპედიციისას იქნა მიკვლეული). მკვლევარი სწორად მიანიშნებდა ველისციხის მთავარ ფუნქციაზე, იმერხერვისწყლის შეერთებასთან მდებარე გაშლილ ველზე, ზღუდერის რეზიდენციის დაცვას და ქალაქის ჩაკეტვას, თუმცა ციხის ნანგრევს ორბოძლელთა საგვარეულოსთან ვერ აკავშირებდა.¹

ამის შესახებ პირველი სავარაუდო მოსაზრება ს. მარლიშვილს ეკუთვნის. ლ. ჭილაშვილისაგან განსხვავებით, იგი ველისციხეს ორბოძლელებს უკავშირებს, ათარილებს XIII საუკუნით, მაგრამ აცხადებს, რომ XIV საუკუნის შემდეგ ორბოძლელები წყაროებში აღარ მოიხსენიებოდნენ,² რაშიც ისტორიკოსს ნამდვილად ვერ დავეთანხმებით, რადგან XV საუკუნის პირველი ნახევრის ავთენტური წყაროები პირდაპირ მიანიშნებენ ორბოძლელთა მფლობელობას ძამის ხეობაში, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

სოფ. ველისციხეს დამატებითი ცნობების გარეშე მხოლოდ ნასოფლარად მოიხსენიებს ო. კილასონია თავის წიგნში.³ ს. მაკალათიამ 1950 წელს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის დავალებით შეისწავლა ძამის ხეობა, შეადგინა ხეობის რუკა და აღწერა ხეობაში იმ დროს მცხოვრებთა რაოდენობა. იმერხერვის საბჭოში შემავალ სოფ. ველისციხეში 15 კომლი ოსი ეროვნების მოსახლე აღურიცხავს.⁴ ციხის შესახებ კი ინფორმაციას არ იძლევა. სავარაუდოდ, ახლად ჩასახლებული


¹ ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968, გვ. 118-119.

² ს. მარლიშვილი, ორბოძლელთა ფეოდალური საგვარეულო, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ. 61-62.

³ ო. კილასონია, ქართული ისტორიის ანალებში, თბ., 1996, გვ. 123.

⁴ სერგი მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი, გსიემ - 7463/1-31.

მოსახლეობა ციხის შემორჩენილ ნანგრევებს აქტიურად იყენებდა სამშენებლო მასალად. თითქმის საძირკვლამდე დაყვანილი ნან-



მამის ხეობის სოფლები
 სერგი მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმიდან, გსიემ -7463/1-31.

გრეგების კვალი ამიტომაც დარჩა მკვლევართა ყურადღების მიღმა.

სავარაუდოდ, ველისციხის ნაგებობა - გალავნის ტიპის უნდა ყოფილიყო, რომლის ძირითად დანიშნულებას არა მარტო საგვარეულოს დაცვა, არამედ მოსახლეობის დროებითი თავშესაფარიც უნდა ყოფილიყო. აღნიშნული მოსაზრება მხოლოდ საველე ზედაპირული კვლევის შედეგია და ძირითადად ჰიპოთეტურია, რადგან ციხის ისტორიული ადგილი არქეოლოგთა მიერ დღემდე შეუსწავლელია, არ ჩატარებულა ძეგლის გაწმენდითი სამუშაოები, რაც სპეციალისტებს ციხის დაგეგმარების, არქიტექტურული დეტალების დადგენა-გამოვლენის საშუალებას მისცემდა - მომავალ მკვლევარებს კი უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას.

თუ როდის კარგავენ საბოლოოდ ორბომლელები სამფლობელოებს ძამის ხეობაში, ამაზე პასუხს იძლევა 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი და მეფე კონსტანტინე II-ის 1467 წლის განახლებული დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „...სახლის ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას, მას ჟამსა ოდეს ჩუენის სიყვარულისთუის შავშეთს თქვენი მკვიდრი ... მამული დასთმეთ და ჩუენად საერთოულოდ მოხუედით და ჩუენ მოგაკსენეთ ჳვედურეთს ორბომლეულისეული მამული ... ორბომლეული-სეული მამული მაშინაც თქვენ გმართებდა, ამად რომე ორბომლელსა პაპისა თქუენისათვის ეღალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღამცა თქვენ გქონდა სამკვიდროდ, ამას გარეთ მოგაკსენეთ და დაგიმტკიცეთ სრუ ... მამული ქვაჭვრელი, უფლისციხე და კარალეთი ... და ჩუენგან თქვენთვის სამკვიდროდ ბოძებულსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს და თუ ვინ დაგეცილოს მისი პირი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ და გქონდეს თქვენ, ჩუენსა ერთგულსა

ჩუენისა თავადასა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას, შვილიშვილთა და მომავალთა სახლის თქუენისათა ყოველთა ჳვედურეთს ორბოდლეულისეული თქვენი ნასისხლი მამული, რაცა ხოსაშვილსა ბადათარს, ანუ ჳვედურეთს ქონარა და ანუ კეხისჯუარს და ამა სიგელშიგა გოწერია, სრულად და უკლებლად.“¹

კონკრეტულად თუ რა ღალატი ჩაიდინა ორბოდლელთა საგვარეულომ და შეეწირა თუ არა მას, სამეფო კარის გავლენიანი დარბაისელის, ზაქარია ფანასკერტელის სიცოცხლე, წყაროების სიმწირის გამო ძნელია მტკიცება, თუმცა ისტორიულ-ქრონოლოგიური მოვლენების ლოგიკური თანამიმდევრობა მიგვანიშნებს, რომ, სავარაუდოდ, ამ ღალატს ემსხვერპლა ზაქარიას სიცოცხლე. სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა სამეფო კარისგან დაუმორჩილებელ ორბოდლელთა საბოლოოდ დამარცხება, საგვარეულო რეზიდენციის დანგრევა და მათი დარჩენილი მამულების ფანასკერტელებისათვის გადაცემა, რასაც ფაქტობრივად მოჰყვა საბოლოოდ ორბოდლელთა ძამის ხეობიდან განდევნა. ორთაბრძოლაში დამარცხებული ორბოდლელები - (XV საუკუნის 60-იანი წლები) იძულებულნი გახდნენ პატარა ლიახვის ხეობაში გადასულიყვნენ, ამის საფუძველს იძლევა პატარა ლიახვის ხეობის აღწერისას ვახუშტის მიერ „ორბოდლას მთის“ და „საცხენისის“ ერთად მოხსენიება იკორთის მონასტრის ჩრდილოეთით, „ხოლო კვალად ორბოდლის მთის სამხრით არს, მთისა კალთასა შინა იკორთას მონასტერი“. ²

რაც შეეხება ორბოდლელების საგვარეულო რეზიდენციის ისტორიას, ჩვენი კვლევით, იმერხევთან ციხე (ველისციხე) და

¹ სცსსა, ფ.1448, აღწ 1, საქმე № 64.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 70, 75.

ზღუდერთან („ქორაზანს¹ ვენაჯი“) 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით ალექსანდრე მეფისგან მამის ხეობაში მხოლოდ ახალი შეწირულების სახით მიუღია მცხეთის ეკლესიას: „იმერვეს მაჯანისძე და ციხე, ქორაზნას ვენაჯი ... ესე სულკურთხეულსა მამასა ჩუნსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შეეწირნეს თარხნად თავისუფლად და შეუვლად დაემტკიცნეს.“² 1392 წლის ქართლ-კახეთი-მცხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ციხე არ მოიხსენიება,³ მაშინ როცა აღნიშნული შეწირულება კვლავაც მცხეთის ეკლესიის კუთვნილებაა 1559 წლის ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით.⁴

სამწუხაროდ, კვლევის ამ ეტაპზე ვერსად მივაკვლიეთ დამატებით წერილობით წყაროებს, ჩვენს ხელთ არსებული მწირი მონაცემები კი არ იძლევა ველისციხის დღემდე ბურუსით მოცული ისტორიის გაშუქების საშუალებას.

ზემოაღნიშნული წყაროებისა და სავარაუდო არგუმენტების გათვალისწინებით, ორბოძლელების მიერ ციხის მშენებლობის ქვედა ზღვარი მათი ძლიერების პერიოდით, დაახლოებით XIV საუკუნის 50-60-იან წლებით უნდა განისაზღვროს, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში ველისციხის ციხე-სიმაგრის აგების თარიღთან.

დაახლოებით ასეთი იყო ისტორიული რეალობა მამის ხეობაში, როცა ქვეყანას დაატყდა თემურ-ლენგის ურდოების გამანადგურებელი შემოსევები.

¹ ვახუშტი ბაგრატიონი სოფლების სიაში ქოროზანად მოიხსენიებს და რუკაზეც ამ სახელით აქვს აღნიშნული. ქოროზანს მამის ხეობის სოფლებში მოიხსენიებს იოანე ბატონიშვილიც; იოანე ბაგრატიონი, ქართ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 32.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., თბ., 1970, გვ. 191.

³ იქვე, გვ. 177.

⁴ იქვე, გვ. 264.

3. თემურ-ლენგის ლაშქრობა ძამის ხეობაში და ფანასკერტელ-ციციშვილთა დამკვიდრება.

ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი აღმოჩნდა ძამის ხეობისთვის თემურ-ლენგის 1400 წლის ლაშქრობა. სპარსული წყაროების ცნობას საქართველოში 1400წ. შემოსევის შესახებ ქართული ავთენტური წყაროებიც ადასტურებენ.¹ 1365 წელს გადაწერილი ლარგვისის პარაკლიტონის 1400 წლის მინაწერი გვამცნობს, რომ „მოქცევასა იდ (14) ქორონიკონსა: 3 (88), მასისა ზ (7) მოვიდა თემურ სულტანი სამარყანელი“. თემურ ლენგის უდიდესი იმპერიის აურაცხელი სამხედრო ძალების საქართველოში შემოჭრას გვამცნობს ძეგლი ერისთავთა. მემატიანის ცნობით, ეს ლაშრობა თავისი მასშტაბით ყველაზე სასტიკი და ამაოხრებელი ყოფილა: „მოვიდა თემურ სამანგლელი ყოვლითა სპითა ჩადანელ-ქაშანელ-სიყალბელ-ნაჰრომელ-ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლეთის ლაშქრითა ... შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და დაფარნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ჳევნი და ვითარცა ზღუამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანაი...“² რკონის სამონასტრო კომპლექსის ნათლისმცემლის ეკლესიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე თემურ-ლენგის დარბევის მაუწყებელი ორი ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი: 1. „ აქა მოვიდა ლანგდემურ და დააქცივნა ეკლესიანი და რკონიცა დააქცია. ქორონიკონი იყო 3ე (=1400 წ.). 2. „ აქაჲ ამოსწყვდა რკონი, თვესა მერვესა“³

¹ დ.კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 145,178.

² შ. მესხია, ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ. 358.

³ გ. ოთხმეზური, რკონის წარწერები, არტანუჯი, VI, თბ., 1997, გვ. 9-19.

ქართლში დატეხილ საშინელებაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი: „... თვთვა შეჰკადრა და ბილწითა კელითა წარმდებად კელ-ჰყო დარღუე-ვად და მოოჭრებად სუეტისა ცხოველისა შინაგან, და გარეთ ზღუდენი და პალატნი ... მოიცვეს სრულიად შიდა ქართლი, დაწვეს და ალაოკრეს და მოვლნეს ყოველნი არენი და სანახებნი შიდა ქართლისანი, და აღიდეს ციხენი, გოდოლნი და სიმაგრენი.“¹

XV საუკუნის სომხური სახარების, ჰიმატაკარანში დაცული გრიგოლ ხლათეცის ცნობით მოკლულთა რიცხვმა ასი ათასს გადაამეტა, თუმცა გაცილებით მეტი ყოფილა ტყვეების რაოდენობა.²

მუინ ად დინ ნათანზის მიხედვით, თემურ ლენგს საქართველოზე საღვთო ომით გაულაშქრია.³ სპარსული წყაროებიდან ჩანს, თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქარი ჯანიბეგის ხეობაში (სამილახვრო) მოულოდნელად შეჭრილა „ჯანიბეგისა მამულსა ჩაუდგა ლანგ-თემურ და ალაოკრა, დაწვა და დააქცია ... მოვლეს სრულიად ქართლი მოაოკრეს და დაწვეს.“⁴ ციხის აღების შემდეგ თემურ-ლენგმა სარდალი ამირ ჯაჰან შაჰი დაადევნა მეფე გიორგი VII-ს (1393-1407 წწ.), თუმცა მის კვალს ვერ მიაგნეს. ამით გამძვინვარებული დამპყრობელი მტკვარზე გადავიდა სამწევრისის (სამავას) ბოლოს. სამავას შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, დ. კაციტაძე ჯანიბეგის სამფლობელოში, ან მის მახლობლად ე.ი. სამილახვროში მდებარე სამთავისს ვარაუდობს. გეოგრაფიული

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 452-453.

² სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიმატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდლაძემ, თბ., 1978, გვ. 42-43.

³ დ. კაციტაძე, „ისქანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები 116, თბ., 1965, გვ. 376.

⁴ იქვე, გვ. 145; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 132.

ადგილმდებარეობის, თემურ-ლენგის მოძრაობის სავარაუდო მარშრუტის და ისტორიკოსების (ნეზამ ად-დინ შამი, ფასიფ აჰმად ჯალალ ად-დინ მოჰამედ ხაფი, აბდ არ-რეზაყ სამარყანდი) აღწერის კონტექსტის გათვალისწინებით, სამწევრისი ივარაუდება. სამწევრისზე მიუთითებს ფარსადან გორგიჯანიძე. კ. ტაბატაძე¹ სავსებით დამაჯერებელ ვერსიად თვლის ფ. გორგიჯანიძის მოსაზრებას, რადგან ეს ადგილი ზუსტად შეესაბამება მტკვარ - გაღმა მხარეს. ჯერ კიდევ 1386 წელს, თემურ ლენგის პირველად შემოჭრისას სამეფო კარს მცირერიცხოვნების გამო მიზანშეწონილად მიუჩნევია, მასთან გადამწყვეტ შეტაკებას მორიდებოდნენ და ციხეებში გამაგრებულიყვნენ. ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტის მიხედვით: „ სცნა რა საქმე ესე მეფემან ბაგრატ, მწუხარე იქმნა ფრიად, და ეძიებდა ღონესა რასამე საქმისასა, რამეთუ ვერ ძალ-ედვა წინააღდგომა მისი. ხოლო შევიდა ციხესა ტფილისისასა. მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა სამწევრისს. და ოდეს ესმა მოსლვა ტფილისს თემურისა, მაშინ აღიყარა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით.“² როგორც ჩანს, სამწევრისის ციხე მტკიცედ და საიმედოდ დაცულად ითვლებოდა, საიდანაც დაუბრკოლებლად შეეძლო იმერეთში გადასვლა.

1400 წლის ლაშქრობისას სწორედ სამწევრისის მიდამოებში ეგულება მეფე გიორგი, რომლის შეპყრობა ლენგისთვის აუხდენელი ოცნება გამხდარიყო. სამწევრისთან ბრძოლისას შეატყობინეს, რომ მძოვრეთის ციხეში მეფე მცირე ძალებით გამაგრებულიყო. ამის შემდეგ გაცოფებული თემურ ლენგი თავისი ბანაკით მტკვრის გაღმა გადადის. წარმოსადგენადაც რთულია ძამას ხეობას და მძოვრეთს თავს დატეხილი საშინელი სისასტიკის

¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925, გვ. 303; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 136.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 449.

მასშტაბი. ნეზამ ად-დინ შამი და შარაფ ად-დინ ალი იეზდი ცალკე გამოყოფს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მძოვრეთის ციხესთან ბრძოლის ისტორიას. მისი ცნობით, ციხე მიუვალი და აუღლებელი ყოფილა, მაღალ მთაზე აშენებული და არავის ახსოვდა, ოდესმე ვინმეს აეღოსო.¹ მტერმა ძამის ციხე გარემოიცვა, რომელსაც ლოდსატყორცნი მანქანები შეუსვენებლად ურტყამდნენ შვიდი დღე და ღამის განმავლობაში. მეციხოვნენი მამაცურად იგერიებდნენ იერიშებს, ციხის კედლებთან მოახლოებულ მტერს უზარმაზარი ლოდებით და ხის მორების დაგორებით საკმაოდ დიდ ზიანს აყენებდნენ. მეშვიდე დღეს იძულებული გახდა „უსჯულო თემურ“ თავად ჩადგომოდა ციხეზე იერიშის მიტანას. ამდენი დღე ბირთვისის ციხის გარდა არც ერთი ციხის აღებისთვის მას არ დასჭირვებია. ამიტომ მოექცა მძოვრეთის ციხისთვის ბრძოლა სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების საგანგებო ყურადღების ცენტრში. დამპყრობლებთან მძიმე და უთანასწორო ბრძოლებს მეციხოვნეთა დიდი ნაწილი შეეწირა, შექმნილ ვითარებაში მეფემ მაინც შეძლო ალყის გარღვევა და სავანეთის ციხეს მიაშურა. მძოვრეთის ციხეში მეფის ყოფნას ადასტურებს აბდ არ-რეზაყ სამარყანდი.²

გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, თემურ-ლენგის ურდოს მრავალრიცხოვნებამ, ციხის დამცველთა დიდმა მსხვერ-პლმა თავისი გაიტანა და ციხე დაეცა. მეფის გაქცევით გაცოფებულმა ჯავრი ძამის ხეობის გადარჩენილ მოსახლეობაზე იყარა. ჯარის ნაწილი ძამის ხეობაში სათარეშოდ დატოვა, თავად კი სავანეთის ციხისკენ გაილაშქრა მის შესაპყრობად. დამპყრობ-ლებს ფეხდაფეხ დაუვლიათ გარეშემო მიდამოები და ბანაკში

¹ დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975, გვ. 146. შარაფ ად-დინ ალი იეზდი, <http://www.vostlit.info/Texts/rus5/Saraf1/frameset21.htm>

² კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 137.

მიუყვანიათ, ვინც კი შეუპყრიათ, სადაც ჯგუფ-ჯგუფად ხოცავდნენ უმოწყალოდ, დახოცილთა სიმრავლეს მოწმობს შარავ ად-დინის ცნობა, რომ „ბევრი სისხლისაგან, რომელიც შარიათის ნათელი გადაწყვეტილებით შურისძიების მიწაზე დაანთხიეს, მიწის ზედაპირი ლალის ფერად შეიღება და გვამთა სიმრავლისგან, რომელიც ერთმანეთზე ეყარა ლეშად, ველი კიდით კიდემდე მთად გადაიქცა, კალთებზე კი სისხლის ნაკადულები მოედინებოდაო.“¹ გიორგი მეფემ აქედანაც შემლო ბრძოლით ალყის გარღვევა და დასავლეთ საქართველოში გადასვლა. გამძვინვარებულმა თემურ-ლენგმა დადევნება ვეღარ გაბედა და დასარბევად სამცხეს მიუბრუნდა. მისი მსახვრალი ხელი ყველგან მისწვდა, გააპარტახა და გააუკაცრიელა აყვავებული მხარე, სავაჭრო-საქარავნო გზები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესიამონასტრები, დასახლებული პუნქტები, ნათესები, მათ შორის ხეობიდან სამცხისკენ მიმავალი მოხერხებული გზა: „... ზეითის ქართლისა, ლიხ-ტაშისკარამდე ... მწყისს ხეობასა და სადგერს ... შემუსრა ლანგ თემურ.“²

შარავ ად-დინ ალი იეზდის აღწერილი აქვს მოსახლეობის მასობრივი უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის ფაქტები.³ აბდ არ-რეზაყ სამარყანდი, რომლის თხრობა ნიზამ ად-დინ შამის, შარეფ ად-დინ ალი იეზდის და ჰაფეზი აბრუს მონათხრობს ემყარება, საგანგებოდ აღწერს არა მარტო თორთუმის, ზოვრეთის და ბირთვისის ციხეებს, არამედ მიუვალ ადგილებში სამალავ გამოქვაბულებს, რომელთა აღებას თემურ ლენგის მოლაშქრეები დიდი მსხვერ-

¹ კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 138-139.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 78.

³ შარავ ად-დინ ალი იეზდი, <http://www.vostlit.info/Texts/rus5/Saraf1/frametext21.htm>

პლის ფასად ახერხებდნენ.¹ ნიზამ ად-დინ შამის აღიარებით, ქართველებს თავი მაღალ მთებსა და გამაგრებულ მღვიმე-ქვაბებისთვის შეეფარებინათ. შეხიზნული ხალხი უომრად არ ნებდებოდა, მაშინ როცა „თურქი მეომარნი კიდობნებში ჩასხეს და საცა ქვაბებში ხიზანი იყო, იმის კარებს ზედ საბლით ჩაჰკიდეს ... ურწმუნოებიც თავგანწირვით იბრძოდნენ. სიკვდილის შიშით ზოგს საბელი გაუწყვიტეს ... კიდობნიანათ, ჩაიმტვრივნეს, ჩაიხოცნეს.“² ფაქტიურად გამანადგურებელმა ლაშქრობებმა „მოკლეს ყოველი ქუეყანადა ... მოაოჯრეს ყოველი ქუეყანადა“, მოშალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზა, დაკნინდა და მოსახლეობისაგან დაცარიელდა ოდესღაც ხმაურიანი, სისხლსავსე ქალაქები და შეწყდა ცხოვრების მაჯისცემა. ქართლის ცხოვრების ცნობით, თემურ ლენგმა გამაჰმადიანებული ქართველნი „რომელ მორჩილ ექმნა თან წარიყვანა, და რომელიცა არა მორჩილ ექმნეს, მოსრნა პირითა მახვლისათა.“ ამ ამბების თვითმხილველი მემკვიდრე თომა მეწოფელი აზუსტებს სამარყანდისკენ მიმავალთა რაოდენობას - 60 ათასზე მეტი ქართველი გაუტარებით გზად სომხეთის ტერიტორიაზე დიდძალ დავლასთან ერთად, „ყოველ ხუთ ჩაღათაელს 20 ტყვე მიჰყავდათ ... ვაი-ვაგლახი ისმოდა ქრისტიანთა ტომთა ზედა, ვხედავდი ტყვევნას და შველა კი ვერ შეგვეძლო.“³ ამას დაემატა ისიც, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელმა სავაჭრო მაგისტრალებმა შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს, რასაც შედეგად მოჰყვა XV

¹ დ. კაციტაძე, აზდ არ-რეზაყ სამარყანდის „მათლა ას-სა'დაინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინის“ ცნობები საქართველოს შესახებ, მაცნე, თბ., 1968, № 2, გვ. 198- 202.

² კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 129.

³ თომა მეწოფელი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანიითურთ, გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, თბ., 1937, გვ. 22.

საუკუნეში ერთიანი საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლა.

ასეთ მიმღე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეულ ძამის ხეობაში სამეფო კართან ქორწინებით გამყარებული კავშირების მქონე, მეფის ხელისუფლების ერთგულების გამო ტაოდან გადმოსახლებულ, ძლიერ და გავლენიან ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულოს დამკვიდრება სამეფო კარისგან სწორად გათვლილი, უალტერნატივო პოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილება იყო.

XV საუკუნიდან ფანასკერტელების ძამის ხეობაში დამკვიდრების პერიოდზე მიგვანიშნებს 1467 წლის მეფე კონსტანტინე II-ის განახლებული სიგელი: „... ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას, მას ჟამსა ოდეს ჩუენის სიყვარულისთუის შავშეთს თქვენი მკვიდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით ... ორბოძლეული-სეული მამული მაშინაც თქვენ გმართებდა, ამაღ რომე ორბოძლეულსა პაპისა თქუენისათვის ეღალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღამცა თქვენ გქონდა სამკვიდროდ, ამას გარეთ მოგაქსენეთ და დაგიმტკიცეთ სრუ ... მამული ქვაკვრელი, უფლისციხე და კარალეთი ... და ჩუენგან თქვენთვის სამკვიდროდ ბოძებულსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს და თუ ვინ დაგეცილოს მისი პირი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ...“¹

ალექსანდრე დიდის სამეფო კარზე ფანასკერტელების საგვარეულოსთან ქორწინებებით გამყარებული ნათესაობა და მრავალწლიანი ერთგულება საფუძველს აძლევდა მეფე კონსტანტინე მეორეს, საგანგებოდ მისთვის გამიზნულად ნაბოძები განუსაზღვრელი უფლებები მიეცა, ამაზე მიანიშნებს 1467 წლის დოკუმენტი: „გაღმა მხარეში“ სრულ შეუვალობაზე: „...მოასილი ამა თქვენთა მამულთა შიგა ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე

¹ სცსსა, ფ.1448, აღწ 1, ს. 64.

დაიდოს“-ო.¹ ე. ი. მეფის არცერთ მოხელეს არ გაებედა შესვლა და ჩარევა საგადასახადო, სასამართლო, სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში. XV საუკუნის პირველ ნახევარში მამულების მოურავობიდან აღზევებული ფანასკერტელთა ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად გაზრდილია, რომ ვახტანგ მეფისაგან (1442-1446 წწ.) სრულიად შეუვალნი ხდებიან.

XV საუკუნის 60-70-იან წლების საციციანოს საზღვრების ლოკალიზაციის კვლევამ ცხადყო, რომ მის კონტროლს ექვემდებარებოდა არა მარტო საათაბაგოს საზღვრიდან მცხეთამდე გადმომავალი გზები, ციხე-სიმაგრეები, არამედ მეწინავე სადროშოში - თრიალეთში, ქვემო ქართლსა და „ქართლის სომხითში“, განსაკუთრებით სატრანზიტო სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული სოფლები, ბარათაშვილების გვერდით. „დიდი ფანასკერტელის“ მიერ „მეორედ აღმშენებლობას“ ამ მხარეში ადასტურებენ ეპიგრაფიკული წარწერებიც წერაქვის, ბარეთის, ლიპის).²

ამრიგად, ფანასკერტელთა საგვარეულოს ევალეობდა არა მარტო ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვრების მეთვალყურეობა და დაცვა, არამედ სატრანზიტო სტრატეგიული გზების: 1.თორი - გუჯარეთი - ხვედურეთი - ძამა - ატენი - თეძამი - მცხეთა; 2.თორი-ხვედურეთი - ძამა - ატენი - თრიალეთი - ქვემო ქართლი. 3. ძამა - ხვედურეთი - იმერეთი - რაჭა, კონტროლი და დაცვა, ტაოში დარჩენილ ფანასკერტელთა საგვარეულოსთან კავშირ-ურთიერთობა, მეთვალყურეობა საათაბაგოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ერთგულებით მსახურებასთან ერთად ევალეობდათ საზღვრისპირა მხარეებიდან, ჯავახეთიდან და თრიალეთიდან შიდა ქართლისაკენ

¹ სცსსა, ფ.1448, ს. 64.

² ე. თაყაიშვილი, სომხით-საორბელოს მეფეების წარწერები, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 43, თბ., 1951, გვ. 165; დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ., 1960, გვ. 96-97.

მომავალი გზების გაკონტოლება და მთავარ სავაჭრო მაგისტრალის საბაჟო გადასახადზე პასუხისმგებლობას¹

სარესტავრაციო და საფორტიფიკაციო-თვდაცვით ნაგებობათა რესტავრაცია სათავადოს დამაარსებლის, ზაზა ფანასკერტელ - ციციშვილის სახელს უკავშირდება. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ მეფის სადროშოს პირველი სარდალი საციციანოს წინამძღოლი, მეფის წყალობით გამორჩეული, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, „ბრძენთმთავარი“ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილია.² წყაროებში ყველგან³ ზაზა ფანასკერტელი „დიდ ფანასკერტელად“ მოიხსენიება, ფანასკერტელ-ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულო სახლის ერთიანობის, უძლიერესი სათავადოს ჩამოყალიბების და აღმშენებლობის საქმეში შეტანილ დამსახურებათა გამო. იგი სარდლობდა არადეთის ცნობილ ბრძოლას 1483 წელს, სეპარატისტული ამბიციების მქონე, შეუპოვარ ყვარყვარე ათაბაგის წინააღმდეგ.⁴

სეპარატისტული ტაოს ერისთავების მხრიდან საშიშროება და სამეფოს საზღვრების დაცვა აიძულებდათ გაემაგრებინათ არა მარტო ხეობის ძველი ისტორიული ციხეები, არამედ ეზრუნათ ახალი რეზიდენციის მშენებლობაზე. ზაზას მემკვიდრეები „ზემო ციციშვილებად“ იწოდებოდნენ და ქართლის წარჩინებულ თავადებად

¹ ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 225.

² სცსა, ფ.1448, ს. 64; ხეც. ფ. Hd, საბ. 1570; ფ. Sd, საბ. 1242.

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შვერებილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, წიგნი II. ტფ. 1897, გვ. 347; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. II, ტფ., 1913. გვ. 29, 31.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, 346-347; ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 391; ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 39.

ითვლებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის შეფასებით: „ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ“¹

ზაზა ფანასკერტელი მთელი ძალისხმევით შეუდგა თავის სამფლობელოში ფართო აღმშენებლობით საქმიანობას. სამწევრისის, ძამის ციხის და ქალაქ მძოვრეთის აღდგენით მშენებლობასთან ერთად დაიწყო თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად გაუკაცრიელებული სოფლების მოშენება. „საფუძვლითურთ“ ნანგრევებად ქცეული ეკლესია-მონასტების, სახიზარ-სამალავეების აღდგენა-გამაგრების სარესტავრაციო სამუშაოებთან ერთად, სტრატეგიული და თავდაცვითი მნიშვნელობის ციხე-კოშკების - მშენებლობა და ერთიან თავდაცვით სისტემაში ჩართვის ღონისძიებანი.

გარე თუ შიდა მუდმივი საფრთხის პირობებში ზაზა ფანასკერტელის სარესტავრაციო და აღმშენებლობითმა საქმიანობამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა სათავადოს გაძლიერებაზე, მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებასა და ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცებაზე. ისტორიული მასალები ხაზგასმით აღნიშნავენ სამეფო კარის ერთგულებით გამორჩეული ზაზა ფანასკერტელისა და მის შთამომავალთა გარკვეულ როლს მეფის სადროშოს შექმნასა და სიძლიერეში.² მეფის სადროშოს საზღვრების შესახებ საყურადღებო ცნობას გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდან ვიდრე ტაშისკარამდე“. მიუხედავად თავადური მსოფლმხედველობისა, საგვარეულო ერთგულად ემსახურებოდა სამეფო კარს და ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941 გვ. 58.

² მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 34-57.

თავი V

ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო რეზიდენციის ისტორიიდან

1. მმოვრეთის რეზიდენციის დაარსება

XV საუკუნის მეორე ნახევარში „ბრძენმთავარმა“ ზაზა ფანასკერტელმა მტკვრისა და ძამის შესართავთან, სტრატეგიული მნიშვნელობის რთული რელიეფის მალლობზე აღმართული სამწევრისის ციხის რესტავრაციის შემდეგ აქვე დააარსა პირველი რეზიდენცია. მიუდგომელ ადგილზე მდებარე ციხე საუკეთესო ფორფოსტი იყო ჩრდილოეთიდან, მტკვრის მხრიდან საციციანოს შემოსასვლელის გაკონტროლებისა და დაცვისათვის. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მტკვრის კიდეა, ზედა არს ციხე სამწევრისს, დიდი, შიგ ეკლესია კეთილშენი.“¹

სამწევრისის ციხე-დარბაზის კომპლექსში შედის დიდი კოშკი, ეკლესია, გალავანი, აგრეთვე სასახლის და სხვადასხვა ნაგებობის ფრაგმენტები.² კოშკი (10,8 X 11,2 მ.) განკუთვნილი იყო სათვალთვალოდ, რათა მტკვრის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისთანავე ჩაეკეტათ ხეობაში შემომავალი გზა, გაემაგრებინათ თავდაცვითი პოზიციები. კოშკით იმდენად მოხიბლულა პ. ზაქარაია, რომ მას სამშენებლო ხელოვნების ორიგინალური ფორმით გამორჩეულ ძეგლად თვლის, რომელსაც ანალოგი არ გააჩნდა.³ ნაგებობაში გამოიყოფა ხუთი ძირითადი სამშენებლო ფენა. ადრეულ ფეოდალურ ხანაში აქ მდგარა დიდი კოშკი. მოგვიანებით


¹ ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 344.

² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 389.

³ პ. ზაქარაია, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 1960, გვ. 37.

მიუშენებიათ ეკლესია დიდ გალავანთან ერთად. ეკლესია დარბაზულია, ჩართულია გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში (13,2 X 8,8 მ.), მშენებლობის მესამე პერიოდს განეკუთვნება გალავნის ფრაგმენტი, რომელიც კომპლექსის სამხრეთიდან.

პ. ზაქარაია XV- XVI სს. მიჯნით ათარიღებს.¹ ჭიშკრის გვერდით, სავარაუდოდ, სამეურნეო ნაგებობა და მარანია. გალავნის შემორჩენილი ფრაგმენტის სიგრძე 14 მეტრია, სიმაღლე 9 მ. ჩვენამდე მოღწეული კედლის ფრაგმენტის მიხედვით სასახლე სამსართულიანი იყო. მის ნანგრევებში იგრძნობოდა კოლოსალურ ნაგებობათა სიღიადე.



¹ პ. ზაქარაია, საციციანოს XVI-XVIII სს. ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 6, 1957, გვ. 770.

ციხე-სიმაგრის საერთო ფართობი დაახლოებით 2000 კვ.მ-ია. გეგმით ციხე მოგროძო მრავალწახნაგაა (82 X 42,3 მ). კომპლექსში ყველაზე გვიანდელი XVI-XVII სს. სამშებლო ფენებია.¹ ნაგებობათა უმეტესობა მიეკუთვნება სწორედ ამ მეხუთე ფენას. კოშკის კედლები სქელია, (2,5X2,5) ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი მეორე სართულზეა. ფანჯრები და საბრძოლო ხვრელები დიდი ზომისაა. კოშკის კედლებში დატანებულია სართულების დამაკავშირებელი კიბეები, კოშკის მესამე სართული იშვიათი სიმაღლისაა (დაახლოებით 5,5 მ.) მის კედელში დატანებული კიბე და სარკმელი მიანიშნებს მეოთხე სართულის არსებობაზე. კოშკი უნიკალური საფორტიფიკაციო ნაგებობაა, კოშკზე შემორჩენილი სათოფურები გვიანი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი არ არის, რაც ფანასკერტელების პირველი პერიოდის ნაგებობაზე მიუთითებს, კედლები შემაგრებულია ბურჯებით. მესამე სართული მდიდრული დეკორატიული შელესვითა და კედლის ბუხრის ორნამენტული ნამუშევრით გამოირჩევა, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ იგი განკუთვნილი ყოფილა ციხის პატრონთა საცხოვრებლად და თავდაცვის მიზნით.

სამწევრისის ციხე-დარბაზი საციციანოს საფორტიფიკაციო ქსელში მნიშვნელოვანი რგოლი იყო, მტკვრის ხეობიდან მტრის მცდელობას, ძამის ხეობის სიღრმეში შემოჭრილიყო, პირველ დარტყმას სამწევრისის ციხე იღებდა და ყოველთვის თავგანწირვით პასუხობდა. სამწევრისი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. თქმულების მიხედვით, სოფ. სამწევრისის სახელის წარმოშობას სოფელში ჟამიანობას გადარჩენილ „სამ წევრს“ უკავშირებენ. მეორე მოსაზრებით, წმ. ჯვრის სამების სახელზე აშენებული ტაძრის გამო დაურქმევიათ.

¹ ვ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 73-75; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 389-390;

სამწევრისის მიმდებარე მშენებლობებისა და ფანასკერტელ-
ციციშვილების საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები შე-
მოგვინახა XVI-XVIII ს. საარქივო დოკუმენტმა.¹




სამწევრისის ციხე

სამწევრისის ტაძრის რესტავრაციის გვერდით ფართოდ გაშლილ აღმშენებლობით მოღვაწეობაზე მიგვითითებს ტაძრის სამხრეთ ფასადზე გაკეთებული მეორე სააღმშენებლო წარწერა. მასში ვკითხულობთ: „მეორედ მაშენებელს(ა) ფანასკერტელს მერაბს შეუნდენეს ღმერთმან, ზედამდეგს ცოდვილ(ს) საბას

¹ სცსსა, ფ. 1448, ს. 2316.

შეუნდენეს ღმერთმან“. ეკლესია თავდაპირველად წმინდა ჯვრის სახელობის ყოფილა.¹ მერაბ ფანასკერტელის მიერ ეკლესიის შეკეთების შემდეგ ის წმინდა გიორგის სახელზე უკურთხებიათ.



მეორედ მაშენებელს(ა)
 ფანასკერტელს მერაბს შეუნდენეს ღმერთმან
 ზედამდეგს ცოდვილ(ს) საბას შეუნდენეს ღმერთმან.

ტაძრის გვერდით, მისგან სამხრეთით, დაახლოებით 12 მ-ის დაშორებით, მდებარეობს XVI საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული ერთნავიანი ციციშვილთა საგვარეულო მავზოლეუმი. ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლის, გიორგი ჩუბინაშვილის შეფასებით, „საძვალე გამოირჩეოდა თავისი კედლების განსაკუთრებული შემკულობით - ორნამენტული წნულისა და გამოყენებული ფიგუროვანი აგურებით. ოთხივე კედელში გარედან და აღმოსავლეთ და დასავლეთ კედელში შიგნით ჩადგმული ყოფილა შემკული კვადრატული

¹ ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, თბილისი, თბ., 2013, გვ. 446.

აგურები ჯვარისებურად განლაგებული.¹ ნაგებობას როგორც შიგნიდან, ისე გარედან, დეკორატიული შემკულობის მიზნით, გააჩნია მოუჭიქავი და რელიეფური შორენკეცები (რელიეფური ტერაკოტა). აგურის წყობით მიღებული შემკულობა, ასევე სახურავის ფირუზისფერი ან მომწვანო - მოყავისფრო კრამიტები ამ პატარა ნაგებობას მოხდენილობის იერს მატებდა. ხელოვნებათმცოდნე ზ. მაისურაძის მოსაზრებით,² ყოველი ორნამენტი თუ სიუჟეტური კომპოზიცია ოსტატს ყოველ ფილაზე ცალ-ცალკე შეუქმნია და მოჩუქურთმებული აგურის სახეები არ მეორდებოდა, თუმცა არ წარმოადგენდა ორიგინალურ შემოქმედებას, რაც ხელოსნური შინამრეწველობის კულტურული დონის შეფასების საშუალებას არ იძლეოდა. ხელოვნებათმცოდნის შეფასებით, „სამკვალის მშენებლობა მერაბ ციციშვილის ქვრივის და მისი მემკვიდრის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. მისი აგებისა თუ მხატვრული შემკობის ტექნიკური ხერხები, როგორცაა - აგურის წყობით მიღებული სამკაული და შორენკეცების გამოყენება როგორც ფსადაზე, ისე შიგნით, აშკარად დამკვეთი ფეოდალის სურვილისამებრ აღმოსავლური (სპარსული) ტრადიციის გავლენას ექვემდებარება, ხოლო ამ სამკაულის მხატვრულ-კომპოზიციური ხერხები და სახეები ქართული ეროვნული ტრადიციით იკვებება.“ ისტორიული ძეგლის ასეთი შეფასება ზუსტად ასახავს ავბედით ისტორიულ ეპოქათა გამოძახილს. მართლაც, რთული პოლიტიკური ლაბირინთებიდან გამოსავალს ქვეყნის ერთგულებით გამორჩეული ფანასკერტელ-ციციშვილები, ზოგჯერ სპარსულ ორიენტაციას ამჯობინებდნენ, რასაც ვერ ვიტყვით მერაბ ციციშვილზე.

¹ გ. ჩუბინაშვილი, მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის, ქართული ხელოვნება, თბ., 1948, № 2, გვ. 26.

² ზ. მაისურაძე, ქართული შორენკეცების საკითხისათვის, ქართული ხელოვნება, თბ., 1960, გვ. 202-205; პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 73-75;

მერაბ ციციშვილი საგვარეულო სახლის წინამძღოლის, „დიდი ფანასკერტელის“ ზაზას სახელოვანი მემკვიდრეა. უფროსი ძმის - ქაიხოსრო ციციშვილის იაყუბ-ყაენის (1486-88 წწ.) წინააღმდეგ ბრძოლაში გამირულად დაღუპვის შემდეგ, დავით და ლუარსაბ მეფეებთან მეტად დაახლოებული დარბაისელი მეფის სადროშოს სარდალი და საციციანოს წინამძღოლია.¹ „დიდისა ფანასკერტელისა ციციშვილისა პატრონისა ზაზას“ ძის მერაბის მიერ არის გაცემული 1520 წლის ქვათახევის მონასტრის სიგელი.² 1523 წლის დოკუმენტის მიხედვით, მერაბ ფანასკერტელი მონაწილეობს ბარათაშვილის მამულეების გაყოფისას დაწერილ დადგენილებაში: „ქ. ზეადიდენ ღ ~ ნ მეფეთა ... მეფობა ... პატრონისა და [ავითისი, რომლისა ბრძანებითა: დავსხედით ჩუენ ბარ[ათ]აშვილთა სახლისა და მამულისა გაყოფად თუით პატრონი მეფეთა მეფე დავით და პატრონი ლუარსაბ, ამილახორი თაყა, ციციშვილი მერაბ, ბარათიანნი იარალ და ორბელი, თურმანისძე როსტეგან, ტვილეელი ანტონი ... საქმისა გასაჩენლად.“³

ამავე 1523 წლის ტვილისის სიონის გუჯარით მერაბ ციციშვილი თაყა ამილახორთან ერთად წარჩინებულ დარბაისელთა შორის მოიხსენიება. მეფე დავით X-ს ახლდნენ თბილისის სიონის ტაძრისთვის მამულის გადაცემის დროს: „... პატრონი მეფეთა-მეფე დავით და მისნი თავადნი და დარბაისიერი ამილახორი თაყა და ციციშვილი მერაბ და სხუანი ... ამა საქმისა შიგა დამხდომნი არიან-ო.“⁴ მეფე ლუარსაბის წყალობის წიგნში დაცული საინტერესო ცნობით, მეფის ერთგულ მერაბ ციციშვილს სამეფო კარის დავალებით ყაენის კარზეც უწარმოებია დიპლომატიური მოლაპარაკება: „მერაბ ციციშვილისთვის ბედნიერს ყეენს ხალათი

¹ მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 47-49;

² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. II, ტფ., 1913, გვ. 29-31.8

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილი თ. ჟორდანაიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, II, ტფ., 1897, გვ. 349.

⁴ იქვე, გვ. 352; შდრ. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. II, ტფ., 1913, გვ. 56-57.

ებომეზინა.“¹


ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ მუდმივი საფრთხის, მტრის ხშირი შემოსევების, ქვეყნის შიდა დაპირიპირებულობის ზრდამ სათავადოს ცენტრში დამკვიდრების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა.

გვიანფეოდალური ხანისთვის რეზიდენციები მთიდან ბარში, მაღლობიდან ვაკეზე, სამფლობელოს ცენტრში ჩამოაქვთ. ციციშვილთა რეზიდენციის სამწვერისიდან მძოვრეთში გადმოტანა პოლიტიკურმა ვითარებამ და მოხერხებულმა სტრატეგიულმა მდებარეობამ განაპირობა. ამ შემთხვევაში საციციანოს წინამძღოლი სწრაფი მობილიზებით ყოველ წუთს მზად იქნებოდა არა მარტო თავისი სამფლობელოს დასაცავად, არამედ სამეფოს საზღვრისპირა მხარის დაცვის და სატრანზიტო გზის უსაფრთხოების დაცვისათვის საბრძოლველად.

ამასთან, XVI საუკუნიდან ცეცხლსასროლი საომარი იარაღებისა და საბრძოლო ხელოვნების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თანდათან სახეს იცვლიდა ქალაქის თავდაცვითი ნაგებობები როგორც სამშენებლო ტექნიკის, აგრეთვე დანიშნულების თვალსაზრისითაც. რეზიდენციის თავდაცვითი ნაგებობების ეფექტურობას განაპირობებდა სტრატეგიული დანიშნულება, მათი სიმტკიცე, მშენებლობის დაგეგმარების ხარისხი. საისრეებისა და სალოდეების ნაცვლად შემოდის სათოფურები და საზარბაზნეები, საგანგებოდ შერჩეული ადგილმდებარეობით. ამ მიზნით ციციშვილთა რეზიდენციისათვის, ძველი ტრადიციის გათვალისწინებით, მართლაც ხელსაყრელი ადგილი იქნა შერჩეული. იგი ერთგვარად ჩართული იყო ხეობის საფორტიფიკაციო ქსელში. ციციშვილთა ციხე-დარბაზი გალავან-შემორტყმული რეზიდენციაა. კომპლექსი, მდებარეობს მდ. ძამის მარჯვენა ნაპირის შუა წელზე, ნაქალაქარ მძოვრეთის სამხ-აღმ.

¹ ხეც. ფ. Ad, საბ.1410.

მონაკვეთში, დღევანდელ სოფ. ორთუბანში. კომპლექსს მაღალი მთის ძირას, გზის გასწვრივ ეკავა 1 ჰექტარზე მეტი ფართობი.¹ ციხე-დარბაზის არქიტექტურული გეგმა პირველად აღდგენილი იქნა პ. ზაქარაიას მიერ. ასევე ყურადღებით არკვევდა ნაქალაქარის ნანგრევებს როგორც გალავნის შიგნით, ისე მის გარეთ.²



მძოვრეთი. ციციშვილთა ციხე-დარბაზის გეგმა (პ. ზაქარაია)

ციციშვილთა გალავნის ნაშთებს მნახველი ადვილად შეამჩნევდა გზის გასწვრივ, რომელიც მთელ სიგრძეზე, 180 მ-ზე იყო


¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის მეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 380;

² პ. ზაქარაია, საციციანოს XVI-XVIII სს. ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 6, 1957, გვ. 770;

გადაჭიმული ჩრდილოეთით და ორივე ბოლოში, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. სავარაუდოდ, გვერდითი აღმა მიმავალი კედლები ფერდობზე იკვრებოდა, რომლის ნაშთი ფერდობიდან ჩამოშლილ მიწას უნდა დაეფარა. ნაგებობები განლაგებული ყოფილა ძირითადად ჩრდილო გალავნის გასწვრივ. გალავანს ერთი მტკიცე ჭიშკარი დასავლეთით ჰქონდა და მეორე ჩრდილოეთით (ეკლესიასთან).

ციხე-დარბაზის კომპლექსში შედიოდა კარის ეკლესია, სადაც ფანასკერტელ-ციციშვილთა ოჯახი რელიგიური მსახურების აღსრულებას შეძლებდა. მის ფრესკებზემოცლილ კედლებს მხოლოდ დიდი პოლიტიკური და მწიგნობარი მოღვაწის, „ბარამგურიანის“ ავტორის სავედრებელი წარწერა ჰქონია შემონახული, რომელშიც ნოდარ ციციშვილი შეწყალებასა და მეოხებას ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისგან ითხოვს.

მნიშვნელოვანი ასომთავრული წარწერა, თარიღის გარეშე დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს კომენტარებისა და განმარტებების გარეშე გადმოუღია ისტორიულ ძამის ხეობაში მოგზაურობისას, წარწერების გარეშე უნახავს ძამის „შეუვალი ციხე“.¹



¹ ი. ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 57-58, 69;

აღნიშნული წარწერა, მარი ბროსეს და დიმიტრი მეღვინეთ-ხუცესიშვილის მიერ შემდეგი სახით იქნა წაკითხული: „ყოვლად წმინდაო ღვთის მშობელო ყოველთა შეწოხებულთა ქრისტიანეთა ... შეიწყალე სოლი მონისა შენისა დიდებოლისა ნოდარ ... შეონდე ოკონისამდე ამინ.“¹ ნარატიული წყაროები წარწერის გარეშე ზოგადად მიანიშნებენ ნოდარ ციციშვილის მძოვრეთში დაკრძალვის ფაქტს. ახლა აქ ორთუბნის დედათა მონასტერია.



**ციციშვილთა ისტორიული ციხე-დარბაზი.
დღევანდელი ორთუბნის დედათა მონასტერი.**

¹ M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'armenie en 1847-1848, SPB 1851, volume III, p. 98.

კარის ეკლესია დღეს ცნობილია ორთუბნის დედათა მონასტრის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის სახელით. გალავნის შიგნით, აღმოსავლეთ მხარეს დარბაზული ეკლესიის (9X5,8 მ.) დასავლეთის კედელზე მიშენებულია XVII საუკუნის დამდეგით დათარიღებული, რიყის თლილი ქვითა და აგურით ნაგები სამსართულიანი სამრეკლო (5,8X5,9 მ.).¹ კარის ეკლესიასთან მიდგმული სამრეკლოს პირველი სართული მტკიცე კარიბჭის როლს ასრულებდა, მეორე სართული განკუთვნილი იყო მცველების საცხოვრებლად, ალჭურვილი თავდაცვითი ელემენტებით. თავდაცვითი ფუნქცია ეკისრებოდა გალავნიან ეკლესია-მონასტერს, ამავე მიზნით ხდებოდა სამრეკლოს გამოყენება. აღმოსავლეთით ყრუ კედელი ეკლესიას ესაზღვრებოდა, სამ დანარჩენ კედელში თერთმეტი სათოფე იყო დატანებული, დასავლეთ კედელში მათთვის ბუხარი იყო გამართული. მესამე სართულზე ოთხივე მხარეს გახსნილი იყო განიერი ნახევარწრიული თაღებით და განკუთვნილი იყო სამრეკლოსთვის.²


საკმაოდ დაზიანებულია ციხე-დარბაზის კომპლექსში შემავალი ციციშვილთა სასახლის ჩვენამდე მოღწეული ნაშთი. XX საუკუნის 50-60-იან წლებში რამოდენიმე საცხოვრებელი, თუ სამეურნეო ნაგებობისაგან მხოლოდ ნაკვალევილა მოჩანდა. ციციშვილთა სასახლე ნაგებია რიყის ქვითა და აგურით (30X12). არქიტექტორი ვ. ბერიძე და მ. შენგელია სასახლის საგანგებო დათვალიერების შემდეგ, პ. ზაქარაის მოსაზრებისაგან განსხვავებით, ვარაუდობდნენ, რომ ციციშვილთა სასახლე ორსართული უნდა ყოფილიყო, რომელსაც თითოეულ სართულზე 3 დარბაზი უნდა ჰქონოდა.

ციხე-დარბაზის კომპლექსში დომინანტობდა შვიდსართული-

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 380.

² იქვე, გვ. 381.

ანი პირამიდული კოშკი, რომელიც უნიკალურ საფორტიფიკაციო ნაგებობად ითვლებოდა. იგი ნაგებია რიყის ქვით, ინტერიერში კი გამოყენებული იყო აგური. სართულები ერთმანეთს შიდა კიბით უკავშირდებოდა. მტრის შეჭრის გამო სართულების დამაკავშირებელი კიბის მოხსნის შემთხვევაში საიმედოდ იზოლირებული ხდებოდა ზედა სართულები. მაღალი კოშკიდან ადვილად შეეძლოთ გაეკონტროლებინათ რეზიდენციაში სამხრეთიდან შემომავალი გზები, აბუხალოსწყლის შესართავთან მდებარე გვეძინეთის სათვალთვალო ხუთსართულიანი კოშკებიდან საფრთხისთანავე შეეძლოთ მიეღოთ საგანგაშო ნიშანი. ხეობის



ციხე-დარბაზის მთავარი კოშკის გეგმა (ვ. ბერიძის მიხედვით)

შუა წელზე, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ციციშვილების ეს კოშკი, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა სიგნალის დროულად

გადაცემას და მჭიდრო კავშირს ჩრდილო საზღვარზე, მტკვრის ხეობიდან შემომავალ კოშკებთან. კოშკის პირველი და მეორე სართული ერთ მხარეს პირდაპირ ფერდობზე იყო მიდგმული და ორი კარი ჰქონდა. პირველ სართულზე იყო მთავარი კარი, რომელიც მასზე მეზობლად მიდგმულ შენობაში გადიოდა და იქიდან კი ეზოს უკავშირდება. მის სიახლოვეს მოედინებოდა ბუნებრივი წყაროს წყალი. ბუნებრივი წყლით მომარაგების საკითხს თავიდანვე, რეზიდენციის ადგილის შერჩევისას უთუოდ გაითვალისწინებდნენ. კოშკის მეორე კარი მოპირდაპირე მხარეს, მესამე სართულზე იყო. აღნიშნული შესასვლელი მაღლა 5-6 მ-ის სიმაღლეზე ჰქონდა, რათა შიგნით შეღწევა მტრისთვის ადვილად ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო. კოშკის პირველ სამ სართულს, რომლებიც ფერდობის გამო მიწის დონეს არ სცილდებოდა, სათოფურები არ ჰქონია. ისინი იწყებოდა მესამე სართულიდან, რადგან კედლები აქედან თავისუფლდებოდა მთის ფერდობისგან და კოშკის ჩრდილოეთით მიშენებული ორსათავსოანი შენობისგან. აქედან კარი სწორედ იმ მთის ფერდობზე გადიოდა, რომლის თავზე აღმართულიყო მონოლითური კონსტრუქციის, ძამის ციხე-სიმაგრე. საშიშროების შემთხვევაში აქედან ხშირ ტყეში გამავალი მოხერხებული საცალფეხო ბილიკით მტრისაგან შუმჩნევლად, უსაფრთხოდ და დროულად (ადგილობრივ ბერ-მონაზონთა ცნობით 15-20 წუთში) შეეძლოთ გახიზნულიყვნენ და თავი შეფარებინათ მთის წვერზე აღმართული, მტკიცედ ნაშენი, აუღებელი ძამის ციხე-სიმაგრისთვის. ამდენად, მძოვრეთის ციხე-დარბაზი, „გაღმა მხარის“ და ფანასკერტელ-ციციშვილთა საიმედოდ დაცულ რეზიდენციად ითვლებოდა.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ვახტანგ ბერიძის ცნობით, კოშკის მესამე სართულის ზემოთ ცალმაგი და ზოგან შეწყვილებული მარტივი სათოფურები მიუთითებდა, რომ არც მათი სახე იყო რთული და არც რაოდენობა. ამასთან დაკავშირებით ვარაუდს ფრთხილად გამოთქვამდა, „სათოფურების სიმარტივეც

შესაძლოა XVII საუკუნეს უახლოდებოდესო¹, რაც ერთგვარად წინააღმდეგობაში მოდის პ. ზაქარაიას მოსაზრებასთან.

ვ. ბერიძის მოსაზრების და ისტორიული წყაროების გათვალისწინებით საკმაო საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ მშენებლობის დაწყება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ციციშვილთა ასულისგან ამ პერიოდის მძოვრეთში მზითვად მიღებულ მამულში მიმდინარე მშენებლობაზე ცნობა შემოგვინახა ეროვნულ არქივში დაცულმა გაყრის სიგელის ცნობამ: „საქმისა გასაჩენლად ... დედასა მათსა ელენეს მძოვრეთსა აღეშენა და იმას გარეთა...“²

პარმენ ზაქარაია თავადაც ეჭვობდა, ვარაუდს ფრთხილად გამოთქვამდა და მხოლოდ დასაშვებად მიიჩნევდა, რომ მძოვრეთის ციხე-დარბაზი ანალოგიების მიხედვით (ახალგორი, ნოსტე, ყორნისი და სხვ.) შეიძლებოდა დათარიღებულიყო XVII საუკუნით. კიდევ უფრო საეჭვოს ხდის დათარიღების საფუძველად იმის აღნიშვნა, რომ „ისტორიულ წყაროებში ციხე-დარბაზი პირველად ამავე საუკუნის 30-იან წლებში იხსენიებოდა.“³

ამდენად, სამწუხაროა, რომ ციციშვილების საგვარეულო რეზიდენციის დიდი ანსამბლი ჟამთა სიავემ ისე გაანადგურა, რომ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შესაძლებელი, რადგან დღემდე არ ჩატარებულა არქეოლოგიური გათხრები.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში კოშკის მეშვიდე სართულის ნანგრევების კვალი ჯერ კიდევ მკაფიოდ მოჩანდა, რომელსაც ნაშთის მიხედვით ოთხმხრივი თაღებიანი ღია აივანი ჰქონდა. მტრის თავდასხმისას აივანი მოხერხებული სამიზნე ადგილი იყო დამატებითი თავდაცვითი საბრძოლო იარაღების გამოსაყენებლად, მშვიდობიანობისას- სამეთვალყურეოდ და დასვენებისთვის.

¹ ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1983, გვ. 178-180.

² სცსსა, ფ.1449, ს. 1332.

³ პ. ზაქარაია, საციციანოს XVI-XVIII სს. ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 6, 1957, გვ. 771.

საცხოვრებელი ციხე-დარბაზი პირდაპირ პასუხობდა იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას და სწრაფ მობილიზებას. კოშკის არქიტექტორის კომპოზიციურ ჩანაფიქრში აშკარად მოჩანს გვიანი ფეოდალური პერიოდის არქიტექტორთა მთავარი საზრუნავი, ერთ ნაგებობაში შეერწყათ მთელი კომპლექსის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები და ერთგვარ „მტკიცე და აუღებელ ციხე-სიმაგრედ“ გადაექციათ მფლობელთათვის.

ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროისათვის მთავართა წესად თვლიდა, „გუარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი“, რომ „მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გუარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ჯეობანი, და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად.“¹ ე.ი მთავარს „ციხე ქალაქში“ თუ „სიმაგრეში“ უნდა ჰქონოდა სასახლე, ეკლესია-მონასტერი, საგვარეულო საძვალე და საჭირო სამეურნეო ნაგებობანი. ციციშვილების ციხე-დარბაზი, მამის ციხე, სასახლე, ეკლესია-მონასტერი სამეურნეო ნაგებობანი სრულად შეესაბამება ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშნულ ტრადიციულ წესს.

სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს შორის მოიაზრება საწნახელი, სახაბაზო, მარანი, ჭირნახულისთვის - მარცვლეულის შესანახი ხაროები, საჯინიბო, საბაზიერო, აბანო და სხვა დამხმარე ნაგებობები. საყურადღებოა შიგა სივრცის გაფორმება, ორნამენ - ტული ნამუშევრით გამორჩეული ბუხრების კვალი და კედლის ნიშები. ადგილმდებარეობის პირობებს კარგად ერწყმოდა მარტივ სათოფეთა სასროლი ხვრელები. მესამე სართული ყველაზე მდიდრული დეკორატიული შელესვითა და ბუხრის ორნამენ - ტული ნამუშევრით გამოირჩევა, რაც მიანიშნებს კედლების მოხატულობაზე და შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ

¹ ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 17.

იგი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო დროებით ციხის მფლობელთა საცხოვრებლად.¹

საგვარეულო სამძალე ყინწვისის მონასტერი იყო. სათავადოს ფუძემდებელმა, ზაზა ფანასკერტელმა მიაშენა ეკვდერი მისივე რესტავრირებულ ყინწვისის ეკლესიას. ეკვდერი წარმოადგენს საგვარეულო სამძალეს, სადაც დასაფლავებულია ზაზა ფანასკერტელი. სამკურნალო მცენარეებით დამშვენებულ ზაზას ფრესკაზე გარკვევით იკითხება „ზაზა ფანასკერტელი“. მისი შთამომავლის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის 1751 წლის დაკვე -



ზაზა ფანასკერტელი (ყინწვისის მონასტრის ფრესკა)

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 390-392.

თით ცინწვისის მონასტრისადმი შეწირული ხატის წარწერაში, ცინწვისი კვლავ საგვარეულო განსასვენებლად მოიხსენიება.

ციციშვილების რეზიდენცია ნათლად მიანიშნებს, რომ ქალაქი ხეობის ცენტრში, მდინარე ძამის მხარეს ვაკეზე იყო განლაგებული და ციხე-დარბაზი მაღალი მთის ფერდობიდან გადმოჰყურებდა ქალაქს, თავად მის უსაფრთხოებას იცავდა მტკიცე და აუღებელი ძამის ციხე. სწორედ ამ სტრატეგიული თვალსაზრისით იქნა შერჩეული ციციშვილების ციხე-დარბაზის ადგილმდებარეობა ხეობაში.

ხელოვნებათმცოდნე პ. ზაქარაიამ 1952-53 წლის სამეცნიერო ექსპედიციისას, საგანგებოდ დაათვალიერა ხეობის ციხე-სიმაგრე - ები. ციციშვილების ციხე-დარბაზის გალავნის გარეთ, ნაქალაქარის გადახნულ ვრცელ ტერიტორიაზე მწვანედ ამობიზინებულ ყანაში უნახავს „ლეკიანობას“ გადარჩენილი, მძოვრეთის საქალაქო მშენებლობების მეტად საყურადღებო ძეგლთა ნაკვალევი, რომლის ნაშთების სიმრავლით დიდად დაინტერესებულა.¹

60-იანი წლების სხვადასხვა ექსპედიციების მასალები (პ. ზაქარაია, ვ. ბერიძე, ს. მაკალათია, მ. შენგელია) ერთხმად ადასტურებენ ქალაქის შემორჩენილ უძველეს გალავანთან ახლოს ორსართულიანი ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების, დუქნების და ქარვასლის არსებობას და მათი კრამიტიანი გადახურვის განსხვავებული კონსტრუქციების ტრადიციას.

ქალაქის საზღვრები დღემდე მთლიანად არ არის დადგენილი, მისი ჩრდილოეთი გალავანი, სავარაუდოდ, მდ. ძამას მიჰყვებოდა.

1662 წლის ცნობილი დოკუმენტის მიხედვით ქალაქის ზემოთ და ქვემოთ ბაჟს ახდევინებდნენ, „რომელმანც მგზავრმა თრიალეთიდანე მზოვრეთსა ზედა და ან ქუეშეთ ჩამოიაროს, იმისიც ბაჟის

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, პ. ზაქარაიას საექსპედიციო ჩანაწერები მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ისტორიული ძეგლების ხელოვნებათმცოდნეობითი აღწერილობის შესახებ. პ. ზაქარაიას არქივი № 175.

მესამედი კათალიკოზისა არის“, ¹ რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავდა ქალაქის სავაჭრო ცენტრში საბაჟოს არსებობას. ქალაქის საბაჟო ახლა უკვე მძოვრეთში შემოსულ თითოეული ბაჟის გადამხდელს სრულად გააკონტროლებდა.

ციციშვილები მძოვრეთის ბაჟს იჯარითაც გასცემდნენ. საციციანოს ნაჰიეს მმართველმა, ბაგრატ ციციშვილმა მძოვრეთის ბაჟის იჯარით აღების 1729 წლის წიგნის მიხედვით მძოვრეთის ბაჟი ერთი წლით ექვს თუმნად გასცა: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ფირალიშვილმა გაბრიელამ, თქვენ ბატონს ბაგრატს. ასე რომე მძოვრეთის ბაჟი ბედნიერის ვეზირის ბრძანებით ... ჩემის ნებყოფლობით მამეცით ამ იანვრის დამდეგიდამ იმ იანვრამდის. ექვსი თუმანი თეთრი უნდა მოგართვა...“ როგორც ჩანს, საბაჟოს გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობა არა მარტო ქალაქის იერს ამშვენებდა და დიდებულებას მატებდა, არამედ ქალაქში შემოსულ სტუმრებს ბაჟის გადახდის მოვალეობასაც შეახსენებდა.

1958 წელს ქართული მედიცინის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელი, მ. შენგელია ² იმყოფებოდა ძამას ხეობაში და საქალაქო ცხოვრების ჯერ კიდევ შემორჩენილი ქარვასლების და ქულბაქების ნანგრევების სიმრავლეს ადგილზე გაეცნო. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ათვალიერებდა და ინტერესით ისმენდა ცნობებს ქალაქის და ისტორიული ძეგლების შესახებ. ციციშვილების სასახლის, აბანოს და შემორჩენილი ისტორიული ძეგლების ნახვით მოხიბლული, იმედს გამოთქვამდა, რომ მიწის ფენისაგან გაწმენდის და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გვექნებოდა მეტად საინტერესო, XVI-XVII საუკუნეების ამსახველი ისტორიული

¹ ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 224-225.

² მ. შენგელია (1915-1999 წწ.) სადოქტორო ნაშრომი“ ძველი ქართული მედიცინის ზოგიერთი საკითხი და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნი“, 1960 წ. დაჯილდოვებულია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის პრემიით.

„მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. საკარმიდამო ნაგებობათა მდიდრული კომპლექსით, რომელიც ფეოდალური ყოფის ცოცხალ სურათს აღადგენდა. იმდროინდელი ხელისუფლების უყურადღებობის გამო გმირული წარსულის მქონე ისტორიული ქალაქის კვალი სამუდამოდ წაიშალა. „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ მკვლევართა და ადგილობრივ მცხოვრებთა მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩა.

ციხე-დარბაზს მხოლოდ 1983 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და ადგილობრივი ძალებით. შეკეთდა გალავანი, კარის ეკლესია, შვიდსართულიანი კოშკი. ამავე წელს მოეწყო სახალხო დღესასწაული „ზაზაობა“, სახელმწიფო მოღვაწის და მკურნალის - ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელის უკვდავსაყოფად, რომელიც 90-იან წლებში ყოველწლიურ ტრადიციად იყო დამკვიდრებული.

რუის-ურბნისის ეპარქიის მიტროპოლიტის (საქართველოს საპატრიარქოს საღმრთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისიის თავმჯდომარე), მეუფე იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით აღდგენილი და რესტავრირებულია კარის ეკლესია, სამრეკლო გალავნით და ძამის ციხის კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი მცირე ცვლილებებით.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო უახლოეს პერიოდში გეგმავს დაიწყოს ძამის ხეობაში მდებარე ციციშვილების აბანოს რესტავრაცია. რაც შეეხება ფანასკერტელ-ციციშვილების სასახლის ნაშთს, მის შესახებ ცნობები ჩვენამდე არ შემონახულა. სამწუხაროდ, დღემდე ნანგრევების სახითაა მოღწეული და რთულია დეტალურად საუბარი ამ ისტორიულ ნაგებობაზე.

კოშკები. მძოვრეთის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ერთობლიობა საკმაოდ კარგად დაგეგმილი და მძლავრი სისტემა ჩანს. ქალაქის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებულ კლდოვან მთაზე აღმართული ციხე-სიმაგრე, სათვალთვალო და საარტილერიო კოშკები, ქონგურები, შესანიშნავად პასუხობდა თავდაცვითი სიმაგრეების აგების მოწინავე მოთხოვნებს. ძამის

ზემო წელზე მდებარე სათვალთვალ კომპეტი აკონტროლებდნენ გზებსა და გადმოსასვლელებს. გვერძინეთის, ყელეთის, მუხილეთის, კოდმანის, ქვათეთრის კომპეტი და საციციანოს ჩრდილოეთიდან, მტკვრის ხეობის მხრიდან სამწევრისის, ხვედურეთის, ზღუდერის, ქარელის კომპეტი ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენდა დაცვის სისტემაში, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სიგნალის დროულად გადაცემას. სულხან - საბა კომპეტის ფუნქციით მოიხსენიებს. მისი განმარტებით: „კომპი წურილი და მალალი ციხეა.“ კომპეტი დანიშნულების მიხედვით ორგვარია: სასაზღვრო ხაზებზე, სტრატეგიული მნიშვნელობის გზების სიახლოვეს სათვალთვალოდ და ციხე-დარბაზის შემადგენელი ნაწილი ან ეკლესიის გალავნის შემადგენელი ნაწილი ძირითადად თავდაცვითი მნიშვნელობის. მათი მთავარი დანიშნულება საჭიროებისამებრ მოკლე მანძილზე (5-6 კმ.) ინფორმაციის გადაცემა იყო. ეს ინფორმაცია შესაძლოა ყოფილიყო მტრის შემოსვლა სამეფო საზღვრებში, მისი მოძრაობა კონკრეტულ ადგილებში, უცარი თავდასხმა მნიშვნელოვან თავდაცვით ნაგებობაზე და სხვ. საუკუნეების მანძილზე, ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელებამდე, როგორც წესი, საგანგაშო მდგომარეობა სასაზღვრო კომპიდან გადაეცემოდათ ცეცხლის სახით.

სამცხიდან შემომავალ გზასთან თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე სოფ. გვერძინეთის სამხრეთით, სადაც ორი ვიწრო ხეობა ერთდება, ამ სტრატეგიული მნიშვნელობის გზასაყარის ჩაკეტვა და გზის დაცვა ევალებოდა გვერძინეთის კომპეტს. მარცხენა ნაპირის კომპეტი ხუთი სართულის სიმაღლე აქვს შემორჩენილი, მარჯვენა ნაპირისას - სამი. ამ კომპეტის ნგრევის მიზეზს პ. ზაქარაია ძლიერ ხანძარს მიაწერს, რომლის კვალზე მიანიშნებდა კომპეტი იმჟამად შემორჩენილი დამწვარი კოჭები.¹

¹ ხეც. პ. ზაქარაიას არქივი, № 175, გვ. 4.

კომპეზიციური დანთებული ცეცხლით სამცხიდან, ქვემო ქართლიდან, თემისა და ტანას, ან თორი-გუჯარეთის ხეობიდან ძამის ხეობაში შემოსვლამდე ციხეებისთვის ხდებოდა სიგნალის გადაცემა. გვერდინეთის კომპეზიციური კეთილმოწყობის კვალი არ ეტყობა, როგორც ჩანს, მხოლოდ სამხედრო ფუნქციის იყო. ასეთი მობილურობით შესაძლებელი იყო ხეობის თავდაცვითი მთლიანი ქსელის მტრის შემოსევისთვის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.

სავარაუდოდ, გვერდინეთის კომპეზიციური მშენებლობა სამწევრის რეზიდენციის რეკონსტრუქციის დროს უნდა დაწყებულიყო XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე. არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არ დავუჯეროთ პ. ზაქარაიას და ვ. ბერიძის საყურადღებო ცნობას,¹ რომელიც მიგვანიშნებს, რომ ამ კომპიის სათოფურები მკვეთად განსხვავდებოდა XVII-XVIII სს. სათოფურებისგან და შესაძლებელია ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამდე ან მისი შემოსვლის ხანით დათარიღებულიყო. ამგვარაა, კომპეზიციური მშენებლობა სამწევრის რეზიდენციის რეკონსტრუქციის პირველსავე წლებში ზაზა ფანასკერტელის მიერ უნდა დაწყებულიყო.

ძამის ზემო წელზე მდებარე გვერდინეთის საგუმბაგო კომპითან ერთად მეტად მოხერხებული ადგილი ეკავა კოდმანის კომპი (4,2X3,9), კოდმანის კომპი დგას სოფლის თავში, მდინარე ძამის მარჯვენა ტოტის მარცხენა ნაპირზე, სალი კლდის თავზე და თარიღდება XVI-XVIII საუკუნეებით. ნაგებია ნატეხი ქვით. გადარჩენილია მისი ორი სართული. მეორე და მესამე სართულის შერჩენილ კედლებში მოწყობილია სათოფურები. სართულშუა გადახურვა ხის უნდა ყოფილიყო. კომპიის მახლობლად არის ნასოფლარი და ეკლესიის ნანგრევები. აქედან გზა მიდის მუხილეთში, სადაც ძამა უერთდება მუხილეთისა და ტყემლოვანის წყალს. მდ. ტყემლოვანის წყალის (ძამის მარჯვენა შენაკადი) ნა-

¹ პ. ზაქარაია, საციციანოს XVI-XVIII ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, № 6, 1957, გვ. 773.

პირზე სოფ. ქვათეთრისთან, სამი ხეობის გზასაყართან აღმართული იყო ქვათეთრის კოშკი.

ძამის ზემო წელზე მდებარე „კაცთა შეუვალი სიმაგრით“ ცნობილი აზუხალოდან, ერთი გზა მიემართებოდა გუჯარეთში, მეორე გზა - მუხილეთში. მუხაღეთის ხევი ძამას მარცხნიდან ერთვის, გვეძინეთთან, საიდანაც გზა გადადიოდა ატენის ხეობაში. პ. ზაქარაია აქვე მაღალ კლდეზე ნანახ ნანგრევების ფრაგმენტს მუხაღეთის ციხის ნაშთად მოიხსენიებს. რაც შეეხება სათვალთვალს, მუხილეთის კოშკებს (მოღწეულია ორი სართული სათოფურებით), მტრის მცირე რაზმიც კი შეუმჩნევლად გვერდს ვერ აუვლიდა.

ძამის ხეობაში წრომიდანაც მოემართებოდა გზა, რომელიც გაივლიდა ყელეთს და გადმოდიოდა მძოვრეთში. ყელეთთან ახლოს აღმართული იყო კოშკი, რომლის ფუნქცია ამ გზის კონტროლი უნდა ყოფილიყო. კოშკის მხოლოდ ორი სართულია შემორჩენილი და თარიღდება XVII საუკუნით. აქედან სიგნალი გადაეცემოდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილს და ჩრდილოეთით, მდ. მტკვარის მხარეს მდებარე სამწვერისის, ხვედურეთის, ზღუდერის, ქარელის კოშკებს. სოფ. ზღუდერის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მაღალ გორაკზე, ღვთისმშობლის ეკლესიასთან, აღმართული იყო ზღუდერის კოშკი, რომელიც, სავარაუდოდ, ეკლესიის თანადროულია და თარიღდება XIII-XIV საუკუნეებით, რომლის რესტავრაცია ციციშვილთა საგვარეულოს უკავშირდება.

წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ხვედურეთში კოშკის მშენებლობა უკავშირდება ესტატე ციციშვილს და აზნაურ კლიმიაშვილებს.¹

„ლეკიანობის“ გამო 1790 წელს მძოვრეთიდან ქარელში გამოსახლებული სახლთუხუცესი ამილბარ ციციშვილი ქარელის

¹ ხეც. ფ. Hd 14865, ფ. Hd 13002; ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1983, გვ. 17.

კომპის მშენებლობისთვის, გამოსაღების თაობაზე დახმარებას სთხოვს ერეკლე მეორეს. არზაში ნათლად ჩანს მეფის მხარდაჭერა და თანადგომა დროულად დაემთავრებინათ საქვეყნო საქმე: „თქვენის მოწყალებით რაღასაც კომპს მოვყე და სიმაგრეს, რაც შვიდიოდ კომლი კაცი მყავს, ზამთარ და ზაფხულ მეტადრე ძალი დაემართათ იმისი მუშაობით ... მოწყალებას ვითხოვთ: თქვენს სადღეგრძელოდ ორიოდ სამი წელიწადი შადავათი დაემართოს. ღმერთი გაგიმარჯვებს ... თუ ის სიმაგრე გაკეთდა ... ჩვენის ქვეყნისაც დიდი შესამატი იქნება და თქვენის მოწყალებისაგან ასეთი იმედი მაქვს...“ მშენებლობით კმაყოფილ მეფეს სამართლიანი გადაწყვეტილება მიუღია, „ჩვენი ბრძანება არის ყოველნო ჩვენნო მოხელენო და მოსაქმენო! მერე ამ არხის პატრონის კაცნი ერთს წელიწადს ყოვლისა სათხოვრისაგან განგვითავისუფლებია ... და თუ წლეულ იმუშავა რამე და იმ კომპს დაატყო რამე და დასჭირდა, მეორე წელიწადსაც განვათავისუფლებთ. და თუ დასჭირდა კიდევ, მესამეს წელიწადსაც ასე უზამთ. და თუ წლეულობით არას იმუშავებს და არცარას დაატყობს, ერთის წლის მეტს ვერ ვაპატივებთ“.¹

კომპებიდან მიღებული „შეტყობინებისთანავე“ სწრაფად ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის გახიზვნა მიუვალ ბუნებრივ გამოქვაბულებში, რომელთაც მოსახლეობა სახიზრად და სიმაგრედ იყენებდა. ბუნებრივ გამოქვაბულებს შორის ხეობასა და ძამის ციხის სიახლოვეს ხელოვნური გამოქვაბულებიც გვხვდება, რომელთა მშენებლობის ისტორია დღემდე შეუსწავლელია. „სახიზარი“ მტრის უეცარი შემოსევისას მეტად მოხერხებული დროებითი თავშესაფარი იყო, სადაც გარკვეული პერიოდი შეიძლებოდა გამაგრება და თავდაცვა. უფრო საიმედო

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიხედები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. № 63, გვ. 74-75;

სახიზარი იყო „ქვაბი ... მტრისაგან შეუვალი“. ძამის ხეობის ზემო წელზე მდებარე „ქვაბების“ სასიმაგრო დანიშნულებით აქტიურად გამოყენებაზე მიანიშნებს ვახუშტის ცნობა: „აქა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი ... და კაცთა შეუვალი სიმაგრით“.¹ რთული პოლიტიკური რეალობა და სტრატეგიულ გზასთან სიახლოვე, მტრის ხშირი მოულოდნელი გამოჩენა აიძულებდათ, ეკლესიები გალავნებითაც გაემაგრებინათ.

მძოვრეთის ციხე. მიუვალ კლდეზე აღმართული რთული კონსტრუქციის მონუმენტური ნაგებობა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. მძოვრეთის (ზოვრეთის) მიუვალ ციხეს აღმოსავლეთით აკრავს მაღალი, ტყიანი ქედი, სამხრეთით - ღრმა ხევი, დასავლეთით - ორთუბნის ვიწრო ხევი. ციხე-სიმაგრეს რამდენიმეგზის რესტავრირების კვალი ამჩნევია. დადგენილია ხუთი სამშენებლო ფენა. დაგეგმარებისა და სააღმშენებლო სპეციფიკის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება მასში ადრეული VII საუკუნის ნაგებობის ფენის გარჩევა, მაგრამ, როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავდა, სამშენებლო ფენების ზუსტად გამიჯვნა ვერ მოხერხდა, თუმცა სხვადასხვა პერიოდის ფენები კონსტრუქციებით, ქვის დამუშავებითა და წყობის ტექნიკით აშკარად განსხვავდებოდა.² ციხის მშენებლობაში მოჩანს საერო არქიტექტურისა და სამშენებლო ტექნიკის საკმაოდ მაღალი დონე. ვახუშტისეული მრავლისმთქმელი შეფასებით, „ხეობას ჰკეტავს, ამასთან ერთად დაჰყურებს და იცავდა.“


მძოვრეთის ციხე აგებულია არაბთა შემოსევამდე (VII ს.). ისტორიულ წყაროებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხეს პირველად „მატიანე ქართლისაის“ ავტორი იხსენიებს დემეტრე აფხაზთა მეფისა (967-975 წწ.) და მისი ძმის, თეოდოსის

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 58;

² ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1983, გვ. 163.

შორის წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით. აღნიშნული ციხე ყველაზე დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობაა ხეობაში. ციხეში თავდაპირველად უნდა მდგარიყო სამკუთხედად განლაგებული სამი კოშკი, რომელთაგან ორი გალავანში იყო ჩართული. სხვა კოშკები და საცხოვრებელი ნაგებობები აგებულია მოგვიანებით.

ზაქარაიას ცნობით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგარი კოშკი დიდი სივრცის მქონე რამდენიმე სართულიანი ყოფილა, თუმცა



ძამის ციხე. განაკვეთი აღმოსავლეთით (ვ. ცინცაძის მიხედვით).

იმჟამად ნანგრევებიდან მხოლოდ სამი სართულია მოჩანდა. ციხის ჩრდილო - აღმ. მხრიდან კედლის ძირიდან გამონგრევის ნაკვალევებიც შეუნიშნავთ. მთელი დასავლეთი ნაწილი ეკავა

მრავალსართულიან საცხოვრებელ-საბრძოლო შენობას. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კი ქვედა სართულში ორი ეკლესია ყოფილა, ზემოთ სხვადასხვა დანიშნულების სადგომები, მათ შორის ციხეს შეხიზნული მოსახლეობისთვის, ამათ შუა დიდი და კეთილმოწყობილი ეზოს ნაკვალევი მოჩანდა.


მმოვრეთის ციხის ეზოს ზედა ნაწილში მას სფერული კამარით გადახურული ცილინდრული წყალსაცავიც უნახავს.¹

ციხის თავდაცვით ნაგებობებსა და კოშკებში ინახებოდა საბრძოლო საჭურველის მარაგი, სადაც მუდამ საბრძოლო მზად - ყოფნაში იქნებოდა. ვახუშტის ცნობის გათვალისწინებით შესაძლოა ჰქონოდათ, „საომარი საჭურველი ... ჯავშანი, ხვაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, კმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიმტნი და მშვილდისარნი“,² ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე ქვის ჭურვების სატყორცნი მოწყობილობანი (ბალისტები), რასაც ადასტურებს ციხის რესტავრაციისას აღმოჩენილი სავადასხვა ზომის ქვის ჭურვები და საბრძოლო საჭურველთა ნაშთი. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვის ჭურვების დასამზადებლად იყენებდნენ ციხესთან ახლომდებარე ქვის კარიერს. მის სიახლოვეს კირქვის მდიდარი ფენა კი უზრუნველყოფდა დაზიანებული კედლების სწრაფ აღდგენას. ციხის რეკონსტრუქციის უფრო დეტალურად განხილვას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ძეგლი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მმოვრეთის ციხე ნაგებია ნატეხი ქვით, ზოგიერთ ნაგებობაზე გამოყენებულია თლილი ქვაც. გარანტირებულად ციხე უზრუნველყოფილი იყო შიგნით მომდინარე ბუნებრივი წყაროთი, რაც გამორიცხავდა იმის საშიშროებას, რომ ხანგრძლივი ალყის შემთხვევაში მტერს ხელში ჩავარდნოდა წყლამომარაგების სისტემა. ეზოს სიღრმეში კლდეში

¹ ხეც. პ. ზაქარაიას საარქივო ფონდი № 175.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 14.

ჩაკვეთილი ბუნებრივი წყაროს რეზერვუარი და სხვადასხვა მხრიდან შემომავალი წყალსადენი.



ძამის ციხის გეგმა (ვ. ცინცაძის მიხედვით)

სისტემა დღესაც საიმედოდ უზრუნველყოფს ზოვრეთის მამათა მონასტერს. ძამის ციხის აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია წმ. გიორგის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრები.

ძამას ხეობის ისტორიული ძეგლები რუის-ურბნისის ეპარქიის დაქვემდებარებაშია. მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით ციხის ძირითადი ნაწილი რესტავრირებულია, ნაწილს კვლავაც უტარდება სარესტავრაციო სამუშაოები. ციხე განსხვავებული ფუნქციით - სამონასტრო ცხოვრებით ცხოვრობს და ცნობილია ზოვრეთის მამათა მონასტრის სახელით.

ძამის ციხე ციციშვილთა დამკვიდრებისთანავე, დაახლოებით XV-XVI საუკუნეებში, საფუძვლიანად იქნა განახლებული.



სარესტავრაციო სამუშაოები მძოვრეთის ციხეში

ციხის ეფექტურობას განსაზღვრავდა ხეობის ერთიან საფორტიფიკაციო ქსელში არსებულ ციხეებთან და კომპლექსთან ურთიერთკავშირი. რეზიდენციის დაცვა ამ საფორტიფიკაციო ქსელის ეფექტურობაზე იყო დამოკიდებული. მისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მარტო ქალაქის და მთლიანად ხეობის არამედ, უპირველესად, სამეფოს სამხრეთი საზღვრის დაცვა ევალებოდა. კერძოდ, სამცხიდან ქვეყნის

ცენტრისკენ შემომავალი გზების გადაკეტვა და მთლიანად მტკვრის მარჯვენა სანაპირო სატრანზიტო-საქარავნო მაგისტრალის გაკონტროლება და დაცვა, რათა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მოკლე და ფარული გზებით მოულოდნელად შემოჭრილ მტერს არ შეეღწია ქვეყნის სიღრმეში.

ძამის ციხე-სიმაგრე სამეფოს დაცვის ერთიანი გეგმის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ბასტიონს წარმოადგენდა, მუდმივი გარნიზონით, სურსათ-სანოვარის, შემის, რაც მთავარია, იარაღის არსენალის მარაგით და სხვა თავდაცვითი საშუალებებით, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ციხისთავს - მინბაშს (თურქ. ათასისთავი, ათასეულის მეთაური). მინბაშის ამ პასუხისმგებლობის შესახებ საინტერესოა პაპუნა ორბელიანის ცნობა: „ლეკები ... არ წყნარდებოდნენ, ძამინ „მეფე გამოვიდა ქალაქიდან, თოფხანა, ჯაბახანა ყოველივე მინბაშს გამოართო...“¹

მინბაში „საქვეყნოდ გამრიგე“ ადგილობრივი მოხელე, მეციხოვნე და გარნიზონის უფროსი იყო. იგი გვიანფეოდალურ ხანაში ჩაენაცვლა „ციხისთავს“, რომლის უპირველესი მოვალეობა ციხე-სიმაგრის მოვლა-პატრონობა იყო. მეფე როსტომის დროს მინბაში განსაკუთრებით დიდი უფლებებით სარგებლობდა.

XVII-XVIII სს. დოკუმენტების მიხედვით, მძოვრეთის ციხისთავობა ციციშვილთა საგვარეულო სახელოდ ჩანს. სტრატეგიული მნიშვნელობის გზასაყართან ძამის ციხის სიახლოვე მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას მოითხოვდა, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ციხისთავს, რომელიც ემორჩილებოდა საციციანოს სარდალს. მეფე მას ნიშნავდა სათავადოს წინამძღოლის, მეფის სადროშოს სარდლის თხოვნით და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რადგან სამეფო კარზე ამ სამოხელეო სახელოს ძირითადად სამეფო კარის ერთგულებით გამორჩეული ციციშვილთა საგვარეულო ფლობდა, შესაბამისად, მინბაშის სახელოსაც

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 138.

მათი საგვარეულო შტო მიიღებდა.

1787 წლის ოქმით მძოვრეთის ციხის მინბაში მეფის სიძის, დავით სარდალ-მოურავის ძმა, გიორგი ციციშვილია: „ბატონს ჯავახიშვილს მრავალს მოკითხვას მოვახსენებთ ... თქვენცა გაქვთ ოქმი და ხუთასის თავსაცა აქვს ... როგორც მართებული იყოს და რიგი, ყარაული ისე დააყენეთ, რადგან გამოდმა საციციანოს მხრისა და საქათალიკოზოსი მიმბაში ჩემი ძმა გიორგი არის, ამის შეკითხვით უნდა გაარიგოთ და არც თავისი სარგო დაუკარგოთ“.¹ დოკუმენტის მიხედვით, მინბაშს და უზბაშს არ განუდევნია „ხუთასისთავის“ სამოხელეო სახელო, რომელიც უშუალოდ მინბაშს ემორჩილებოდა.

ძამის ციხის მინბაშების უფლება-მოვალეობაზე მასალების სიმწირის გამო ძნელია სიღრმისეულად საუბარი. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი მიანიშნებს, ერთი მხრივ, „ყარაულების განწესების“ პასუხისმგებლობაზე,² მეორე მხრივ, „ლეკიანობისას“ ციხიდან გატაცებულთა ტყვეობიდან გათავისუფლებაზე ზრუნვა. ზოგჯერ მინბაშს მოვალეობის შესრულებისას არჩევანის გაკეთება უხდებოდა ტყვეობიდან რომელი თანამემამულე გაეთავისუფლებინა. გლახა ოდიშელიძის მიერ მინბაშისადმი მიცემულ 1789 წლის ყმობის წიგნში ვკითხულობთ: „მიმბაშ გიორგის, ძმასა შენსა უფროს ბატონს სარდალს, ქალაქის მოურავს დავითს, ძმასა შენსა კონსტანტინეს, ძმისწულსა შენსა ალექსანდრეს და იოვანეს, კიკოლას ... ასე რომე დავიკარგე ქვეყნის გულისათვის ყარაულათ, სტამბოლს ჩამიყვანეს ტყვეთ დ[ვ]ითით იყო, თუ კაცით იყო ერთს უღთოს კაცს წამოყვევ სტამბოლიდამ, რაც სულს აქეთ მქონდა, ასოცი ყურუში გზაზედ გამცარცვა და წამართვა, კიდეც მკლავდა. მამიყვანა ახალციხეს და კიდეც გამყიდა, ქიაბეგს მიმყიდა,

¹ სცსსა, ფ. 1450 დავთარი 38, ს. 248; ფ.1448, საქმე №1266; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.) ნ. ბერმენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 140.

² ხეც. ფ. Hd, ს. 9999.

ისევ უკან გამაბრუნეს. როდესაც გამყიდეს, ერთმა ღთიანმა ადამიანმა მითხრა თქვენი (მინბაში -მ.მ.) ახალციხეს ბრძანდება. გამოვგზავნე ის დედაკაცი და შემოგეხვეწე ... მეორე ტყვეობისაგან შეგცოდებოდი და ჩემი ხვეწნა შეგესმინა. ჩასულიყავ ფაშასთან, ჩემი თავი გეთხოვნათ ფაშისათვის ... მე დიად შეგაწუხე და შეგაღონე, შენც შეგეცოდე, როდესაც შეწუხებული მნახე და შენის ორის კაცისაგან კი კელი აიღე და მე კი დამიხსენ მეორეთ ტყვეობისაგან...“¹

სამწუხაროდ, დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება შემთხვევები, როცა ტყვეობიდან გამოსყიდული ყმა საგვარეულო შტოებს შორის სადავო გამხდარა. ²

მინბაშს ემორჩილებოდა უზბაში (ასისთავი). ჩვენს ხელთ არსებული მწირი მასალებით უზბაშების სახელოც ციციშვილთა საგვარეულოს მფლობელობაშია. მეფე ერეკლეს მიერ, სამხედრო რეორგანიზაციის შედეგად, მინბაშსა და უზბაშს ექვემდებარებოდა დაქირავებული და მორიგე ჯარი. მათვე ევალებოდათ ჯარის გაწვრთნა და წესრიგის უზრუნველყოფა. თვალყური უნდა ედევნებინათ, რათა შეკრების ადგილებში მოლაშქრეებს არ დაეზარალებინათ სოფლები. დოკუმენტების მიხედვით, მინბაშის და უზბაშის სამხედრო ფუნქციებიდან გამომდინარე, ასევე ევალებოდათ მორიგეობიდან მოლაშქრის გათავისუფლების მიზეზის დადგენა. ამის თაობაზე საყურადღებოა მეფე ერეკლეს ბრძანება: „ამ არზის პატრონი ამ სნეულობას რომ ამბობს სწორე შეიტყვევით და თუ მართალი მოეხსენებინოს ... ამოუშვათ ერთი ძმა ... თუ ასრე სნეული არ იყოს და ტყუოდეს, ავათაც მოეპყარით და თუ მართალი იყოს, მაშინ კი დაეხსენით ...“³

ციხისთავის ერთ-ერთ უფლება-მოვალეობაზე საინტერესოა

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 145-146.

² იქვე, გვ.123.

³ სცსსა, ფ. 1450 დავთარი 37, ს. 202.

პროფ. ე. მამისთვალიშვილის მოსაზრება. გორის ციხისთავად დანიშნული პიროვნების ყმები თარხნდებოდნენ, რათა ისინი ციხისთავს ციხის დაცვაზე გამოეყენებინა.“¹ მართლაც, მინბაშის სახელოს ამ უფლებას ადასტურებს 1786 წლის ერეკლე მეფის ბრძანება, მასში ვკითხულობთ: „...გორის მინბაშობა დიასამიძეს იოვანეს რომ მივეცით, თავისი ყმანი გავუთარხნეთ, რომ ციხეში თავისი კაცნი უნდა დაეყენებინა ... ახლა ტეტიას უბოძეთ მინბაშობა. როგორც თარხანი ჰყოლიათ თავეთი ყმანი, ახლაც ისეც თარხანი უნდა ჰყვანდეს, რომ კიდევ ციხეში კაცნი დააყენოს და ციხე კარგად შეინახოს.“ აქედან გამომდინარე, მკვლევარი სამართლიანად თვლის, რომ მეფის ბრძანება მინბაშის უფლებამოვალეობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო და არა გამოწვევისი.

აღნიშნული უფლება - მოვალეობა მძოვრეთის მინბაშს აკისრებდა პასუხისმგებლობას, რათა ციხე მოემარაგებინა მცველებით, საბრძოლო არსენალით, გუშაგთა საბრძოლო მზადყოფნით. ამ მხრივ საინტერესოა მეფის მდივნის ბრძანება მინბაშისადმი - „ბატონო ... მინბაშო ზაზავ, მანუჩარ მდივანი მოგახსენებ შენის კაცების სურსათიდან ოთხი ხარვალი პური როსტომს მიეც ღვინობისთვის...“² ამონარიდი აშკარად მიანიშნებს მინბაშის მოვალეობაზე, მძოვრეთის ციხის მცველები მუდამ უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ სურსათით.

ამასთან, 1747- 1749 წლების ძამის ციხის დავთარი მიანიშნებს ქალანთარ მერალიბეგ ციციშვილის ყმების, ძამის ციხის მცველების ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებაზე: ტყვია-წამლით, კაჭით, ჯაზაირებით (პირფართო და გრძელი თოფი) - „რაც ციხის რიგი იყო...“³ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საარქივო დო-

¹ ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, წიგნი I, თბ., 2018, გვ. 349.

² სცსსა, ფ.1448, ს. 2735.

³ სცსსა, ფ.1448, ს. 5048 ა.

კუმენტი მიანიშნებს მძოვრეთის ციხეზე ზარბაზნების არსებობას.¹ ასევე ევალუბოდათ გარკვეული რაოდენობის ჯარის გამოყვანა მოულოდნელი და საგანგებო შემთხვევის დროს. ციხისთავებს საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდათ საბაჟოებიდან, საიდანაც თავად იღებდნენ „სამინბაშო ბაჟს“. „დასტურლამაში“ მოიხსენიება მინბაშის სახელო და ჩამოთვლილია საბაჟო გადასახდელები, რომლებიც დედაქალაქში უნდა აეკრიფა მინბაშს [100-101 § 210] მიუხედავად სარფიანი ანაზღაურებისა, მძოვრეთის მინბაშები მაინც არღვევდნენ საბაჟო დებულებებს და „სამინბაშო ბაჟს“ გაზრდილი ნიხრებით იღებდნენ.

დოკუმენტების მიხედვით მინბაშებს და უზბაშებს საქალაქო მმართველობის საქმეებიც ებარათ, როგორცაა სასამართლო საქმეების გარჩევა: აყრილი ყმების დაბრუნება,² სამამულო დავების საკითხების მოგვარება,³ თამასუქით ნაკისრი ვალის გადახდა,⁴ მორიგების წიგნის შედგენა (1789 წ.)⁵ და სხვ.

1803 წლის პავლე ციციანოვისადმი წარდგენილი არზამოხსენების მიხედვით, პაატა ციციშვილის მემკვიდრეს, გიორგი ციციშვილს, სახელოდ მეფე ირაკლისგან ბოძებული ჰქონია გორის ციხის მინბაშობა და რუისის სახასოს მოურაობა. ციციშვილი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს მეფის ოჯახთან ნათესაობაზე, რითაც აიხსნება მისი სამოხელეო სახელოს პატივი და დაწინაურება: „და მომცა მამიდიშვილი თვისი მეფემ ირაკლიმ მეუღლედ ვეზირის ქალი და განმიწესა ულუფა და ჯამაგირიც და

¹ სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, ს. 91.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 151, 738.

³ იქვე, გვ. 202-203, 215, 403-404; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 215.

⁴ იქვე, გვ. 247.

⁵ იქვე, დოკ. №270, გვ. 467.

ვცხოვრობდი იმის შემოსავლითა. ოდეს მიიღო მეფობა გიორგიმა, მაშინ მიბოძა სახელოდ ხალავათხანის ემიკაღასბაშობა ქართლისა და განმიწესა ულუფად და ჯამაგირად წელიწადში სამას ორმოცდაათი რუბლი.⁴¹

რაც შეეხება მინბაშის სარგოს, იგი მოიხსენიება 1803 წლის პავლე ციციანოვის საქართველოს „გუბერნიის“ სამხედრო მოხე - ლეთა სიაში, რომლის მიხედვით მინბაშ ზაზა ამირეჯიბს ერეკლეს დროს ჰქონია სარგო წელიწადში 300 თუმანი, სარჩოდ - ორი ლიტრა პური, კვირაში სამი ლიტრა ხორცი, ერთი კილო მარილი და სამი თუნგი ღვინო, დღეში ერთი შაურის სანთელი, მარხვისას - სამარხო, თევზი და ხიზილალა - სარჩო დაახლოებით 150 თუმნის ღირებულების.² დოკუმენტების გათვალისწინებით, სავა - რაუდოდ, ამდენივე უნდა ჰქონოდა გიორგი მინბაშს.

ციხის გარნიზონისთვის „სალბაშის“ გადასახადის ამოღება. მინბაშის ამ მოვალეობას ადასტურებს 1794 წლის გორის ციხის მინბაშის, დიმიტრი დიასამიძის არზა, რომლის მიხედვით სალ - ბაშის გადამხდელთა შორის მძოვრეთი აღარ მოიხსენიება: „გორის ციხის დებულება სალბაში და თითო-ოროლა ღერი შეშა არის ურემზედ, რომ მეციხოვნე ცეცხლს აინთებს და იცხოვრებს; აღარც გორელები მაძლევენ შეშას, აღარც სალბაშს ქარელელნი ... „ ყიდ - ვის ვაჭრობის დოკუმენტი პირდაპირ მიანიშნებს, რომ XVIII საუკუნის 90-იან წლებამდე მძოვრეთის ციხესაც უნდა ჰქონოდა დებულება, სადაც გაწერილი იქნებოდა მინბაშისთვის „სალბაშის“ გადასახადი. ასევე აშკარად ჩანს, რომ გაუკაცრიელებულია მტკვრის მარჯვენა სანაპირო და სალბაშის გადახდას მხოლოდ ქარელელებისგან ითხოვს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძამის ციხის მფლობელობა სამეფო კარზე დაწინაურებულ, გავლენიან საგვარეულო შტოთა

¹ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, თბ., 1948, გვ. 60.

² Акты собранные Кавказскою археграфическою комиссиею, Тф. 1868 т. II ч. I, с. 39.

შიდა დაპირისპირების ადგილად გადაქცეულა. ამასთან გვაქვს უზბაშის თვალთმაქცობის, ქრთამისადმი ლტოლვის, სიყალბის და გამოძალვის სამწუხარო ფაქტი, რომელიც დოკუმენტური მასალების მიხედვით ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. ამაზე მიგვანიშნებს 1783 წლის ციციშვილების განჩინება. საქმე იქამდე მივიდა, რომ სასამართლოზე ციხის მფლობელობის თაობაზე ყალბი საბუთები და ბეჭდები წარუდგენიათ: „მძოვრეთის ციხე ზაქარია ციციშვილს დაეჭირა და შიგ თავისი კაცნი შეეყენებინა. ამაზედ ნოდარისშვილი სარდალ-ქალაქის მოურავი დავით ძალგამოდებით ლაპარაკობდა: მძოვრეთის ციხე ჩვენ - ნოდარის შვილების საკუთარია, რომ არც ქაიხოსროს შვილებს და არც პაპუნაშვილებს წილი არა აქვსთო ... მეფისათვის შეეჩვილა.“ ზაქარიას სასტიკი უარი შეუთვლია ციხის დაცლაზე. „მოურავი დავით და ნოდარისშვილები ამაზედ დიდად წუხდნენ ... ქალაქში მოურავს დავითს, მის სახლისკაცს პაატას და ნიკოლოზს პირობა შეეკრათ და შეთანხმებულიყვნენ, წავიდეთ, ზაქარიას ავით მოვეპყრათ და ციხე წავართოთ ... მრავალი უპატიური ჰკადრეს და ციხე დააცლევინეს“ ურთიერთქიშპობას ბოლო არ უჩანდა. მეფის სიძის, ქალაქის მოურავის, დავით ციციშვილისა და დედოფალ დარეჯანის სახლთუხუცესს ზაქარიას საქმეში მეფე ერეკლე ჩაერია. სასამართლოზე „...მძოვრეთის ციხეზედ, ზაქარიამ დავთარი მოიტანა ბარძიმ მდივანბეგის ბეჭდით დაბეჭდილი; მძოვრეთის ციხე ზაქარიას წილობისათვის ეწერა.“ ამას მოსარჩელე მხარის აღმფოთება მოჰყოლია, უარყოფდნენ წარმოდგენილი საბუთების ორიგინალობას. „მოსამართლეთ ... ეჭვი შეუვიდათ ... ციციშვილს ზაზა უზბაშს ზაქარიასაგან წიგნების გაკეთება და ბეჭდების მოჭრა ზედმიწევნით სცოდნოდა და იმ საქმეში შიგ დამსწრე ყოფილიყო. და ყოველი მომხდარი დავით მოურავისათვის საიდუმლოდ ეამბო. და დავით მოურავსაც მისის სიმაღლისათვის საიდუმლოდ მოეხსენებინა ... ზაზა უზბაშს ესეც ეთქვა დავით მოურავისათვის: წიგნების გაკეთება და ბეჭდების მოჭრა მე შემამწამეთ და

სამართალში ფიცზე მიმწიეთო ... ზაქარიამ ფიცის დადება რომ სცნა, დაუწყო ზაზას ხვეწნა: ოლონდ დაიფიცე, რომ წიგნებისა და ბეჭდების მოჭრისა არა იცოდე რაო, ორმოცდაჩვიდმეტი თუმანი ნალდი თეთრი ჯელში მისცა და სხვა მისაცემიც აღუთქვა. ზაზა საფიცრად რომ წაიყვანეს, გამობრუნდა და თქვა: ბეჭდები უბეში მიძეს, როგორ დავიფიცოო ... სიცრუე აღუარა, წიგნებიც ზაქარიამ გააკეთა და დაწერა და ბეჭდებიც ჩემთან მოაჭრევინა ... და რაც მომხდარიყო ყველა წარმოთქვა ... ზაზა ციციშვილმა ტყვიაზე მოჭრილი ბეჭდები წინ დაგვიწყო. რადგანაც ყოველივე მომხდარი ჭემმარიტებით აღიარა, ამისათვის ზაზა უზბაშს მოსამართლისაგან აღარა გადახდება რა..“¹ დოკუმენტი ცხადად მიანიშნებს, რომ მტრული გარემოცვის, „ლეკიანობის“ გახშირებული თავდასხმების, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობის სწორი შეფასების, საგვარეულო შტოთა გაერთიანების, ერთსულოვნებისა და თანხმობის ნაცვლად, ოდესღაც გავლენიანი და უძლიერესი საგვარეულო შტოები იმდენად დაკნინებულა და გართულან ურთიერთქიშპობა-დაპირისპირებაში, რომ სრულიად დაივიწყეს სათავადოსა და ქვეყნის ბედზე ზრუნვა.

პირველწყაროთა სიმწირე არ იძლევა როგორც სხვა მოვალეობების გაშუქების ფაქტობრივ მასალას, ასევე „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეების - ნაცვალი, გზირი, მამასახლისის შესახებ ცნობებს და მძოვრეთის მოურავების: მირზაშვილი თამაზა,² ალექსიძე ელისე,³ კლიმიაშვილი ტეტია,⁴ სამოხელეო სახელოთა საქმიანობის შესახებ.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 209-213.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 363; ხეც. Hd ს. 7603.

³ ფ.1450, დავთ. 25, ს.105.

⁴ ხეც. ფ. Ad, ს. 1502.

ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით კი საკმაოდ შემოსავლიანი ჩანს დედაქალაქის მოურავის სარგო: „ფარჩის საპალნეზედ სამი აბაზი არის; საყათის საპალნეზე ცხრა შაურია; ბანბის ცხენის საპალნეზედ ორი შაური; აქლემის საპალნეზე ცამეტი შაური; თაფლზე, ერბოზე, მატყლზე, ენდროზე, წინდაზე - ამებზე აქლემის საპალნეზე ორი შაური, ცხენზე ერთი შაური; რკინაზე, ბრინჯზე, შაბზე, საპალნეზე თვითო შაურია; ურუმის აქლემის აბრეშუმის საპალნეზე სამი აბაზი, ცხენზე ექუსი შაური“.¹

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოებით 1784 -1790 წწ. ხელახლა გადაუწერიათ ქალაქის მოურავის სარგოს დებულება.² თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივია, მძოვრეთის მსგავსი პატარა ქალაქების მოურავთა უფლებები მეტად შეზღუდული იქნებოდა, ხოლო სარგო ბევრად მოკრძალებული რაოდენობის.

დოკუმენტის მიხედვით, როგორც ერთიანი საქართველოს ქალაქებში, ასევე გვიანფეოდალურ ქალაქებში³ მხოლოდ მეფის მიერ დანიშნული ერთი მოურავი უნდა ყოფილიყო. როგორც XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში ჩანს, ყმათა საკმაოდ დიდი რაოდენობის მფლობელი, გაზრდილი ძალაუფლების მქონე სასულიერო და საერო ფეოდალები ხშირად არღვევდნენ და სამეფო მოურავის გვერდით მსხვილ სავაჭრო ქალაქებში საკუთარ მოურავებს ნიშნავდნენ.

როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში დარღვეული ტრადიციული წესების აღდგენას და დაკანონებას უნდა ითვალისწინებდეს მეფე ერეკლეს 1784 წლის სიგელი თავისი სიძის, ქალაქის სარდალ-მოურავის, დავით ციციშვილისადმი:

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 285.

² საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, დოკ. № 137, გვ. 493; დოკ № 138, გვ. 473.

³ შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, თბ., 1983, ტ. I I, გვ. 404;

„ჩვენი ბრძანება არის ჩვენო სიძვე ციციშვილო დავით! ... როგორადაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ირაკლის დროს და მეფის ვახტანგის დროს და სანატრელის ბატონის მამის ჩვენის დროს ქალაქის მოურავები ყოფილან და ქალაქში ..იმავ წესით გვიბოძებია მოურაობა.“¹ ტრადიციული წესის აღდგენას და დაკანონებას ხელს აწერენ „ქალაქის სამლო კაცები“. ამიერიდან ვისაც ქალაქში მოურავები ჰყავდა ყველა გადაყენებული იქნა და მეფე ერეკლეს სპეციალური ბრძანებით სახასო მოურავი მხოლოდ „ჩვენი სიძვე დავითი არისო.“ ამით ქალაქის მართვა - გამგეობა მეფის ხელისუფლებას სრულად დაექვემდებარა და სრული შეუვალობა მოიპოვა ქალაქის მოურავმა.

ამ პერიოდის მძოვრეთის მოურავებზე ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ, ამ დოკუმენტის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, მძოვრეთის მოურავები ძირითადად ემორჩილებოდნენ მეფეს და საციციანოს სარდლებს.

მტრის ხშირი თავდასხმების გამო მტკიცე და აუღებელი მძოვრეთის ციხე არაერთხელ გამხდარა მეფეთა თავშესაფარი.

XVI საუკუნის მძოვრეთის შესახებ ქართულ წყაროთა სიმწირეს ერთგვარად ავსებს სპარსულ წყაროთა ფრაგმენტული ცნობები. ირანელი დიდებულების - სევინ დუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზა მირზას მიერ არზრუმის გამგებლის, ფაშა აიასადმი მიწერილი სპარსული წერილი, რომელიც დაახლოებით 1554 წელს უნდა იყოს დაწერილი, ირან-ოსმალეთის ამასიის ზავის (1555 წ.) დადებამდე.² წერილში საუბარია ჩვენს საკვლევ თემაზე, კერძოდ, შაჰ-თამაზ I-ის (1524-1566 წწ.) მრავალგზის ლაშქრობის მიუხედავად, ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) ხელში ჩაგდება ვერ

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1910, დოკ. № 13, გვ. 12.

² დ. კაციტაძე, XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 213-214.

შეძლეს, რადგან თავს იმერეთის მეფეს აფარებდა. იმერეთის მეფე მას ეხმარებოდა და სულთანთანაც კი ყოფილა მის შუამავლად.

სპარსული პირველწყარო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმერეთში ლაშქრობა მართალია ვეღარ გაბედეს, რადგან მიუხვდნენ მეფე ლუარსაბის ჩანაფიქრს, ირანისა და ოსმალეთის შესაძლო დაპირისპირებისა, სამაგიეროდ საციციანო დაულაშქრავთ და უძლიერესი ციხე - სიმაგრეები მიწასთან გაუსწორებიათ: „...როცა საბარათიანოს ველაიეთის ფართობი იმ ბინძურ კერპთაყვანისმცემელთაგან გაწმენდილ იქნა, ბედნიერი ამაღა დაიძრა გორისაკენ, რომელიც ლუარსაბის სატახტო ქალაქი იყო ... ის ველაიეთიც უმსგავსო ურწმუნოთა არსებობის ეკლისაგან გაწმინდა. და რადგანაც ქართველ დიდებულთ და აზნაურთ რამდენიმე ციხე გაემაგრებინათ ... იმ ციხეებისაკენ გაემართნენ.“¹ როგორც ჩანს პირველ რიგში მძოვრეთზე, ციციშვილთა საგვარეულო რეზიდენციაზე იწყება მტრის შემოტევები, რომელსაც იმერეთში გადასვლამდე თავს ხშირად აფარებდა ლუარსაბ მეფე.

ისქანდერ მუნში და ჰასან რუმელუ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვამძლევენ ციხის სიმტკიცის, მიუვალობის, უთანასწორო ბრძოლებში ციხის დამცველთა თავგანწირვის შესახებ და საინტერესო საბრძოლო დეტალებით ამდიდრებენ. ისქანდერ მუნში მნიშვნელოვან ინფორმაციას გვამძლევს XVI საუკუნის მეორე ნახევრის საციციანოს ბრძოლებზე და საციციანოს წინამძღოლ ფარსადან ციციშვილზე: „პირველად მძოვრეთის ციხე გარემოიცვეს, ხსენებული ციხეების სიმტკიცით გათამამებული მეციხოვნენი ბრძოლაში ჩაებნენ. ძლევა მოსილი ღაზიები ყოველი მხრიდან უტევდნენ ციხეს და შიგ მყოფნი შეავიწროვეს. ცუდი სარწმუნოების მქონე ქართველებმა დაინახეს თავიანთი სისუსტე და უვნებლობა ითხოვეს. ციხისთავი ფარსადან-ბეგი ციხიდან

¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 20.

გამოვიდა და სიმაგრე [ყიზილბაშებს] გადასცა. ხსენებული ციხის დაპყრობის შემდეგ გაემართნენ ატენის ციხისაკენ.“¹

ისქანდერ მუნშის ამ ცნობებს უფრო ვრცელი და საინტერესო საბრძოლო დეტალებით ამდიდრებს ჰასან რუმლუ: „ძღვევის დროშებმა თვისი ჩრდილი მძოვრეთის ციხეს მოფინეს. ეს იყო ციხე, რომლის გალავნის სიმაღლე სატურნის აპოგეას სცილდებოდა ... არასოდეს მუსლიმანური დროშების სხივებს იმ მთიანეთის ჰორიზონტზე არ გაუნათებიათ ... და ჭეშმარიტი სარწმუნოების მნათობი ... ამ ციხის მიდამოებში არ გათენებულა ... თავისი ციხის სიმაგრით გაამაყებულმა ურჯულო ქართველებმა წინააღმდეგობის გაწევა იწყეს. ბედნიერმა ამირებმა და სახელოვანმა ღაზიებმა ყოველი მხრიდან იწყეს ბრძოლა...“² ამის შემდეგ ფარსადის მიერ ციხის ჩაბარებას მოსდევს ატენის ციხის აღების აღწერა. ადვილი წარმოსადგენია, როგორი ნგრევა-განადგურება და სისხლიანი ანგარიშსწორება დაატყდებოდა არა მარტო ძამის ციხესა და მის დამცველთ, არამედ ხეობის მოსახლეობას, ციხე-სიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს, ქალაქის სავაჭრო უბნებს და ციციშვილთა სასახლეს.

ძამის ციხე ხშირად გამხდარა სამეფო კართან კონფრონტაციის და ციციშვილთა საგვარეულო შტოებს შორის სისხლიანი დაპირისპირების ეპიცენტრი. ძამის ციხე მეფე როსტომის (1633-1658 წწ.) და თეიმურაზ I -ის, კახთა მეფის ბრძოლის ეპიცენტრში მოექცა. თეიმურაზ პირველისა და როსტომ ხანის პოლიტიკურმა და შიდაკლასობრივმა ბრძოლებმა კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება სხვადასხვა მხარეს მდგომ ციციშვილთა საგვარეულო შტოებს შორის. მეფე როსტომთან უთანასწორო ბრძოლებში დამარცხებულ ნოდარ ციციშვილს ბოლოს მტკიცე ზოვრეთის

¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართულით თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 21.

² ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 33.

ციხისათვის შეუფარებია თავი (1637-1638 წწ.) „მეფემ გორიდან ლაშქარი გაუძახა და სკრას ზეითი საციციანო და ქალაქი მძოვრეთი დაარბევინა. დარწმუნდა რა ზოვრეთის ციხის სიმტკიცესა და მიდგომლობაში იძულებული გახდა მრავალრიცხოვანი ჯარით გარემოიკვას ციხე, „... გორის ციხიდან ზარბაზნები ჩამოიტანა და ზოვრეთის ციხეს შემოადგა: ზარბაზნები დაუშინა, მაგრა ქვიტკირს ვერა ავნო-რა“. ნოდარის მომხრეები როსტომის ლაშქარში ხმას ავრცელებდნენ, ნოდარის მოსაშველებლად თეიმურაზი მოდისო. ამ ხმებმა ვერ გატეხა როსტომი, ბრძანება გასცა, რომ „ხონთქარიც მოეშველოსო, სიდამდისინ ნოდარს ციხიდან არ გამოვიყვანო, აქითგან არ დავიძვრიო“. ალყა დიდხანს გაგრძელდა, „წყალკურთხევამდისინ სრულ ქართველთ ლაშქარი ზოვრეთის ციხეს ადგნენ და ვერ აიღეს და არც მშველი გაუჩნდა და ციხეს შიგნით ყმათ უმუხანათეს და ჰგმეს ბატონი და გაუორგულდნეს და ციხის გაცემას შეუდგნეს: ეს ნოდარ შეუტყო, რომ ყმანი ღალატს უპირებენ, „ჩათრეულს ჩაყოლილი აჯობინა. და თავისი დედა კახეთის ბატონისშვილი როსტომ მეფესთან სახვეწარად გამოგზავნა.“¹

პირველწყარო ცხადად მიანიშნებს მძოვრეთის ციხის კედლების სიმტკიცესა და აუღებლობას, რომელიც დიდმა ზარბაზნებმაც ვერ დაანგრია, იგი მხოლოდ მოსალოდნელი ღალატის გამო ითხოვს ციხიდან მშვიდობიანად გასვლის ნებას. ბრძოლის ისტორიისათვის საყურადღებოა, რომ არა ღალატი, ნოდარ ციციშვილს ვერც ხანგრძლივი ალყა გასტეხდა, რაც ამკარად მიანიშნებს ციხის საბრძოლო მზადყოფნაზე წყლისა და სურსათის მარაგის, საბრძოლო საჭურველის მუდმივ უზრუნველყოფაზე.

¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, წიგნი II, გვ. 249.

ფაქტიურად, ციხე შიგნიდან გატყდა. ნოდარმა ამჯობინა, მშვიდობიანად გასცლოდა. მან თავისი დედის პირით როსტომს „გაცლის გზა სთხოვა. ვითაც ნათესავი იყო მეფისა“ შორს-მჭვრეტელმა როსტომმა დათმობა ამჯობინა. მან ნოდარს „უვნებლობის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისი მხლებლებით და ქონებით არაუშავდეს რა და ამდენი ცხენი, ჯორი ათხოვეს ზოვრეთიდამენ, რომე თავიანთ ქონებით ახალციხემდისინ მიასხან.“¹ ამჯერადაც როსტომმა სავსებით სწორად შეაფასა პოლიტიკური სიტუაცია. გაითვალისწინა, რომ ახალციხის საფაშოში დარჩენილი ფანასკერტელების მეორე ძირძველი საგვარეულო შტო ათაბაგთა მხარდაჭერითა და ერთგულებით გამოირჩეოდა, რომელთაგან მფარველობა არაერთგზის ჰქონდა ნოდარ ციციშვილს. როსტომ მეფე ასევე ითვალისწინებდა თეიმურაზის საგარეო ურთიერთობებიდან მომდინარე საფრთხეებს, ნოდარის მხარდამჭერ დიდ ძალასა და გავლენას, მათ შორის ტაოში დარჩენილ ფანასკერტელთა საგვარეულოს ოსმალებთან შესაძლო ალიანსს და ციციშვილისთვის დახმარებას ახალციხის საფაშოდან, მიუხედავად 1639 წლის ზოჰაბის ზავისა, რომელიც გაცილებით მეტი საფრთხის მომტანი იქნებოდა.

პროფ. ი. ცინცაძის ობიექტური შეფასებით, თეიმურაზის შეურიგებლობამ ირანი აიძულა დათმობაზე წასულიყო და როსტომს საშუალება მისცა, მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა.² აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როსტომმა შესანიშნავად იცოდა, შაჰის იძულებით ლოიალურ პოლიტიკაში დიდი წვლილი ნოდარ ციციშვილის გამირულ ბრძოლებსაც უდავოდ შეჰქონდა. როსტომის შემრიგებლური პოლიტიკა საციციანოზეც დადებითად აისახა

¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, წიგნი II, გვ. 249.

² ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის წარსულიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1955, გვ. 212.

და დროებით შეწყდა სახლისკაცთა შორის დაპირისპირება.¹

ირანის შაჰის, შაჰ-აბას II-ის (1642-1667 წწ.) კარის ისტორიკოსი, მირზა მოჰამედ თაჰერე ვაჰედი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მძოვრეთის ციხის აღწერას და ნოდარ ციციშვილის მიუდგომელ მძოვრეთის ციხეში გამაგრების ისტორიას: „ ამ ციხის სიმტკიცე და სიმაგრე, [მისი მისასვლელი] გზების სიძნელე და ტყეების სიხშირე იქაურ ხალხში ანდაზად არის გადაქცეული. მოკლე ხანში, მისი უდიდებულესობის „ღვთის ჩრდილის“ (შაჰის) ბედნიერი იღბლის ძალით, ის ფუძემდგარი ციხე შავ მიწასთან გაასწორეს და იმ დაკარგულის ცოლ-შვილი დაიჭირეს. ის ბოროტგანმზრახველი, უსაზღვრო სინანულში ჩავარდნილი (ნოდარი), გაიქცა და ახალციხეს მივიდა. ამ ცხადი გამარჯვებისა და ძლიერი ციხის აღების შემდეგ, ადამ-სულტანი ძლევამოსილი ლაშქრით კახეთში შევიდა ... ძლევამოსილი ჯარის წამოსვლით შემფოთებულმა თეიმურაზმა ხელი აიღო სამეფო მოწყობილობაზე და გაქცევა არჩია ... თავადებმა, აზნაურებმა და ქართლისა და კახეთის მცხოვრებლებმა, რომელნიც ბოროტმოქმედებისა და მზაკვრობის გზას ადგნენ [აქამდე] თავისი ნამოქმედართ სინანულში ჩავარდნილებმა, თავის შეცოდებათა და დანაშაულთა პატიება ითხოვეს.“² როგორც მოტანილი ფრაგმენტიდან ჩანს, დიდი მასშტაბის საშიშროების გამო შაჰი იძულებულია, მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოაგზავნოს როსტომ მეფის დისწულის, ადამ სულტანის მეთაურობით.

გავლენიან და სამეფო კარზე აღზევებულ ციციშვილებთან დამოკიდებულება ხშირად იცვლებოდა, საგარეო ორიენტაციის მკვეთრი ცვლილებების შესაბამისად. განსაკუთრებით „ორიანო-

¹ ხეც, ფ. Ad, საბ. 1080; შდრ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებული, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, წ. II, ტფ., 1897, გვ. 464.

² მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვლ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბ., 1954, გვ. 381-382.

ბისას“, საწინააღმდეგო პოზიციებზე მდგომ ციციშვილთა საგვარეულოში ჩამოვარდნილ ხანგრძლივ და სისხლიან დაპირისპირებას ხშირად რეზიდენციის ნგრევა-განადგურება მოსდევდა.

1466-1467 წლებით დათარიღებული ბაგრატ მეფის შეწირულების, მამულის წყალობის და სასისხლო სიგელები¹ იმერეთიდან ქართლში შემოჭრილი ტახტის პრეტენდენტის, ალექსანდრე დიდის ძმისწულის, ბაგრატ VI-ის (1466-1478 წწ.) მეფობას ადასტურებენ. ორიანობაზე მიუთითებენ ხაზგასმით ევროპული წყაროებიც.² ასეთივე ცნობაა დაცული ავშანდამეთა ნატყუარ სასისხლო სიგელში.³ ამ მძიმე განსაცდელის ჟამს ბაგრატის მხარეზე გადადის მეფე კონსტანტინეს ძმა, დავით ბატონიშვილი. ზევდგინისძეთა სიგელში დაცული ცნობით: მეფე კონსტანტინეს ერთგული ციციშვილების დასასჯელად, „ბაგრატ მეფე ქართლში გადმოვიდა და ციციშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა“⁴ „გაღმა მხარის“ მეფის სადროშოს და მეწინავე სადროშოს „სპანი მარადის“, სპასპეტის ზაზა ფანასკერტელის საბრძოლო მზადყოფნამ ფაქტიურად შეაჩერა ბაგრატის ამბიციური გეგმები.

გზააბნეული და ერთმანეთთან დაპირისპირებული ციციშვილთა საგვარეულო შტოები, „ორიანობის“ შიშსა და გაურკვევლობაში მყოფნი, ხშირად ისევ შაჰის „მფარველობას“ არჩევდნენ. ვახტანგ V-ის „ხოშკარუს ქარვასლაში“ გარდაცვალებას 1676 წელს მაშინვე მოჰყვა შაჰისგან სპარსეთში მყოფი მისი გამაჰ-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2014, გვ. 151, 155, 165.

² XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981, გვ.21, 54, 75-83; ქართული დიპლომატია, წელიწადული 11, თბ., 2004, გვ. 95.

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, II, ტფ., 1897, გვ. 265.

⁴ ხეც. ფ. Sd, ს. 1242.

მადიანებული უფლისწულის, ისპაჰანის ტარუდის ალექსანდრეს ქართლის ტახტზე გამეფების გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, შაჰს შეუმჩნეველი არ რჩებოდა, ერთი მხრივ, შაჰნავაზის და ბატონიშვილი გიორგის მისადმი მოჩვენებითი ერთგულება, ფარულად წარმოებული ქვეყნის გაერთიანებისათვის აქტიური ღონისძიებები და შენიღბული ანტისპარსული საქმიანობანი.

სწორედ შაჰის საპასუხო ქმედებად შეაფასეს ვახტანგ V-მ და გიორგი ბატონიშვილმა ისპაჰანის ტარუდის, გამაჰმადიანებული უფლისწულის, ალექსანდრეს გავლენის ზრდა ირანში, ამას დაემატა სპასპეტის და სახლთუხუცესის, ზაზა ციციშვილის ნათესაური ურთიერთობის გააქტიურება, მათი სიახლოვე შაჰის კართან, შაჰ სულეიმანის (1666-1694 წწ.) მიერ ზაზას თავისთან მიწვევა 1671 წელს და შაჰის ხალათის წყალობა,¹ რაც საბედისწერო აღმოჩნდა ქართლის სამეფოს სპასპეტისა და სახლთუხუცესისათვის.² გიორგი ბატონიშვილმა შაჰისაგან ალექსანდრე ბატონიშვილის ქართლის სამეფო ტახტზე აყვანის ვერაგული საფრთხის გამო სისრულეში მოიყვანა ალექსანდრესთან დაახლოებული სპასპეტის და სახლთუხუცესის, ზაზა ციციშვილის მკვლელობა 1672 წელს.

ვახუშტისეული შეფასებით, ზაზა ციციშვილი: „განდიდნა და იქცეოდა ამაყად“, შეფარული მცდელობაა, როგორმე გაამართლოს სარდალ-სახლთუხუცესის მკვლელობა გიორგი ბატონიშვილის მიერ. ირანის შაჰი, რა თქმა უნდა, შაჰნავაზის თანამონაწილეობას

¹ ირანის შაჰისაგან ბოძებული ხალათის მიღება მეფე-მთავრებისაგან ერთის მხრივ მინიშნება შაჰის სიუზერენობის აღიარებას და ერთგულებას, მეორე მხრივ ითვლებოდა ხელშეუხებლობის და წარმატების გარანტიად. დიონიჯო კარლის მიხედვით, ნათელი ხდება შაჰის გამოგზავნილი ხალათის ჩაცმის დადგენილი წესი. ბ. გიორგაძე, დიონიჯო კარლის ცნობები თბილისის შესახებ, (მე-17 ს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., გვ. 175-176.

² სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვ. I. თბ., 1962, გვ. 28, 41-42.

არ გამორიცხავდა. ამიტომაც იყო, რომ შაჰნავაზის გარდაცვალებისთანავე: „...შემდგომად მამისა თვისისა წილ მოუწოდა ყვენმან გიორგის, ძესა მეფისასა, წინაშე თვისსა, რათა მისცეს ქართლი და მეფობა. მსმენელი გიორგი, ძე მეფისა წარვიდა წინაშე ყვენისა ... ხოლო მისრულისათვის გიორგის ძისა მეფისათვის არღარა ენება ყვენსა მიცემად ქართლი შაჰსულეიმანს ... არამედ ერეკლესათვის ძის-ძისა ბატონის თეიმურაზისა. ამისი მცნობელი არჩილ მეფე სადგერს მყოფი ჩამოვიდა ქართლს და იწყო პყრობა ქართლისა ... რათა სცნას ყვენმან და მოსწრაფედ წარმოავლინოს ძმა მისი გიორგი.“¹ სადგერიდან გუჯარეთის ხეობით შემოსულ არჩილს, მამის ციხის ახლოს, გვერძინეთთან დაუხვდნენ გიორგი ბატონიშვილის მიერ დასჯილ-შევიწროებული ციციშვილები. არჩილის მიერ შერჩეული სტრატეგიული სამიზნე მხარე, ოსმალეთის საზღვრისპირა სპარსოფილი სათავადო, შემთხვევით არ იყო სამიზნედ ნიშანში ამოღებული. ეს იყო ირანისთვის მეტად სახიფათო გზავნილი - გათვლილი დაუძინებელი მეტოქის ოსმალეთის „გააქტიურების“, შესაძლო მოკავშირეობისათვის, რომლის შემოყვანა მამის ხეობით ქართლში მეტად რეალური საფრთხის მომტანი იქნებოდა ირანისთვის. ამიტომაც იყო, რომ როგორც კი „ესმა შაჰ-სულეიმანს დაპყრობა ქართლისა არჩილისგან, განიზრახა განდგომა ქართლისა, მსწრაფლ მოუწოდა გიორგის და მისცა ქართლი და ნიჰნი დიდნი და წარმოავლინა გამაჰ-მადიანებული დიდებითა მუნებურითა.“ (1678 წ.)² ამის შემდგომ მამის ხეობა და ქართლის დიდი ნაწილი მეფე გიორგის (1676-1688 წწ.) მფლობელობაში მოექცა. მოწინააღმდეგეთა შემორიგების ნაცვლად მისგან დასჯილ-შევიწროებული პროირანული ორიენ-

¹ ქართლის ცხოვრება IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 456-457.

² იქვე, გვ. 457.

ტაციის მქონე ციციშვილები ერეკლე ნაზარალიხანის გარშემო ერთიანდებიან.

მეფე გიორგის მომხრე ციცი ციციშვილი ისევ შეეცადა. ნაზარალიხანის (1688-1703 წწ.) მომხრე ბიძაშვილებს დაკავშირებოდა: „ ქუეგანხედველ ექმნა გიორგი მეფესა ციცი ციციშვილი და აცნობებდა ყოველსავე ნაზარ-ალიხანს, რამეთუ იყო ლოპინა მის თანა. ორმეფობის ხვედრი მისთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა, ამისთვის შეიპყრა გიორგი მეფემან ციცი, მოაშთო იგი და მისცა საციციანო ფარსადანს ნოდარის ძესა“ (1694 წ.).¹ ფარსადან ნოდარის ძის საგვარეულო შტოს ჯერ კიდევ არჩილისა და გიორგი მეფის დროს გაერთიანების (ერთპირობის) წიგნით შეუფიცავთ ერთგულება.²

ნარატიული წყაროების მიხედვით, მალე გიორგის მომხრეების წინააღმდეგ საბრძოლველად ნაზარალიხანი ერთგულ მოხელეს, ქაიხოსრო ციციშვილს, ლოპინას აგზავნის. 1691 წელს ქართლში გადმოსული მეფე გიორგი 4 წელი ებრძოდა ერეკლეს ქართლის ტახტისათვის. სამჯერ სცადა გორის ციხის აღებაც, მაგრამ უშედეგოდ.

ქაიხოსრო ციციშვილი 1695 წელს ერეკლე I-ის და ქალბალი ხან ზიად ოღლი ყაჯარის ბრძანებით გაემართა ყარაბულახს, იქიდან - თრიალეთს - თორის მთით, გუჯარეთში, აქედან თოთხამზე-აბუხალო-გვერძინეთის გავლით „გარდმოვლო მთა თორისა, გუჯარეთსა ზედა და დადგა გვეძინეთს,“ მძოვრეთის გარეუბანში. მეფე გიორგი მომხრეებს ბრძოლისკენ მოუწოდებდა, მაგრამ „არა ინებეს კუალად მთავართა. ამისთვის წარმოვიდა მეფე (გიორგი) კრკონს, აჰყარა მუნ მდგომნი დედა-

¹ ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 470.

² საქართველოს სიმეღენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქ. ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ. 139, დოკ. № 111

წულნი თვსნი ... და წარვიდა იმერეთს, ხოლო ნაზარ-ალიხან და ქალბალიხან მოვიდნენ გორს.¹ როგორც ვხედავთ, შინაპოლიტიკურ და დინასტიურ ბრძოლებს შედეგად მოჰყვა მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების ნგრევა-დაქვეითება და ორად გაყოფილ საგვარეულო შტოებს შორის ორმეფობის რეალური სინამდვილით გამოწვეული ახალი, თავსდატეხილი სისხლისმღვრელი დაპირისპირება.

„ოსმალობისას“ ამ მხარის მძიმე მდგომარეობის სრულ სურათს წარმოგვიდგენს 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთარი. იგი სანდოობით გამორჩეული წყაროა, რადგან ოსმალური დავთრები დგებოდა ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ, რომლის მონაცემები სულთნის კარზე ზუსტად მოწმდებოდა. დამპყრობლების ხელში აღმოჩნდა საციციანოს ნაჰიეს მნიშვნელოვანი ადგილმამულები, დავთარით ირკვევა, როგორ შემოჰქონდათ ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები და როგორ ამკვიდრებდნენ ოსმალურ საგადასახადო სისტემას.

დავთრის მიხედვით, საციციანოს ნაჰიეში ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის შედეგად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით საილუსტრაციოდ წარმოვადგინეთ საციციანოს ნაჰიეს გადასახადები ცხრილის სახით, საიდანაც კარგად ჩანს, ოსმალებს როგორ დეტალურად ჰქონდათ აღწერილი სოფლების მიხედვით კომლობრივი გადასახადები. დაანგარიშებულია ნაჰიეს სოფლების გადასახადთა საერთო ჯამი. დავთრიდან ჩანს საციციანოს მოსახლეობაზე დაწესებული მძიმე ოსმალური გადასახადები სოფლების მიხედვით, მათ შორის გაუკაცრიელებულ ე. წ. „ცარიელ რეაიაზე“. საციციანოს ნაჰიეს ცხრილის მიხედვით, ნაჰიეში სულ 134 სოფელი შედიოდა. ცარიელი სოფლებია -19, მცირეკომლიანი

¹ ქართლის ცხოვრება IV, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 473;

სოფლები 1-დან 10/11კომლიანი - სულ 43 სოფელია. ამათგან მძოვრეთსა და ძამის ხეობის 20 სოფელში მცხოვრები მხოლოდ 311 კომლია. აღნიშნული სოფლები ახალმიტოვებული, გაუკაცრიელებულია და მხოლოდ სათესველად გადაქცეულა ოსმალთა ხელში. ერთი და იმავე რაოდენობის კომლიანი სოფლები გადასახადების განსხვავებულ რაოდენობას იხდიან, რაც დევთერდარის პირად ინტერესებზეც მიანიშნებს.¹

ოსმალებმა თითოეულ კომლს დააკისრეს მძიმე ოსმალური გადასახადები: ისფენჯი, უშრის გადასახადი ხილზე, ვენახზე, ბოსტანზე; გადასახადები: ერბოზე, სკაზე, თივაზე, ღორზე, ცხვარზე, წისკვილზე, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი, ბადიჰავას, რესმი არუსანე, ჯურუმ ჯიბაიეთის, იავასა და კაჩკუნის, ბეითალმალის ამესა და ხასეს გადასახადი. საციციანოს ნაჰიეს სოფლების გადასახდის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მოსახლეობას ეკარგებოდა მეურნეობის წარმოების ინტერესი და ხშირი იყო საციციანოს ნაჰიეს ისედაც მცირე მოსახლეობის აყრა - გაქცევა და სოფლების გაუკაცრიელება. ხშირია საციციანოს ნაჰიეს სოფლების ჩამოთვლისას ფორმულირება - „ცარიელია რეაიასაგან“.

დავთარი მიანიშნებს ოსმალობის შედეგად მომრავლებულ ნასოფლარებს, დაცარიელებულ ეკლესიებს, რომლებიც სათესველების, ცარიელი „რეაიას“ მისანიშნებელ პუნქტად გადაქცეულა. კითხვას ბადებს ის ფაქტი, რომ საციციანოს ნაჰიეში მისანიშნებლად არსად სახელდება ციხე-სიმაგრეთა სახელები. რაც პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოსმალებს მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებსა და ციხე-სიმაგრეებს ხშირად სულთნის სპეციალური ბრძანებით ან ანგრევდნენ, ან ისე აპარტახებდნენ, რომ ფუნქციას ხანგრძლივად უკარგავდნენ. საინტერესოა რომ ოსმალობა არ სცნობდა ქარ-

¹ მ. მიჩიტაშვილი, საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 136-156.

თული ფეოდალური საზოგადოების სოციალურ ფენებს. ამის განურჩევლად მძიმედ იბეგრებოდა ქართველი თავადაზნაურობა. დავთარში ისინი შეყვანილი ჰყავთ რიგით გადამხდელთა შორის სახელებითა და მამის სახელებით, რომელთა იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია.

მოსახლეობის სოციალური ფენები უკმაყოფილონი იყვნენ „ოსმალობით“, როგორც ჩანს, არ გამოჰპარვია პორტას ქართველთა ასეთი განწყობა. სულთანნი ფირმანითაც მოითხოვდა მათგან მორჩილებას და ქვეშევრდომობის ვალდებულების დაცვას.¹

1723 წლიდან 12 წლის განმავლობაში ოსმალთა მძიმე უღელმა და ხარკმა მოშალა მეურნეობა, დაცარიელდა სოფლები. სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, აჯანყება ირანთან შეთანხმებით იგეგმებოდა. „მოუვიდათ ქართველთ ბრძანება და აშლა ურუმთა“ ქართველთა გამარჯვების მიუხედავად ოსმალები ადვილად არ დანებდნენ, შეეკრნენ დაღესტნელ ფეოდალებს. იწყება გახშირებული შემოსევები ძამის ხეობაშიც.

1735 წლიდან „ოსმალობა“ „ყიზილბაშობამ“ შეცვალა. ნადირ-შაჰმა ქართ-კახეთში ირანული წეს-ჩვეულება და გადასახადები შემოიღო. ყიზილბაშებმა ოსმალების მსგავსად აღწერეს ქვეყანა და უმძიმესი ხარკი დაადეს მოსახლეობას. 1741 წელს ქართლში მოვიდა მუშეიზი, „რომელ არს მწერალი ქვეყნისა, აღწერად ქართლისა. ესრეთ იყო აღწერა: რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხრევი დასდევს, ეგრევე ამ სახით შენობა სადმე იყო, დიდი ხრევი დასდევს. ვითარცა ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ეგრევე ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს ვაზები, ეგრე ვაზის სათვალავს, რასაც მიხვდნენ, ვაზს ერთი ბისტი დასდევს, სოფელსა და ბაღსა შინა, რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდევს, კაცს - ორი მინალთუნი,

¹ ს. ჯიქია, XVIII ს. ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ. 99, აღმოსავლეთ-მცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 154-155.

ყმაწვილსა ასაკოვანსა - ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს ყმაწვილზე, პირუტყვზე, ყოველსა ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველსფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდევს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო. ოდეს ურუმთ მცირეთა ეს ქვეყანა ეჭირათ, მაშინ იმათაც დაწერეს და დასდევს მირი, რომელ არს ხარკი, თორემ არასდროს ერანის კელმწიფისაგან ქართლის ქვეყანა არ დაწერილიყო. ესეც ცოდვათა ჩვენთა დავაბრალოთ. ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოკრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის კელით კაფდის და აოკრებდის. ვინც დარჩა, კიდეც ამისი იმედი ჰქონდათ, რომ ერთი მემკვიდრე ბატონი გამოგვიჩნდება და ამ ჭირისაგან გამოგვიხსნისო“.¹

დალესტანში გაჭიანურებული ომის გამო ყიზილბაშთა ლაშქარს სურსათი შემოაკლდა, უმძიმეს ხარკს დაემატა ნადირ შაჰის ახალი ბრძანება: „რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აძევსო, იმისი სულ ლიტრა ერთ ბისტათ პური მამეცითო“. პაპუნა ორბელიანის ცნობით, ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ, თქვენმა მზემა, ბევრჯერ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ. დაუწყეს თხოვნა პურისა, ეკიდა კაცი და დედაკაცი, მრავალი სული ჯოხით მოკუდა. თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის კელით შვილებს აძლევდენ. მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა.“² ყველასთვის ცხადი შეიქმნა „ყიზილბაშობამ“ უარესი განსაცდელი დაატყდა თავს. ყიზილბაშური („მალუჯათი“), ისეთივე მძიმე იყო, როგორც ოსმალური („მირი“) იმ განსხვავებით, რომ ახლა ნადირ-შაჰი ავალდებულებდა მოსახლეობას არა მარტო ჯარის გამოყვანას და შენახვას, არამედ

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 45-46.

² იქვე, გვ. 49.

დამპყრობელთა ჯარის სურსათით უზრუნველყოფას. აყრილ-გახიზნული ყმების, გლახაკთა და ბოგანოთა შეწერილი გადასახადების გადახდა თავადაზნაურობას დაევალა, რომლის ამოღებაზე პასუხისმგებელი იყო ქალანთარი, მერალიბეც ციციშვილი¹.

1742 წლის 11 ივლისს ქართლში აჯანყების დაწყების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პაპუნა ორბელიანი². ამ საკითხის დეტალური განხილვა სცილდება ჩვენს საკვლევ თემას, ამიტომ შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგადი ცნობით, რომ „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ პერიოდიდან სამცხიდან ქართლში შემომავალი გზა ძირითადად ტყვეთა გაყვანის სარფიან გზად გადაიქცა. ძამის ციხე კი ციციშვილთა საგვარეულო შტოებს შორის სისხლიანი დაპირისპირების და ტყვეთა ვაჭრობის ეპიცენტრი ხდება.

ამ დროს აჯანყებულთა მხარეს იყო შიდა ქართლის, ქსნის, არაგვის, გუჯარეთის ხეობები, ძამის ხეობა და ახალციხისკენ გადასავლელი გზები, რომელთა ნაწილი სწორედ საციციანოზე გადიოდა. ზემო საციციანოს აჯანყებაში მონაწილეობაზე მიუთითებს პაპუნა ორბელიანის მეტად საყურადღებო ცნობა: „ალი-ხანმა დაიჭირა ციციშვილები ალექსანდრე, დავით და ოთარი: „ამილახორს ელაპარაკებითო“. იწყინეს ეს საციციანოს, მისცეს მართლად ციხეები ამილახორს აბუხალ და მძოვრეთისაისა. შეაყენეს კაცნი ამილახორისანი, დადგა თითონ ამილახორი სურამის ციხეში და მოუმატა გალავანი და ეცადა სიმაგრესა.“³

1743 წლის მარტის ბოლოს ქართლში ხოჯა-ხანი შეცვალა ალი-ხანმა (ტომით ხვარასნელი, ქართლის ხანი 1743-1744 წწ.) როგორც ჩანს, ციციშვილები გივი ამილახვართან გასაიდუმლოებული ურთიერთობისას ძალზე ფრთხილობდნენ, ყიზილბაშე-

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, თბ., 1981, გვ. 350.

² იქვე, გვ. 66.

³ სცსსა, ფ.1448, საქმე 5048-ა.

ბისაგან ინსპირირებულად მოქმედებდნენ, რადგან ქართლის ქალანთარის ცნობით, საციციანოს მოვლა-პატრონობა, ბატონყმობის რიგის მოწესრიგება ამ დროს მეფე თეიმურაზის ბრძანებით მას ევალებოდა: „წადი თქვენს ქვეყანაში, შენობა ჩამოაგდეო, მეც წყალობას გიზამო.“¹

აშკარა ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენია ალი-ხანს ყიზილბაშთა მძიმე უღელქვეშ მყოფი საციციანოს დიდი ნაწილი ფარულად როგორ უჭერდა მხარს განმათავისუფლებელ ბრძოლებს. აჯანყებულთა მოკავშირის ძალებზე მიგვანიშნებს 1744 წლის სეფიანთა ტახტის მამიებელ შამზადას ფირმანი ქართლის დიდებულთა და მდაბიოთა სახელზე გივი ამილახორთან გაერთიანებისა და უსუფ ფაშასთან დაკავშირების შესახებ.² „ციციშვილი ოთარი დაჭერილი ჰყავდა ალი-ხანსა, გაიპარა და მივიდა ამილახორთან. „მოუხდა იქიდან მძოვრეთის ციხესა, ღალატით აიღო, აიკლო თავისი სახლის კაცები. სეხნია შვილებით დაატყვევა, ელენე ბატონიშვილი, რომელი ჰყვანდა ზაზა ციციშვილსა, საქონლით სულ აიკლო, შეაყენა ციხეში თავისი მისანდო კაცი. შეიტყო ალი-ხან, ცოლ-შვილი ქალაქში ყვანდა, დაუჭირა და პატიმარყო, მაგრამ მან არად თავს შეიდვა.“³ მეფე თეიმურაზმა, როგორც ჩანს, აჯანყებულ ციციშვილებთან დაპირისპირების ესკალაციის და ყიზილბაშთა დამსჯელი ექსპედიციების სასტიკი თარეშის თავიდან აცილების მიზნით, ამჯობინა, საციციანოს სათავადოს და მძოვრეთის ციხის მოვლა-პატრონობა ქალანთარისთვის ჩაებარებინა. პაპუნა ორბელიანის ცნობით: „დღეის აქამდისინ ქართლში ქალანთარი არ ყოფილიყო, ახლა ამ ჯელმწიფემ გაარია.“⁴

¹ სცსსა, ფ.1448, საქმე 5048-ა.

² მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949, გვ. 77-78;

³ პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 68.

⁴ იქვე, გვ. 66.

ქართლის ქალანთარი¹ ისპაჰანში გაზრდილი, გამაჰმადიანებული, მერალიბეგ ციციშვილია. ამ სახელოს ფლობდა 1744-1750 წლებში. სპარსულ ორენოვან საბუთებში ქალანთარის სამოხელეო სახელო ვ. ფუთურიძის განმარტებით: „ქალანთარი, (სპარს.) ქალაქის თავი, ქალაქის პოლიციის უფროსია.“ ვ. გაბაშვილის ცნობით „ირანული საქალაქო წყობილების გავლენის შედეგად გაჩნდა მელიქი, ქალაქის ვეზირი, ქალანთარი, ასასი... რომელიც თანდათან ქართულ ფეოდალურ სინამდვილეს დაუკავშირდა“. დაახლოებით ასეთივე ცნობას იძლევა შ. მესხია ი. დოლიძე, კ. კუცია, პაპუნა ორბელიანი. ჩვენს მიერ მოკვლეული ფაქტობრივი მასალების მიხედვით, ბევრად უფრო ფართოა ქალანთარის სამოხელეო მოღვაწეობის ასპარეზი და უფლება-მოვალეობებანი. ქალაქში გადასახადების გაწერა-შეგროვება. ოფიციალური დოკუმენტების შედგენა-გაცემა, ყიზილბაშური ჯარების ქალაქში მიღება-დაბინავება და სურსათით უზრუნველყოფა. სამხედრო საქმეში ექვემდებარებოდა პროვინციის გამგებელს. იცავდა ქალაქის უშიშროებას. მონაწილეობდა საგარეო ომებში.“ XVII–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონიკებში დაცული ცნობით: „1750 წელს მოინათლა გათათრებული მეჰრალიბეგ ციციშვილი, უწოდეს დიმიტრი.“ მისი გაქრისტიანება 1750 წლის 20 ივნისის შემდგომ უნდა მომხდარიყო, რადგან ამ თარიღით შედგენილ აზნაურ, როჭიკაშვილებისადმი სოფლის დაბრუნების წიგნში, უკანასკნელად გვხვდება ქალანთარი, მერალიბეგ ციციშვილი. ქალანთარის სახელოს შემოღება ქართლის სამეფოში უკავშირდება ნადირ-შაჰის სახელს. ითვლებოდა ყიზილბაშური ადმინისტრაციული აპარატის მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო სამოხელეო სახელოდ. შაჰის კარზე ხანგრძლივი ყოფნა და

¹ შ. მიჩიტაშვილი, ქალანთარის სამოხელეო სახელოს ისტორიისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, თბ., 2016.

ქალანთარის მაჰმადიანობა ერთგვარი პოლიტიკური სანდოობის მოწმობა ჩანს ნადირ-შაჰისთვის. დოკუმენტების მიხედვით, იგი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან ახლო კავშირშია. მის შესახებ პაპუნა ორბელიანი აღნიშნავდა: ესე იყო ციციშვილი, ძე ედიშერისა, რომელი ისპანს გათათრებულიყო, და ეს ქალანთარი მერალი-ბეგ იქ გაზრდილიყო და ამ ჯელმწიფისათვის ბევრი ემსახურა. სამსახურის სანაცვლოდ ეს წყალობა უყო სამოცი თუმანი ჯამაგირი განუწყესა და ქართლის ქალანთრობა მისცა.¹

პირველწყაროთა შედარებითი ანალიზით, შევძელით მერალიბეგ ციციშვილის იდენტიფიცირება და მისი გენეალოგიური შტოს დადგენა. ქალანთარის მამა, ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი, ედიშერ ქაიხოსროს ძე ციციშვილია. ჯერ კიდევ 1717 წელს უფლისწულ ბაქარის დავალებით წარმატებით აწარმოებდა მოლაპარაკებას ირანის შაჰთან ბაქარის ქართლის გამგებლობის თაობაზე. შაჰისაგან ედიშერი ქართლის ვექილობასაც იღებს. 1719 წელს ირანიდან დაბრუნებული ვახტანგ მეექვსე, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს პროირანული ორიენტაციის ციციშვილებს. მათ შორის მეფის რისხვა პირველად თავს დაატყდა სპარსეთის შაჰის გავლენიან მოხელეს, ქართლის ვექილს, სამეფო კარის სახლთუხუცესს, ედიშერ ციციშვილს.

ჩვენ მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი 1722-1723 წლის საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ქართლიდან გაქცეული ედიშერ ციციშვილი, მოგვიანებით კახეთის მეფე კონსტანტინეს სამეფო კარზეა და სწორედ ედიშერის შაჰთან შუამავლობით იღებს ქართლის ტახტს, სანაცვლოდ მძევლად ითხოვს მის მცირეწლოვან შვილს. კონსტანტინეს მკვლელობის შემდეგ (1732 წლის დეკემბერი), მისმა მმამ თეიმურაზ მეორემ დაუფასა ამაგი ციციშვილებს და ერთგულთა დასში ჩანს ქაიხოსრო ედიშერის ძე

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, თბ., 1981, გვ.66.

ციციშვილი. პაპუნა ორბელიანის ცნობით იგი ყოველთვის თან ახლდა ბრძოლებში მეფეს: „წაბრძანდა ბატონი ჯარით ... უთავა მერალიბეგ ციციშვილი, რომელი იყო ქალანთარი ქართლისა, გარდაუსივა ჯავახეთს, ახალციხის აქეთ სულ დაარბივის და მოვიდნენ მრავალის საქონლით...“¹

1736-1742 წწ. დოკუმენტით მილახვარბაში მერალიბეგი, ყმა-მამულს ნადირ-შაჰისგან იღებს, საათაბაგოს საზღვრისპირა გუჯარეთში, მის მფლობელობაშია ძამის ციხე, ქალაქი მძოვრეთი. იგი განაგებს მთლიანად შემოსავლებისა და გადასახადების აკრფვის საქმეს. შაჰის ინტერესებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია საათაბაგოსთან საზღვრის გაკონტროლებაზე, მათ შორის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საზღვრისპირა მისასვლელ გზებზე მეთვალყურეობასა და დაცვის უსაფრთხოებაზე. მეფე თეიმურაზმა „თანხმობითა და მეგობრობის პირობით“ შეძლო დაექვემდებარებინა სამეფო ხელისუფლებისათვის არა მარტო მისი სამოხელეო სახელო, არამედ გაეზარდა მის წინაშე ქალანთარის პასუხისმგებლობა. მეფე ქალანთარს ირანულ გარნიზონთან ერთად მოხერხებულად იყენებდა ლეკთა გამუდმებული თარეშის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაკისრებული პასუხისმგებლობით თავადაც დიდად სარგებლობდა გათავისუფლებულ ტყვეებს და ჯავახეთიდან გადმოსულ მოსახლეობას ძირითადად თვითონ ასახლებდა მძოვრეთსა და ძამის ხეობაში. „ყიზილბაშობის“ მძიმე მდგომარეობით მომრავლებულ „ხარაბა“ სოფლებში კი მამულებს იაფად, ყულის გადახდისა და ციხის აშენების პირობითაც ყიდულობდა.

1751 წლის 29 ივლისით დათარიღებულ მეფე თეიმურაზის წერილში, მეფე ამაღელვებელი, თბილი სიტყვებით მიმართავს, ქრისტიანად მონათლულ დიმიტრი ციციშვილს და ლეკების წი-

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, თბ., 1981, გვ. 86.

ნააღმდეგ ბრძოლას ავალეზს.¹

მერალიბეგ ციციშვილის გაქრისტიანება 1750 წლის 20 ივნისის შემდგომ უნდა მომხდარიყო, რადგან ამ თარიღით შედგენილ აზნაურ, როჰიკაშვილებისადმი სოფლის დაბრუნების წიგნში, უკანასკნელად გვხვდება ქალანთარი, მერალიბეგ ციციშვილი.

ქართლის ქალანთარი, გამაჰმადიანებული მერალიბეგ ციციშვილი² 1747 წლის არზაში დაწვრილებით და საინტერესოდ აღწერს ბიძაშვილების ღალატს, ალექსანდრე, დავით და ოთარ ციციშვილების ძამის ციხეზე თავდასხმასა და ტყვეთა ვაჭრობის შესახებ. ციხეს თავშეფარებული მისი 59 კომლი აზნაურიშვილი და ყმა-გლეხი შეუპყრიათ. „ალი-ხანს რომ ბატონობა მისცეს ... იმ ხანათ მე კელმწიფის კარზე დამიბარეს ანგარიშისათვის. ჩვენი წილი ყმა რაც მყვანდა - ან ქართველი, ან სომეხი, ან ურია, ან აზნაურიშვილი და ან იმისი გლეხი - სულ ძამის ციხეში მოვაგროვე. ალექსანდრემ თავისი საყმო მძოვრეთის ციხეში მოაგროვა. მე რომ კელმწიფის კარზე წაველ, ალექსანდრე და იმისი ძმა დავით აბდულ-ბეგს დაეჭირა ჩვენი აზნაურიშვილებიც. ოთარა ვახტანგის შვილმა ლეკი მოიყვანა და მძოვრეთის ციხეს სულ ყათლანი უყო ... ნათლობითა და შერიგებითა მამატყუილეს ... ძამის ციხეს უღალატეს ... სულ ყველას მოუსვა კელი და თათრებს მიჰყიდა ... დასახოცი დახოცეს, გასაყიდი გაყიდეს; ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა.“³ დოკუმენტს დაერთვის ძამის ციხეში მყოფი აზნაურიშვილთა და გლეხთა ნუსხა, გაგაცნობთ მხოლოდ აზნაურიშვილთა ტყვეებად გაყიდვის ერთ ნუსხას და მათგან გატაცებულ ქონებას: „ა.ქ. გვერდწითელი სალთხუცესი გიორგი, კვამლი ერთი ცოლით, შვილით, ძმით, ძმისწულებით, შვილებით, მოახლით და მოსამსახურეებით, ა.ქ. ამისი განაყოფი რამაზა ხიზნითა კვამლი.

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.11508; ფ. Qd, საბ. 9499.

² სცსსა, ფ. 1448, საქმე 5048 ა.

³ სცსსა, ფ. 1448, საქმე 5048 ა.

- ა.ქ.ამათი ყმა ტურაშვილი კვამლი.
- ა.ქ.სვიმონ კვამლი.
- ა.ქ.ოთარა კვამლი.
- ა.ქ.ქვრივიშვილი ხიზნითა კვამლი.
- ა.ქ.ხაბაზი კვამლი.
- ა.ქ.სადებაშვილი კვამლი.
- ა.ქ.კიდევ აზნაურშვილი ბუნიათიშვილი ცოლ-შვილით კვამლი.
- ა.ქ.ამისი ყმა კუპრაძე კვამლი.
- ა.ქ.კაკნიაშვილი კვამლი.
- ა.ქ. კიდევ აზნაურიშვილი წინამძღვრიშვილი ზაალ, ცოლითა, შვილითა, ძმითა, რძლითა, მსახურითა კვამლი.
- ბ.ქ.ამისი ყმა დარჩაშვილი კვამლი[ორი]
- ბ.ქ. ბანკანაშვილი კვამლი [ორი]
- ა.ქ.კიდევ აზნაური წინამძღვრისშვილი შიომ ცოლით, შვილით, მოახლით, მსახურით კვამლი.
- ა.ქ.ამისი ყმა სულეიმანიშვილი კვამლი.
- ა.ქ.აზნაურიშვილი ჩინჩალაძე კვამლი.
- ა.ქ.აზნაურშვილი ქურდევანიძე კვამლი
- ა.ქ.მანველიშვილი ზურაბ კვამლი.
- ა.ქ.აზნაურშვილი მუჩაიძე კვამლი.
- ა.ქ.აზნაურიშვილი მანველიშვილი პეტრე კვამლი.
- ა.ქ.აზნაურიშვილი რაზმანაშვილი ცოლით, შვილით კვამლი.
- ა.ქ.აზნაურიშვილი უზნაძე კვამლი.
- ა.ქ.აზნაურიშვილი ტენტერაშვილი კვამლი.
- ქ. ამ აზნაურიშვილების ... ცოლ-შვილის და ყმისა ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი რაც ქონდათ ... ბევრი თუ ცოტა - თეთრი, სპილენძი, ტანთა, ფეხთა, ქვეშაგები, გუთნეული, ცხვარი, ძროხა, კანბეჩი, ღორი ამათი სარჩო პური ...“ ამ აზნაურიშვილებისა და ამათის ყმების თოფი, ხმალი, იარაღი, ტყვია და წამალი ... და ყათლანი უყო.“ verso-ზე მინაწერში ვკითხულობთ: „ამის ციხის ამოწყვეტის დავთარია, დავითისა და პაატასაგან.“

ბიძაშვილებს არც ზაზა ციციშვილი ჩამორჩენილა: „ჩემი ძმა ქაიხოსრო რომ ცოცხალი იყო, ხანჯალ-ხანის ბატონობაში (1735-36 წწ. სარდალია, 1738-1740 წწ. ბეგლარბეგი) ციციშვილმა პაატამ ყაზახობა

დაიწყო (როგორც ჩანს შეთანხმებულად მოქმედებდნენ). აქვე თან ერთვის „პაატას საკუთარი გასყიდული ტყვის დავთარი“.¹ ამის შემდეგ ქალანთარი აგრძელებს ზაზა ციციშვილის „ყაზახობის“ აღწერას ჯავახეთში: „ჯავახეთს წავიდა და იქიდან ყაზახობა დაიწყო“ 54 კომლი აზნაურიშვილი და გლეხი დაატყვევა,² თან ერთვის „ზაზას საკუთარი გასყიდული დავთარი“. როგორც ჩანს, გაყოფაზე ბიძაშვილებს დავაც კი მოსდიოდათ, „ზაზა რომ ყაზახობდა, თავისი ბიძაშვილი დავით გამოუდგა და კენალამ ერთმანერთი დახოცესო.“³ ამის შემდეგ დოკუმენტის ბოლო ნაწილში, პერიოდების თანამიმდევრობის დაცვის მიხედვით აღწერილია პაატას და ზაზას ტყვეებით ვაჭრობის მეორე სამარშრუტო გზა, იმერეთიდან სტამბოლის ბაზრისაკენ.⁴ ტყვეთა ვაჭრობით „საციციანო ასრე გაოხრებული იყო, ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყვივლია.“⁵

არზაში აღწერილი ამბები მოიცავს XVIII საუკუნის 40-იან წლებს, თეიმურაზ მეორის მეფობის პირველ პერიოდს, როცა თეიმურაზ მეფე ყაენის კარზე იმყოფებოდა, დაახლოებით 1747-1749 წლებში.

ამრიგად, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში „ციხილბაშობის“ უმძიმეს ხანას დაემატა „ლეკიანობის“ გახშირებული თავდასხმები, რომლის სამიზნე ხდება მძოვრეთიც. შიშსა და მძიმე გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობა ამჯობინებდა აყრილიყო და გადახვეწილიყო. მტრის გამანადგურებელ შემოსევებს ემატებოდა ციციშვილთა საგვარეულოში გახშირებული ურთიერთქიშპი, მტრობა, პარვა, ყმათა ტყვეებად გაყიდვა, რაც დასუსტებულ და „შეუვალობადაკარგულ“ სათავადოს ფუნქციების საბოლოო მოშლას უქადდა.

¹ სცსსა, ფ.1448, საქმე 5048, ბ .

² სცსსა, ფ.1448, საქმე 5048 c.

³ სცსსა, ფ.1448, საქმე 5048 c.

⁴ სცსსა, ფ.1448, საქმე 5048, d.

⁵ სცსსა, ფ. 1448, საქმე 5048 a.

2. მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების ისტორიიდან

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაქალაქარ მძოვრეთის ისტორია დღემდე შეუსწავლელია. ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთ საქალაქო ცხოვრების აღწერის დავთარს, მათ შორის მძოვრეთის, რაც ერთგვარად ამხელებს მძოვრეთის სავაჭრო-სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულყოფილი სურათის წარდგენას. XV საუკუნიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებამდე, დოკუმენტური წყაროების მიხედვით, მძოვრეთში ფანასკერტელ-ციციშვილები უზენაესი სამხედრო და უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფალნი ჩანან, რაც საგვარეულოს დიდ გავლენას და ძალას ჰმატებდა. მათ ექვემდებარებოდა საქალაქო ცხოვრების ყველა მხარე და, შესაბამისად, ქალაქის ადმინისტრაციული აპარატი.

მძოვრეთის სავაჭრო-საქარავნო გზაზე მდებარეობა განაპირობებდა ქარვასლების არსებობას, სადაც მუდამ მზად იყვნენ მგზავრთა გამასპინძლებისა და დაბინავებისათვის. ს. მაკალათიას ხეობაში ექსპედიციისას შეუძმჩნეველი არ დარჩენია ნაქულბაქევთა ნანგრევების ნაკვალევი, რომლის შესახებ დღიურში საინტერესო ჩანაწერიც დაუტოვებია.¹ 1679 წლის ნასყიდობის წიგნით ფარსადანი ვინმე შერმაზანას შვილისგან ქულბაქებს იძენს: „დამეჭირა და ჩემი მამისეული კვიდრი ალალი მამული ორი ქულბაქი და და ქულბაქს ქვეშ სახლის გასყიდვა მოვინდომეთ, მოვედით ჩვენ ჩვენის ნებითა და ჩვენის ნება - წადილობითა თქვენთანა და თქვენზედ მოგყიდეთ და გამოგართვით თქვენგან ღირებული ფასი...“² დუქან-ქულბაქების არსებობა ძამის ხეობის სიახლოვეს პირველად გვხვდება ატენის 1060-1068 წლების წარწერაში:

¹ გსიემ 7463/ 13-17.

² საქართველოს ეროვნული არქივი, ფ. 1450, დავთარი 18, ს. 16, საბ. 67; ფ.1450, დავთ. 19, ს.160.

„ავაგე სახლი და ქოლბაქი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა“¹

მძოვრეთში ქულბაქების შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა დოკუმენტურმა წყაროებმა. ფრანგი ხოჯაშვილი ხუდადა, რომელიც დომენტი კათალიკოსის ქვეშევრდომობაში გადასულა 1660 წელს და „ვაჭარ-მექულბაკე“ ყმების მოურაობა მიუღია.²

ვაჭრობა ძირითადად დუქნებში იყო კონცენტრირებული. ტრადიციულად გამართული სახელოსნო და სასურსათო ქულბაქების გვერდით, მოვიაზრებთ „მკურნალის“ და „ბრძენთ-მთავრის“ ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნის³ მიხედვით დამზადებულ სამედიცინო მედიკამენტების, „საჰაქიმოს“ (საექიმოს) - აფთიაქის ტიპის ქულბაქს და სამედიცინო კერის „სასწეულოს“ არსებობასაც. ამის საფუძველს იძლევა თოვმა მეწოფეცის ცნობა,⁴ 1439 წელს მეფე ალექსანდრე დიდის (1412-1442 წწ.) ავადმყოფობის შესახებ. მძაფრი ტკივილების გამო მეფე ძლიერ იტანჯებოდა, უიმედობის მიუხედავად მძიმე ავადმყოფი განკურნებულა.⁵ ავთენტური პირველწყაროს ამ ცნობას იზიარებდა ივ. ჯავახიშვილი. სამეფო კარისთვის ერთგულებით გამორჩეულ ტაოს ფანასკერტელთა საგვარეულოსთვის მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ბოძება, შესაძლოა ზაზა ფანასკერტელის მიერ მეფის მკურნალობას და გამოჯანმრთელებას უკავშირდე-

¹ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 39.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 527;

³ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, სამიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ, თბ., 1978, გვ. 25-30.

⁴ T' ovma Metsobets' i, History of Tamerlane and His Successors, p. 99-100, 119-122; სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978, 51-52.

⁵ ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, (XV-XVI საუკუნეები), წიგნი მეოთხე, თბ., 1948, გვ. 40-41

ბოდეს. ამ მოსაზრებას ადასტურებს XV საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული დოკუმენტები, რომელიც სახელოვანი მეცნიერის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1907 წელს ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე ვაჩიძორის (იგივე ვაჩეძორის) მონასტრის ნანგრევების მახლობლად, მღვიმეში იქნა აღმოჩენილი. მასში ზაზა ფანასკერტელი უკვე მეჭურჭლეთუხუცესად მოიხსენიება: „ქ. თქუნ: პატრონთა : ნათელსა : და თქუნთა : შვილთა : მეჭურჭლეთა : უხუცეს : ერისთავთა : ერისთავსა : ფანასკერტელს : ზაზასა : და თქუნსა : ძმასა : ციცის : კადრეთ : ესე : წიგნი : და პირი : მტკიცე : მიზეზე შემოუღებელი : კადრე : და მოგაცსენეთ : ჩუენ : ვაჩიძორისა : მოძღურმან : კანდელაკმან : და : ერთსულობით : კრებულმან : მოვედით : კართა : ზედა : ვიჩივლეთ : რომე : რაცა : დროსთა ნაცა : სათხოარი : შემოვიდის : მონასტრისა : შესავალშინა : ალავეთა : ამოსაწყუედლად : დაგხონან : მოიკლეთ : რომე : ვერა : ამოვიდოდით : დიდი : მისჭირდის : ალავეთაგან : ქუეყანას : მოიკლეთ : და : შეგუიწყალეთ : თქუნად : სამლოცველოდ : და ალავისა : მოსლა : ამოგუიგდეთ : რომე ერთ : ტეზოლისა : ალავეთა მეტი : ალავი : არა : შემოვიდეს : რაცა : ქუეყანასა : უკანა : სათხოარი : იყოს : რასთანაცა : მისა : წიგნსა : გუბობებდეთ ... თუ : ესე : პირი : და წიგნი : არა : გავათავოთ ... ჩუენ : ვიყუნეთ : ამა : ფიცისა : და პირისა : გამტეხელი ... თქვენ : უკუ(ე)ფიცით : ექსი : წირვა : დღესასწაულთა : თავად : გარიგონ : ჩუენთა : შემდეგომთა : საუკუნოდ : ზაზა სათუის.“¹

ქართულ დოკუმენტურ წყაროებთან ერთად² სომხური წყაროების ცნობა აშკარად მიგვანიშნებს, რომ XV საუკუნის 40-იანი წლებიდან იგი უკვე ქვეყანაში ცნობილ მკურნალად ითვლებოდა. „სამკურნალო წიგნის“ ტექსტის მიხედვით შესაძლებელი

¹ ექვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისა და ჩარგალში, თბ., 1907, გვ. 62.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს, თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, II, თბ., 2013, გვ. 239-241, დოკ. № 83, 84;

იყო 14 ძირითადი ფორმის და 405 სახეობის სამკურნალო საშუალებები ყოფილიყო გასაყიდად დამზადებული: აბები, „სალოკელი“ წამლები, „გარე შესაცხებელი“, „მატბუხები“- გასახსნელი, „შესაქმარი ზეთი“ - ზეთებში გაკეთებული წამლები, შარბათი (სულ განხილულია 41 შარბათი), „ტლე“- გარეგანი სახმარი წამალი და სხვ.¹ სამკურნალო საშუალებებად კი, კარაბადინის მიხედვით, გამოიყენებოდა როგორც ცხოველური და მცენარეული, ისე მინერალური ნედლეული.

ფანასკერტელ-ციციშვილებს დუქნები იჯარითაც ჰქონდათ გაცემული სხვადასხვა დარგის ხელოსანზე და მათგან დუქანში ვაჭრობის უფლებისთვის ქირას იღებდნენ, დუქნის შემოსავლიანობა გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქირის რაოდენობაზე. ჩვეულებრივ დუქანში, სადაც პროდუქცია მზადდებოდა, შეიძლებოდა გაყიდულიყო მასში მყოფი ყმა ვაჭარ-ხელოსნით და იქვე მცხოვრები მისი ოჯახით. მედუქნის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი არ იცვლებოდა. მართალია, ქირის რაოდენობასა და მძოვრეთის დუქნების შემოსავლიანობაზე ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა თბილისში ციციშვილთა დუქნების ქირის ფასების შესახებ ცნობები შემოგვინახა დოკუმენტურმა წყაროებმა.² 1673 წლის მამულის გაცვლის ერთადერთი წიგნის მიხედვით შესაძლებელი ხდება საჯინბოსა და ქულბაქის სიდიდის დადგენა. შემოსავლიანი სავაჭრო დუქნების ადგილის გაფართოების და კეთილმოწყობის მიზანი საკმაოდ საინტერესოა ახსნილი დოკუმენტში: „ესე წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ხარატასშვილმან ელიზბარამა და ჩემა ძმამ შერმაზანამა ... თქუენ, ქალაქის მოურავს ... ასე და ამა პირსა ზედა, რომე მამასახლისისაგან ნასყიდი მამული გუაქონდა ... ის თქუენ მოგეცით და

¹ ქართლში დღემდე შემორჩენილია გამოთქმა „ტლედ დაგედები“, ე. ი. დამამშვიდებელი მალამოდ დაგედები. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, თბ., 1978, გვ. 28.

² ხეც. ფ. Hd, ს. 13032; სცსსა, ფ. 1449 ს. 1126.

თქვენ იმ სახლების სანაცულოდ ჩუენს დერეფანში რომ თქუენი საჯინიბო იყო. ის მოგუეცით...“ verso-ზე ვკითხულობთ: „მერმე არის ამ საჯინიბოს გუერდი ორი თქუენი ქულბაქის უკანა კედელი და საჯინიბოს სიგრძე რვა ადლი და განი ექუსი ადლი და ნახევარი.“¹

XVII-XVIII სს. მედუქნე-ხელოსანი იმავე დროს ვაჭარიც იყო. ვაჭარ-ხელოსანთა ფენის წარმომადგენლები გაერთიანებულნი იყვნენ საგანგებო საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციებში. დოკუმენტური მასალის მიხედვით გვიანი შუასაუკუენების ქალაქებში, ამქარში გაერთიანება ხდებოდა პროფესიული ნიშნის მიხედვით და, როგორც ჩანს, ამავე ნიშნით შეიქმნა სპეციალიზებული სახელოსნო და სავაჭრო უბნები, რომელთა არსებობას ადასტურებს მძოვრეთის უბნების სახელწოდებანი.

პირველწყაროთა მონაცემებით და ჩვენეული ინტერპრეტაციით, კომპაქტურად დასახლება ქალაქის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ხელსაყრელი იქნებოდა ამქრის წევრებისათვის როგორც პროფესიული, ასევე ვაჭრობის თვალსაზრისითაც. მძოვრელი ვაჭრების სიმრავლეზე და სავაჭრო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობაზე მიუთითებს XVII საუკუენის მეორე ნახევრის დავთარი.² მასში დაცული ცნობით, მარტო ციცი ციციშვილს აქ ჰყავდა : „მძოვრეთს : ვაჭარზ : ოცდა : ხუთი : და : ურია : კუამლი : თორმეტი“, ამ ცნობას ადასტურებს 1658 წლის საბუთიც.³ ყმების სიმრავლით ცნობილი მებატონე საკუთარი სავაჭრო ინტერესებიდან გამომდინარე, უარს არ ამბობს აყრილი ყმები სავაჭრო საქონელზე გაცვალოს.

¹ ხეც. ფ. Hd, ს. 1785.

² მ. მიჩიტაშვილი XVII საუკუენის მეორე ნახევრის მეფის სადროშოს დავთარი, როგორც საისტორიო წყარო, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრი, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2017. ხეც. ფ. Hd, ს. 14534.

³ ხეც. ფ. Hd, ს. 10381.

ამ მხრივ საინტერესოა 1669 წლის ნასყიდობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ნებიტა და შეწევნიტა მლთისათა ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ციციშვილმა ბატონმა ციციმ თქვენ, ვაჩნაძეს რამაზს და შვილსა თქვენსა ბებურს; ასრე რომე ამას წინად ერთი ჩუენი მემკვიდრე ყმა აიყარა და თქვენთან მოვიდა და ვითაც რომ კიდევ ჩვენს სახლში ყოფილიყავით, მოხვედით დაგვარცხვენით და ის კაცი გვთხოვე და რაღა გაგვეწყობოდა ზალაშვილი ზაქუტა მისის ცოლითა და და ოთხის მისის ვაჟით თქვენთვის მოგვირთმევია...“ საკვლევი თემისთვის საინტერესოა არშიაზე განსხვავებული ხელით მინაწერი: „მოგვართვა ფასი ერთი ჯაჭვი და ორი ბათმანი აბრეშუმი.“ სარფიანი და მეტად მომგებიანი შემოთავაზებით დაინტერესებული „დარცხვენილი“ მებატონე თანახმა გახდა ე. წ. „პატერულ გაცვლაზე“.¹ ამ პერიოდის ქართლ-კახეთიდან აბრეშუმის გატანის გაზრდილ მოთხოვნაზე საუბრობენ შარდენი და ტურნეფორი, რომელთა ცნობით, აქლემისა და ცხენის საპალნეებით გაჰქონდათ დიდი რაოდენობის აბრეშუმი, რომელიც ხარისხით მხოლოდ ირანულს ჩამორჩებოდა.

გვიანფეოდალურ ხანაში მტკვარი კვლავ სანაოსნო მდინარედ რჩებოდა. ძამის ხეობიდან ტივებით ეზიდებოდნენ სოფლის მეურნეობის უხვ პროდუქციას, ხელოსნური წარმოების მრავალფეროვან სავაჭრო საქონელს და საშენ მასალას, რომლის ტრანსპორტირება საციციანოსთვის მეტად იაფი, მოხერხებული და საკმაოდ შემოსავლიანი იყო.

გიულდენშტეტს შეუმჩნეველი არ დარჩენია აღნიშნული სამდინარო ტრანსპორტის მნიშვნელობა.² ფიჭვის ტივებით ტრანსპორტირება ხელს უწყობდა მტკვრისპირა ქალაქებთან და მათ შორის დედაქალაქთან ფართო ინტენსიურ ვაჭრობას, რაზეც

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 9, დოკ. 12.

² გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანი თურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 93.

მიანიშნებენ საარქივო მასალები.¹ საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო ტივებზე, რომლებიც სავაჭრო საქონლის რეალიზაციის შემდეგ იყიდებოდა, როგორც სამშენებლო მასალა. 1766 წლის მეფის განკარგულებით სამეფო სასახლის მშენებლობისთვის, მეფე საციციანოს სარდლისგან თავად ითხოვდა ტივებს: „...დარბაზის ბატონს ციციშვილს სარდალს ალექსანდრეს მრავალი მოკითხვით მოვახსენებ ... სასახლისთვის ფიჭვის ხეები გვჭირდება. ქართლში ფასი ყველას უთხარით, ოთხი ტივი თქვენს ყმათ უნდა გაგზავნონ. კაი ფიჭვის ხე ოთხი ტივისა მოაჭრევენეთ და მტკვრის პირს ჩამო ატანეთ, როგორც გინდა ისე ღირებულს, ფასს მივცემ, უფასოთ ერთი ხე არ გვინდა...“²

XVIII ს. მძოვრეთიდან 70-80-იან წლებში ქარელში გადმოსახლებულ ციციშვილებთან კვლავაც აქტიურ ვაჭრობას ეწევიან ამილახვრები. ბეჟან ამილახვრისშვილი დანახარჯებში მიუთითებს ორი ტივის, ასი ფიცრის და თუნუქის ყიდვას, რომლის დანახარჯმა (1785 წ.) შეადგინა 30 მინალთუნი.³ მდ. მტკვარით ჩამოსულ ტივებზე ქალაქებს მძოვრეთს, ურბნისს, გორს ედვა გამოსაღები, ე. წ. „სალბაში.“ „დასტურლამალის“ განმარტებით, „რაც ტივი მოვა, ერთს უკეთეს ხეს საბატონოდ აიღებენო“.⁴

მეფე გიორგის და ბატონიშვილ თეიმურაზის ტივით სტუმრობაზე საუბრობს პლატონ იოსელიანი: „თავფარავანით გადმოვლო და საციციანო და მოვიდა ქარელსა; აქედამ მიიწვია მრეველმან ეპისკოპოსმან რუისისა; განვლო მტკვარი ტივით ... გორში მისული მეფე დასწრებია გორიჯვრის ეკლესიაში

¹ სცსსა, ფ.1450 დავთ. 52, საბ. 15; ფ.1450 დავთ. 21 ს. 10; ხეც. Hd, ს. 1785.

² სცსსა, ფ.1450 დავთ. 52, საბ. 15.

³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, (ხელფასი, ქირა, ფასები), მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, წიგნი I, თბ., 1938, გვ. 77.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 83.

ბატონიშვილ თეიმურაზის ჯვრისწერას ამილახვრის ასულ ელენეზე.¹ ძამის ხეობიდან ტივებით მოგზაურობის ტრადიცია აისახა ქართლის ხალხურ ლექსებში საკმაოდ მოხდენილი ფრაზით ზით: „ქარელში ქალი შევირთე წამოვიყვანე ტივითა...“²

დედაქალაქის ბაზრის მზარდი მოთხოვნილებით და რეალიზაციით მიღებული მოგებით აიხსნება ციციშვილების გაზრდილი ინტერესი, ზოვრეთსა და დედაქალაქში აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი სავაჭრო ურთიერთობებში. ცნობილია, რომ თბილისი ყოველთვის ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის როლს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია XVI-XVII სს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო-სატრანზიტო გზის ერთ-ერთი მიმართულება, შემახა -განჯა - თბილისი - ახალქალაქი - ახალციხე - ერზერუმი (ძველი გენუის გზა) - სტამბოლი.

ამრიგად, ციციშვილების ვაჭრობით დაინტერესება სწორედ სავაჭრო გზასთან სიახლოვეთ და მზარდი სავაჭრო ურთიერთობათა ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით აიხსნება.

დოკუმენტური მასალების მიხედვით, ციციშვილები ფლობდნენ სასახლეებს, დუქნებს, საჯინიბოებს,³ საბაზიეროებს, სამღებროებს, წისქვილებს, ქარვასლებს, სახელოსნოებს არა მარტო მძოვრეთში, არამედ თბილისში. მოძიებული დოკუმენტები ასევე მიანიშნებს, რომ ციციშვილები არა მარტო ამუშავებდნენ საკუთარ წისქვილებს ზოვრეთსა და დედაქალაქში, არამედ ყიდდნენ კიდევ საწისქვილე ადგილებს. ვინმე მეფურნიშვილის 1732 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ

¹ პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, რედაქტორი, ა. გაწერელია, თბ., 1978, გვ. 83;

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, შედგენილია თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, თბ., 1958, ტ. II, გვ. 368.

³ ხეც. ფ. Hd, ს. 1785.

ნოდარიშვილმა ფარსადან და ბიძა ჩემა სეხნიამ და ძმამა ჩემა ალექსანდრემ და დავით და მამავალმა სახლისა ჩემისათა ყოველთა, ასე რომე დაგვჭირდა და მოგყიდეთ ჩვენის ყმის როსტევანასშვილის ბეჟუასი და არაქელას მამულიდამ ვერაზე ერთი საწისქვილო სათავე გაბასშვილის ბეჟანის წისქვილი რომ არის, ამის ბოლოში ... ბოლო წყნეთურის ბაგების ბოლოს წყალი რომ ჩამოდის, იქამდინ საცა გინდა ერთი წისქვილი დააბრუნე ...“¹

1781 წლის თბილისის მოსახლეობის აღწერის დავთარის სტატისტიკური ცნობების მიხედვით,² დავით ციციშვილს, სარდალ-მოურავს 208 კომლი ყმა ჰყავდა, რომელიც ბევრად აღმატებოდა ბატონიშვილების ყმების რაოდენობას. აშკარაა, ყმის ქალაქში დაყენება თუ სოფლად გადასახლება ფეოდალის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

დედაქალაქში ციციშვილთა საგვარეულოს ყმების სიმრავლეზე გავლენას ახდენდა მათი მაღალი სამოხელეო თანამდებობანი: სახლთუხუცესობა, მდივანბეგობა, ქალაქის სარდალ-მოურავობა, ნაზირის და ქალანთარის სახელო, ქალაქის მამასახლისობა და სხვ. ქალაქის სამეურნეო-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში ქალაქის მამასახლისის, ფარსადან ციციშვილის აქტიური საქმიანობა ცხადად ჩანს XVIII საუკუნის 10-იანი წლების (1705-1713 წწ.) ნასყიდობის წიგნებში,³ გასამყრელოს დოკუმენტებსა და მის მიერ შედგენილ თამასუქებში,⁴ რაც

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, თბ., 1909, დოკ. № 249, გვ. 303.

² ს. კაკაბაძე, ქ. ტფილისის მოსახლეობის აღწერის ნუსხა, 1780-1781 წ. ახლო დროისა, საისტორიო მოამბე, წიგნი 1, ტფ., 1925, გვ. 227-231.

³ დოკუმენტები თბილისის იტორისათვის(XVI-XIX სს.) წიგნი 1, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, დოკ. № 62, გვ. 69; დოკ. № 63, გვ.70; დოკ. № 65, გვ.73; დოკ.№ 66, გვ.75; დოკ. № 68, გვ.77; დოკ. № 70, გვ.80; დოკ. № 73, გვ.85; დოკ. № 74, გვ. 86; დოკ. № 75, გვ. 86.

⁴ იქვე, დოკ. № 75, გვ. 88; დოკ.№ 76, გვ. 89; დოკ. № 77, გვ. 91; დოკ. № 78, გვ. 92; დოკ. № 84, გვ. 99-100.

იმლევა ინტერპრეტაციის საფუძველს საკუთარი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობით საქალაქო ცხოვრებასა და სავაჭრო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობის შესახებ.

დავის გადაწყვეტილების წიგნით დომენტი კათალიკოსმა თბილისში ციციშვილების სადავო მიწები თავის დისწულებს, ზაზა და ზაალ ციციშვილებს მიაკუთვნა¹ და იქვე საყდრის კურთხევის დასტურიც მისცა. მეფე ვახტანგ V-ის სარდალ-სახლთუხუცეს ზაზას „აუტიქაათ სტეფანასაგან სამოცდათორმეტი და ნახევარი ადლი სავაჭრო ადგილი აუღია ქულბაქებისათვის,“² რაც მიანიშნებს ხელოსნობასა და სავაჭრო საქმიანობაში მის აქტიურ მონაწილეობაზე.

პირვეწყაროთა მიხედვით დედაქალაქში სასახლეებს ფლობდნენ: მანუჩარ ციციშვილი³, ზაზა ციციშვილი,⁴ უთრუთი,⁵ მდივანბეგი ფარსადანი,⁶ ნაზირი ზაალი, ფარეშთუხუცესი გივი⁷ და სხვ.

ქალაქის სარდალ-მოურავი დავით ციციშვილი სასახლესთან ერთად ფლობდა დუქნებს მძოვრეთსა და დედაქალაქში. მის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვთ თქვენ მათის უმაღლესობას სიძეს, ბატონს სარდარ მოურავს ფანასკერტელს ციციშვილს დავითს და ძეთა თქვენთა პირმშოსა და სასურველსა ალექსანდრეს და ესტატეს ... ჩვენ, სამცხეთოს აზნაურიშვილმან ელიოზიშვილმა იოსებ და ძმამან ჩემმან იოანემ და აბიათარმან ... მისმა უწმინდესობამ

¹ ხეც. ფ. AD, ს. 1337.

² სცსსა, ფ. 1450, დავთ. 21, ს. 10.

³ დოკუმენტები თბილისის იტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი I, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1962, დოკ. № 213, გვ. 258.

⁴ სცსსა, ფ. 1450, დავთ. 10, ს. 98.

⁵ სცსსა, ფ. 1450, დავთ. 10, ს. 98.

⁶ ხეც. ფ. Sd, ს. 1313.

⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 859.

ჩვენმა ჯელმწიფემ კათოლიკოსმა თქვენის სასახლის გვერდით სასახლე გვიბოძა ... რადგან ეს ჩვენის ბატონის წყალობა[სასახლე] თქვენის სასახლის მახლობლად იყო, თქვენი უფრო მართებული იყო ... ამისთვის თქვენც ინებეთ და ვერც ჩვენ ამაზედ[ურჩ] არ გექმნენით და მოგყიდეთ ჩვენის ბატონის ნაბოძები სასახლე.“¹ მეფე ერეკლეს სიძეს, დავით ციციშვილს, მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის ამ სასახლის ნასყიდობასთან ერთად ახალი სავაჭრო ცენტრის, დუქნების და ქარვასლების მშენებლობის შესაძლებლობა ეძლეოდა, რადგან ვაჭრობა სწორედ დუქნებში იყო კონცენტრირებული. მეფის დავალებით თავად ხელმძღვანელობდა სავაჭრო დუქნებისთვის ადგილების გამოყოფა-განაწილებას და მათ მშენებლობებს.

1775 წელს ქალაქის ცენტრალური სავაჭრო ადგილის რეკონსტრუქციის გამო დაზარელებული ფარსადან თავილდარი მეფე ერეკლესგან ითხოვს დახმარებას: „ ... ქვემო მეიდანის პირზე ერთი დუქანი ავაშენე და ხარჯი ბევრი მამივიდა ხეზედა და კედლების მასალაზედა, ადგილის ქირაც მიძლევა სარქარში. ახლა მესმის ბრძანება არის სადმე მეიდანის ქოხებსა და იმ ჩემს დუქანს დაქცევას უპირობენ. ამ წყალობას ვითხოვ, თუ დააქციონ ... ჩემი დუქნის მასალა დამანებონ და საცა დუქნებს აშენებენ, ერთი დუქნის ალაგი მამცენ, რომ მეც ავაშენო, ამთენი ჭირნახული და ხარჯი არ გამიფუჭდეს.“ მეფე უნუგეშოდ არ ტოვებს თავილდარის სათხოვარს, ბრძანებას აძლევს თავის სიძეს, სარდალ - სახლთუხუცესს, დავით ციციშვილს „მერმე თავის დუქნების მასალა რაც იყოს, მოაცემინე. და ახლა, რომ დუქნებს აშენებენ, იქ ერთი დუქნის ალაგი მოეცით, დუქანი ააშენოს. და რაც იმ დუქნის

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1910, დოკ. № 9, გვ. 18-20.

ალაგის ქირა იყოს, ის ჩვენს სარქარში უნდა აძლიოს ხოლმე.¹ მათგან მიღებულმა დიდმა მოგებამ განაპირობა კიდევ, ამ პერიოდის ყიდვა-გაყიდვის მთავარ საგნად დუქნები გადაქცეულიყო. რაც უფრო შემოსავლიანი იყო დუქანი და ხელსაყრელი ადგილმდებარეობით გამოირჩეოდა, როგორც სავაჭრო - სახელოსნო ობიექტი, სავაჭროდ ძვირად ფასობდა.

აქტიური სამეწარმეო და მნიშვნელოვანი სავაჭრო საქმიანობით იყო ცნობილი როსტომ მეფის სახლთუხუცესი მანუჩარ ციციშვილი დედაქალაქსა და მძოვრეთში, რასაც მოწმობს 1646 წლის ნასყიდობის სიგელი. მასში ვკითხულობთ: „ჟამთა გასათავებელი მტკიცე ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, თოლქათ ყალაბეგაშვილმან ყულოა, მეორე შვილმან ყალუმან, შვილმან ჩუენმან, სახლისა მომავალმან თქუენ ბატონს მანუჩარს, შვილთა თქუენტა ... მას ჟამსა, როდისაც დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩუენი მკვიდრი პაპისა და მამისეული სახლ-კარი, ხუთი სახლი, მისი ეზოთი: კარი თქვენსავე ეზოში გამოვიდოდა, კიდევ თქუენს სახლსა შუა და ქოსაჲ ბუდახათ სახლშუა, უკანით, იქუე ბახჩა, წინათ შარა, შესავალითა და გამოსავალითა, მოგყიდეთ ჩუენი ნება-წადილითა, ავიღევით თქვენგან ფასი, რითაც ჩუენი გული შესჯერდებოდა.“ verso-ზე სხვა ხელით იკითხება საინტერესო მინაწერი: „ყალუასაგან ნასყიდს სახლებისა ბაზრისა.“² ამონარიდიდან ნათელი ხდება, სავაჭრო ცენტრში, ქარვასლების და საქულბაქე ადგილების გაფართოებისათვის მანუჩარ ციციშვილის წარმოებული დიდად მომგებიანი გარიგების მიზანი. ქალაქის ცენტრში, მთავარი ბაზრის მიმდებარედ შესყიდული ვრცელი ტერიტორიის შენამქნით, „ხუთი სახლი, მისი ეზოთა ... კიდევ თქუენს სახლსა შუა და

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 295-296.

² ხეც. ფ. Hd, ს. 13005.

უკანით, იქუე ბახჩა, წინათ შარა, შესავალითა და გამოსავალითა“ - აფართოებდა კომერციულ საქმიანობას ქალაქის ცენტრში, სადაც კონცენტრირებული იყო ვაჭრობა, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის ინარჩუნებდა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის როლს მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში.

1952-53 წლებში პ. ზაქარაიას სამეცნიერო ექსპედიცია ძამის ხეობის ისტორიული ძეგლების შესწავლასთან ერთად ნანგრევებად ქცეული მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების აღდგენასაც ისახავდა მიზნად. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ისტორიული ძეგლების ხელოვნებამცოდნეობით აღწერებში გულისტკივილით აღნიშნავს, „ნანგრევებზე ქალაქის აღდგენა არ ხერხდება. მაგრამ გარკვევით ჩანს დიდ და რთულ ობიექტებთან გვაქვს საქმე. ქალაქის ტერიტორია მოხსნულია და მისი ფარგლების დადგენა ამიტომაც არ ხერხდება.“¹ ექსპედიციის მონაწილეთა და ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით² უნახავთ ქალაქის შემორჩენილი გალავნის ჩრდ. აღმ. ნაწილი, მის სიახლოვეს ორსართულიანი ნაგებობების - საცხოვრებელი სახლების, დუქნების, ქარვასლის ნანგრევები.

ფანასკერტელ-ციციშვილთა ციხე-დარბაზთან გამავალი გზის გადასწვრივ, ქალაქის ცენტრში კვადრატული გეგმის მქონე დიდი გუმბათოვანი (სავარაუდოდ ორსართულიანი) ქარვასლა და საბაჟოს ნაგებობა ყოფილა აღმართული, რომელსაც გარშემო გალავანი ჰქონია შემოვლებული. მის გამორჩეულობას და

¹ ხეც. პ. ზაქარაიას არქივი, № 175/5-6.

² ზაქარაიას თხოვნით წარუდგინეს ადგილობრივი მცხოვრებნი: „ჩემს იქ ყოფნისას მომიყვანეს ას წელს გადაცილებული მოხუცი, რომელსაც კარგად ახსოვდა მძოვრეთში მრავალი შენობის ნანგრევი. მან ისიც გაიხსენა, რომ მისი ბავშვობისას ქარელიდან ჩამოდიოდა მოხუცი ებრაელი, რომელიც უჩვენებდა ნაგებობათა ნაკვალევს, ნასახლარებიდან ბევრი ქვევრებიც ამოულიათ, მოხუცის ნაამბობის მიხედვით ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში უცხოვრიათ. ამ მოხუცს ციციშვილების სასახლეც დანგრეული ახსოვს. მათი ბატონი „ლეკიანობის“ გამო ხვედურეთში გადასახლებულა, ზოგნი ქარელსა და კვიცივარში.“ ხეც. პ. ზაქარაიას არქივი № 175.

უნიკალურობას განსაზღვრავდა პირველი და მეორე სართულის ოთხივე მხარეს ღია განიერი თალები მშვენიერი გუმბათოვანი გადახურვით. გალავანს შესასვლელი აღმოსავლეთის ცენტრში ჰქონია. გალავნის შუა აღმართული ამ ნაგებობის გარდა, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გრძელი სწორკუთხა სადგომები ყოფილა ნიშებით და ბუხრით. აქვე ყოფილა საჯინობო. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, გალავნის ცენტრში აუზიც ყოფილა და ცხენებს წყალს იქ ალევინებდნენო.¹ როგორც ჩანს, კომფორტული პირობები იყო შექმნილი სტუმრების და სავაჭრო ქარავნების მიღება-გამასპინძლების და მათი უსაფრთხოებისათვის.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იზრდება აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთანაც. გააქტიურდნენ ევროპელი ვაჭრები და ევროპის სავაჭრო კაპიტალის სხვადასხვა პროექტების აგენტები, მეცნიერ-მოგზაურები, კათოლიკე მისიონერები. მოგზაურთა აღწერებში, სამწუხაროდ, მცირე ინფორმაცია ჩანს მძოვრეთის შესახებ, რომელთა გაცნობა საინტერესო იქნება მკითხველისთვის

XVII საუკუნის მეორე ნახევრის მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მიანიშნებს ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები (1611-1682/83 წწ.). „მოგზაურობის წიგნი“ საკვლევი თემისთვის მცირე, მაგრამ მრავლისმთქმელი ცნობაა დაცული: „სამხრეთისკენ ვიარეთ და ნოდარი - ხანის სოფელში გავჩერდით. მდინარე მტკვრის ნაპირას მდებარეობს. ათასი სახლი, ჯამე, ფუნდუკები და აბანო აქვს. აქედან გზა განვავრძეთ და თბილისის ციხეში მოვედით.“² ამკარაა, თბილისისკენ გზის გაგრძელებამდე მძოვრეთზე სათანადო

¹ ხეც. პ. ზაქარაიას არქივი, № 175; ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1983, გვ. 247.

² ევლია ჩელების, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურაძემ, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 292.

ინფორმაცია უნდა ჰქონოდა და სწორედ უსაფრთხოების მიზნით უნდა შეერჩია მძოვრეთის ფუნდუკი (ქარვასლა, სასტუმრო) დაბინავებისა და გამასპინძლებისთვის. დიდებული სულთნის სასახლეში მოღვაწე, ახლო აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის სიმდიდრით, ბრწყინვალეობით და მრავალრიცხოვნებით გამორჩეული ქალაქების თვითმხილველი და აღმწერელ - შემფასებელი, ოსმალთა ლაშქრობების მონაწილე და ელჩად მოღვაწე ცნობილი მოგზაური, ბუნებრივია, „მცირე ქალაქს“ სოფლად მოიხსენიებდა.

XVII საუკუნის 50-70-იანი წლების თეათინელთა ორდენის პრეფექტი იტალიელი მისიონერი, იოზეფ მარია ძამპი, რომელმაც შეცვალა 1649 წელს საქართველოდან წასული მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, „მტკვრის გასწვრივ თვალწარმტაც გზასთან“ ერთად მოხიბლული დარჩენილა ნაყოფიერი მშვენიერი სოფლების ხილვით, მათ შორის მოვიაზრებთ მაღალი მთის ფერდობზე მდებარე მძოვრეთს, ციხე-კოშკებს და მათ სიახლოვეს შეფენილ სოფლებს, რომლებიც მოჩანდა მტკვრის სანაპიროდან. ძამპის ჩანაწერში ვკითხულობთ: „...გავიარეთ შვიდი ლიე, უმთავრესად მდინარე მტკვრის გასწვრივ გზა მეტად თვალწარმტაცი იყო, იმ ნაყოფიერ დაბლობთა წყალობით, რომლებზედაც მრავალი სოფელი მდებარეობს. აქვეა თითქმის ნანგრევებად ქცეული ქალაქი კალი-კალა (სავარაუდოდ ურბნისი), გზა ზედ ამ ქალაქზე გადის და იგი გორიდან 4 ლიეზე იყო დამორებული.“¹

მძოვრეთს სტუმრობდა ცნობილი ფრანგი იუველირი და მოგზაური ჟან შარდენი (1643-1713 წწ.), რომლის მოგზაურობა საქართველოში ევროპიდან აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო გზების ძიებასაც უკავშირდებოდა. განსწავლული და საოცრად დაკვირვებული მოგზაური საკმაოდ კარგადაა ინფორმირებული როგორც ძამპის ჩანაწერებით, ასევე საქართველოში მოგზაურობის

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 275.

(1672-1673 წწ.) შთაბეჭდილებებით. მათ შორის ვახტანგ V-ის სამეფო კართან სიახლოვით, სადაც გავლენიან ციციშვილთა რეზიდენციის შესახებ ცნობები უთუოდ ექნებოდა. რაზეც უნდა მიანიშნებდეს მისი ჩანაწერი: „21-ში გორში დავბრუნდი. 22-ში კვლავ გავუდექით გზას და ღამით გორიდან ექვს ლიეზე მდებარე იმ პატარა სოფელში ჩავედით, რომელიც ახალციხის გზაზეა და რომლის გავლაც გორში ჩასვლისას მომიხდა. 23-ში ალიონზე აქედან გავედით. მარცხნივ ჩამოვიტოვეთ ახალციხისაკენ მიმავალი გზა, შუადღისას ჩავედით ერთ პატარა ქალაქში, რომელსაც ალი ეწოდება.“¹

საქართველოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის დასამყარებლად 1713 წელს სულხან-საბას ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საინტერესო დოკუმენტი-მემორანდუმი, რომელიც შეადგინა მარსელის ვაჭრობისა და გალერების ინტერდანტმა დ'არნუმ. მემორანდუმის მოსაზრებები და წინადადებები გამიზნული იყო საფრანგეთის მთავრობის დასაინტერესებლად და დასარწმუნებლად აღმოსავლეთში სარფიანი ვაჭრობის საწარმოებლად და საქართველოს როლზე ამ მნიშვნელოვან და ისტორიულ საქმეში.² ამასთან სულხან - საბას მთავარი მიზანი შაჰის კარზე მყოფი მეფე ვახტანგის გამოსახსნელად ევროპის სახელწიფოთა დახმარების მიღება იყო. საქართველოზე გამავალი გზა მართლაც მნიშვნელოვნად ამცირებდა მანძილს პარიზიდან ისპაჰანამდე. სამწუხაროდ, 1715 წელს საფრანგეთ-ირანს შორის დადებული ახალი სავაჭრო ხელშეკრულებით ეს გზა არ ამოქმედებულა. ფრანგ ვაჭრებს შეეძლოთ მხოლოდ საქართველო-ირანის საზღვრისპირა რაიონებში ევაჭრათ.

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1975, გვ. 275-278.

² ე. მამისთვალისვილი საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, (ბრძოლა სარწმუნოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის, XVI-XVIII სს.) თბ., 2019, ტ.III, გვ. 373-374.

1750-იან წლებში საფრანგეთში ჩნდება ახალი პროექტი ფრანგული სავაჭრო კაპიტალის სპარსეთის მიმართულებით ახალი გზის გაკაფვის მიზნით, არა კასპიის ზღვით, სადაც ინგლისს ჰქონდა ვაჭრობა კასპიის ზღვის სანაპირო ქვეყნებთან, არამედ შავი ზღვით, საქართველოზე გავლით. საფრანგეთის კონსული ყირიმში, პეიონელი თავისი საყურადღებო პროექტის განხორციელებით, ოსმალეთთან ვაჭრობის საწარმოებლად, სავაჭრო სახლს და საწყობების დაარსებას ვარაუდობდა თბილისში, ახალციხესა და ქუთაისში, სადაც ბაზრებზე საქონელს პირდაპირ გამყიდველისგანაც შეიძენდნენ.¹ აღნიშნული პროექტი საკმაოდ დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივის მომტანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის. იმავდროულად „გაღმა მხარის“ სავაჭრო სტრატეგიული გზის აღდგენა-გამოცოცხლებას და მძოვრეთის სოციალურ-ეკონომიკურ და საქალაქო ცხოვრების აღმავლობას საკმაოდ პერსპექტიულ გზას უსახავდა. სამწუხაროდ, „დარიალის“ სავაჭრო გზის გახსნის შემდეგ, 1750 წლიდან სამეფო კარისგან უფრო რეალური და მხარდაჭერილი აღმოჩნდა რუსეთზე ორიენტაცია.

XVIII საუკუნიდან კიდევ უფრო იზრდება ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულოს სწრაფვა დედაქალაქში სავაჭრო-სახელოსნო ობიექტების შექმნისადმი და აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის სავაჭრო ფულად-სასაქონლო მიმოქცევის პროცესში. ვახუშტის აღწერით და თბილისის ატლასების მიხედვით, ეს ის დროა, როცა თბილისის ექვსივე კარიდან² ყოველდღე შემოდის დედაქალაქში ქარავნები შემახიდან, ერევნიდან, თავრიზიდან, არზრუმიდან და „დარიალის გზით“.

¹ ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, ს. კაკაბაძე ქუთაისის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, ტფ., 1940, 1, გვ. 117-122.

² ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, (საქართველოს გეოგრაფია) 1941, გვ 52, 53; შდრ. ვ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, თბ., 1947, გვ. 141-142.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გააქტიურდა თბილისთან დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალური გზები. ცენტრალური ხელისუფლებისგან გზებისა და ხიდების მოვლა-პატრონობა იმ სათავადო სახლების მოვალეობად იქცა, რომელ სათავადოს ტერიტორიაზეც გადიოდა. მტკვრის მარცხენა სანაპიროს სამიმოსვლო-საქარავნო გზის „გამოცოცხლებამ“ საბოლოოდ გაარღვია მძოვრეთის სასაქონლო მეურნეობის ჯერ კიდევ სუსტი სავაჭრო ქსელი. გააქტიურებული ჩანს სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც განჯასა და არზრუმს აკავშირებდა, რომელიც მძოვრეთის სავაჭრო კავშირურთიერთობებს მნიშვნელოვნად გაზრდიდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს 1736 წლით დათარიღებული „ქალაქის ზაჟის, ციხის კარის შართლამიდან“ ამონარიდი: „რაც მოქალაქემ განჯიდან აბრეშუმი მოიტანოს და არზრუმისაკენ წაიღოს, აქლემისა და ცხენისა, თუ ჯორისა საპალნეზედ ორი მინალთუნი.“¹

მძოვრეთში, როგორც ქართლის სამეფოს სასაზღვრო ქალაქში, თავდაცვას, შეუვალობას და სიძლიერეს მოლაშქრეთა შეიარაღება და მეაზრეთა საქმიანობა განსაზღვრავდა. ურბნისა და დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები გვიანანტიკური პერიოდიდან მძოვრეთში მისი წარმოების უძველეს ტრადიციაზე უნდა მიანიშნებდეს. გვიანფეოდალური პერიოდის, 1483 წლის ცნობილ არადეთის ბრძოლაში მეომართა შეიარაღებამ,² XVII ს. მეორე ნახევრის საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარმა³ და

¹ ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, დოკ. № 101, გვ. 393.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 347.

³ ს. კაკაბაძე, საამილახვროს დავთარი, მე17 ს-ის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925, გვ. 1-28; თავნაკლული ტექსტი სრულყოფილი სახით, (20-21 მოლაშქრის დამატებით) გამოცემული იქნა ი.დოლიძის მიერ. შდრ. ი.დოლიძე, საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარი 1656-1696 წწ. მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976, № 3. გვ. 92-117;

მეფე ვახტანგ VI-ის 1720 წლის განწესებამ კათალიკოსის ყმების ლაშქრისა, შემოგვინახა საინტერესო ცნობები მეგრძოლთა საომარ აღჭურვილობასა და საბრძოლო შეიარაღებაზე.

კათალიკოსის ლაშქარში აზნაურიშვილების გარდა, „ცხენოსანი მეთოფე ოთხასთერთმეტია, შუბოსანი ცხენით ორას ხუთი, ბოგანო ქვეითი ფარ-ხმლით ასოცდახუთი, საფთე მშვილდით ასოცდახუთი.“ აქვე დაცულია ცნობა მოლაშქრეთა საბრძოლო მომზადებაზე - „ამათმა მოხელეებმა ამ რიგათ მზათ იყოლიონ, უქმესა და კვირას დღეს ავარჯიშებდენ“.¹

თურქი მოგზაური ევლია ჩელები (1611- 1682/83 წწ.) თავის „მოგზაურობის წიგნში“ XVII ს. საქართველოს შესახებ მრავალმხრივ საინტერესო ცნობას შორის აღწერს ქართველ მეომართა შეიარაღებას: თოფს, მშვილდ-ისარს, შუბს, ხმალს, ფარსა და ჯავშანს.²

ს. კაკაბაძის მიერ აღმოჩენილი XVII საუკუნის მეორე ნახევრის საამილახვროს დავთრის თავნაკლული ტექსტის მიხედვით საამილახვროს მოლაშქრეთაგან - 407 თავი გამოდიოდა შუბით, 288 თავი მშვილდით და 420 თავი თოფით. ამავე დავთრის მიხედვით მძოვრეთში ამილახვარს 9 კომლიდან, 18 თავი მოლაშქრე ყმა გამოჰყავდა, აქედან 3 თავი მოსაურე ყმა - მშვილდით, 15-თავი თოფით:

„ქ. მძოვრეთს : ბარათა : შვილი : ქიტა: კუამლი ა : თავი : ბ:

კუსრამე : შიუკ ა : თოფითა : კუამლია : თავი: ბ:

პიპია : შვილი : თოფითა: კუამლი: ა : თავი: ბ

კიკნა : შვილი : თოფითა: კუამლი : ა : თავი: დ

მახარებელი : მშვილდითა: კუამლი : ა : თავი:ბ

ნასყიდა : მჭედელი : თოფითა: კუამლია: თავი:ა

ლომკაც[ი]:შვილი: თოფითა : კუამლი: ა:თავი:გ

ბერიკა : მებაღე : მშვილდითა: კუამლი: ა:თავი: ა

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 694, დოკ. 356.

² ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თბ., 1971, გვ. 96, 100, 103, 323.

გიგოლა: კუამლი: ერთი: თავი ა: ¹

ამ პერიოდის საკმაოდ ძლიერ და გავლენიან საციციანოს, ვფიქრობთ, საამილახვროზე ნაკლები რაოდენობის მოლაშქრე არ უნდა ჰყოლოდა და საციციანოს შეიარაღებაც დაახლოებით ასეთივე უნდა ყოფილიყო. ამის საფუძველს იძლევა ის დოკუმენტები, რომლებიც ნათლად მიუთითებენ ციციშვილების ზრუნვას შეგირდებისათვის მჭედლობის ხელობის სწავლაზე, რაც მასზე მოთხოვნილების განუწყვეტელ ზრდასა და სოფლებში სამჭედლოების სიმრავლეზეც მიგვანიშნებს. მძოვრელი ციციშვილი ამილახვარის სათხოვარ დოკუმენტში ვკითხულობთ: „აზრუმელი ალავერდა გახლავსთ მჭედელი, ცოლი შევრთე ... ორი-სამი ბიჭი აბარია, მჭედლობას სწავლობენ. სანამ ის ბიჭები ხელობას ისწავლიდნენ, წყალობას ვითხოვ ის კაცი მე მებაროს. მერე თქვენც ყმა ისევ თქვენ მიირთვით. რადგან სოფლელთათვის მჭედლის ყოლა სახმარი არის. ამისთვის მანამდინ ის ბიჭები ისწავლიდნენ, მანდ იყოს. და როცა ისწავლიან, მაშინ ხომ ნება აქვს მანდ წასვლისა.“²

მძოვრეთის სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეთნიკურ საკითხებზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ციციშვილთა გაყრის განჩინებანი. ³ 1701-1703 წწ. გაყრის განჩინების მიხედვით ძმებს, ედიშერ და პაპუნა ციციშვილებს მართლ მძოვრეთში 105 კომლი ყმა ჰყოლიათ, მათ შორის ებრაელი და სომეხი ხელოსნები.⁴ თუ გავითვალისწინებთ, რომ მძოვრეთში

¹ ს. კაკაბაძე, საამილახვროს დავთარი, მე-17 ს-ის მეორე ნახევრისა, ტფ., 1925, გვ. 24.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 729.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 128-132.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 622-625; ხეც. ფ. Hd ს. 1636.

ცხოვრობდნენ ციციშვილთა საგვარეულო სხვადასხვა შტოები, ასევე სამეფო კარის, ეკლესიის თუ სხვა საგვარეულოთა ყმები,¹ მცირე გამონათების ჟამს, XVII ს. 30-იანი წლებიდან XVIII საუკუნის „ოსმალობამდე“ პერიოდის მძოვრეთი, მართლაც მრავალრიცხოვანი, ხმაურიანი და სისხლსავსე ცხოვრებით გამორჩეული რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ეროვნულ არქივში ჩვენ მიერ აღმოჩენილ XVII-XVIII საუკუნეების საციციანოს მოსახლეობის აღწერის დავთრებში,² მძოვრეთში ებრაელი და სომეხი მოსახლეობის სიმრავლე (37 კომლი ურია და 57 კომლი სომეხი) პირდაპირ მიანიშნებს ვაჭრობის აღმავლობაზე, ხელოსნური წარმოების დარგების ზრდასა და მრავალფეროვნებაზე.

მძოვრეთსა და მის გარეუბნებში აღწერილ მცხოვრებთა შორისაა ხელოსნები: ნალბანდი მურადა, მეწისქვილე შიო, მკერვალი მამუკა და მისი უმცროსი ძმები, დალაქი ბერი, დალაქი პაპუნა, მეკურტნე, მეფურნე, დურგალი, მჭედელი, სარაჯი, ხაბაზი, მღებარი გოდერძა და სხვ. აღწერის დავთრებში, გაყრის განჩინებებსა და ყმათა ნუსხებში დაცული გვარ-სახელები მძოვრეთის სხვადასხვა სავაჭრო სახელოსნოების არსებობასა და ვაჭრობაზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის, ესენია: ზეინკლიშვილი, მეკურტნისშვილი, მექვაბისშვილი, კოვზიაშვილი, მღებრისშვილი, მჭედლისშვილი, ოქროაშვილი, წამალასშვილი, ბაჟოასშვილი, გზირისშვილი და სხვ. მართალია, ხელოსნებს ქარგალ-შეგირდებიც მრავლად ჰყავდათ, მაგრამ აღნიშნულ მასალებში ჩამოთვლილი ხელოსნები, ცხადია, მძოვრეთში ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგების სრულყოფილ განვითარებაზე სიღრმისეულ წარმოდგენას მაინც ვერ იძლევა.

1737 წლის პირობის წიგნით, ხელობის სწავლის სათხოვარით

¹ სცსსა, ფ. 1448, ს. 2318.

² ხეც. ფ. Hd ს.14534; სცსსა, ფ. 1448, ს. 5041.

მისულ გიორგი მატეასშვილს უფლებას აძლევს ფარსადანი დედაქალაქში დარჩენილიყო მხოლოდ ხელსაყრელი გარიგებით: „ესე წიგნი მოგართვით ... ბატონს ჩვენს, სარდარის შვილს, ფარსადანს. ასე რომე მე ქალაქში გავიზარდე. კელობა ვისწავლე. მოვედით თქვენ შემოგეხვეწენით. ამიტომ რომ ქალაქში სახელო და უქალაქოდ ვერ დავრჩებოდი და ვერც სახელოს გავუშვებდი. თქვენც წყალობა გვიყავით და ქალაქიდან აღარ აგვყარეთ და ეს სამსახური დავიდევე თქვენი, რომე უნდა წელიწადში რვა მინალთუნი და სამი კოდი პური გემსახუროთ და გაძლიო.“¹ ყმა-მოქალაქენი დედაქალაქსა თუ მძოვრეთში, თავიანთი საქმიანობის მიუხედავად, ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ და იძულებულნი იყვნენ, ფეოდალური ვალდებულება უპირობოდ შეესრულებინათ. დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ყმა ხელოსნების სიმრავლით განებივრებული ციციშვილები ხელმარჯვე ხელოსნებს თავიანთ ასულებს მზითევშიც ატანდნენ. 1767 წლის ყმის დანებების წიგნში მდივანბეგ ფარსადან ციციშვილის მიერ ომან ჩოლოყაშვილისადმი ვკითხულობთ: „ესე წიგნი მოგეც მე მდივანბეგმა ფარსადან თქვენ, ჩოლოყაშვილს ომანს და მოურავს ქაიხოსროს; ასე რომ კურთხეული ჩემი და თქვენ ომანს გყვანდა და იმას ერთი ჩემი ყმა ... ბაქაძე ხურო ქიტესა თავისი შვილით იმ ჩემს დას მივეცი ... ჩემს დას შვილი არ დარჩა, ეს კაცი ისევ თქვენთან იყო. მეც თქვენი მოყვრობის სიყვარულით ისევ თქვენ მოგართვი ... ამ კაცთან თქვენს მეტს არას კაცს ხელი არა ჰქონდეს.“² სამკერვალო სახელოსნოებზე და მკერავ ხელოსნების ციციშვილებთან დიდი ხნის ურთიერთობაზე მიუთითებს 1772 წლის თამასუქი,³ მიცემული ზაზა ციციშვილის მიერ მკერვალ ლაზარეს შვილი ქიტესასადმი.

¹ ხეც. ფ. Sd, ს. 1313.

² ხეც. ფ. Hd, ს. 2886.

³ დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1967, დოკ. № 56, გვ. 65;

ოქრომჭელობა. მძოვრეთში ოქრომჭედლობის სახელოსნოებში ოქროსა და ვერცხლის ოსტატების საქმიანობის არსებობას ადასტურებს 1543 წლის ბრეთის ოთხთავზე მხედრული წარწერა: „აქუს საზუერისა ღრმთისმშობლისა ოქრომჭედელსა სამი ჩარევი ვერცხლი. მისსა სარგებელსა ასისა თანგისა ცწლისა მიართმევდეს და ნახე[ვარ] ლიტრა სანთლისა გულსა მართმევდეს“.¹

საყურადღებოა მეორე ასომთავრული წარწერა, რომელშიც ხელოსნობიდან ცალკე დარგად გამოყოფილი ჩანს ხელნაწერების შემკაზმეველთა ხელობა. „მე ფრიად ცოდვილმან შალიკაშვილის ასულმან თანამეცხედრემან ფანასკერტელის ფარსადანისამან გულდამ ჰელვყავ დიდებულისა საზუერისა ღვთისმშობლისა ოთხთავისა შემკობად“.

ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი საარქივო დოკუმენტის მიხედვით, მძოვრეთის გარდა საკუთარ საოქრომჭედლო სახელოსნოებს ფლობენ სამწევრისში როსტომ მეფის ცნობილი სარდალი, პაპუნა ციციშვილი, მეფის სახლთუხუცესი ყაია ციციშვილი: „ყორჩიბაშის ბაადურისა, სარდლის პაპუნასი საცილობელის მამულეების გასარიგებლად“ სამწევრისში მისულ დედოფლის სახლთუხუცესს, ნოდარ ციციშვილს, ამზაბეგს და მდივან ბირთველს გაურიგებიათ, რომ ოქრომჭედელი, სამოსახლო ადგილები და სასახლე ნამდვილად სარდალ პაპუნას ეკუთვნოდა და არა ყორჩიბაშ ბაადურს, ამის შესახებ, „ყმათ ერთხმად შეუფიცავთ“. იგივე წყარო მიანიშნებს, რომ მის „ფარემ მმას აქვს ორის დღისა ოქრომჭედლის მიწასთანა“, ყაია ციციშვილის წილ მამულში „გალავნის კარამდის საყდარს ზემოთ წყლამდის კაცები რომ სახლობენ...სამის დღისა ხოდაბუნი ოქრომჭედლიშვილს აქვს.“²

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შვერებილი, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილი თ. ყორდანას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, II. ტფ., 1897, გვ. 349, 386; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (H) VI, თბ., 1953, გვ. 195-196.

² სცსსა, ფ. 1448, ს. 2316.

პაპუნას ვაჟის, მეფე ვახტანგ V-ის სარდალ-სახლთუხუცესის, ზაზა ციციშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური ხელნაწერი ტექსტი (Q-1082) გადაწერილია სპარსულ ქალაქადზე, თითოეული გვერდი ჩასმულია ოქროს საღებავებით შესრულებულ ორნამენტებულ ჩარჩოში, ხოლო პირველი გვერდი შემკულია თავსამკაულითა და წვრილი ყვავილებისაგან შემდგარი ორნამენტული ფონით. სათაურები და სტროფთა დასაწყისები სინგურით არის შესრულებული, ტექსტი შემკულია სტილიზებული ყვავილწულეებიანი მოოქროვილი არშიებით, რომლებიც ასევე ყურადღებას იქცევს მხატვრობის მაღალი დონის ტრადიციებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მინიატურულ მხატვრობაში შოთა რუსთაველის, როგორც პოემის ავტორის პორტრეტი სულ სამ ხელნაწერში გვხვდება: მამუკა თავაქალაშვილისეულ XVII საუკუნის ვეფხისტყაოსანში (H-599), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისეულ ხელნაწერში (Q-1082) და XIX საუკუნის დაბალ მხატვრულ დონეზე შესრულებულ ვეფხისტყაოსანში (H- 2055).

მდიდრული „უნაკლულო ყოველთურთ აღსრულებული ჯაზულითა და დახატვითა წიგნი - „ჟამ-გულანი“ გადაუწერინებიათ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ძმას, ზაალის და მისი მეუღლეს, მარიამ ამირეჯიბს (H-342).¹ ხელნაწერი წიგნების ყდის ოქროთი დაფერვა, მათი ძვირფასი თვლებით შეკაზმვა, თუ მინიატურებით შემკობა, თავის მხრივ ციციშვილთა სიმდიდრეზე, მწიგნობრობასა და ფართო საგარეო სავაჭრო ურთიერთობებზე მიანიშნებს.

საოქრომჭედლო საქმიანობის მზარდ მოთხოვნაზე მიუთითებს ეროვნული ტრადიციები. ვახტანგ ბატონიშვილის, „ისტორიებრივ აღწერაში“ კვითხულობთ: „ქორწინების წესი იყო ესრედ ოდეს დაამტკიცებდენ ვინმე ვისასმე სასძლოდ მოყვანად, წარუგზავნიდიან ქალსა მას შემძლებისამებრ ნიშნად სამკაულითა ძვირფასთა

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. I, თბ., 1946, გვ. 252-255;

... მიტანისა ჟამსა დასდებდიან ოქროსა ანუ ვერცხლისა სინსა ზედა სამკაულსა სასძლოსა ... ეგრეთვე მისცის ბეჭედი ვაშლისა მსგავსად გაკეთებული ოქროსი შემკობილი“.¹ 1779 წლის დოკუმენტის მიხედვით, ქორწილის სამზადისის ხარჯები საკმაოდ ძვირადღირებული საქმიანობა ჩანს:

„ ერთი თუმანი და ექვსი მინალთუნი - მარგალიტი თითოსთვის;

ხუთი თუმანი, რვა მინალთუნი და ოთხი აბაზი - მისხალი ოქრო თითოსთვის (ოთხი მინალთუნი და ერთი აბაზი [მისხალი]);

ერთი თუმანი და ოთხი აბაზი - იაგუნდი და ზურმუხტი (მარჩილი [თითო]);

თორმეტი აბაზი - წვრილი იაგუნდი და ზურმუხტი (აბაზი[თითო]).“²

ოქრომკერდით ნაქარგობა. საციციანოს რეზიდენციაში საფეიქრო საქმეს უკავშირდება საეკლესიო და საერო ნაქარგობა. საღვთისმსახურო ქმნილებების ქარგვა - „შემკობა“ ფანასკერტელციციშვილთა ოჯახებისთვის მნიშვნელოვან ტრადიციულ საქმიანობად ითვლებოდა, რომლებსაც უხვად უძღვნიდნენ „საჯსრ(ა)დ და მ(ე)ოხედ სულისა“ და „სადღეგრძელოდ ძ(ე)თა და ას[უ]ლთა ჩვე(ე)ნთათვის“. მაღლიერების ნიშნად ან უფლის მფარველობისა და მეოხების იმედით. ამდროინდელი გამოყენებითი ხელოვნების დარგებიდან დიდ ინტერესს იწვევს გარდამოხსნები. საეკლესიო და საერო ნაქარგობის მრავალფეროვან კოლექციებში გარდამოხსნებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომლებიც შესრულების მაღალი მხატვრული ღირსებით

¹ ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიკოსი აღწერა, ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შა აღწერთა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, ტფ., 1914, გვ. 11.

² მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, (ხელფასი, ქირა ფასები), მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, წიგნი I, თბ., 1938, გვ. 71.

გამოირჩევა. მათზე მხოლოდ ორნამენტულ ან ცალკეულ ფიგურას კი არ ვხვდებით, არამედ მრავალფიგურიან სიუჟეტურ კომპოზიციას, რომლის იკონოგრაფია საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ქრისტიანული კანონიკითაა განსაზღვრული. XVI-XVII სს. მძოვრეთში ფაქიზი ნაქარგობის და მხატვრობის მაღალი დონის შედეგად ითვლება გარდამოხსნის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში, რომელიც დაცულია ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტში. იგი აღმოჩენილი იქნა საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი მკვლევარის ვ. ჯობაძის მიერ. გარდამოხსნა შესრულებულია ნოდარ ფანასკერტელ-ციციშვილის დედის დაკვეთითა და შემწეობით, დაახლოებით XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის 10-იან წლებში. წარწერაში მოხსენიებულია კახთა მეფის, ლევანის ვაჟის, ხოსროს „მეფისა პ(ა)ტრ(ო)ნის ხოსროს ას(უ)ლი“ ელენე - ყ(ო)ფილი ეკატერინე - თანამეცხედრე ფარსადან ფანასკერტელისა. გარდამოხსნის მომხატველი „ხატვ(ა)დ და შემკ(ო)ზად“ (შემსრულებელი) თავისი მონაზონი ასული, ანასტასია ფანასკერტელია. გარდამოხსნის საქტიტორო ასომთავრულ წარწერაში ვკითხულობთ: „ქ.შეწ(ე)ვნითა ღ(მრ)თისათა ჳელვყ(ა)ვ მე, ფ(რია)დ ც(ო)დვილმ(ა)ნ კახთა მეფისა პ(ა)ტრ(ო)ნის ხოსროს ას(უ)ლმან ელენე - ყ(ო)ფილმან ეკატერინე, თ(ან)ამეცხ(ე)დრემან ფანასკერტელისა, პ(ა)ტრონისა ფარს(ა)დანი-ს(ა)მან, შემკობ(ა)დ წმიდისა ამის ქრისტ(ე)ს ღ(მრ)თისა ჩ(ვე)ნისა გ(ა)რდამ(ო)კსნ(ი)სა, საკსრ(ა)დ და მ(ე)ოხედ სულისა ჩვ(ე)ნთასა, სადღეგრძელოდ მ(ე)თა და ას[უ]ლთა ჩვ(ე)ნთათვის. ასულმან ჩემ(ა)ნ, მონაზ(ო)ნმან ანასტასია, ჳელყო ხატვ(ა)დ და შემკ(ო)ზად ამისა, შე(ე)წიე და შეიწყალ(ე), ა(მი)ნ.“

ხელოვნებათმცოდნე ვ. ბერიძის ცნობით, ქართულ გარდამოხსნებში (გიორგი VIII-ის, მარიამ დედოფლის, ამილახვართა გარდამოხსნები) გვხვდება ძირითადი სცენის ისეთი ვარიანტი, რომელსაც საქართველოს გარეთ ანალოგი არ მოეძებნება. ასეთად მიაჩნდა „ბაგრატ მეფეთა მეფის“ ჯგუფის კომპოზიცია, რომელიც

თავისი შემადგენლობითა და განლაგებით ჯვარცმის ტრადიციულ გამოსახულებას უკავშირდებოდა. მკვლევარი ელენეოფილის, ეკატერინეს გარდამოხსნას ბაგრატ III-ის გარდამოხსნათა ჯგუფს მიაკუთვნებს. რაც შეეხება ნაქარგობის ტექნიკას, ქარგვის მასალა სამგვარი იყო: ოქრო, ვერცხლი და აბრეშუმი. მისივე მოსაზრებით, თუ ადრინდელ ძეგლებში უმეტესად წმინდა ოქრო იხმარებოდა, XVII საუკუნიდან უფრო ხშირი იყო ოქრომკვერდი და ვერცხლმკვერდი.¹ მძოვრეთის ნაქარგობას ხელოვნებათმცოდნე მხოლოდ ფოტოსურათით იცნობდა და სამწუხაროდ, ვერც ფერთა შერჩევა-შეხამების და ვერც შესრულების ტექნიკაზე ვერ საუბრობს. ცალკე საკითხია გარდამოხსნის კავშირი მონუმენტურ მხატვრობასთან და ხელოვნების სხვა დარგებთან. დღემდე დაუდგენელია, როდის და როგორ იქნა გატანილი ციციშვილების უნიკალური გარდამოხსნა ამერიკაში.

ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდში დაცულია ფერისცვალების „ბუდე ხატისა.“ (სხმ / ნ. საინვ, # 1377. 73ხ51 სმ.) საერთოდ, ხატის ბუდის შექმნა ხატის დაზიანებისაგან დაცვის აუცილებლობამ განაპირობა. მასზე მხედრულით ამოქარგულია საქტიტორო წარწერა: „შემოგწირე მცირე ესე შთასაცმელად ხატსა ფერისცვალებისასა უღირსმა მხეველმან შენმან სრულიად საქართველოს უფლის წულის გიორგის თანა მემცხედრემან ციცის შვილის ასულმან მარიამ სადღეგრძელოდ ჩვენად ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად და სულისა ჩვენისა სახსრად“ (1797წ.). როგორც ჩანს, წარწერაში მოხსენიებულია ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII, შემწირველია საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, გიორგი ციციშვილის ასული მარიამი. შინდისფერ ქსოვილზე ოქრომკვერდით და ვერცხლმკვერდით ქარგვის ტექნიკა დახვეწილობით, ფერადოვნებითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა.

¹ ვ. ბერიძე, ქართული ნაქარგობის ისტორიიდან, თბ., 1983, გვ. 44-45, 89-90.

საეკლესიო შესამოსელის წარწერებში მათ განმარტებლებს შორის მოიხსენიება დავით ციციანოვის მეუღლე. წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები და შინაარსი მიანიშნებს XIX საუკუნეზე, მასში კვითხულობთ: „მამაო წმინდა ნიკოლოზ შემოგწირე დავით ციციანოვის კნეინამ ფალავანდოვისასთ ტასიამ.“ ასევე რუდუნებით რთავდნენ, ქარგავდნენ ოქრომკერდით და ვერცხლმკერდით ატლასის, იშვიათად ყანაოზის, ოქროქსოვილების (დიბა, ფარჩა) და ხავერდის ქსოვილის ტრადიციულ, მოხდენილ საერო სამოსს.¹

ტრადიციულად, ფანასკერტელ-ციციშვილები ეკლესია-მონასტრებს სწირავდნენ მრავალფეროვანი მასალით, თემატიკით და ტიპოლოგიით გამორჩეულ ხატებს, რომლებიც ნაირგვარი იყო იკონოგრაფიით, სტილით, შესრულების მანერით, განსხვავებული პროფესიული დონით, ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიული წარწერებით. 1751 წ. ყინწვისის წა ნიკოლოზის საუცხოოდ ქვაზედ დახატული ხატის არშიაზე აწერია მხედრულად: „...სასწაულმოქმედო და სამგზის სანატრელო მღვდელთ მოძღვარო ნიკოლოზ ჩვენ შენთა უხვთა მოწყალებათა მინდობილი და შენთა სიწმინდეთა სასოებელი ფანასკერტელი ზაზას ძე და თანამეცხედრე გიორგი ერისთავის ასული თუთა გიძღვნით და გიმკობთ ყოვლად პატიოსანსა ხატსა შენსა სასაფლაოსა ჩვენსა ყინწვისის მონასტერსა, აღშენებულსა წასა სახელსა შენსა ზედა.“²

წმინდა ნიკოლოზის მოჭედილი ხატი შეუწირავს გიორგი ციციანოვის ასულ თინათინს: „ეს ნიკოლოზის ხატი მოვაჭედინე და

¹ ხეც, ფ. S, №1489, დავით ფანასკერტელ-ციციშვილი, შემოკლებული მოთხრობა ქვევათა და ჩვეულებათათვის ქართულთა ერთა და ჟამითი-ჟამად ცულილებათათჳს მათთა, შეთხზული თავადის დავით ფანასკერტელ-ციციანოვისგან 1849-სა წელსა.

² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შუკრებილი, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III, (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 217.

შემოგწირე მონასტრის ეკლესიას (ყინწვისასა) ვინც ვისასმე გ~ი ციციანოვის ასულმან თინათინ საოხად სულისა და ხორცისა ჩემისა და სადღეგრძელოდ მეუღლისა და ძეთა ჩემთა.“¹

XVII-XVIII საუკუნეების საქალაქო ცხოვრების საინტერესო წეს-ჩვეულება „**ჩირაღდნით გაბრწყინება**“ შემოგვინახა ქართულმა საისტორიო მწერლობამ, რომელიც შესაძლოა უკავშირდება ბიბლიურ (სიცოცხლის ხის) სიმბოლიკას და ეხმაურება ძველ ქართულ ხალხურ წარმოდგენებსაც. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მცხოვრებლებს ბაზრის მორთვა, „ჩირაღდნით გაბრწყინება“ ჰქონიათ წესად. თეიმურაზის ქართლის მეფედ ქრისტიანული წესით კურთხევისას და ომში გამარჯვების აღსანიშნავად ბრძანება გაუცია, „ჩირაღდანი ბაზართა, შეიქნა სროლა ზარბაზანთა ... მორთვნეს ბაზარნი და აღლამპარეს და იყო სიხარული დიდი ქართლსა და კახეთში“.² ვფიქრობთ, საციციანოს რეზიდენციაში საპატიო სტუმართან დახვედრას, ტრადიციულ სადღესასწაულო დღეებს და საბრძოლო წარმატებებს გაჩირაღდნებულ მძოვრეთში დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ.

სამღებროები. მძოვრეთში სამღებროები ფანასკერტელ-ციცი-შვილებს ოდითგანვე ჰქონიათ. სამღებრო საქმიანობა ციციშვილთა საგვარეულოს საკმაოდ შემოსავლიან წყაროს წარმოადგენდა. ღებვის წესები, სამღებრო მცენარეთა შერჩევა, ფერთა მრავალ-ფეროვნება ერთგვარ საგვარეულო საიდუმლოებას წარმოადგენდა, რაც მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაში. შალის ქსოვილების ღებვის ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე მიგვანიშნებს ჩვენამდე მოღწეული XIX საუკუნის დამდეგის შალის ძაფის ღებვის რეცეპტები.³

¹ ქრონიკები III, თბ., 1967, გვ. 217-218.

² პაკუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 82, 104, 188.

³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, თბ., 1955, გვ. 556; ხეც. ფ. Hd, ს. 3624; ფ. Hd, ს. 3863.

საექსპორტო ნედლეულიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ენდროთი ვაჭრობა, მისი სიუხვით ყოველთვის გამოირჩეოდა მძოვრეთის ბაზარი. ტურნეფორის ცნობით, ტფილისიდან და ქართლ-კახეთიდან ყოველწლიურად გადიოდა არზრუმისაკენ 2 ათასი საპალნე ენდრო, საღებავ მასალად დიურბეკის ქარხნებში, სადაც ამზადებდნენ ტილოებს პოლონეთისათვის. ენდრო ქართლ-კახეთიდან გადიოდა ინდოეთშიც, რაზეც ხაზგასმით მიანიშნებდა ტურნეფორი.¹ ფართო სატრანსპორტო გზების უქონლობის გამო 1736 წ. ბაჟის ნუსხის მიხედვით აქლემისა და ხარების საპალნეებით გადაჰქონდათ. ენდროზე ბაჟს რომ საკმაო შემოსავალი მოჰქონდა მძოვრეთისთვის, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ს. კაკაბაძე,² რომლის კვლევით - „ტფილისის საბაჟოს შემოსავლის ერთი მეხუთედი - 600 მანეთი სწორედ ენდროზე მოდიოდა.

მეფე თეიმურაზ მეორის მეფობაში, „ჩრდილოეთის გზის“ გახსნისას ციციშვილების შორეულ სავაჭრო საქმიანობაზე უნდა მიანიშნებდეს, დავა პაატა ციციშვილისა მეაქლემე ყმის შვილის დაბრუნების თაობაზე, რადგან აქლემს მხოლოდ სავაჭრო-საქარავნო ტვირთის გადატანისათვის თუ შეინახავდნენ. ერეკლე მეფისთვის წარდგენილ 1761 წლის ოქმში ვკითხულობთ: „... ჩემი ყმა არის პაპა ქვიან, მეაქლემის შვილია, ამას წინათ ბატონს მამათქვენთან ვიჩივლე, ორი სამართალი მიბრძანა პირველათი სამართალი ასე მიბრძანა თუ ვახტანგ მეფის დავთარში წერიაო სახასოშიაო, არ მოგცემო; თუ არ სწერიაო, შენი არისო. არ ეწერა. მას უკან კიდევ მეორე სამართალი მიბრძანა დაიფიცეო, რომ ვახტანგ ნეფეს არ წაერთმევიოსო, შენ გიბოძებო. პაპამ ათი თუმანი

¹ ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 32, 66.

² ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, მნათობი, თბ., 1924, № 2, გვ. 228;

დახარჯა, მამიშალეს სამართალი ... შენმა გამარჯვებამ, მამათქვენი უსამართლობას არ მიზამდა, არც წამართმევდა, შეცდომით აქნევინეს. მე ბიჭი გამეპარა, იმას გამოუდევ. ყაზახში ვინემდინ მივიდოდი, წაერთმევია ...⁴¹ დოკუმენტური წყაროების მიხედვით, პაატა აქტიურად იყო ჩართული ტყვეთა ვაჭრობაში, რითაც უნდა აიხსნებოდეს მომჩივარის დავაზე მტკიცე უარი.

ნ. ბერძენიშვილი სამღებრო საქმიანობას სარფიან მაღალ-ანაზღაურებად საქმედ თვლიდა, სადაც ერთი საკაბეს შეღებვა ხუთი აზაზი ღირებულა.² ამ შემოსავლიან საქმიანობაზე იმდენად დიდი მოთხოვნა ჩანს ოსეთის გზის გახსნის შემდეგ, რომ ციციშვილებსაც დაუწყიათ ნაწარმის გატანა რუსეთში. დავით ციციშვილი მზადაა, ვინც მეტ საიჯარო ფასს გადაიხდის, დაწესებული პირობებით მასზე გასცეს იჯარით ბიძაშვილის სამღებრო, რომელიც „რუსეთს მივა და ხელი მაგ სამღებროთი უნდა მოიმართოს“. დოკუმენტების მიხედვით, ქარელის სამღებროს იჯარა 5-6 თუმანი ყოფილა, მასში ვკითხულობთ: „დავით სარდალ-მოურავის იმედო, თენდო მღებრო! მერე ჩემი ბიძაშვილი გოგია რუსეთს მივა. ხელი მაგ სამღებროთი უნდა მოიმართოს. ორი წლის ვადით აგირავებს. თუ გინდა, ისევ შენ დაიგირავე, თუ არა, დაანებე ეგ სამღებრო. ვისაც უნდა, დაუგირავებს. ეგ ქვევრები რომ დაგიგლეჯია და სამღებროს სახლი დაგიქცევია, თუ გინდა ერთი თუმანი მიეც. წრეულს რომ ოთხ თუმნად აგიღია, დაგიშავებია. ხუთ თუმნად უნდა შეუთავო, თუ არა, სახლი და ქვევრები დაანებე ... სამართლიანის გზით თუ გინდა შენ აილე, თუ გინდა, დაანებე ორი წლით.“³ დოკუმენტური წყაროების მიხედვით ციციშვილთა საგვარეულოს სამღებროები ძირითადად საიჯარო წესით აქვთ გაცემული.

¹ ხეც. ფ. Hd, ს. 10389.

² ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1937, ნაკვ. VI, გვ. 435.

³ ხეც. ფ. Hd, ს. 9640.

1784 წელს სამღებროს იჯარით გასცემს გოგია ციციშვილი: „ესე წიგნი მოგართვი შენ, გოგიას ციციშვილსა, ასე რომა შენი სამღებრო მიბოძე ექვს თუმნათ და ორ მინალთუნათ. ასე უნდა იჯარა მოგართვა, რომა ექვსის თვის თავს მოგართვა და ექვსი თვე, რომ გამოვიდეს, იმას გარდა რამთენი თვე გამოვიდეს, თვის და თვის თავს მოგართვა ხო[ლ]მე ხუთ-ხუთი მინალთუნი.“¹ სამღებროდან შემოსავლის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა სახლთუ-ხუცეს, გიორგი ციციშვილის არზამ პავლე ციციანოვისადმი: „მის ბრწყინვალეობას ... უპირატეს მმართველს თავადს პავლე დიმიტრი ციციანოვს. თავადი სახლთუხუცესი ნოდარიშვილის გიორგის მოხსენება. ჩვენის სახელოს სიგელი ხომ მოგართვ და თქვენს ბრწყინვალეობას ახლავს და თქვენგან გვებრძანა შენი შემოსავალი არზით მომახსენეო. სადედოფლოს სამღებროდან წელიწადში რვა თუმანი გვებოძებოდა, ამას გარდა კოდის პურიდამ შვიდი ურემი მებოძებოდა და კულუხიდანაც ერთი ურემი, აბრეშუმიდამ ერთი ლიტრა. საკომლოს ფული საკლავს ფასათ. ორიჯ აბაზი, ის ბატონისა იყო, აქედამ ამისათვის მერგებოდა ერთი თუმანი. გვედრებით ეს იყო ჩემი შემოსავალი არც თქვენგან მოგვეშალოს.“²

ქართული სამართლის მიხედვით, სამღებროები სადედოფლო მონოპოლია იყო. ფეოდალებს ძირითადად წყალობის ან შეწირულების სახით ჰქონდათ მიღებული. დასტურლამალის მიხედვით, „სადაც სამღებრო არის, ქართლსა თუ საბარათა-შვილოში, თუ ყაიყულს, სულ სადედოფლო არის. სომხით-საბარათაშვილოს და ყაიყულის სამღებროები, ქალაქის მღებართ-ხუცის ხელთ არის, და ზემო ქართლისა ცალკეა.“³ მზარდ შემოსავლიანობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა დარეჯან დედოფლის

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. № 933. გვ. 914.

² სცსსა,ფ.1448. აღწ. 1, ს. 9093.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 717.

1801 წლის დოკუმენტის პირი.¹ რაც შეეხება მძოვრეთის სამღებროს, თავიდანვე ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულოს საკუთრება უნდა ყოფილიყო. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების სიმრავლის მიხედვით ნაზარალიხანის მეფობიდან ქალაქის არსებობამდე სამღებრო წარმოება ციციშვილთა ხელში ჩანს.² მეფისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ციციშვილთა დასჯა შემოსავლიანი სამღებროების ჩამორთმევითაც მთავრდებოდა. სწორედ, წყალობის წიგნით დაუბრუნა ბაქარ მეფემ მძოვრეთის სამღებრო ვახტანგ VI მიერ დასჯილ ბაგრატ ციციშვილს.³ მძოვრეთის და ქარელის შემოსავლიანი სამღებროების დასაკუთრების მცდელობა ხშირად საგვარეულო შტოთა შორის ხანგრძლივი დაპირისპირების მიზეზი ხდებოდა.

პაატა ციციშვილი 1769 წლის არზაში, მძოვრეთის სამღებროს წყალობის თაობაზე, თავგამოდებით ცდილობდა მძოვრეთის სამღებროს შენარჩუნებას მოდავე სახლისკაცებისაგან და ამასთან ითხოვდა დედოფლის სამღებროს იჯარით აღებას ქარელში, რომლის იჯარა წლიურად 5-6 თუმანს შეადგენდა.⁴ არზაში დაწერილებით აღწერდა, რომ: „...მძოვრეთის სამღებრო უბოძებიათ მამის ჩემისათვის. ამას ვევედრებით მათს სიმაღლეს: ქარელში რომ სამღებრო არის, იმის იჯარას წყალობა მიეცეთ. როგორც ბატონის პაპის თქვენის წყალობის წიგნი მქონდეს, ნურც თქვენ მამიშლით.“ მეფეს დაუკმაყოფილება თხოვნა „... ბატონს პაპას ჩვენს და ბიძას ჩვენს მძოვრეთის სამღებრო თქვენთვის უბოძებია. ჩვენ იმათს წყალობას არ მოვიშლით-ო“.⁵

¹ საქართველოს სიძველენი, ე.თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ. 1910, ტ. 3, გვ. 298.

² ხეც. ფ. Hd, ს. 7349; ფ. Hd, ს. 8080; ფ. Hd, ს. 8052; ფ. Hd, ს. 13660.

³ ხეც. ფ. Hd, ს. 5210.

⁴ ხეც. ფ. Hd, ს. 3835; ფ. Hd, ს. 9640.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ.157.

1777 წელს პაატა ციციშვილის სამღებროდან წილის მოთხოვით დაუწყია დავა კიკოლა ნოდარისშვილს, „საერთო არისო სამღებრო და წილს არ მიდებსო.“¹ ამავე წელს დავაში საერთოდან თავიანთი წილის მოთხოვნით ნიკოლოზ და ამილბარ ციციშვილები მეფე ერეკლეს არზით მოახსენებდნენ: „საბრალო მამაჩვენი ავის დროს მიზეზითა და სახლის კაცების შფოთით თავის ქვეყანაში ვერ შემოიცადა, კახეთს გიახლათ, თქვენს საფარველს შემოვედრა და თქვენის მოწყალებით ჩვენც იქ დაგვზარდა. და მამის ჩემის წილის ყმა და მამული ჩვენს სახლის კაცებს ეჭირა მძლავრობით. ახლა პაატას სამღებრო უჭირავს, ყველას საერთო არის, ჩვენ წილს არ გვიდებსო“.² დავა წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

1782 წლის არზის მიხედვით პაატა ციციშვილისთვის დავა სამღებროზე ამჯერად ბიძაშვილ ივანე ციციშვილს წამოუწყია: „... ახლა ჩემი ბიძაშვილი ივანე მედავება. რამდენჯელ წამედავენ ჩვენი განაყოფები და სახლის კაცები, ყოველთვინ წყალობის წიგნები მიბოძეთ. ახლაც ერთი ოქმის წყალობას ვითხოვო ...“³ საგვარეულოში დაწყებული ხანგრძლივი დავა და დაპირისპირება სამეფო კარზე 1783 წელსაც გაგრძელდებულა, საბოლოოდ პაატა ციციშვილს დარეჯან დედოფლის ოქმით მიუღია სამღებროს წყალობა.⁴

1803 წლის შემოსავლების აღწერის დავთრის მიხედვით ივანე და დავით ციციშვილები სოფ. ქარელის სამღებროდან ერთ ბათმანზე ერთ რუბლს იხდიდნენ. წლის განმავლობაში ამოღებულ იქნა თვითეულისაგან 67 რუბლი. სამომავლოდ იმედოვნებდა

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, დოკ. № 386, გვ. 170; დოკ. № 386, გვ. 370.

² იქვე, დოკ. № 382, გვ. 367.

³ იქვე, დოკ. № 566, გვ. 535.

⁴ იქვე, დოკ. № 620, გვ. 587.

კაპიტან ისპრავნიკი სამღებროდან მეტი შემოსავლის ამოღებას.¹

ციციშვილები დოკუმენტური წყაროების მიხედვით სამღებრო საქმიანობას ეწეოდნენ ასევე გორსა და სურამში. ნოდარ ციციშვილისგან გორში იჯარით აღებული სამღებროს ხარჯების გასწორების თაობაზე მირიმან მირიმანიშვილი ამცნობს, რომ „ჩვენს სარქარზედ თოთხმეტი თუმანი და შვიდი მინალთუნი დარჩენილიყო.“² სახლთუხუცეს ზაქარიას ბეითალმანი მამულები ჰქონდა მღებრიშვილისაგან ნასყიდი სურამში, სადაც სამღებრო საქმიანობასაც ეწეოდა.³ ამდენად, მაღალშემოსავლიანი საქმიანობა, საგვარეულოში ცალკე სამეურნეო დარგად გამოყოფილი ჩანს და დავა სამღებროების წილის თაობაზე ხანგრძლივად, თითქმის სათავადოს გაუქმებამდე გრძელდებოდა.

საფეიქრო წარმოება. სამღებროთა სიმრავლე მძოვრეთსა და ქარელში⁴ მეორე მხრივ, მიგვანიშნებს მზარდ საფეიქრო წარმოებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ხეობაში მეცხვარეობის განვითარებასთან, სადაც შალის ნაწარმთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა სელი, ბამბა და აბრეშუმი. ამასთან საფეიქრო წარმოება რამდენიმე ცალკეულ დარგად ჩანს დანაწილებული: მრთველნი, მქსოველნი, მქარგველნი, მკერვალნი, „მჩითავნი“ და სხვ. მძოვრეთის ხელოსნობის ნაწარმი: ნართი, ტილო, ქსოვილები, შალები, მამაკაცისა და ქალის სამოსი, წინდები, ხალიჩები, ფარდაგები, ნოხები, ხურჯინები, ტომრები, მათ შორის ტყავის ნაწარმი და სხვ. მზადდებოდა არა მარტო ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებისათვის, არამედ საგარეო ბაზარზე გასატანად. სამწუხაროდ, გვიანფეოდალური ხანის მძოვრეთის ბაზრის დაგეგმარების, სავაჭრო-სახელოსნოების, დუქან-ქულბაქების, ქარ-

¹ Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. II ч. I, Тф., 1868, с. 72.

² სცსსა, ფ. 1448, ს. 1162.

³ სცსსა, ფ. 1450, ს. 36, საბ. 244.

⁴ ხეც. ფ. Hd, ს. 8090; ფ. Hd, ს. 13660.

ვასლების ფართო სამეწარმეო და სავაჭრო ურთიერთობის მასალებს პირველწყაროებში დღემდე ვერ მივაკვლიეთ, რაც უნდა აიხსნებოდეს „ლეკიანობის“ ხშირი თავსდატეხილი ნგრევითა და გაპარტახებით, მაშინ როცა ისტორიულად დუქან-ქულბაქების არსებობა მამის ხეობის სიახლოვეს გვხვდება პირველად, ატენის 1060-1068 წლების წარწერაში: „ავაგე სახლი და ქოლბაქი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისსა“¹

ჩვენ მიერ მოძიებული XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საარქივო დოკუმენტი ნათლად მიანიშნებს, რომ იერუსალიმის საპატრიარქო საქართველოში არსებულ არა მარტო მეტოქე მონასტრების ყმა-მამულებს და სხვა ქონებას განაგებდა, არამედ ცდილობდა, როგორც შემოსავლიან მქსოველ - მეჩითე სავაჭრო-სახელოსნოებს დაპატრონებოდა, ასევე ამ სარფიან საქმეში დიდად დახელოვნებულ ციციშვილთა ყმებსაც, რაც სავარაუდოდ ეს ერთადერთი, გამონაკლისი შემთხვევა არ იქნებოდა. მათი ძალისხმევით მეფის ფარეთუხუცესის, გივი ციციშვილის ყმებს, მეჩითე ხანიას შთამომავალთ, ყმობიდან თავის დაღწევის წარმატებულ მცდელობას მალე ათანასიოსის „მფარველობა“ მოჰყოლია და როგორც ამგვარ შემთხვევებში ხდებოდა, ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებიათ: „იერუსალიმის პატრიარქის მიერ წარმოვლენილმა ქრისტეს საფლავის ვექილმან ჯვრის მამამ ექსარხოს არქიმანდრიტმან ათანასიოს ესე წიგნი გიბოძეთ შენ მეჩითე ხანიას შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა, ასე რომ მამა შენმა თავი დაიხსნა ... და სარაჯი გოგამ, ციცისშულის გივ ფარეთუხუცესისგან და წმინდა ქრისტეს საფლავს შესწირა თავი და იმისი თავ დახსნილობის წიგნებიც ჩვენა გვაქვს აწ ... ახლა და ისევ წელიწადში ქრისტეს საფლავის მისართმევად ბეგარა ორი მინალთუნი რომ ყოველ წელიწადს მიაართმევდეს შენი ძენი ... ამას გარდა, რაც შენი საქონლის ბაჟი

¹ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 39.

იყოს მისაცემი იმ ბაჟისა ნახევარი ქრისტეს საფლავს მისცემდე ... არც ქართლში და არც კახეთში არა კაცმან ბაჟი არავინ გამო - გართვას იყავ ამ განწესებით და ემსახურე ქრისტეს საფლავსა ერთგულად, როგორც სხვანი ჰმსახურებენ.¹

საგვარეულო გამოირჩეოდა **საბაზიერო საქმიანობით**. XVII-XVIII სს. სამეფო კარის ბაზიერთუხუცესი განაგებდა ნადირობასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობას. დომენტი კათალიკოსის სამწყსოს განწესების წიგნში, ქართლის მთავარეპისკოპოსის, კირილე ციციშვილის გვერდით მოიხსენიება ბაზიერთუხუცესი გივი ციციშვილი.² ისინი თავიანთ საქმიანობას უძღვებოდნენ ბაზიერების დახმარებით. ბაზიერთა უფლება-მოვალეობებზე ცნობებს იძლევა იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“.³ ბაზიერებს ევალებოდათ სანადირო ფრინველების გამოზრდა-მოვლა-პატრონობა და გაწვრთნა, ამასთან ერთად კრეფდნენ „საშევარდნო გადასახადს“ და იცავდნენ მეფის სანადირო ადგილებს, მათ შორის „გაღმა მხარეს“. ძამის ხეობაში კი აბუხალოს და თრეხვის გამოქვაბულები საბაზიერო საქმიანობით იყო ცნობილი, რომელზეც პასუხისმგებლობა თავის მხრივ ციციშვილების ბაზიერთუხუცესს⁴ და ბაზიერებს ევალებოდათ.

ციციშვილები საბაზიერო საქმიანობას ეწეოდნენ როგორც მძოვრეთში, ასევე დედაქალაქში, როგორც ჩანს იგი საკმაოდ შემოსავლიანი უნდა ყოფილიყო. 1684 წლის ნასყიდობის წიგნი სწორედ მათ საბაზიერო საქმიანობას ეხება: „საბოლოო ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ციციშვილმა ბატონმა ზაალ და მომავალთა სახლისა ჩემისათა თქუენ, ორბელიშვილს მდივანბეგს ბატონს

¹ სცსსა, ფ. 1450, ს. 24.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 742, დოკ. 239.

³ იოანე ბატონიშვილი კალმასობა, თბ., 1936, გვ. 215-216.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981 გვ. 563.

ორბელს და შვილსა თქუნესა, ბატონს ყაფლანს, ზურაბს, დიმიტრის. ასე და ამა პირსა ზედა რომე, მოვინებეთ და მოგყიდეთ ქალაქს ჩვენი საბაზიერო გურგენის ნაქონი, აქათ აჯიშამფურას ყმის ადუას სახლამდისი, უკან გურგენას დარბაზის მიდგომდის, დასავლეთით ნაზირი ზაალის სახლის კედლამდი და წინ შარამდის.¹ ლაშქრობა - ნადირობის ტრადიციას დასტურლამალის ცალკე თავი ეთმობა. შევარდნისა [და ქორის] ბუდეების შესახებ. [კარი 61.]

ნადირობა, „ბურთობა“ სამხედრო წვრთნის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. ამაზე მინანიშნებს ვახტანგ ბატონიშვილი: „აღიწერებოდა რიცხვი, ვის რა მოეკლა ... შემდგომად ამისა ... შეუშვებდნენ ქვევითსა ჯარსა ტყეში ... ოდესცა შემოდებულ იქმნა საქართველოსა შინა თოფნი და ზარბაზანნი, დროსა ცისკრისასა იქმნებოდა სროლა ... შემდგომად გავიდიან ასპარეზსა ... დასვიან ყაბახსა ზედა ოქროსა ანუ ვერცხლისა ჭურჭელი...შემდგომად ამისა იქმნებოდა ბურთობა...“² ამით მოლაშქრენი იმაღლებდნენ ბრძოლისუნარიანობას, ეჩვეოდნენ სიძნელეთა დაძლევას, გამბედაობას, მოსაზრებულობას, იარაღის სათანადოდ ხმარებას. არაერთი ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების მიხედვით „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის, [იყო] ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელი.“ მოქმედი კანონი მოითხოვდა პასუხისმგებლობას ციციშვილებისგან: „კრკონის ბუდე - კრკონელთა შეინახონ. აბუხალოს ბუდე და გილიკის ბუდე-გვეძინელთ ებაროს. თრედვის ბუდე-თრედველთა და ერთობით ხვედურელთ შეინახონ.“ ევალეზობდათ, „კარგად გაუფრთხილდენ“, წინააღმდეგ შემთხვევაში „ბუდის თავს ყოველ წელიწადს ამ სოფლებს ოროლს მთავარს

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 859.

² ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიები აღწერა, ტფ. 1914, გვ. 8-10.

შვარდენს ვასყიდვინებთ, იცოდენ, არას გზით არ ვაპატივებთო.“¹ აღნიშნული გადასახადები რაოდენ მძიმე იყო სათავადოს მამულებისთვის, კარგად ჩანს „აქტებში“ დაცულ დოკუმენტში.²

საბაჟო გვიანფოდალური საქართველოს ყოველ დიდსა და მცირე ქალაქში არსებობდა. მძოვრეთზე გამავალ სატრანზიტო-სავაჭრო გზასა და აღებული ბაჟის განკარგვაზე საინტერესო ცნობა შემოგვინახა 1662 წლის შაჰნავაზის შეწირულების წიგნმა.³ სათავადოს საზღვარზე შემოსულ სავაჭრო საქონელს არსებულ საბაჟოზე კონტროლს უწევდა სათავადოს მეთაური და სავგარე-ულს სახლი. 1753 წლის ტაშისკარის ბაჟის ნუსხა,⁴ დასტურ-ლამაღის მიხედვით განსაზღვრული თრიალეთური ბაჟის აღების წესი და ცნობები სავაჭრო საქონლის საბაჟო ტარიფების შესახებ⁵ წარმოდგენას იძლევიან მძოვრეთის ბაჟიდან მიღებული შემო-სავლის სარგოზე.

მძოვრეთის ბაჟის საიჯარო ხელშეკრულებით გაცემის თაობაზე ცნობა შემოგვინახა 1729 წლის დოკუმენტმა: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ფირალიშვილმა გაბრიელამ, თქვენ ბატონს ბაგრატს, ასე რომ მძოვრეთის ბაჟი ბედნიერის ვეზირის ბრძანებით და ბეირუთით ჩემის ნებაყოფლობით მომეცით ამ იანვრის დამდეგიდამ იმ იანვრამდის. ექვსი თუმანი თეთრი უნდა მოგართვა ...“⁶

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 693-694.

² Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. I, Тф., 1866, с.31.

³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 224.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, დოკ. № 108, გვ. 403;

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 619;

⁶ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შვარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 241.

შემოსავლიანი საბაჟო საქმიანობა, სავაჭრო და საქალაქო ცხოვრების აღმავლობა, იმავდროულად მოითხოვდა მომგებიანი სავაჭრო-სახელოსნოების და დახელოვნებული ხელოსნების სათანადო დაცვა-მფარველობას და წყალობას მეეტლის, მეკურ - ტნის, სარაჯის,¹ მეუნაგრის, რასაც არ იშურებდნენ ციციშვილები. ციცი ციციშვილის 1658 წლის წყალობის წიგნში მეუნაგრე ბაბანასადმი, ვკითხულობთ: „...წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ფანასკერტელმან ბატონმა ციციშვილმა ციციმან თქვენ, ჩვენს ნამსახურს მეუნაგრეს ბაბანას, შვილთა თქუენტა ... რადგან ჩუენი ნამსახური იყავ და ფეშქაშიც მოგუართუი, ავდეგ და მეც ერთი კომლი ყმა მოგეც ...“²

1722 წლის „ღმრთაების გუჯარმა“ საინტერესო ცნობა შემოგვინახა ციციშვილების სამეწარმეო საქმიანობაზე, ბაჟის და სამღებროების შესაშურ შემოსავლებზე, რომელზეც სამეფო კარის მოხელეებსაც კი არ მიუწვდებოდათ ხელი.³

მძოვრეთის ვაჭარ-ხელოსანთა, მოქალაქეთა საცხოვრებელ პირობებზე ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. ძამის ხეობაში მცხოვრებ ებრაელთა საცხოვრებელ პირობებზე წარმოდგენას გვიქმნის პროფ. ე. მამისთვალიშვილის მონოგრაფიაში წარმოდგენილი საინტერესო ცნობები.⁴ XIX-XX სს. მიჯნაზე ქარელში მცხოვრები ებრაელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებით და ეკონომიური მდგომარეობით, რომელთა უმრავლესობა ციციშვილთა ყმები ყოფილან, ი. ჩორნი ფრიად კმაყოფილი დარჩენილა, „ცხოვრობდნენ ისე როგორც ევროპულ ოჯახებში ყოფილა მიღებულიო“⁵

¹ სცსსა, ფ. 1450, ს. 24. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 742, დოკ. 239.

² ხეც. ფ. Hd, ს. 9653.

³ ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები(X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 364-365.

⁴ ე. მამისთვალიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 118-124, 127.

⁵ დავიდი, ი. იკჰუდა ჩორნი და მისი ცნობები, ქუთაისი 1996, განთიადი № 3-4.

საქართველოში ჩამოსულ იერუსალიმის ბერძენ პატრიარქ დოსითეოსისათვის (1678-1688 წწ.) ქართული მონასტრების გამოსასყიდი ვალის გადახდის დეტალური აღწერით ნათელი ეფინება, რომ ამ პერიოდის მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებთან.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრები თურქეთთან ირანში ნაყიდი საქონლითაც ინტენსიურად ვაჭრობდნენ, გილანს ნაყიდი აბრეშუმი იზმირს უნდა გაეყიდათ და ბურსას ან სტამბოლს მიართმევდნენ თეთრს გაურჯელად. სწორედ წარმატებული ვაჭრობით მიეცათ საკმაოდ დიდი ვალის გადახდის შესაძლებლობა. საინტერესოა ისიც, რომ მასში აქტიურად ჩართული ჩანს სამეფო კარზე დაწინაურებული პაპუნაბეგ ციციშვილი: „წყალობითა ღმრთისათა, ჩუენ მეფემა გიორგიმ და ძემან ჩუენმან ... ქართლისა კათალიკოზმა ნიკოლოზ ... ამილახორმა გივმა და პაპუნაბეგ [ციციშვილი-მ.მ.] და დიანბეგმა ვახტანგ ... და დარბაისელთა დიდმა და ცოტამ. რადგან ინება ღმერთმან და ამდონი წყალობა გვიყო, ჩვენის მონასტრის დახსნა მოინდომეთ და მობრძანდით თქუწნ, ჩუწნის მამის ალაგს მისაჩენელი ბატონი პატრიარქი დოსითეოს ... რადგან თქუწნ ჩუწნის მონასტრის გულისათვს ამდონს გაისაჯენით, ჩუწნც თქუწნი ბრძანება გავათავეთ და რაც ვალი ჩუწნს მონასტერს ემართა, სრულყველას გარდასაწყვეტად მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი და გავგზავნეთ ჩუწნი კაცები გილანს, აბრეშუმი უნდა იყიდონ და ცხრას თვეში უნდა იზმირს მივიდნენ და როდისაც გაყიდონ აბრეშუმი, ფასი ბატონმა პატრიარქმა უნდა გამოართვას თურამეტი ათასი ოთხასი და ორმოცი და კიდევ აქუს პაპუნასა იზმირს ცამეტი ათასი ასლანი; როდისაც ბატონი პატრიარქი მიბრძანდეს, ან ბურსას და ან სტამბოლს უნდა უნდა მიართოს პაპუნამ ის თეთრი გაურჯელად: კიდევ მარიამობის თვეს გასულსა უნდა მივართოთ

პაპა დანიელს ოთხი ათასი ექვსასი და სამოცი და სამი მარჩილი; ალებული რაც იყო, პატრიარქმა წაიღო ან იარაღი, ამისი ანგარიშით სულ სამოცი ათასი მარჩილი ქართლიდამე უნდა პატრიარქმა ამით მონასტრები დაიხსნას ... რაც ვალები იყოს და რაც ან გილანს გაგვიგზავნია, ან იზმირს არის ეს ყველა უკლებლივ უნდა ბატონს პატრიარქს მიეზაროს ამ ჩუჭნის კაცებისაგან, რომელსაც ალაგს პატრიარქს შეეყაროს, იქ უნდა მიართვას და მარიამობის თვეს გასულსა, რომელიც დარჩა თეთრი, პაპა დანიელს მივაზაროთ და ერთი კაცი ჭკვიანი თან გავატანოთ, რომ არა დაამარცხოვნ რა, და რაც ღირებული მივართვით პატრიარქსა, თუ სტამბოლს ჩუჭნ რომ დავაბარეთ, თუ იმ ფასად არ გაუყიდეს, რომელიც დაკლდეს და პატრიარქმა წიგნი მოგუწეროს, მივართვათ რაც ნაკლები მოვიდეს ჩუჭნგან დაბარებულზე არ დავაკლოთ¹ ქართველების ვალების მთლიანად დაფარვას ე. მამისთვალიშვილი ათარიღებს 1685 წლით, რაზეც დოსითეოსი სიამაყით აცნობებდა ამის შესახებ მოსკოვის პატრიარქს იოაკიმს 1686 წელს.² ამის დამადასტურებელი საბუთი უნახავს პ. კონჭოშვილს 1899 წელს.³

საგარეო ვაჭრობაში ციციშვილთა საქმიანობის შესახებ მასალების სიმწირე, სამწუხაროდ, არ იძლევა ამ საკითხის დეტალურად გაშუქების საშუალებას. ამ მხრივ საინტერესოა დოკუმენტი, რომელმაც შემოგვინახა საყურადღებო ცნობა საციციანოდან 1750 წლის ე. წ. „ოსეთის სავაჭრო გზის“ (მძოვრეთი-რაჭა-ოსეთი-რუსეთი) მოკლე მონაკვეთის სავაჭროდ გამოყენების თაობაზე. ამ გზით ქალაქში მოსული ვაჭრისაგან ბაჟის ალების წესის შესახებ ცნობა

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI - XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 593.

² ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 280.

³ პ. კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, ტფ., 1901, გვ. 83.

დაცულია მეფე თეიმურაზ მეორის სიგელში.¹

1729 წელს მირველ თუმანიშვილის მიერ გადაწერილი დასტურლამალის მინაწერით, ხელნაწერი ციციშვილების ახნაურის, პროტოპოპი გიორგი მაღრაძის საკუთრებაა. იგი რაჭის გზით 1783 წელს წასულა რუსეთში. მოუვლია „ყირიმი, პოლშა, ნოვა[როსია] ელისაბედის ქალაქი, ეკატერინესლავი, კლემენჩუკი, კიავი, ალექსანდრია, ნიჟნა დუბნა, ხარკოვი, ბელაგოროთი, ცარიცინი, ვორონიში, ნახჩივანი, ჩერქეზ ქირმანი, სტავროპოლი, ასტრახანი, ყიზლარი, მოსდოგი და ხევზე მოვედით ქართლში მშვიდობით და უვნებლად“ (1786 წ.).

ვ. გაბაშვილის მოსაზრებით 1773-76 წლებში ირანის ქალაქ შირაზში, ქერიმ-ხან ზენდის კარზე შეიძლება ყოფილიყო წარგზავნილი.² საგანგებო დავალების შემდგომ ირანიდან დაბრუნებული კელდასმულ იქნა მთავარდიაკვნად 1777 წელს და არ უნდა იყოს შემთხვევითი მისი მეორედ გამგზავრება რუსეთში. შესაძლოა, მეფე ერეკლეს დავალებით, 1783 წლის ტრაქტატის დადებას უკავშირდებოდეს. მოუვლია ყირიმი, პოლონეთი და სამხრეთ რუსეთის მთავარი ქალაქები. სავარაუდოდ, მოგზაურობისას ეწეოდა კომერციულ საქმიანობასაც. 1786 წელს უცხოეთიდან დაბრუნებულს, ციციშვილთა ყმობიდან დიდი გამოსასყიდი თანხით თავი დაუხსნია და ყმა-მამული შეუქმნია.

ამდენად, ისტორიული მასალების მიხედვით, მძოვრეთში XVII ს. 30-იანი წლებიდან XVIII სს. „ოსმალობის“ პერიოდამდე სამეურნეო ხასიათის წინსვლა, ვაჭრობის გამოცოცხლება და საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ტემპები აშკარად შეიმჩნევა, მაგრამ საისტორიო დოკუმენტების მიხედვით ციციშვილების სავაჭრო ურთიერთობა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

¹ Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. II ч. I, Тфюш 1868, с. 1133.

² ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 57, 86-87.

და ხელოსნური ნაწარმის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციით შემოიფარგლება. მძოვრეთის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, ჩვენ მიერ მოკვლეული წყაროების და სამეცნიერო ექსპედიციის ჩანაწერებთან ერთად, უთუოდ ძვირფას მასალას მოგვცემდა საქალაქო ცხოვრების ისტორიისათვის.

მძოვრეთში ვითარება რადიკალურად იცვლება XVIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან, როცა „ოსმალობისას“ დასუსტდა და მოიშალა საქალაქო ცხოვრება. „ოსმალობის“ პერიოდის 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის¹ მიხედვით საციცი - ანოს ნაჰიეში „მცირე“ ქალაქის, მძოვრეთის უბნები ცალკე სოფლებად შეუტანიათ. ძამაში - 7კაცი, იხდის 3000 ახჩას, სოფელი გორაზინა (ზღუდერი) - 56 კაცი, იხდის 27980 ახჩას. მათ სიახლოვეს ჩანაბეთში (ორთუბანი) - 53 კაცი, იხდის 27980 ახჩას. ცალკე გამოყოფილია აქ მცხოვრები თავადები-28 კაცი. მინიშნებულია, რომ დასახლება ებრაელების მოდგმისანი არიან, ხსენებულ სოფელს მიწა არა აქვს, თუმცა იხდიან გადასახადებს მარცვლეულზე, ვენახზე, ღორზე, ხილზე. ამას მოსდევს ებრაელთა დასახლება, სადაც გადამხდელუნარიანი 112 კაცია. დავთარში მინიშნებულია დასახლებაში - 15 დუქანი, სამღებროები, წისქვილები, რომელთაგან ნაწილი ციციშვილების საკუთრებაა - 40000 ახჩა. ვენახის მფლობელებად ძირითადად დასახელებული არიან ციციშვილები, სუქანანთ უბანი - 45 კაცი. გადასახადის რაოდენობა - 18210 ახჩა. რამდენიმე ჩანს სხვა საგვარეულოდან - კათალიკოსის ყმები და ოსმალო მოხელენი, რომელთა რაოდენობა დაუდგენელია. სულ მძოვრეთში გადამხდელუნარიანი -301 კომლია და იხდიან საკმაოდ დიდ გადასახადს - 117 170 ახჩას, აქედან თითოეული კომლი იხდის 389 ახჩას.

ოსმალების დაწესებული მძიმე ხარკის გადახდაზე პასუხის-

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 166, 204-211;

მგებელ მებატონე ფანასკერტელ-ციციშვილების მოვალეობა ხარკის გადამხდელეებზე არანაკლებ ტანჯვად იქცა, რადგან ოსმალთა მოხელენი შეწერილ ხარკს უკლებლივ ითხოვდნენ, მაშინ როცა სილატაკესა და უმწეობაში ჩავარდნილი მათი ყმები, ოჯახებიანად გარბოდნენ მშობლიური ადგილებიდან.

მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ციციშვილები მამა-პაპეულ მამულებს ჩალის ფასად ჰყიდნენ, ან აგირავებდნენ მამულებს უცხოტომელებზე, რომლებიც ცდას არ აკლებდნენ, ნაგირავები მამულები თავად მიესაკუთრებინათ.

1733 წლის დოკუმენტურმა წყარომ საინტერესო ცნობები შემოგვინახა - ახალციხიდან გადმოსული ჰასან აბდულ-ლაჰის ძე მძოვრეთში მცხოვრები ფარსადან ზაზას ძე ციციშვილისაგან მამულის დაგირავების ვადის გასვლის შემდეგ როგორ ცდილობდა, ამ მამულის დასაკუთრებას: „ამ შარიათის საბუთის წარმომდგენმა ზიმმიმ ფარსადან ზაზას ძე ციციშვილმა (სისიოღლიმ) სახელოვან და ღირსპატივსაცემ შარიათის სასამართლოში აღძრა საჩივარი ... ახალციხის მცხოვრებზე ვინმე ჰასან აბდულ-ლაჰის ძეზე და მასთან პირდაპირ განაცხადა შემდეგი ... აღნიშნული პირისაგან ასი ყურუში ვალი ავიღე, როდესაც მე სოფელ კეხიჯვარში ჩემდამი კუთვნილ მამულზე მოსახლე ჩემი გლეხებისაგან შემოსული უშური და ჩემ საკუთარ ყანაზე დათესილი ხორბლისა და ქერის მოსავალი იმ დროს მოქმედი ნიხრის მიხედვით ორმოცი სომარი [ძვ. საწყაო 6 ფუთამდე] ხორბალი და ოცდაათი სომარი ქერი ჩემი ვალის ასი ყურუშის ანგარიშში გადავიხადე. ზემოაღნიშნული პირი ... ჩემი თამასუქის დაბრუნებას თავს არიდებს და უნდა, რომ წამართვას ხსენებულ სოფელში მდებარე ჩემი მამულის კიდევ ერთი წლის მოსავალი. მე ვითხოვ დაკითხული იქნეს ის, აქვს თუ არა მას ხელში ამისათვის კანონიერი საბუთი. დაკითხვის შემდეგ მოპასუხემ შემდეგი განაცხადა: ხსენებული (ციციშვილის) სოფელ კეხიჯვარში მდებარე მამულიდან ორმოცი სომარი ხორბალი და ოცდაათი სომარი ქერი ჩემ მიერ მასზე დაცემული სესხის თანხაში

იქნა ნაანგარიშევიო. მაგრამ ვინაიდან ხსენებულმა და მე დავთქვით ჩემს განკარგულებაში ყოფილიყო[ეს მამული] ორი წლის განმავლობაში, ამიტომ მე მინდა დავუფულო კიდევ ერთს წელიწადს.“ ამ განცხადების ... საბუთი ვერ წარმოადგინა. ამის შემდეგ მიზანშეწონილად იცნეს ფიცი და წინადადება მისცეს ციციშვილს დაეფიცა ... მან დაიფიცა ... ამის შემდეგ მას ჩამოართვეს თამასუქი და ციციშვილს გადასცეს. მოქალაქე ჰასანს მხოლოდ გაფრთხილება მისცეს, რომ ... არ ჩარეულიყო აღნიშნული სოფლის საქმეში“.¹ უფრო ხშირად განგებ გაჭიანურებულ შარიათის სასამართლოში ილაჯგაწყვეტილი მებატონე სამართალს ვერ პოულობდა. ყიზილბაშთა ბატონობის მძიმე ხვედრით შევიწროებული, ვალებში ჩავარდნილი, სამემკვიდრეო ყმა-მამულ დაკარგული ციციშვილები შემორჩენილ ყმათა ნაწილს თავად ჰყიდდნენ, „ლეკობდნენ“ კიდევ და ამ სამარცხვინო საქმიანობას აღარ თაკილობდნენ.

3. მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების დაცემა XVIII საუკუნის 90-იან წლებში

„ოსმალთა-ყიზილბაშობის“ უმძიმეს ხანას დავმატა „ლეკიანობა“, მართლაც ლეკებზე სასტიკი და ვერაგი მტერი თითქმის არ ჰყოლია საქართველოს. „ლეკიანობის“ გახშირებულმა მძარცველურმა თავდასხმებმა შეიწირა ათიათასობით ადამიანთა სიცოცხლე და ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის უმწვავესი საკითხი დააყენა.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ, მთიდან ბარში ჩამოსახლებული „ლეკები“ იწყებენ გაუკაცრიელებული ადგილების დაკავებას. მათი თავდასხმები ქართლში 1717 წლიდან იწყება. XVIII

¹ ს. ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1969, გვ. 185-186.

საუკუნის 30-იანი წლებიდან დაღესტნელთა შემოსევები ძამის ხეობაში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, რაზეც საუბრობს სეხნია ჩხეიძე: „ააოხრეს საციციანო ... აბუხალა, გუჯარეთი, თრიალეთი ... წავიდნენ უზიანოთ ... კიდევ მეორეთ გადმოიპარნენო.“¹ 1738 წლის მეფის ბრძანებით მძოვრეთიდან გატაცებული ტყვეებიდან, „ხიზანი ოსმანაშვილი თევდორა, რადგან ზაზა ციციშვილისაგან გამოსყიდული ყოფილა, და მანუჩარსაც ზაზასათვის დაუნებებია, ისევ ზაზას შეიღებს ქაიხოსროს და ფარსადანს უნდა სჭეროდა.“² 1746 წ. ხეობის დაცვის მიზნით გაგზავნილ ფარსადან ციციშვილს თავი გამოუჩენია „ლეკებთან“ ბრძოლაში: „გზების მცველად მცირე ჯარით დახვდა წინ ლეკთა თარეში, დაამარცხა ფარსადანმა და დააყრევინა ტყვენი და ნადავლი-ო“.³

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ოსმალებისგან წაქეზებული და მხარდაჭერილი „ლეკების“ თავდასხმები საკმაოდ ხშირი, ორგანიზებული და გამანადგურებელი გახდა. ოსმალთა ამ ვერაგულ პოლიტიკაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პაპუნა ორბელიანი: „...იხილეს ოსმალთა უკუდგომა ქართველთა, ამისათვის გაიერთნეს ლეკნი და მოიმწყეს მუნით სპანი და აოხრებდნენ ქართლ-კახეთსა და უფროსად სომხით-საბარათიანოს“⁴ დაიწყეს გახშირებული თავდასხმები მძოვრეთის ციხე-გალავნებში თავშეფარებულ მოსახლეობაზე.

1751 წელს მეფე თეიმურაზი „დარბაზ ბატონ“ დიმიტრი ციციშვილს მოთარეშე ლეკების გასადევნად ზომების მისაღებად წერდა: ჩვენს: დიდ: იმედს:დიდათ: იმედთა: მისაჩენელად ... არა-ოდეს არ დასავიწყარს: დარბაზ:ბატონს...მაგ: საციციანოს: მხარეს:

¹ სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, გვ. 94.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ.15-16

³ საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ. 82.

⁴ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 243.

რომ ლეკი: არის და ზემო: ქართლს არბევს: ამილახორის შვლებს: და ზემო : ქართლელებს : მივწერ: მანდეთ : წამოვლენ : ერთათ : შეიყარენით : და ლუთით : თამაშ : უყავით : თავდასხმით : იყოს : თუ ისე: იჯობინოთ: შებმა: როგორც: ამჯობინოთ.“¹

პირველწყაროები საინტერესოდ გადმოგვცემს საბრძოლო ეპიზოდებს საციციანოში: „1753 წელს შეეპარნენ სამწევრის ციხეს, ნახევარი აიღეს, ნახევარი გაუმაგრდა, შემოადგნენ ციხესა ... გამოწვეს შიგნით კოშკი ცეცხლითა ... ტინისხიდი წაახდინა ლეკს ჯარმა, შემოადგნენ დირბს, მიეშველნენ მეფენი ... სძლიეს ლეკთა შემოადგნენ წალკის ციხეს და აიღეს, აქედან იწყეს საციციანოზე თავდასხმა და აკლება ქართლისა. 1755 წელს მიუხდნენ კვალად დამე სამწევრისის ციხეს გადავიდნენ კიბეებით შიგ შეუტყეს ადრე ციხოსანთა...“² კაპუნა ორბელიანის ცნობით, „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდან ჩამოუშვეს და აღარც ახალციხისა ქვეყნიდამ ქარავანი“ იმარცხებოდა საციციანოს სოფლები, ტყვედ ერეკებოდნენ მოსახლეობას, იტაცებდნენ საქონელსა და ცხვრის ფარას, მეფემ საგანგებო ბრძანებაც გამოსცა „გაღმა მჭრის“ დაცვის შესახებ,³ თუმცა ლეკთა გახშირებული თარეში კვლავაც შიშის ზარს სცემდა და აჩანაგებდა ადგილობრივ მცხოვრებთ. 1756 წელს „კვლავაც მოვიდა ლეკის თარეში და ქარელის მინდვრიდან წაასხეს ტყვე და საქონელი, გამოუდგა მდევარი, გააქცივეს ლეკი და დააყრევინეს ყოველივე მეფენი მიბრძანდნენ სურამს.“⁴

თანდათან გაუარესებული ვითარების გამო, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრები ურბნელები (1770 წ.) მეფეს შესჩიოდნენ: „ლეკისაგან ილაჯი აღარა გვაქვს ... გავღარიბდით. მოსავალი აღარ მოგვდის, საქონელი ლეკისაგან არ შეგვრჩა, წყალი არ გვეძლევა ...

¹ სცსსა, ფ.1449, ს. 3085.

² სცსსა, ფ.1446, ს. 703.

³ სცსსა, ფ. 1448, ს. 679

⁴ საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ. 110.

გამოსაღების სურსათს ნუ გვაწერთ, თორემ ... სულთ იქით ილაჯი აღარა გვაქვსო.“¹ საარქივო დოკუმენტები კიდევ უფრო რეალურ წარმოდგენას გვიქმნის „გაღმა მჭრის“ და მძოვრეთის უმძიმეს მდგომარეობაზე.

„ლეკიანობის“ შიშით ციციშვილებმა თანდათანობით დაიწყეს მძოვრეთის მიტოვება და მტკვრის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფ. ქარელში დასახლება იმ იმედით, რომ „მშვიდობიანობის“ დად - გომისთანავე კვლავ დაუბრუნდებოდნენ რეზიდენციას. ქარელში მათი გადასახლების პირველ ფაქტზე მიუთითებს 1763 წლის მორიგების წიგნი დიმიტრი ნაზირისა ალექსანდრე სარდლისადმი: „ავი დროსაგან და მტრისაგან ქარელში დასახლება მოგვიხდა. მინდვრის მიწას შორს რომ იყო, ვეღარ მიუდევით ... სამოვარს, ჭალებს ხვნა და ვუწყევით, ქარელის და აფნისის ... ავდექით ბატონს მეფეს მოვახსენეთ ... ასე გაგვარიგეს სანამდი ან ჩვენ წავიდეთ ჩვენ სასახლეშია და მამულშია, ან ჩვენი ყმა მოვიდეს თავის ... მამულზე, და ნახონ ... ღმერთმან ხელი მოგვიმართოს ... დავცალოთ ქარელი ... ქარელთ და აფნელთ ... ისევ დაიჭირონ სამოვრათ ჩემს ყმათაც და თქვენ ყმათაც“². ლეკიანობას ვერც მტკვრის გამოღმა მხარეს, ქარელში გადმოსახლებით დააღწიეს თავი.

ვახუშტის ცნობით, „აღარ დარჩა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხითსაც თვნიერ სიმაგრეთა.“ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სოფლებში ლეკიანობის მძიმე შედეგებზე მინიშნებს ქართლ-კახეთის 1770 წლის 5 აპრილის ნუსხა. ვ. გამრეკელის³ მოსაზრებით, ნუსხა ეფუძნებოდა 1767 წლის აღწერას, რომლის არსებობა დასტურდება

¹ სცსსა, ფ. 1448, ს. 1272.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 491, დოკ. № 395.

³ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, მაცნე, თბ., 1973, № 1, გვ.150.

დოკუმენტურად.¹

დღემდე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა 1770 წლის ნუსხის მიხედვით ქართლ-კახეთის მოსახლეობის რაოდენობაზე.² ნუსხა ნამდვილად არ არის სრულყოფილი, მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების და უზუსტობების გამო, სადაც ვკითხულობთ: „არს აოხრებული და უმკვიდრო ქმნილი თრიალეთი ... არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი ... არს საბარათისშვილო ქვეყანა დიდი, ასისგან ერთი დარჩენილა. ხიზნათ არიან. ეს სომხითი და საბარათიანო არის ქვემო ქართლი...“³ სამწუხაროდ, ქალაქებსა და პროვინციათა შორის არ მოიხსენიება ისტორიული „გაღმა მხარი“ და მძოვრეთი. მოსახლეობის კომპლობრივი და სულადობრივი გამოთვლისას მკვლევარებიც კი არ ახსენებენ ისტორიულ „გაღმა მხარეს“ და მძოვრეთს.

ცხადია, გაუკაცრიელებული და მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილი რომ ყოფილიყო, დოკუმენტში უთუოდ აისახებოდა, რადგან: 1770 წლის ნუსხა ერეკლე მეფის განკარგულებით შეუდგენიათ და გადაუციათ რუსეთის ხელისუფლების რწმუნებულ ანტონ მოურავოვისათვის (თარხნიშვილი), მეორეც, 1772 წლის ზემო ქართლის მდევრობის განწესების მიხედვით, მეფე კმაყოფილია „გაღმა მწარის“ მდევრობით: „... თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანეთს ნუ მოუცდიან ყველანი სირბილით გამოიქცენ. თუ ქვეითი ჯარი იყოს, სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ ... ორისავე მწარის მდევარი უნდა საჩქაროდ ... წამოვიდნენ ... გაღმა მწარის გარიგებულა, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ.“⁴ აქვე ერეკლე

¹ სცსსა, ფ. 1448, ს. 4533; ფ. 1448, ს. 1377.

² ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1984, გვ. 31-37.

³ ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 421.

⁴ იქვე, გვ. 428.

მეფე შეახსენებდა „ლეკიანობის“ დიდ საფრთხეს და ყველას გაერთიანებული ბრძოლისკენ მოუწოდებდა, „ეს იცოდეთ: თავადიშვილებმაც, აზნაურიშვილებმაც, გლეხმა კაცმაც ამის უკეთესს ვერცარას ღმერთს აამებთ, ვერცარას ჩვენ გვაამებთ და ვერცარას ქვეყანას შეემატებით...“

ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე გახშირებულ ლეკთა თავდასხმებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე საუბრობს კაპიტანი იაზიკოვი 1770 წლის ჩანაწერებში, სადაც აღნიშნავდა, რომ ლეკთა ტყვეობას გადარჩენილი, შეშინებული მოსახლეობა იარაღის გარეშე სამუშაოდ ვეღარ გადიანო.¹

გაპარტახებულ გაღმა მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილ ქართულ სოფლებზე საუბრობს გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა ძამის ხეობაში და მისივე თქმით, ანტონ კათალიკოსისგანაც იღებდა საჭირო ინფორმაციას. მისი აღწერით: „საციციანო სათარხნოს ზემოთ და მტკვრის მარჯვენა მხარეს [მდებარეობს]. ის ძალიან ჰგავს სათარხნოს ყველაფერში და აქვს ქართველებით დასახლებული სოფლები, უმთავრესად, კი გაპარტახებული სოფლები და ძალიან წააგავს განადგურებულ უდაბნო ადგილებს.“² მეფე ერეკლეს 1784 წლის ბრძანება საციციანოს საქვეყნო ხარჯის შესახებ,³ კიდევ ერთი მტკიცებულებაა, რომ მოსახლეობისგან ჯერ კიდევ მთლად დაცლილი და საბოლოოდ დანგრეული ჯერ კიდევ არ იყო ისტორიული „გაღმა მჭარი.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც „აოხრებულ და უმკვიდრო იქნა“ თრიალეთი და გუჯარეთი, იწყება ლეკთა ბრბოების კიდევ უფრო თავისუფლად შემოდღევა დაუცველ

¹ Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии т. I (1768-1774 г.) под редакцией А.А.Цагарели, 1898г. стр.186;

² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 219;

³ მასალები, საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, (ადმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, წიგნი III, თბ., 1953, გვ. 77.

ძამის ხეობაში და ორგანიზებული პერმანენტული თავდასხმები მწვავე რეალობად იქცა.

მეფე ერეკლეს ჯერ კიდევ XVIII ს. 70-იანი წლებიდან ძამის ხეობასა და მძოვრეთში შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამოსავლის საკმაოდ საინტერესო, გასაიდუმლოებული გეგმა შეუმუშავებია, რომელიც მოღალატე გრაფ ტოტლებენს ჩაუშლია. პანინისადმი 1770 წელს მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „...მრავალ გზის დაღისტნელნი ლეკნი შემორიგებულნი გუყოლიან რომელისამე მიზეზებითა - ზოგი ჩვენის ქვეყნის დაცვისათვის და ზოგი მტერზედ მოხმარებისათვის, და ერთი ამისთანა შემძლებელი კაცი მყვანდა შემორიგებული, რომლისაც მიზეზით დადესტნელნი მრავალნი კაცნი ჩვენთან შემორიგებულნი იყუნენ, და ამათ ოსმანთ ქვეყნის ნატყვენავი და საქონელი ჰყუნდათ, რომ ოსმანთ ქვეყანას არბევდნენ, - ამისთანას ჩვენთან შემორიგებულს კაცს და ჩვენის ქვეყნის შესამატს კაცს მიუხდა სოფელსა ქარელს და ამოსწყვიტა იმ სოფლის კაცნი : ევედრნენ ამ საქმის ესრეთ არ ყოფასა, მაგრა არც მოისმინა მათი ვედრება და არც დაიშალა, და ამ მიზეზით იმდენი კაცი აგვიშალა და მშვიდობილად დაგვიკარგა, და მტრად გაგვიხადა: ის ლეკნი ცამეტის კაცის მეტნი არა ყოფილან, ცამეტი მოკლა, და იარანალ მაიორს ოცდამდე კაცი მოუკლეს იმ ლეკთა... ოდეს ჩვენ მტრის ადგილებიდან ... პირად მარბიელს უსევთ მტრის ქვეყნებში და ვცდილობთ, რომ რიგიანად უმტეროდ.“¹

ამრიგად, ავთენტური წყარო სათანადო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა: 1. მოსყიდული და გადმობირებული მეფის მომხრე ძამის ხეობაში ჩასახლებული დადესტნელი ლეკების ოსმალთა საზღვარზე ხშირი, მოულოდნელი თავდასხმებით და ძარცვით, ფიქრობდნენ საბოლოოდ მტრობა და განხეთქილება ჩამოეგდოთ „ძველ მოკავშირებს“ შორის. 2. მიეღოთ ორივე მხრიდან სანდო ინფორმაცია ქართლ-კახეთში ლეკთა რაზმების

¹ Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии т. II. вып. I. (1768-1801г.) под редакцией А.А.Цагарели, 1898г., стр. 32.

თავდასხმების და ერთობლივი საბრძოლო გეგმების შესახებ, 3. რაც მისცემდა სამეფო კარს შესაძლებლობას „გაღმა მხარის“ საზღვრისპირა სატრანზიტო გზის დაცვას და გაკონტროლებას.

ქვეყნის „გამოხსნის მიზნით“ შემოსულ გრაფ ტოტლებენს 1770-1771 წწ. მეფე ერეკლემ რამოდენიმეჯერ შესთავაზა ახალციხის მიმართულებით საბრძოლო კამპანიის განახლება, მაგრამ უშედეგოდ. მალე პორუჩიკ დეგრალიესგან ცნობილი ხდება თურქეთის ფაშასთან გასაგზავნი წერილებიც. ფაქტიურად, მისმა ღალატმა ჩაშალა საომარ ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმები. მეფე ერეკლე აწყურთან გამარჯვებით ოსმალებისგან ქართლზე თავდასხმის მარჯვე პლაცდარმის მოშლას ვარაუდობდა. ახალციხის სამხედრო-სტრატეგიული მხარის დაკავებით კი მეფეს წარმატებული საომარი ოპერაციების გაშლის პერსპექტივები ეძლეოდა, რაც ლეკებისთვის ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით თავშესაფრის მოსპობასაც ითვალისწინებდა. ერეკლე თურქეთის წინააღმდეგ მეზობელი ხალხების ამხედრებასაც ვარაუდობდა. თურქეთს ახალციხის დაკარგვით ლეკებთან უშუალო კავშირის შესაძლებლობა წაერთმეოდა, რაც ქვეყანას „ლეკიანობის“ საფრთხეს ააცილებდა, ძამის ხეობას კი გაუკაცრიელების რეალური საფრთხისგან იხსნიდა, „მცირე“ ქალაქ მძოვრეთს - საქალაქო ცხოვრების დაცემისგან.

ავანტურისტ გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენის (1715-1773 წწ.) ღალატმა კიდევ უფრო გადაამტერა დადესტნელები და გაახშირა „ლეკების“ და ოსმალების შეთანხმებული თავდასხმები. ამის გამო განაწყენებული მეფე ერეკლე ანტონ მოურავოვს 1770 წელს ატყობინებდა: „დადისტნიდამ ... ჯარის ყრილობის ჰამბავი მოგუდის ... თვით ყიზლარის კამედანტს თქვენთა და ჩვენთან რაც მოეწერა დადისტნელთაგან მზადება, და ამ ჰამბის მსმენელი ტოტლებენი თუ როგორ სასოწარკვეთილებაში მაგდებს მე და ჩემს ქვეყანას ... ოსმალთ მტერობისაგან ... დამყოვნა და ასე ყოვლის გზით საქმე გამიჭირა ... ციხეები წამართვა სამი და ოთხი ქართლში

... ყოველი სამღუდელო და თავადები ზოგნი დააფიცა ... ქართლი ჩემთვის უნდა წაერთმევიანა ... ჩემგან იქ დაყენებულმა ციხის (გორის მ.მ) მცველებმა ჩემის ბრძანებით არ შეუშვეს,¹

გენერალ ტოტლებენის მიერ ქართლის ციხეების აღების თაობაზე პანინისადმი მიწერილ 1770 წლის წერილში ერეკლე აღმფოთებული აუწყებდა: „ჩემზედ მტერობა გამოცხადებული იყო, მაშინ წერილებითა და საქმითა ზოგი ციხეები წართმეული მქონდა იმისგან [ტოტლებენისგან] და ზოგი მას უკან წამართო. ზარბაზნები დამიმტვრია და რაც წამალი მქონდა ანაზურის ციხეში სრულიად გაიტანა, ვიდრე 200 ფუთამდე, ამას გარდა იმ ქვეყნის კაცნი, თუ სადაც ქართლში მივიდა, თავადები და იმ ქვეყნის კაცნი ზოგნი რომელნიმე დააფიცა; და იმ ციხეების წართმევის უკან, მას უკან გორის ციხესაც მართმევდა. მაგრა, ვინათგან ბრძანება არ ჰქონდა, იმ ოთხის ციხის წართმევა კი დაუთმე, და გორის ციხე კი აღარ დავანებე ... ჩემ მეზობელთ წარმართთა ამაზედ რომ ნიშნი მომიგეს და ჩემს ქვეყნის კაცთაც ავათ დაინახეს, ამაზე წუხს ჩემი გონება.“²

ქვეყნის „მფარველად“ მოვლენილმა ტოტლებენმა აწყურის ციხესთან ბრძოლის ველი მიატოვა სურსათის ნაკლებობის მიზეზით, რაც ისტორიული წყაროებით არ დასტურდება.³ სინამდვილეში ეს იყო ახალი, მორიგი ავანტურა ქართლის ციხეების დასაკავებლად. ბორჯომის ხეობიდან ქართლში დაბრუნებული იკავებს სურამის ციხეს, ამასთან სარგებლობს, რომ სარდალი ალექსანდრე ციციშვილი, საციციანოს შეიარაღებული ძალებით და მძოვრეთის ციხის მცველთა ძირითადი გარნიზონით, ახალციხის საბრძოლო ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდა, სადაც სარდლის მძიმედ დაჭრის შესახებ 1770 წლის 30 აპრილის

¹ Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии т. II. вып. I. (1768-1801г.) под редакцией А.А.Цагарели, 1898г., стр. 41-42.

² Там же, стр. 49-50

³ Грамоты и другие исторические документы, XVIII столетия, т. I, с. 1768 по 1774 г. под редакцией А.А.Цагарели, Петербург, 1891 г. Стр. 104-105. შდრ. ხეც. ფ. Hd, ს. 9456. ფ. Hd, ს. 14 346.

„რაპორტით“ იყო ინფორმირებული ტოტლებენი და ხელს აღარაფერი უშლიდა სამწევრისის და მძოვრეთის ციხეებსაც დაუფლებოდა.¹ ამიტომ ქართლში დაკავებულ ოთხ ციხეთა შორის მოვიანებებთ სამწევრისის და მძოვრეთის ციხეებს.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ოსმალები ადვილად არ ეგუებოდნენ ქართლის დაკარგვას, არც ლეკებისაგან იაფად ხელში ჩაგდებას ნადავლს და ტყვეებს სჯერდებოდნენ, ახალციხიდან ძამის ხეობაში ხშირად თავადაც იჭრებოდნენ. „1775 წელს ახალციხიდან გამოილაშქრა სულიეიმან ფაშამ; ქარელის ციხეს მიადგა. გაიგო ერეკლე მოდისო, მაშინვე აიყარა და გაიქცა.“² მეფე ერეკლეს 1780 წლის წერილში, კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პოტიომკინისადმი, აღწერილია თავად ახალციხის ფაშას მიერ ქართველი ვაჭრების გამარცხის ფაქტები.³

იმდენად საშიში და დაუცველი გახდა მძოვრეთი, იმდენად „დაყრუდა“ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომ 1774 წელს მეფე ერეკლემ „ოსმალის მხრისკენ“ წასვლის აკრძალვის განკარგულებაც გამოსცა.⁴

მძოვრეთსა და ძამის ხეობაში შემორჩენილი მოსახლეობის ადგილზე დამარების და დაცვის მიზნით ერეკლე მეორე რევაზ ამილახვარს და ქალაქის მოურავ დავით ციციშვილს წერილით ურჩევდა „ლეკიანობის“ შემთხვევაში სოფლებში ჯარის განლაგების და მათზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, ადგილებზე თავად აეღოთ.⁵ გაჭირვებაში ჩავარდნილი ციციშვილებისათვის მცირე შეღავათის მიცემის მიზნით 1775 წ. იანვრის ბრძანებით მეფე საციცი-

¹ Грамоты, и другие исторические документы, т. I, Стр. 106-107.

² ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო, ლ.მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 89.

³ В. Гамрекели Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии, Тб., I, 1980 док. №59.

⁴ სცსსა, ფ. 1448, ს. 392;

⁵ სცსსა, ფ. 1461, დავთ. 12, ს. № 75;

ანოს ტყეებში ხის მოჭრაზე დაწესებულ გადასახადს მთლიანად მათ უტოვებდა.¹

სამეფო კარის მიერ გატარებული იქნა ქმედითი და ეფექტური ღონისძიებანი ლეკიანობის წინააღმდეგ: გადაწყვეტილება „მორიგეების გამოყვანის შესახებ.“² მტკვრის მარჯვენა მხარეს ხეობათა გადმოსასვლელებში ე. წ. მდევრობა, რომელიც ითვალისწინებდა მუდამ მზადყოფნას, შემოჭრილ მტერს დადევნებოდნენ და 1773 წლის მორიგის ლაშქრობის განაჩენი,³ რომელზეც დიდ იმედს ამყარებდა მეფე ერეკლე: „ლეკთაგან ამდენს ხანს ამისთანას მოუსვენებელს მტერობით შეიწრდა და მოუთმენელს ჭირს მიეცა ... ჩვენც მრავალგზის ბევრ რიგის გარჯილობას ვცვადებით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი წამალი და საქმე გვეპოვნა, რომ ჩვენის ქვეყნისათვის გვერგო რამე. და მორიგე ჯარის შემოღება გადაწყვეტეთო.“⁴ საინტერესოა ისიც, რომ ერეკლე დაქირავებულ ლეკთა ლაშქარს თვით ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც იყენებდა, რაზეც მინანიშნებს მეფე ერეკლეს XVIII ს. 80-იანი წლების წერილი ქალაქიელისადმი: „...ახლა ახმად-ხანი და მისი თანამზრახველნი ილაშქრებენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ... ახლა არ წამოხვიდე ჩვენთან ... მაშინ დაგიძახებთ, მოგწერთ წერილს და შენც მოხვალ იქ, სადაც შეგატყობინებთ. ხოლო როცა მოხვალ, ბევრ სარგებელს ნახავ და ჩვენით კმაყოფილი დარჩები.“⁵ მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, მეფის მოლოდინი არ აღმოჩნდა შედეგიანი.

ლევან ბატონიშვილის მოულოდნელ გარდაცვალებას (1781 წ.) მალევე მოჰყვა მორიგე ჯარის მოშლა, რამაც მძოვრეთის და

¹ სცსსა, ფ. 1450, დავთ. 52, ს. № 19.

² სცსსა, ფ. 1448, საქმე 375.

³ ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, თბ., 1966, გვ. 436, დოკ. 127.

⁴ ი. ლორთქიფანიძე, საბუთი ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, მუზეუმის მოამბე, XIV, 1947, გვ. 281; სცსსა, ფ. 1448, საქ. 5005.

⁵ ნ. ყანჩაველი, ერეკლეს II-ის, წერილი ქალაქიელისადმი, მრავალთავი VI, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1978, გვ. 241.

საერთოდ „გაღმა მჭრის ყოფნა-არყოფნის“ საკითხი რეალური საფრთხის წინაშე საბოლოოდ დააყენა. 80-იანი წლებიდან კი „ლეკებმა დაიდეეს“ ერთ-ერთი ყველაზე მარჯვე და მოხერხებული გზა ოსმალეთისკენ ტყვეთა გასაყვანად. ახალციხურმა ქრონიკებმა უხვად შემოგვინახა ავბედითი ჩანაწერები „ახალციხეში ლეკებმა ქართლითგან ტყვეები მოიყვანესო“.¹ აქედან ტყვეები გაჰყავდათ ეგვიპტეში, ალჟირში, არაბეთსა და სხვა ქვეყნებში.

ლეკების ტყვეობის მძიმე ხვედრს ვერ გადაურჩა ციხე-სიმაგრეებში, კოშკებსა თუ გალავანს თავშეფარებული მძოვრეთის მოსახლეობა. თავად ციციშვილებმაც არაერთხელ იწვნიეს ტყვეობის მძიმე ხვედრი, ბევრიც შეეწირა „ლეკიანობას“.²

ზაზა ციციშვილი 1772 წლის თამასუქის მიხედვით, იძულებული გამხდარა ვალი აიღოს ახალციხეში ლეკთა ტყვეობაში მყოფი ძმის გამოსახსნელად. იმდენად გაღარბებულა თავადიშვილი, რომ დახმარებას მკერვალ ლაზარეს შვილ ქიტესას სთხოვს: „კიდევ ავიღე მე, ციციშვილმა ზაზამ, შენ, მკერვალი ლაზარესშვილის ქიტესასაგან ორმოცი ოსმალს საღი ყურუში... ღვთით ახალციხიდან ჩამოხვიდე, ჩემი ძმა დაიხსნა, ჩამოიყვანო, ეს თეთრი მაშინვე ულაპარაკოთ მოგაბარო. ამის გირაოდ მოგეცი მეჯვრისხევეს ტერტერასშვილი გოგია ჩვენი ყმა. ასი ყურუში გირაობის წიგნი სხვაც მოგეც და ორმოციც. ეს, რომ გახდება ასორმოცი ყურუში, მანამდის შენი თეთრი მოგეცეს, იმ კაცის გამოსაღები და სათხოვარი არც ვითხოვო და შენ იმსახურო. როცა შენი თეთრი მოგეცე, ჩემი ყმა დამანებო და წიგნები მოგეცე“.³

უცხოელი მოგზაურები საგანგებოდ ეხებოდნენ ტყვეებით ვაჭრობის მთავარ ბაზრად ცნობილ ახალციხეს. XVII-XVIII სს.

¹ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 183-184, 164.

² საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ. 127.

³ დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ. 1967, დოკ. 56, გვ. 65.

საქართველოში ტყვეთა სყიდვის მასობრივ ხასიათზე, რომელიც ომებთან ერთად ქვეყნის მოსახლეობას აჩანაგებდა, საგანგებოდ აღნიშნავდნენ ჟან შარდენი და კ. კოხი. გერმანელი მოგზაური ვ. ფრაიგანგი ხაზგასმით მიანიშნებდა, რომ ქართველ ქალებს უმთავრესად თურქეთსა და სპარსეთში ჰყიდდნენ ჰარამხანებისთვის, მათ შორის „ხშირად ერთი ცხენის, ან კარგი ხმლის ფასადაც“.¹

ბურნაშოვი არ არის ტენდენციური, როცა წერდა: „გზებზე მიმოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, სოფლები დაცარიელებულია ... მის უმაღლესობას არ შეუძლია შეგროვილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან ფული არ აქვს. მისი შემოსავალი თითქმის გაქრა.“²

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ, ქვემო ქართლიდან და ლეკების პლაცდარმად ქცეული ახალციხიდან შემოსევები მძოვრეთსა და მთელი ძამის ხეობისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით, თუმცა საგანგებო აქცენტებით მეფე ერეკლე ხშირად შეახსენებდა „მფარველს“ გაცილებით გაუარესებულ მდგომარეობას და ნაკისრი ვალდებულების დაცვას მოითხოვდა.

90-იან წლებში ფაქტიურად მოსახლეობისაგან დაიცალა ისტორიული „გაღმა მხარი“, 1789 წლის დოკუმენტის მიხედვით აშკარაა, სამეფო კარი გამოღმა მხარის დაცვასდა ცდილობს.³ დედაქალაქის სარდალ-მოურავი დავით ციციშვილი „გამოღმა საციციანოს მხარის“ მიმბაშად მოიხსენიებს თავისი ძმას გიორგის.⁴

1794 წლის სტატისტიკურ ცნობაში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ.მამაცაშვილმა, თბ., 1981, გვ. 74-75, 188;

² Бурнашев, Картина Грузии или описание царств карталинского и кахетинского Тб., 1898, с. 4—6;

³ სცსსა, ფ. 1448, ს. 1987;

⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ.140;

მოსაზრებით 1794 წლის ხალხის აღწერის დავთრების ცნობებს ემყარებოდა, გადამწერს მხოლოდ სასოფლო გადასახადების გადამხდელი სრულფუძიანი კომლები, მკვიდრი მოსახლეობა (მემკვიდრეები) და ხიზანი აღურიცხავს. დავთარში მძოვრეთი აღარ მოიხსენიება, მხოლოდ ქარელი ჩანს 106 კომლიან დიდ სოფლად, სამწევრისში მცხოვრები -3 კომლი და 12 ხიზანია.¹

იოანე ბატონიშვილის აღწერის მიხედვით, ძამის ხეობის სოფლები, მართალია, ვახუშტისეული ნუსხის იდენტურია, მაგრამ განსხვავდება საინტერესო მინიშნებით² - სახლობდნენ თუ არა მოსახლენი აღნიშნულ სოფლებში. ქართლ-კახეთის აღწერის მიხედვით ძამის ხეობაში მოსახლენი მხოლოდ ქარელსა და სამწევრისშია, ხვედურეთის ხეობიდან, მხოლოდ სოფ. ხვედურეთში. მოსახლეობისაგან დაცლილია გვერდისძირის სოფლები და გუჯარეთის ხეობა. „გაღმა მხარის“ გაპარტახება-გაუკაცრიელების საფრთხეს გადარჩენილი თითო-ოროლა მოსახლის ადგილზე დამაგრებას ისახავდა მიზნად 1794 წლის მეფე ერეკლე მეორის ბრძანება კარის მოხელეებისადმი ძამის ხეობას თავშეფარებული, მცირე გადარჩენილი გუჯარელნი, რომლებიც ციციშვილთა ყმობაში მოექცნენ, სახასოდ გამოეცხადებინათ და ოთხი წლით გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინათ.³

1799 წლის „სალეკო“ გადასახადის ამოღების შესახებ მეფე აზნაურიშვილ კლიმიაშვილ ტეტყას მკაცრად აფრთხილებდა, „ამას წინათ სალევოთ თეთრი ვისესხეთ ... ამაში თარხნობა და პატივება არავისა არ იქნება ... ყველამ უნდა მოგვცენ ლეკებისათვის... დაგვიანება არ იქნება ... ახლავ, საჩქაროთ და უკლებლათ აილო, მოიტანოთ და მოაბაროთ.“ ასეთი მკაცრი ბრძანების ფონზე მრავ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I თბ., 1930, გვ. 42.

² იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიუბლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 32.

³ სცსსა, ფ. 1450, დავთ. 24, ს. № 34.

ლისმთქმელია ფრაზა, „ამ სიით ციციშვილის სარდალ-მოურავის გიორგის სასარდლოს გამოღმა მხარს კომლზედ თოთხმეტი შაური სალეკო შესწერდათ...“ ამონარიდის მიხედვით ოდესღაც ძლიერი და შეუვალი სათავადოდან 1799 წლის სალეკოს გაწერის სიის მიხედვით გაღმა მხარი გადამხდელთა სიაშიც აღარ მოიხსენიება, რაც მიანიშნებს, რომ „ლეკიანობისგან“ ისტორიული „მცირე ქალაქი“ დანგრეულია, საქალაქო ცხოვრება კი შეწყვეტილი.¹ გადამხდელუნარიანი ყმები მხოლოდ მდ. მტკვრის „გამოღმა მხარესლა“ მოიხსენიებიან.

შევეცადეთ, მძოვრეთი 1802-1806 წწ. კამერალურ აღწერებში მოგვეძიებინა იმ იმედით, რომ ციციშვილები ცდას არ დააკლებდნენ, „ლეკიანობის“ შიშით აყრილ-გახიზნული მოსახლეობა დაებრუნებინათ მამაპაპულ მამულებში, შედარებით უსაფრთხო პირობების შეთავაზებით. აღწერებში ჩამოთვლილ სოფლებს შორის (ქარელი, ურბნისი, ყინწვისი, ბრეთი, დირბი, არადეთი სასირეთი, ბრემა, აბანო, წნისი) მძოვრეთი არსად მოიხსენიება.²

1804 წლის აღწერის მიხედვით ქარელში 215 კომლია, დაახლოებით 1407 სული, მათგან 169 კომლი ქართველი, 12 ოსი, 34 სომეხი. ხვედურეთში -22 კომლი ქართველი, სამწევრისში 24 კომლი ქართველი, არადეთში - წერეთლებთან ერთად 5 კომლი ქართველი და 1 კომლი სომეხი ჰყავთ.³ საქართველოს მთავარმართებლის კოვალენსკის 1802 წლის ბრძანების თანახმად აღწერილი იქნა ქალაქებში (სიღნაღი, თელავი, გორი, დუშეთი) სავაჭრო სახლები, დუქნები, სავაჭრო ადგილები და სხვ. სადაც მძოვრეთის შესახებ ინფორმაცია არ ჩანს,⁴ რაც საქალაქო ცხოვრების შეწყვეტაზე უნდა

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910, დოკ. № 272, გვ. 258-259.

² სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე, 70; ფ. 254, აღწ. 1, საქმე, 76; ფ. 254, საქმე 80, ს. 26-28;

³ სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე, 76-81.

⁴ სცსსა, ფ. 254 ს. 51.

მიანიშნებდეს. გავითვალისწინეთ რა კამერალური აღწერების შედეგის განსხვავებული მეთოდები და ინტერესები, კანცელარიის საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, რაც სერიოზული ნაკლოვანებაა ზუსტი სტატისტიკური ვითარების დასადგენად, გავაგრძელებთ მძოვრეთის შესახებ ცნობების მოკვლევას შემდგომი პერიოდის კამერალურ აღწერებში. რუსი მოხელეების ენის უცოდინარობისა და დაუდევრობის გათვალისწინებით შესაძლოა გორის მაზრის სოფლების აღწერებში სოფ. მძოვრეთი შემთხვევით ყოფილიყო გამორჩენილი.

კამერალური აღწერების ეკონომიკურ ნაწილში¹ და 1814-1818 წლის კამერალურ აღწერებში,² სოფლებს შორის მძოვრეთი აღარსად მოიხსენიება. 1814 წლის აღწერის მიხედვით კი გორის მაზრის ამ ხეობიდან მხოლოდ სოფ. ქარელი ჩანს დიდ სოფლად, სადაც აღწერის თანახმად 14 ხელოსანი და 3 ვაჭარია აღნუსხული.

ვაქტიურად, 90-იან წლებში მძოვრეთში საქალაქო ცხოვრების მაჯისცემა საბოლოოდ შეწყდა. ჩვენ მიერ მოკვლეულ პირველწყაროთა შედარებითი ანალიზი აშკარად მიგვანიშნებს ამ პერიოდის ქალაქის არსებობის შეწყვეტაზე. უძველესი გვიანანტიკური ისტორიული ქალაქის არსებობის შეწყვეტით შთამომავლობისთვის თითქმის დაიკარგა ქალაქის ისტორია, მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესები, რომლებიც შესაბამისი პერიოდის მტკვრის ის სამეფოს ისტორიას საინტერესო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნიკური, კულტურულ - რელიგიური საკითხებით ამდიდრებდნენ და ავსებდნენ. თავსდატეხილმა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ავბედითმა ჟამმა დავიწყებას მისცა და სამუდამოდ წაშალა უძველესი ისტორიული ქალაქის არსებობა.

¹ სცსსა, ფ. 254, ს. 402.

² სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე, 540, 542, 543, 545.

4. მწიგნობრული კერა მძოვრეთში

ქვეყნის ეროვნული ერთიანობისათვის თავდადებული მებრძოლი, ზაზა ფანასკერტელი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან, ერთად მეცნიერულ და მწიგნობრულ საქმიანობას ერთმანეთთან შესანიშნავად ათავსებდა. საციციანოს ფუძემდებლის ტრადიციებს აგრძელებდნენ მისი შთამომავლები, რომელთაგან ცნობილია არაერთი პოეტი, მთარგმნელი და გადამნუსხველი მწიგნობარი. მედიცინის მცოდნემ და შესანიშნავმა მკურნალმა დიდი წვლილი შეიტანა მედიცინის განვითარებაში. მის სახელს უკავშირდება ქართული მედიცინის ისტორიის უნიკალური შედევრი, „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“, რაც მიანიშნებს ზაზას განსწავლულობას და მეცნიერულ ცოდნას მედიცინაში. სიმბოლურია, რომ ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო სამკვლევში, ყინწვისის ეკლესიის ეგვტერში სამკურნალო მცენარეები ამშვენებენ ზაზა ციციშვილის ფრესკას. მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებული. 1987 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადებიდან 550 წელი და „სამკურნალო წიგნის“ შექმნის 500 წლისთავი.

XV საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერის (Q ფონდი № 877) არშიაზე ქარაგმული წარწერით ხშირად გვხვდება ფრაზები, „ბრძენმთავარი“, „დიდი ფანასკერტელი“, „პატრონი ფანასკერტელი მკურნალი ზაზა“ და სხვ. მისი სახელი სათავადოში ერთგვარ სავიზიტო სახელად იქცა. ტექსტის რამოდენიმე განსხვავებულ კონტექსტში, „პატრონის“ ეპითეტით რამოდენიმეჯერ მოიხსენიება ავტორი. სამკურნალო წიგნის ხელნაწერის გვერდზე - 177r-ზე ზაზასადმი მიმართვით იწყება: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენმთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ.“ ხელნაწერმა შემოგვინახა მხოლოდ ერთი გადამწერის ვინაობა: „ქრისტე შეიწყალე მჩხრეკელი ამისა

უღირსი მახარებელი ამინ.“ ანდერძ-მინაწერებში ორჯერ მოიხსენიება მახარებელი. 1482 წ. ჭარმაულთა მიერ მირთმეული ანდერძის წიგნის ბოლოს იკითხება: „დაიწერა ქ~სრო ჴელითა მცხეთის ქადაგის მახარებლისათა და მოწამეც არის.“¹ 1492 წელს მახარებელს კონსტანტინე მეფის მიერ მცხეთის კათალიკოსისათვის მიცემული სიმტკიცის წიგნიც გადაუწერია.² ამ დამატებითი ცნობებით გაირკვა „მჩხრეკელის“, ანუ მწერალის ვინაობა - კონსტანტინე მეფის მდივანმწიგნობარი მცხეთის ქადაგი მალალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი, კალიგრაფი მახარებელი ივანის ძე მალალაძე. ხელნაწერის მინაწერის მიხედვით, „ქრისტე ღმერთო, ადიდე დავითი, ძე მეფეთა მეფისა კონსტანტინესი“ დავით ბატონიშვილი მეფედ არ მოიხსენიება, რაც ხელნაწერის დათარიღების საშუალებას იძლევა (1479-1505 წწ.). ზაზამ, როგორც ჩანს, სიცოცხლეშივე გადააწერინა „კარაბადინი“ სათანადო კომპეტენტურობით გამორჩეულ მახარებელს XV საუკუნის 80-იან წლებში. ტექსტი ნაწერია მხედრულად ღია და მუქი ყავისფერი მელნით, მხატვრობის ნიმუშები და თავკაზმულობანი შესრულებულია წითელი და შავი მელნით.

„კარაბადინის“ პირველ წიგნში განხილულია მედიცინის ზოგადი საკითხები, ჰიგიენისა და დიაგნოსტიკის პრინციპები, ფარმაკოლოგიური საშუალებანი, სადაც განხილულია „სამკურნალწამლო“ საშუალებათა ძირითადი ფორმები, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიის საკითხები. ზაზას სამკურნალო წიგნში საინტერესოაა აღწერილი სადიაგნოზო საშუალებანი, სნეულის გამოკითხვის, დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ავადმყოფთა გასინჯვის და გამოკვლევის ჩატარების მეთოდები, სადაც გა-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ.306.

² იქვე, გვ.309.

მოკვლევასას ექიმი სარგებლობს წინასწარ შედგენილი უადრესად რაციონალური სქემით.

ცალკე თავად არის გამოყოფილი მოწამვლები, მათი კლინიკა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებანი, მათ შორის შხამიანი ისრის ჭრილობის მკურნალობისთვის. ამ მხრივ მედიცინის მკვლევარები უნიკალურ „სამკურნალო წიგნად“ მოიხსენიებენ, რადგან ეს საკითხი არც ერთ დღემდე ცნობილ ქართულ სამკურნალო ძეგლში არ ყოფილა აღწერილი ასეთი სისრულით. საინტერესოდაა გადმოცემული აგრეთვე სადიაგნოზო საშუალებანი, დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ავადმყოფთა გასინჯვის მეთოდები და სხვ. სამწუხაროდ აფთიაქის ან, „სასნეულოს“ ნაშთები არ აღმოჩნდა ნაქალაქარში ჩატარებული დაზვერვითი საველე ექსპედიციებით. მძოვრეთში სამედიცინო კერის არსებობის საფუძველს იძლევა ქვემო საციციანოს რეზიდენციაში, სოფ. ნიჩბისში (მცხეთის მუნიც.) XVII საუკუნის „ზაზას ციხის“ კედელში, 1992 წელს ციხის გაწმენდითი სამუშაობისას აღმოჩენილი თახჩებიანი ნაგებობა - „აფთიაქი“,¹ რომლის დაარსება ზემო ციციშვილთა საგვარეულო ტრადიციას უკავშირდება. თახჩების სიახლოვეს აღმოჩნდა სააფთიაქო ინვენტარი, მოჭიქული კერამიკული და ფაიფურის ჭურჭლის დიდძალი ნამსხვრევები, ასევე სხვადასხვა ზომის ფერადი მინის ჭურჭელი.

ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნის, „კარაბადინის“ ერთადერთი ეგზემპლარი (Q - 877) ვახტანგ VI-ს განუახლებია. სავარაუდოდ ვახტანგ V ნაზარალიხანის მეფობისას (1658-1676 წწ.), მოწინავე სადროშოს სარდალ სახლთუხუცეს, ზაზა ციციშვილის მკვლევლობის და ციციშვილთა საგვარეულოს შევიწროებადარბევის შემდგომ დაიდო ბინა ხელნაწერმა სამეფო კარზე, რასაც გვაუწყებს შემდეგი მინაწერი: „ქ. ჩვენ საქართველოს

¹ ს. სალუქვაძე, პასუხი უსაფუძვლო კრიტიკის გამო, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1993 № 1, გვ.177-178.

გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითთულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინე და შევაკვრევივე საცმარად და სასარგებლოდ კაცთათვის და საჯსრად ყოველთა ქ კ ს ტ ჟ ზ“ (1709 წ.). როგორც ანდერძიდან ჩანს ფურცელ-ფურცელ დაშლილი კარაბადინი „შეუმოსავთ“ ძვირფასი ყდით, არშიებზე განუთავსებიათ ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები და განმარტებანი. 1724 წელს ვახტანგის მიერ უნდა იყოს წაღებული რუსეთში. მისი გარდაცვალების შემდეგ „სამკურალო წიგნი“ ბატონიშვილ ბაქარის ხელში გადასულა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბაქარის შვილიშვილის - გიორგი ალექსანდრეს ძის საკუთრება გამხდარა, რომელიც 1852 წელს სოფ. ლისკოვოში უძეოდ გარდაცვლილა. ამის შემდეგ ქართული ხელნაწერი საგუბერნიო არქივის განკარგულებაში გადასულა. 1945 წელს ხელნაწერს პროფ. თ. ჭყონიამ მიაკვლია ქ. გორკის (ნიჟნი ნოვგოროდის) საჯარო ბიბლიოთეკაში.¹ ჩამოტანილი უნიკალური ხელნაწერი (Q-877) ამჟამად ინახება მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ხელნაწერის ტექსტოლოგიური დამუშავებისა და სამეცნიერო-კვლევითი, მუშაობის ჩატარების შემდეგ, გამოცემული იქნა 1950 წელს, II ტომი (ილ, აბულაძის, კ. გრიგოლიას და მ. სააკაშვილის მიერ), 1959 წელს I ტომი (მ. შენგელიას მიერ). პირველი და მეორე ტომი ერთად გამოიცა 1978 წელს, მედიცინის ისტორიის მკვლევარის პროფ. მ. შენგელიას რედაქტორობით.

ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ღრმად მოაზროვნე და განსწავლულ „მკურნალს“ ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობითაც გამოუჩენია თავი. შეუკრებია და ერთ წიგნად გადაუწერინებია იოანე ოქროპირის „სწავლანი“.² ხელნაწერის 190 r-ის ქვედა არშიაზე ტექსტის ხელით, ნუსხურით მიწერილია:

¹ თ. ჭყონია, გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948, გვ. 255-287;

² ხეც. ფ. H, № 1674;

„ადიდე ღმერთო ბატონი ფანასკერტელი ზაზა ორთავე შინა ცხოვრებათა“. გადამნუსხველი, ზაზას დამსახურებას საგანგებოდ ასე განმარტავს: „ეს წიგნი ყოველივე ბატონმან ზაზამან შემოიკრიბა“.¹ უკანასკნელი ფრაზა მიანიშნებს, რომ იოანე ოქროპირის „სწავლანი“ ცალ-ცალკე შეუკრებია და ერთ წიგნად გადაუწერინებია. მწიგნობრული მემკვიდრეობის ტრადიციასთან ერთად საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფანასკერტელ-ციციშვილთა ღვაწ-ლი, საზღვარგარეთ არსებული სავანეებისთვის გაღებული დიდი შეწირულებანი.

ქვეყნის ეროვნული ერთიანობისათვის თავდადებული სახელმწიფო მოღვაწე, ზაზა ფანასკერტელი სათანადოდ აფასებდა საზღვარგარეთის სამონასტრო კერების რელიგიურ-კულტურულ, სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო მნიშვნელობას. მონასტრისთვის ძალზე მძიმე გაჭირვების ჟამს იერუსალიმში „დიადი საქონელი“ გაუგზავნია. ასეთი მზრუნველობისთვის მონასტრის კრებულს ზაზა ფანასკერტელისთვის წირვა და საუკუნო ალაპი განუწესებია. ალაპში (№ 118) ვკითხულობათ: „ქ. ამას დღესა წირვა და საუკუნო ალაპი ფანასკერტელისა-ც(ი)ციშვილისა ზაზასი. რაოდენცა მღ(უ)დელი იყოს, წირვისა ნუ დაკლებს. ს(ა)წირავი მონასტრით მიეცემოდეს. ნუვინ დაკლებთ. ვინცა დაკლოს, კანონს ქუ(ე)შე იყოს, დიდს დაჭირებაში(გ)ან ვიყვენით და დიადი საქონელი მოგ(უ)ვიდა, და მისთ(ჯ)ს გაუჩინეთ.“² ამ საგვარეულო ტრადიციას აგრძელებდნენ მისი შთამომავალნი.

XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის დამდეგის საზოგადო მოღვაწე, ზაზა ფანასკერტელის შვილი, სამეფო კარის

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილი და დასაბუქდად დამზადებული ე. მეტრეველის მიერ, ტ. 4, თბ., 1950, გვ. 108.

² ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, XI-XVII თბ., 1962, გვ. 90, 150;

დარბაისელი მერაბ ციციშვილი ქტიტორული მოღვაწეობით არის ცნობილი. ჭეშმარიტ მამულიშვილს, არც საზღვარგარეთ სამონასტრო სავანე დარჩენია მზრუნველობის გარეშე. 1902 წელს სინას მთაზე და იერუსალიმში ექსპედიციისას ნიკო მარის შედგენილმა, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობის ანდერძ - მინაწერმა მეტად საინტერესო ცნობა შემოგვინახა მის შესახებ: „...ჯვარო პატიოსანო, შე ცოდვილი აქა იე[ლ]უსრუმს(!) მოსრული სვიმონიშვილი საბა ... ციციშვილს მერაბს შ ~ ს ღ ~ ნ მისნი ც(ო)დვ(ა) ~ ნი ... მწვედა გარჯილი ვარა, თქვენმ ~ ნ მზემ ~ ნ, დამიჭირ ~ ს ურჯულოთა, ქრ ~ ეს მტერთა თათართა, მრავალ ხანსა სატყვეოს შემადგეს; საქონელი მეახალა ბატონის ჩემისა მერაბისი, მისი ვერა მიპოვს. ჩემთვის ს ~ ხარჯო იყო მოცემული ორამოცი ფლური, რავა მე წამრთვეს, სხვა მრავალი ჭირი გარდამჟდა. ბოლოს მიშველა ღ ~ ნ, მოველი აქა იწრუსალემს.“¹ ამონარიდის მიხედვით მას საკმაოდ დიდი შეწირულება გაუგზავნია ვინმე საბა სვიმონიშვილის ხელით, რომელსაც ხიფათით აღსავსე გზა გაუვლია იერუსალიმამდე თავისი ბატონის ბრძანების შესრულებისას. იერუსალიმსა და სინას მთაზე მოღვაწეობდა ზაზა ციციშვილის შთამომავალი მროველი ეპისკოპოსი შიო.

XIV-XV საუკუნეების იერუსალიმური ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერის მინაწერს მოსდევს საინტერესო ცნობა მროველი ეპისკოპოსის შიო ციციშვილის ღვაწლის შესახებ, რომელიც წმინდა ადგილების დაბრუნებისათვის ბრძოლაში ერთგულად ედგა ბენა ჩოლოყაშვილს. კახეთის მეფე გიორგის (ავ გიორგის 1511-1513 წწ.) სახლთუხუცესის, იერუსალიმში ჯვრის მამად მივლინებულ ბენასთან ერთად იგი იერუსალიმში 1512 წელს ჩასულა.²

¹ ნიკო მარი, იერუსალიმის ბერძნული წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 36.

² А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, *Право-*

ბენა ჩოლოყაშვილის მოსახსენებელში ვკითხულობთ: „პატრონსა მეფეთ-მეფისა გ~ის, ძესა მეფისა ალექსანდრესსა, ცოდვანი მისნი შეუდნეს იესო ქრისტემან ღ~ნ, ა~ნ. მისგა[ნ] ჯუარის მამად მოვლინებულსა ჩოლოყაშვილსა ს~ ხლის უხუცესა ბენასა და მშობელთა მისთა შეუდნეს ღ~ნ, ა~ნ: ვინცა შენდობა გუიბრძანოს, მათცა შეუდნეს ღ~ნ, ა~ნ, ა~ნ. ცოდვილსა ციციშვილსა მროველ ყოფილსა შიოს შეუდნეს ღმერთმა. ვინცა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდნეს. აქა, მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა, და დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბენასა მძანო. ნებითა ღ~თისაითა აქა ფრანგთა გოლგოთა დავადებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმა ბენ, ამინ.“¹ როგორც ამონარიდიდან ჩანს იერუსალიმის წმინდა ადგილების მფლობელობაზე ჩამოვარდნილ დავაში დიდი შემართებით უპირისპირდება სომხურ საპატრიარქოს და ფრანგებს - „ფრანცისკელებს“. გაბედული თავდასხმებით იბრუნებს გოლგოთას და წართმეულ ქართულ მონასტრებს. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის ნუსხაში (№132) დაცული ხელნაწერის 344 verso-ზე მიწერილი ანდერძის მიხედვით ბენამ განაახლა წმ. თევდორეს ეკლესია. მის მწიგნობრულ საქმიანობაზე მზრუნველობა ჩანს ჩანაწერში: „ქ. ამა წიგნისა მეორედ შემკაზმავსა, ჩოლოყას შვილსა ბენასა შეუდნეს ღ~ნ. ქკ~სა სბ (1514 წ.) შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ღამისასა, შევაბი აღდგომის კარნი, ნებითა ღ~თისათა. შენდობა ყავთ მადლსა ღ~თისსა, მძანო.“²

ბენას მრავალმხრივი მოღვაწეობა სიღრმისეულად არის შესწავლილი მეცნიერების: ე. მეტრეველის, ე. მამისტვალიშვილის,

славный палестинский сборник, т. IV, N1, Выпуск первый (СПб, 1888), стр.167-68;

¹ ნიკო მარი, იერუსალიმის ბერძნული წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 36.

² იქვე გვ. 36-37.

გ. ჯაფარიძის, ქ. შარაშიძის მიერ. ამიტომ საკვლევითი თემიდან გამომდინარე მხოლოდ ავლნიშნავთ, რომ ბენა ამ მნიშვნელოვან საქმეში თანამებრძოლთა კრებულიდან საგანგებოდ ასახელებს შიო ციციშვილს, რაც მროველი ეპისკოპოსის დამსახურებულ დეაქონზე მიანიშნებს. სიცოცხლის ბოლო წლები მროველ ეპისკოპოსს სინას მთის ქართულ სავანეში გაუტარებია. მის შესახებ უკანასკნელი ცნობა დაცულია სინას მთის მატიანის მოსახსენებელში: „ციციშვილს მროელს შიოს შ ~ ს ლ ~ ნ. მის ძმას ვახტანგს შ ~ ს ლ ~ ნ, და თანამეცხედრესა როდამს შ ~ ს ლ ~ ნ.“¹

1538 წელს დაიწერა „მარხვანი“ ზაზა ფანასკერტელის შთა - მომავლის „ქაიხოსროს ბრძანებითა“ ... აწყურისა ქალაქსა და მონასტერსა და სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწ ციციშვილისა“.²

მძოვრეთის მწიგნობრულ კერაში (XVII ს.) დაიწერა საციციანოს წინამძღოლის მეფე თეიმურაზ პირველის თანამებრძოლის, დედოფლის სახლთუხუცესის, ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანი.“ ამ პოემის ქართული რედაქციის ავტორობაზე მიანიშნებს “არჩილიანში” დაცული ცნობა: „ფარსადანის ძემ ნოდარ თქვა ქება ბარამ-გურის, შვიდთა იყლიმთა ხელმწიფეთა ხოტბა სრული ... “

ნოდარ ციციშვილი „ბარამგურიანის“ შესავალში თავად გვამლევს ცნობებს პოემის წარმომავლობისა და მისი სპარსული ვერსიების შესახებ. შესავალში აღნიშნავს, რომ პოემაში გადმოცემული ამბავი სპარსულად „უთქვამს“ ნიზამი განჯელს, ხოსრო დეჰლევისა და ჯამის, ხოლო ჩაღათურ ენაზე ნავოის. მეცნიერები ეთანხმებიან კ. კვეკელიძის შეფასებას, რომ ნოდარის ნაშრომი არის არა თარგმანი, არამედ გადმოკეთება გადამუშავებაა და წარმოადგენს თავისებურ ქართულ რედაქციას, ისეთს როგორც არის

¹ ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 242.

² ფ. H, №1698

ნიზამისაგან მომდინარე აღნიშნული პოემის სპარსულ-თურქული რედაქციები. ნოდარი არ ჩამოუვარდება არც ნიზამის გამგრძელებლებსა და მიმბაძველებს, არც თვით ნიზამის. ზოგიერთი მისი სურათი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ნიზამისა.¹ საყურადღებო და მრავლისმთქმელია ნოდარ ციციშვილის პოემის კეკელიძისეული შეფასება: „გასაკვირი არაა, რომ ჩვენ პოეტს რუსთაველიდან აუღია 16-მარცვლიანი შაირი, ისე მთელი პოეტური აქსესუარი ... ფრაზეოლოგია. ერთი სიტყვით კითხულობთ ნოდარის პოემას და ფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროში იმყოფებით. ამით აიხსნება ის დიდი პოპულარობა, რომელიც „ბარამგურიანს“ მოუპოვებია ჩვენში“.² დ. კობიძე, კეკელიძის შეფასებას იმეორებს, „იმდენად თავისებურია კომპოზიცია პოემისა ... იმდენად მოხეხებულადაა ჩაქსოვილი ამ მასალაში ეროვნული და ქრისტიანული ელემენტი, რომ მიბაძვა ორიგინალობამდე ადის და დასძენს, რომ მისი შემოქმედება რუსთაველის დიდი პოეზიის მზითაა გამთბარი. მისი პოეტური მეტყველება ქართული პოეზიის არეშია მოქცეული, რაც ორიგინალობაზე მეტყველებდა.“³

როგორც წინასიტყვაობაში ამბობს ავტორი, დაიწერა „მზის მსგავსი პატრონის“ საქებად: „ქებად, თნებად და ნების საყოფელად ვილაც მზის მსგავსის პატრონისა ... წმიდათა მიმსგავსებული, ქაწულთა თანახმობილი.“ პოემა, რომ მარიამ დედოფლისადმი მიძღვნილი, მეფე როსტომთან შერიგების შემდგომ, ამას ადასტურებს ჩვენს მიერ აღმოჩენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი საარქივო დოკუმენტი, სადაც ნოდარ ციციშვილი მოიხსენიება მარიამ დედოფლის სახლთუხუცესად: „ქ. ჩვენ ციციშვილი პატრონი ნოდარ სახლის : უხუცესი: პატრონი : ამზა-

¹ კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II თბ., 1981, გვ. 404-405.

² იქვე, გვ. 405.

³ დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, ბარამგურიანის გარშემო, თბ., 1969, 161-162.

ბეგ: და: მდივანი : ბირთველი: კელმწიფეს : მეფეს : პატრონის : როსტომის ბრძანებითა : მივედით : სამწევრისს: კაციას [ოტიას] :ყორჩიბაშისა: ბაადურისა : სარდლის: პაპუნასი: საცილობელის : მამულეზის : გასარიგებლად : რომელიც : საფიცარი: არ: იყო : ისრე :შევარიგეთ : სხვა: რაც : ერთმანეთში : ნაძალადევი : იყო : მიწა : სარდლის: ყმათა: ფიცი: დავადევთ და გამოიფიცეს...“¹ შორსმჭვრეტელი და მოქნილი პოლიტიკური ალღოს მქონე როსტომ მეფე თეიმურაზის აქტიური მხარდამჭერის, გავლენიანი და უძლიერიერესი მოწინააღმდეგის, ნოდარ ციციშვილის, 1643 წლიდან შემორიგების შემდეგ, საკმაოდ მაღალ სამოხელეო სახელოს ბოძებით ცდილობდა მისი სრული ნდობის და ერთგულების მოპოვებას.

ხელნაწერის (H 932) დასასრულში მოიხსენიება ავტორი: „დასრულდა წიგნი ესე ბარამიანი ბრძანებითა ნოდარ ციციშვილისაჲთა, მისგანვე სპარსული[დან] ქართულად ნათარგმანები და ნათქვამი ლექსად.“

ნაწარმოების დაწერის დროის დადგენა ადვილად ხერხდება პოემაში ნოდარ ციციშვილისგან ქართული მწერლობის ისეთი ძეგლების მოხსენიებით, როგორცაა: „როსტომიანი“, „ლეილმაჯუნუნიანი“, „იოსებ ზილიხანიანი“ და თეიმურაზ პირველის „ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“, რომელიც თეიმურაზს დაუწერია 1648-1655 წლებში. ისტორიული წყაროების მიხედვით ნოდარ ციციშვილი გარდაიცვალა 1658 წელს, შესაბამისად ნაწარმოები უნდა დაწერილიყო 1655-1657 წლებში. საბედნიეროდ ჩვენამდე მოაღწია ლიტერატურული ძეგლის ხუთმა ხელნაწერმა.²

ტრადიციულად ნოდარ ციციშვილის თხზულება მოიხსენიება „ბარამგურიანის“ სახელწოდებით. კ. კეკელიძემ იგი „შვიდი მთიების“ სახელწოდებით გამოსცა 1930 წელს.

¹ სცსსა, ფ. 1448, ს. 2316.

² ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერთა ნუსხები: A -664; A-860; H -932; S -4529; S -4627.

სახელოვან ქართველ მეცნიერებისგან „ბარამგურიანის“ ნოველების წყაროთა ძიება და მათთან ქართული ვერსიების დამოკიდებულების გარკვევა თითქმის საუკუნეს ითვლის, რაც თავის მხრივ ნოდარ ციციშვილის შემოქმედების ორიგინალობაზე მიანიშნებს.

XV-XVIII საუკუნეების ქართული პოეზია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ საზრდოობდა. ეპოქის ქარტეხილებით მოტანილი უიმედობის განცდას „ვეფხისტყაოსანი“ პატრიოტიზმის, ვაჟკაცობის, წრფელი სიყვარულის და უანგარო მეგობრობის იდეებით გამარჯვების მოპოვების იმედს უსახავდა. ამ უშრეტ წყაროს ეწაფებოდნენ პოეზიის მოტრფიალენი და ცდილობდნენ თავიანთი სულიერი განწყობა და სიყვარული მიმზამველობით გამოეხატათ. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორის სახელითაა ცნობილი, როსტომის სამეფო კარის სახლთუხუცესი(1636-1646 წწ.) ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილი.

სამეფო კარის სახლთუხუცესის სახელოთი მანუჩარ ციციშვილი უკანასკნელად გვხვდება 1646 წლის რამოდენიმე დოკუმენტურ წყაროში.¹ სავარაუდოდ მისი გარდაცვალების შემდგომ მისი ძმა, ყაია (1648-1658 წწ.) მემკვიდრეობით იღებს სახლთუხუცესობის თანამდებობას, რომლის შესახებ ცნობები XVII ს. 50-იანი წლების დოკუმენტებში აღარ მოიხსენიება. სავარაუდოდ იგი ამ დროს გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო. მისი ასული ანუკა ცოლად შეურთავს პაპუნა ციციშვილის ვაჟს ცნობილ მოღვაწეს, დომენტი კათალიკოსის დისწულს ზაზა ციციშვილს, რის შემდგომ ეს ორი დაპირისპირებული საგვარეულო შტო საბოლოოდ შერიგებულან.

მეფე პოეტი, არჩილი მიუხედავად იმისა, რომ როსტომმა თავის მემკვიდრედ მამამისი ვახტანგ მეხუთე აირჩია და

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 85, 691.

სიცოცხლეშივე დაუთმო სამეფო ტახტი. სპარსოფილობის გამო, ირანელებთან შეურიგებელ მებრძოლ თეიმურაზს ამჯობინებს. ნანუქას შემოქმედებისადმი არჩილის ტენდენციური დამოკიდებულება, არა მარტო განსხვავებული იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციით აიხსნება, არამედ ნანუქას სიძის, ზაზა ციციშვილის მკვლელობის გამართლების მცდელობით. ზაზას „დანაშაული“ სამეფო კარის მიერ კვალიფიცირებული იყო როგორც ღალატი მეფისა და ქვეყნის წინაშე, მისი ახლო ნათესავები შესაბამისად სამეფო სახლის მტრებად ითვლებოდნენ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ნანუქა ციციშვილის ნამოღვაწარის დაუმსახურებელი შეფასება:

„ნანუქა რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია...“

მაშინ როცა „ზააქიანის“ გამლექსავი მამუკა მდივანი, თავისი ეპოქის მწერალთა შორის გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებს. თავაქალაშვილი მას მოიხსენიებს: „მანუქარ მწერალს, ტკბილი სიტყვისა მხმობელსა,“ რომელიც ყოველთვის „ერიდებოდა სიტყვასა უშვერსა და საგმობელსა.“¹ ნანუქას პოეზიისადმი იმდროინდელი საზოგადოების გულისხმიერ დამოკიდებულებაზე მიუთითებს არჩილის გულისტკივილით გამოთქმული ჩივილი „რუსთველს არ ვიტყვი, ნანუქას რასთვის აქებთ და მე არა-ო“.

განსხვავებული იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციის გამოა მხოლოდ მიუღებელი თეიმურაზ ბატონიშვილისთვის ნანუქას ინტერპოლაციათა საკითხი: „კარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ დიახ ცუდი პიტიკოსი ბრძანებულა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თავის მოგონილი ლექსები შეურთავსო.“ ეს მაშინ, როცა ნანუქას გვერდით „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორთა თაობების (იოსებ ტფილელი, მესხი მელექსე, გიორგი თუმანიშვილი და სხვ.) მუშაობა წახალისებულ-დაფასებული

¹ კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 302;

ჩანს, რომელთაც რუსთაველის გენიალური პოემისადმი უსაზღვრო სიყვარული აერთიანებდათ.

ზაქარია ჭიჭინაძის შეფასებით „ნანუჩა ციციშვილი იყო ქართველი მწიგნობარი ... ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა. ამ კაცს საქართველოში ბრძნად სახავდნენ ... ბევრნაირი ლექსებისა და მოთხრობების წერას აკუთვნებდნენ. მაგრამ მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია“.¹

ცნობილი ფაქტია, რომ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემით საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ რუსთველოლოგიას. ვახტანგ VI-ის 1712 წლის ვეფხისტყაოსნის სტამბურად გამოცემას საფუძვლად დაედო XVII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილის დაკვეთით, გადაწერილი იშვიათი და ძვირფასი შემკულობით გამორჩეული, ილუსტრირებული ხელნაწერი, (Q-1082) - ე. წ. „ზაზასეული ვეფხისტყაოსანი“².

ხელნაწერი გადაწერილი იყო XVII საუკუნის 60-იანი წლებში. წიგნის მხატვრულად შემკობა - გაფორმება ორგანულად იყო დაკავშირებული წიგნის მაღალი კალიგრაფიული კულტურის დამკვიდრებულ დონესთან, რაზეც მინიშნებს „ზაზასეული ხელნაწერის (Q- 1082) გადამწერის, ცნობილი კალიგრაფის, პოეტის, სასულიერო მოღვაწის, (ნიკორწმინდის მღვდელმთავარი, 1660 წლიდან ტფილისის მიტროპოლიტი) იოსებ ტფილელის (საკაკის) მინაწერი:

„სურდა ამ წიგნის პატრონსა, მეც ხელუწყავ ასე წერთა
ხელი დამიშრო კალამმან, თვალნი გამტერდეს მზერითა,
ხელსა მკითხველი შეიტყობს, სიმართლით სხვა სჯობს ვერთა,
აწ გაგიჩნდების, მხატვარო, შემკობა შესაფერთა.“

¹ ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XVII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1888 გვ. 58;

² ხეც. ფ. Q-1082.

როგორც ჩანს, ზაზასეული უძველესი ვეფხისტყაოსნის აღნიშნული ხელნაწერი, მეფე ვახტან V-ის (1658-1676 წწ.) მემკვიდრის, ლევან ბატონიშვილის, გამგებლობაში გადასულა, რასაც ადასტურებს ხელნაწერზე (Q-1082, 181r), გადაფხევილი, სარდალ-სახლთუხუცესი ზაზას სახელი. მამისგან ხელნაწერი მემკვიდრეობით ვახტანგ VI-ს გადასცემია და სწორედ ეს ხელნაწერი იქნა გამოყენებული 1712 წელს ვეფხისტყაოსნის სტამბური წესით გამოცემისას. სიმბოლურია, რომ მეფე პოეტს ვახტანგ მეექვსეს ქართული ტრადიციისთვის არ უღალატია, მამისეული უძვირფასესი საგანძური მზითვეში გაატანა თავის მშვენიერ ასულს, თამარს, მომავალ დედოფალს, მეფე თეიმურაზ II-ის თანამეცხედრეს. თავის მხრივ მეფე ერეკლე მეორემ დედისეული ძვირფასი „ვეფხისტყაოსანი“ მზითვად უბოძა თავის ასულს თეკლა ბატონიშვილს.

პლ. იოსელიანის ცნობით აღნიშნული უნიკალური ხელნაწერი მის ვაჟს ალექსანდრე ორბელიანს (1802-1869 წწ.) მიხეილ ვორონცოვისათვის მიურთმევია საჩუქრად 1853 წელს. ცნობილია, რომ 1832 წლის მონაწილეს და შამილთან საიდულო კავშირის ბრალდებაში ეჭვმიტანილთან, ვორონცოვს არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება. იცოდა რა ორბელიანმა მისი დიდი ინტერესი ძველი ქართული სიგელ-გუჯრებისა და ხელნაწერებისადმი, ამ ძვირფასი საჩუქრით ფიქრობდა ვორონცოვის გულის მოგებას. ხელნაწერის ადგილსამყოფელი მიკვლეული იქნა ვორონცოვის არქივში 1933 წელს ტროიკის მიერ ჟურნალში, „Литературное наследство“ (№ 9-10 Москва) გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით. ხელნაწერი (Q-1082) ლენინგრადის ისტორიულ-არქეოგრაფიული ინსტიტუტის მ. ვორონცოვის არქივიდან ჩამოიტანეს 1935 წელს.

ზემოაღნიშნული მასალებიდან აშკარად ჩანს, როგორი რუდუნებით ამდიდრებდნენ ფანასკერტელ-ციციშვილები საკუთარ წიგნთსაცავებს ძვირფასი ხელნაწერი წიგნებით. მათი მწიგნობრული საქმიანობა უკავშირდებოდა კალიგრაფების მოძრა -

დებას, ქართული ხელნაწერი წიგნების გამრავლებას, ძველი ხელნაწერებიდან გადაწერას, ახალი ნუსხების დამზადებას და „ჯაზულითა და დახატვითა“ შემკობას. სწორედ მათი თაოსნობით გადაურჩა დაღუპვას ბევრი უნიკალური ხელნაწერი. მე-17ს. გადამწერებს შორის¹ თვალსაჩინო ადგილი უკავია ბედისმწერლიშვილების გვარს. ამ საგვარეულოს დახელოვნებული მდივან-მწიგნობრები ფარემუზ, იესე და ნათანაელ ბედისმწერლიშვილები ციციშვილთა კარზე მოღვაწეობდნენ, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა დამკვეთნი ცნობილი სამეფო კარის გავლენიანი პირები ჩანან, რომელთა შორისაა შაჰნავაზის მეუღლე მარიამი, დომენტი კათალიკოსი და სხვ. კათალიკოსის ახლო ნათესაური ურთიერთობა ფანასკერტელ-ციციშვილთა ოჯახთან საფუძველს იძლევა ამ ფაქტს ახსნა მოეძებნოს. დომენტი კათალიკოსის 1671 წ. ციციშვილთა სადავო მიწის წიგნში დაცული ცნობის მიხედვით, თავად კათალიკოსი საუბრობს თავის დისწულებზე: „ჩემს დისწულს ზაზასა და ზაალსა. ასრე რომ როდესაც კურთხეული ჩემი და, დედათქვენი, დედისიმედი მიიცვალა და თქუენ ყინცვის წასასვენებლად მოინდომეთ და ასე მოგუახსენეთ ... ჩუენ ეს მოვინდომეთ, რომ ნიჩბისს თქუენის სასახლის სიახლეს აგეშენებინათ საყდარი და იქ მიგელოთ მიწათ ... თქუენც დაგუიჯერეთ. საყდრის აშენების საფიცრის წიგნი გამოგართვით, რომ ავაშენებთ და საძირკველი ვაკურთხეთ და ჩუენვე გავაჭრევიეთ.“²

ფარემუზ ბედისმწერლიშვილის სახელს უკავშირდება ნუსხურით გადაწერილი „მარხვანი“³

ფარსადან ნოდარის ძის დაკვეთით ნათანაელ ბედისმწერლიშვილს გადაუწერია „სახარება“, რომელიც შესწირა "ცხოველს

¹ ა. ბაქრაძე, XVI–XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი, პალეოგრაფიული მიეზანი I, თბ., 1965, გვ. 26–28.

² ქართული სამართლის ძეგლები ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლოძემ, თბ., 1970, გვ. 569.

³ ხეც. ფ. Q, № 663.

ჯვარს". მის მიერაა გადაწერილი 1621 წლის „დავითნი“ (H-16), „ბიბლია“ (H-1207) და „ჟამნი“ 1672 წლის (H- 1755).

იესე ბედისმწერლიშვილს გადაუწერია „ჟამ-გულანი“ მეფე ვახტანგ V-ის კარზე დაწინაურებულ, გავლენიან სარდალ - პალატ-უხუცესის, პაპუნა ფანასკერტელ-ციციშვილის უმცროსი ძის, ზაალის, დაკვეთით გარდაცვლილი დედის, მეფის ბიძაშვილის, დედისიმედის „სულისა საოხად და ძეთა სადღეგრძელოდ“. ხელნაწერის 231 გვერდზე საინტერესო მინაწერში ვკითხულობთ: „... ფ~დ ცოდვილმა ფანასკერტელმა ციცისშვილმა სარდარისა-პალატ - უხუცესი პაპუნას ძემან ზაალ და თ~ა მეცხედრემან ჩ~ნმან ასულმან ამირეჯიბისამან ბატონმან მარიამ ვიგ(უ)ლეთ და ვიგულისმოდგინეთ და აღვაწერინეთ წ~ე ესე და ს~ლთა განმანათლებელი უნაკლულო და ყი~თრთ აღსრულებული ჯაზუ-ლითა და დახ(ა)ტვთა ესე ჟამ-გულანი ს(უ)ლისა ჩ~ნისა საოხად და ძეთა ჩ~ნთა სადღეგრძელოდ და სასურველისა ჩ~ნისა მშობლისა სასულიეროდ და მოსაკსენებლად ქართველთ მეფის დის, დედის-იმედის საოხად, შემოგწირეთ მცირე ესე შეს(ა)წირავი შენ საშინელსა და ცათა უმაღლესსა ვედრებისა ღ~ის მშობელსა ...“ წარწერის მიხედვით ხელნაწერი გადაწერილია 1661 წელს.¹ გადაწერის შესახებ ხელნაწერის ბოლო მინაწერში ვკითხულობთ: „უფალო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იესე ამ შაბათ-კვრიაკის მწერალი ... რაც ოდენ ძალ მედვა, სიკეთესა და სიმართლესა და რიგს ვეცადე ...უცებად წერისათვის ნუ მწყებთ ...“ აღნიშნული „ჟამ-გულანი“ № 342 ვასილ არჩილის ძე ციციშვილმა შესწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

მოვრეთის მწიგნობრულ ტრადიციას არ დალატობდნენ ზოვრეთის მხარეში ცნობილი ციციშვილების აზნაურიშვილები,

¹ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. I, თბ., 1946, გვ. 252-255.

რომელთა შორის ქარელში საგანმანათლებლო - აღმზრდელობით საქმიანობით ცნობილია დომენტი წინამძღვრიშვილი. 1787 წელს მისთვის აღსაზრდელად იოანე მამუჩაშვილი მიუბარებიათ. განათლებული მწიგნობარი და კალიგრაფი იოანე შემდგომ ბატონიშვილებს გაჰყოლია პეტერბურგში და იქ მოღვაწეობდა. პეტერბურგში დაუსრულებია თავისი პოემა, რომელშიც თავის მოძღვარ დომენტი წინამძღვრიშვილის ღვაწლს შთამბეჭდავად იხსენებს:

„დომენტიმ ისე მიმილო, არ შეედრება მამაცა,
არც დაიშურვა წიგნები, მასვა, მაჭამა, ჩამაცვა.“

გივი მიქაძის კვლევით, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი (H-783), სრულიად შემთხვევით არაკვალიფიციური გადამწერის ივანე დავითის ძე სომხიევის წყალობით ტექსტში მოხვდა დამოუკიდებელი ლექსი, „სალომე იმედის ასული თანამეცხედრე წინამძღვრიშვილის დომენტი მღვდლისა“. მიქაძის მოსაზრებით საკმაო შესაძლებლობის ამ პოეტ ქალს ეკუთვნის ლიტერატურულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსნის ნაკლული ადგილების შევსება. რუსთველური შაირითვე დაწერილი მოკლე და გრძელი ანდერძი „ანზანთქება.“¹ საისტორიო დოკუმენტებში ვხდებით ციციშვილთა საგვარეულოს პოეტი ქალების სახელებს: მარიამი, სოფიო, რახაილ და სხვ. რომლებსაც თავიანთი შემოქმედებით მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ეროვნული კულტურისა და მხატვრული სიტყვიერების საგანძურში.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დამდეგს მძოვრეთიდან ქარელსა და ხვედურეთში გადმოსახლებული ციციშვილთა ნაწილი აქვე აგრძელებდა მწიგნობრულ და მთარგმნელობით საქმიანობას. ეწეოდნენ ქველმოქმედებას სცენისმოყვარულთა დასის საქმიანობაზე, სკოლების, ბიბლიოთეკების დაარსებასა და მათ ფუნ-

¹ გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, საიუბილეო კრებული, შოთა რუსთაველი, თბ., 1966, გვ. 365.

ქციონირებაზე. 1886 წლის ივერია იუწყებოდა ქარელსა და ხვედურეთში „ციციშვილის სახლში გაუმართავთ ქართული წარმოდგენა ... დეკორაციები და ფარდა ქარელშივე შეუმზადებიათ“.¹ ადგილობრივ მაყურებელთა გარდა, სცენისმოყვარულებს ტფილისიდან და ბათუმიდან ორთქმავლით ქარელში ჩამოსვლის შესაძლებლობაზე დამატებით აცნობებდნენ: „ქარელი საუცხოო ადგილია და ყოვლის მხრივ ხელს მოუმართავს ხსენებულს საქმეს შვიდს საათზე სადამოთი ტფილისიდან მოდის ორთქმავალი, რვაზე სადამოთივე ბათუმიდამ ... ორთავე მხრიდამ შეუძლიანთ ხალხს ქარელში ჩამოსვლა ... თვით ციციშვილები ოთხმოცამდე სახლობა“.²

1900 წლის ცნობის ფურცელი³ იუწყებოდა, რომ თავად ნ. ირ. ციციშვილს დიდი ადგილი შეუწირავს კეხიჯვარში სოფლის სკოლას ასაშენებლად, სკოლაც აუშენებიათ, მასწავლებელი ქალიც დაუნიშნავთ. ამავე ნომერში დამატებით იუწყებიან ქარელში სამკითხველოს დაარსების თაობაზე.

ციციშვილთა მწიგნობრულ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერეკლე მეფის შვილთაშვილი, სარდალ მოურავ დავით ციციშვილის შვილიშვილი, შემოქმედებითი ნიჭიერებითა და განსწავლულობით გამორჩეული ლიტერატორი - მწერალი და მთარგმნელი დავით ევსტათის ძე ციციშვილი. „კალმასობაში“ იგი წარმოგვიდგება ვოლტერიანელთა და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებულ „ვოლტერიანელად“. პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული დავით ციციშვილი ცხოვრების გარკვეულ დროს ქარელში ატარებდა. ხანდაზმულობისას ანალიზებდა რა სამშობლოზე თავსდატეხილ ქართველებს, ამჯობინა ქარელში თავის მამულში გადასულყო საცხოვრებლად. აქვე ეწეოდა ლიტერატურულ და

¹ ივერია, 1886 წ. №166; №212.

² ივერია, 1886 წ. №212.

³ ცნობის ფურცელი, 1900 წ. №1179

მთარგმნელობით საქმიანობას, თუმცა დედაქალაქის ლიტერატურულ წრეებთან მჭიდრო ურთიერთობა არასოდეს შეუწყვეტია. მის განსწავლულობას დიდ პატივს სცემდნენ და ქარელის მდიდარ ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობდნენ გამომცემლები¹ და საზოგადო მოღვაწეები. ძამის ხეობაში მოგზაურობისას დავით ციციშვილი მასპინძლობასთან ერთად დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს² დიდ დახმარებას უწევდა ძამის ხეობის ნახევრად დანგრეული ისტორიული ძეგლების აღწერასა და წარწერების მოძიება-აღნუსხვაში.

1849 წელს მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში მწერლის, დავით ციციშვილის მოღვაწეობის შესახებ აცნობებდა „საქართველოს დიდებულთა შთამომავლობის აღწერას მალე მოგართმევ. ახლა აწერინებს თეთრად~თა დავით ციციანოვი, რომელმაც შეადგინა.“³ ისტორიულ საციციანოსა და გორის მაზრიდან გაგზავნილი საინტერესო „რაპორტების“ გამო დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ღვაწლს დიდად აფასებდა მარი ბროსე: „გაგიმარჯოს, გიმადლით, რომ საციციანოსი და გორის მაზრის დასავლეთის ეს ნაწილი გივლია, რომელი მე არ მინახავს, უთუოდ ბევრი გიშოვნია იქ ღირსი ხსოვნისა, ზედწერილები საყდრებისა და მონასტერთა.“ იმდროინდელი ქართველი საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ამ მოგზაურობისადმი და მასალები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე.⁴

¹ Кавказъ, 1852, № 35, №3 6, № 37; ცისკარი 1857, № 12.

² ხეც. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პირადი არქივი № 8.

³ შ. ხანთაძე, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, საისტორიო მოამბე, თბ., 1952, გვ.13.

⁴ მ. მიჩიტაშვილი, ისტორიკოსი და არქეოლოგი დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი, პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი, 2 (5), თბ., 1999, გვ. 108. ხეც. მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი № 9.

დავით ციციშვილის „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილს „ცოდნისათვის განჯაფისა,“¹ თან ერთვის „ცისკრის“ რედაქტორის, ივ. კერესელიძის საინტერესო ცნობა: „ჟამსა მოგზაურობისა ჩემისასა ამა წელს, ვიმყოფებოდი რა ჩვენის თანამედროეს მწერლის თ. დავით ციციშვილის სახლში, სოფ. ქარელს, სადაცა მაჩუნა თავისნი მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი, მათ შორის ვპოვე აღწერა ზემოხსენებულის განჯაფისა, რომელსაცა ვბეჭდავთ ჩვენს ჟურნალში“. ორმოცდაათიან წლებში აქტიურად თანამშროლობდა „ცისკართან“, ბეჭდავდა ლექსებს, მოთხრობებს, აქვეყნებდა რუსულიდან ნათარგმნ მასალას.² 1848 წელს რუსულიდან თარგმნა „ველისარი“, რომელიც მთარგმნელის მიერ ფანქრით არის შესწორებული.³

თხზულებაში „შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართულეთა ერთა და ჟამითი-ჟამად ცულილებათათვის მათთა, შეთხზული თავადის დავით ფანასკერტელ-ციციანოვისგან 1849-სა წელსა“. ავტორი გულისწუხილს გამოთქვამს იმაზე, რომ „უკეთუ რომელიმე ქართული უბნობს ქართულისა თანა, მაშინ შორის ათთა ქართულთა ლექსთა იტყვის ოთხთა რუსულად“.⁴ „ენა, მამული, სარწმუნოების“ სიყვარული და ერთგულება, როგორც ჩანს გენეტიკურად იდო მასში. თავსდატეხილ რუსიფიკაციის საშიშროებაზე აშკარად და მეტად გაბედულად მიგვანიშნებს, „ცისკრის“ ამავე ნომერში, რუსულიდან ნათარგმნ ლექსზე დართული შინაგანი განწყობის სიმტკიცე, სახელმწიფოებრივი იდენტობის შთამაგონებელი

¹ ცისკარი 1857, № 12.

² ცისკარი, 1857, № 7, გვ. 13-34; №9, გვ. 9-26; №10, გვ. 36-68; ცისკარი 1858, № 1, გვ. 12-15; №11, გვ. 135-174; №12, გვ. 214-245.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (S კოლექციისა), ტ. II, თბ., 1961, გვ. 195.

⁴ ივერია, 1891, №122.

სტრიქონები: „მოგიძღვნით ქართველთ მკითხველთა, მაგრამ დავსძინებ თხოვასა:

ღვთის გულისათვის ნუ ჰკარგავთ ძველის ენისა ხსოვასა, საკიცხველია ყოველგან მოგატყვევს დიდსა გლოვასა,

გვეტყვიან: თვისი დაჰკარგეს, სხვისას ვერ ჰყოფენ შოვასა.“

1822-24 წლებში ქარელში თარგმნის რუსულიდან ქრისტიან ბაუმეისტერის „მეტაფიზიკას“. მისი მწიგნობრული მოღვაწეობიდან ცნობილია, „ქცევანი და ჩვევანი საქართველოსანი“.¹

1849 წელს ქართულად თარგმნა ჟან - ჟაკ რუსოს ერთ-ერთი ტრაქტატი. მისი განვლილი გზა მოჩანს წიგნის წარწერაში: „ჰსჯა, დაჯილდოვებული დიჟონის აკადემიისგან 1750 წელსა, კითხვასა ზედა ამის აკადემიისასა წინადადებული, რომელ აღიდგინება, ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწეოდა წარმართვასა ზნეთა ანუ ყოფა ქცევათასა - შეთხზული უფლის ჟან-ჟაკ რუსოს მიერ, მეორედ გამოცემული მოსკოვს 1727 წელსა, რუსულ თარგმანიდან ითარგმნა დავით ესტატეს ძე ფანასკერტელის ციციანოვის მიერ 1849 წ. სოფ. ქარელში.“ („აღდგინება ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწეოდა წარმართვასა ზნეთა ანუ ყოფა-ქცევათასა“). დავით ციციშვილისგან ამ ტრაქტატის თარგმნა არ იყო შემთხვევითი. დიდი მოაზროვნის, ჟან-ჟაკ რუსოს იდეები მკვეთრად გასდევს მის შემოქმედებას. აშკარად ჩანს XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების მსგავსად, ქვეყნის მძიმე მდგომარეობაზე, ეროვნულ და მწვავე სოციალურ საკითხებზე გამოხატული პროტესტის მკვეთრი მხარდამჭერა. ამ წიგნის თარგმნის გამო ლევან ასათიანის შეფასებით, ვოლტერიანელმა და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებულმა ციციშვილმა ამით მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე: „უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს წიგნი, ცოტა არ იყო შეუფერებელი იყო XIX ს. პირველ ნახევარში ქართული სინამდვილისათვის. მაშინ როდესაც თითქმის დავიწ -

¹ ხეც. ფ. S, № 1489

ყებული გვექონდა ნაციონალური კულტურის ყველა მიღწევა, როდესაც ანბანიდან ვიწყებდით სწავლას, კერძოდ, არ გვექონდა დროის შესაფერი სალიტერატური ენა, რომელიც მოითხოვდა რეფორმაციას ... ეს ტრაქტატი და კულტურისა და სწავლა-განათლების უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი ცოტა უცნაური გაუგებრობა იყო ჩვენი აზრით, რუსოს ქართულად თარგმნა მაინც სიმპტომატური იყო იმ დროს.“¹

ვგიჟობთ, მისი შემოქმედება ევროპული განმანათლებლური იდეების უკანასკნელი, მაგრამ მეტად მგრძნობიარე გამოძახილი იყო, რომელიც ასპარეზს უთმობდა ახალი ეპოქის, 60-იანი წლების შეუპოვარ მებრძოლ თაობას.

დიდმა პატრიოტმა და მეცენატმა იასონ ციციშვილმა საოჯახო ბიბლიოთეკიდან უნიკალური ხელნაწერები, შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას.² სამუზეუმო ექსპონატების ჩანაწერთა, 1885-1913 წლების დავთარის მიხედვით, თავად იასონ ციციშვილს დაპირებული ხელნაწერი წიგნები „წერა-კითხვის საზოგადოებას“ 1894 წელს გადასცა: 39 რუსული წიგნი, 23 ქართული, ძველი დოკუმენტები, რუსულ-ქართული ლექსიკონი, 8 რუსული დოკუმენტი და 1 საბეჭდი მოწყობილობა.³ ნაწერებში ბევრია საყურადღებო წიგნი და ბარათი, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ დროს შეეხებოდა.⁴

თავადი იასონ ციციშვილი „გვარიანი მხატვარი ყოფილა.“ იცოდა რა თეატრის მნიშვნელობა, მისი მოსაზრებით „დიდი ზნეობითი სკოლა,“ იყო და პირდებოდა საზოგადოებას სცენისთვის „ახალ დეკორაციას და ფარდას საგანგებოდ შეამზადებდა“.⁵

¹ ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I., თბ., 1958, გვ. 97.

² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (ს კოლექციისა), ტ. II, თბ., 1961, გვ.195; 222; 227-228.

³ სცსსა, ფ. 1448, დავთ. 481, ს. 6853.

⁴ ივერია, 1890, №31.

⁵ ივერია, 1890, №212.

ამდენად, მძოვრეთი საუკუნების მანძილზე ყურადღებას იპყრობდა, არა მხოლოდ თავისი ისტორიული წარსულით, საფორტიფიკაციო ნაგებობებით, ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის შედეგებით, არამედ მწიგნობრული კულტურის ტრადიციებითაც.

5. ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო გერბი

ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უძლიერესი სათავადოს დამფუძნებელს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს ეკუთვნის საციციანოს საგვარეულო გერბის შექმნა.

ციციშვილების საგვარეულო გერბი წარმოადგენს ფარს, დაყოფილს ოთხ ნაწილად. პირველში ლაჟვარდისფერ ველზე დიაგონალურად მარჯვენა ზედა კუთხიდან მარცხენა ქვედა კუთხემდე გამოსახულია დახვეული წითელი დროშა, მის ზევით - აბჯარასხმული მხედარი შემართული შუბით, მარჯვენისკენ გაჭენებულ თეთრ ცხენზე. გერბის ფარის მეორე ნაწილში - ოქროსფერ ველზე გამოსახულია ფარი, მესამე ნაწილში - ოქროსფერსავე ველზე დიაგონალურად, დროშისავე მიმართულებით მოთავსებულია ლაჟვარდისფერი ზოლი, რომლის შუაშია ლათინური ლიტერა **S**, მეოთხე ნაწილში ლაჟვარდისფერ ველზე გამოხატულია სიუხვის ოქროს რქა. რქა გადმოპირქვავებულია და მისგან ცვივა ყვავილები. გერბის ფარი შემკულია გაშლილი სათავადო მანტიით, რომელზედაც დადგმულია რუსეთის იმპერიის სათავადო გვირგვინი.

გ. ციციშვილის და მ. შენგელიას გამოთქმული მოსაზრებით შუბოსანი აბჯარასხმული მხედარი არ უნდა იყოს ჩვეულებრივი მებრძოლი. ის წმინდა გიორგი იქნებოდა ცხენის ფეხქვეშ განგმირული გველეშაპით და არა დროშით. აზრობლივადაც ცხენზე შემართული მებრძოლი და ფარი ორივე სამშობლოს დაც-

ვის სიმბოლური გამოხატულებად მიაჩნდათ და არ თვლიდნენ ერთი იდეის ორი სხვადასხვა გამოსახულება ერთ გერბში მოეთავსებინოთ. მათი შეფასებით წმინდა გიორგის გამოსახვა გერბზე ტრადიციულად ქართული ქრისტიანული სარწმუნოებით ბოროტებაზე ბრძოლას და გამარჯვებას განასახიერებდა. ფარი კი საგვარეულოს მისიაა, სამშობლოს მტრისაგან დაცვის სიმბოლო.



საგვარეულოს საგვარეულო გერბი

იოანე ბატონიშვილის მეტად საყურადღებო მოსაზრებით დროშისა და მხედრის ფიგურები - „მხედართა წინამძღოლობას“ უკავშირდებოდა.¹ ვფიქრობთ, ბატონიშვილის ეს მოსაზრება მართლაც სიმბოლურად გამოხატავდა „გაღმა მკრის“ მეფის სადროშოს სარდლობის საპატიო სახელოს, რომლითაც ასე ამაცობდა ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო საუკუნეების მანძილზე, თავს იწონებდა და დიდი თავგანწირვითაც „მსახურებდა“ ქვეყანას.

„ლათინური ლიტერა **S**“, აშკარა გველის გამოსახულებას სტილიზებული თავით, სადაც გველი „მკურნალის და ბრძენ-მთავარის“ სამედიცინო ცოდნის ემბლემაა. საგვარეულო გერბში სათავადოს დამაარსებლის, მეჭურჭლეთუხუცესის ზაზა ფანასკერტელის - ღვაწლი მართლაც, შთამბეჭდავად აისახა.

სიბრძნის რქა - საგვარეულოს სიმდიდრის, დოვლათისა და სიუხვის მაჩვენებელია. იოანე ბატონიშვილის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ფანასკერტელ-ციციშვილები “ძველადვე ესოდენ მდიდარნი კაცნი ყოფილან ... ამათა შთამომავლობათა უკვე მსახურეს მეფესა თამარს და იყვნენ მეგობარიცა სპასპეტის მხარგრძელის ზაქარიასი ... და უბოძა მეფემან თამარ თავადობაი...”²

ციციშვილების საგერბე კომპოზიცია გამოქვეყნებული აქვთ პ. ნ. პეტროვს „რუსეთის წარჩინებული გვარების ისტორიაში“³ და მიხეილ ვადბოლსკის 1980 წელს გამოცემულ, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ, „საქართველოს ჰერალდიკურ სიმბოლიკაში“.⁴ ციციშვილების გერბს ვხვდებით ცნობილი რუსი გერბთმცოდნის ალექსანდრე ლაკიერის 1855 წლის გამოცემაში -

¹ იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997, გვ. 23;

² იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997, გვ. 23;

³ П. Н. Петров. История родов русского дворянства. I т. М. 1991 г. ст. 417-419.

⁴ მ. ვადბოლსკი, საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა, თბ., 1980, გვ. 96, ნახ. 176 .

„რუსული ჰერალდიკა“¹ და ვ. ციხინსკის ხელნაწერ ნაშრომში - „Кавказский гербовник“.² ციციშვილების გერბის გამოსახულება ფრანგი გენეალოგის ჟაკ ფერანის, ემიგრირებულ ქართველ წარჩინებულ საგვარეულოებისადმი მიძღვნილ ნაშრომშიც არის შესული³. გერბში რუსეთის პროტექტორატის პერიოდის, ე. წ. სავარაუდოდ, რუსული სათავადო გვირგვინი და მანტია მოგვიანებით უნდა იყოს დამატებული, რადგან ვადბოლსკისთან ამ მანტიის გარეშეა წარმოდგენილი ციციშვილთა საგვარეულო გერბი.⁴

ამრიგად, ზემოაღნიშნულ საკითხთა გათვალისწინებით, შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ „მცირე ქალაქმა“ მძოვრეთმა არსებობის რთული და საინტერესო ისტორიული გზა განვლო, გვიანანტიკური ხანიდან, XVIII საუკუნის 90-იან წლებამდე.

